

האנציקלופדיה

8

1978

ტყეა

255

გამოცემის მეოცე წელი

8

აგვისტო

1978

თბილისი

ნაწ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

3. გიორგი სანადირაძე — მომავლის სახელით
პროზა, პოეზია
8. სულიკო დიასამიძე — ლენინი. ლექსი
8. აკაკი თევზაძე — მამული. ლექსი
9. ლევან მაღაშონია — იმპერატორი. მოთხრობა
24. მურმან ჯაგუარია — ლექსები
27. სიმონ ჯაფარიძე — მოთხრობები
41. ტაგუ მუხარეშვილი — ლექსები
44. გურამ კატრიშვილი — ორი ზღაპარი
56. მერაბ აბაშიძე — მოთხრობები
60. ვახტანგ ხარჩილაძე — ლექსები
62. თამაზ გოლაშვილი — რამდენიმე სურათი
პროვინციული ტრაგიკონის ცნობებიდან. მოთხრობა
73. სოლომონ სამხარაული — აპა, მოვიდა! მოთხრობა
87. ვაჟა ჩორელი — მოთხრობები
- ახალი თარგმანები
99. მოუხ იან უჩა — ჟამთა საბალაგელი. ლექსი
იანუდა ჰალევი — ლექსი. ძველებზეა დაფუძნებული თარგმანა ქვემოთ აქვეყნდება

კრიტიკა

107. ალექსანდრე კალანდარიძე — ანტიკონის ჯგერაძე
დავით გომიშვილი — გოლო ბანარაძე
112. ნოდარ უნგვალია — საუბრადეგო მონოგრაფია
დავით ალექსანდრე
115. ნოდარ უნგვალია — საუბრადეგო მონოგრაფია
დავით ალექსანდრე

წერილები

120. ნიკო ანდრონიკაშვილი — ადამიანის პროზა-
მა ილია მავთულის პროზა
128. ზურაბ ჭარბაშვილი — „გაუცემება“ ლიტე-
რატურასა და ზოგადეგო — მისი პრინსიპი და
ბენეფიციის საკითხისათვის
137. დავით კაციტაძე — ქართულ-ირანული ურთი-
ერთობიდან

პოლემიკა

140. პანის მიტინი — ჯგერაძის ეპოპა
- პირველი შთაბეჭდილება
151. რეზა ჩხარტიშვილი — კრიტიკონის მისამე წიბ-
ნი
152. სოლომონ ხათაშვილი — მოგონებანი ვახუშ-
ტი
153. უზანგი ჯანაშიაშვილი — პოეტის წიგნის მო-
რალური საზრისი
154. ვახტანგ ხარჩილაძე — მოთხრობები ჩვენს ნაც-
ნო ადამიანებზე

სკორტი

155. ლევან კიკნაძე — გულბი ლივბიტო?
159. კულტურული ცნობების კონიკა

მთავარი რედაქტორი
გურამ ვანგუნიძე

სარედაქციო კოლეგია:

ვახუშტი ანდრონიკი,
გურამ გვარდუნიძე,
გივი გვარდუნიძე,
რეზა გომიშვილი,
გიორგი გუგუშვილი,
ნოდარ დუშაძე,
მერაბ ელიშვილი,
მელქიშვილი მენაშვილი,
ილია მავთული,
მთაბერძენი
(მთ. რედაქტორი)
მთაბერძენი,
ნოდარ ჩხარტიშვილი,
ნოდარ წიგნაძე,
ბარბაქადე ბენეფიცი,
რეზა მამიშვილი.

მოგაპლის სახელით

ერაზმი მილიონი საბჭოთა ადამიანისთვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შესანიშნავი წიგნები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“ ერთგვარი უკან მიხედვა და განვლილი გზის გახსენებაა. ადამიანები ამყობენ ამ წარსულს, სადაც, გულისგულში დატუპებული სევდაც შეიშმუშნება, სევდა ნათელი მერმისისათვის დადუქულ ახლობელთა და მეგობართა გამო. მაგრამ როგორ აღიქვა ეს უკან მოხედვა იმ თაობამ, რომელსაც ძალზე ბუნდოვნად ახსოვს ომი? ანდა იმ თაობამ, ომის ნანგრევები და ქვეყნის აღდგენის წლები კინოფილმებში რომ უნახავს მხოლოდ?

შეუძლებელია არ ავაფორიაქოს „მცირე მიწამ“ და „აღორძინებამ“. მათში ჩვენი ცხოვრება, ყველას ცხოვრებაა კონკრეტულ მაგალითში განზოგადებულ-გაცხადებული.

„მცირე მიწას“ რომ ვკითხულობდი, მანაჩემი წარმომიდგა თვალწინ. იგი არ ყოფილა მცირემიწელი, კავკასიის მთებში, ბაქსანთან, საპაუბიკო ბატარეით ებრძოდა ფაშისტებს. მაგრამ რატომღაც ასე მეგონა, ისიც კუნიკოვის ლეგენდარულ დესანტს გაჰყვა კუნაპეტ დამეში... ხელჩართული ბრძოლით იკაფავდა გზას, თავით-ფეხებამდე გალუმულს, ყინულდაკრული ფარავა ტანზე შელიდებოდა და მხოლოდ ერთი

საზრუნავი ჰქონდა — როგორმე გაემლო, როგორმე არ დაეხია უკან... ეს კი უკვე გამარჯვებაზე, სიცოცხლეზე ფიქრი იყო... უჭირდა მცირე მიწაზე ფეხდადგმულ მეომარს. უჭირდა, რადგან ეს იყო ქვეით დაფარული დამრეცი ნაპირი. მის უკან ფრიალო კლდე აღმართულიყო, კლდეში ნიშები მოჩანდა. სწორედ იქამდე უნდამიედწია, რომ ტყვიას დამალვოდა, მაგრამ აქაც არ თავდებოდა გზა — ათ-ათთმეტ მეტრზე უნდა აცოცებულიყავი, რათა ტრანშეაში ჩამხტარიყავი. ტრანშეა კი მცირე მიწის სიღრმისაკენ მიემართებოდა... „ზედიზედ აყრიდნენ ჭურვებსა და ბომბებს, რომ არაფერი ვთქვათ ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლზე, და გამოანგარიშებულია, რომ მცირე მიწის ყოველ დამცველზე 1.250 კილოგრამი ეს მომავდინებული ლითონი მოდიოდა“...

ხომ არ შეგვესვენა, მკითხველო, და წუთიერი ღუმილით ხომ არ გვეცა თავი იმ ადამიანთა სახელებისათვის, ვისი წყალობითაც ასე ლაღად დავაბჯებთ ვანიერ პროსპექტებზე, ვტყბებით მზის თბილი შუქით დაფარული განთიადით, გვიყვარს, ვოცნებობთ, ვქმნით... ბევრ მათგანს ცხრამეტი წელიც არ შესრულებოდა. „რამდენი ჩვენი ჭაბუკი დაიღუპა იმ მიწაზე, რამდენი მათგანი ვერ დაბრუნდება შინ!



ომში სიბრალულის საკითხი რთული საკითხია. ომი სასტიკი რამ არის... და აქ სიკვდილი გარდაუვალია. აქ თუ ვინმე შეგეცოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის ნაცვლად სხვა გაგზავნო. აქ ერთი ზნეობრივი გამართლებაა — მხარში ედგე ნებრძოლებს გაჭირვების ჟამს, გაიზიარო მათი ხვედრი, და ყველაფერი უნდა იდონო, რათა დიცვა ისინი უაზრო რისკისაგან, შეუმსუბუქო ქირ-ვარამი...”

აი, ზნეობრივი კოდექსის ერთი შესანიშნავი, მაგრამ უმკაცრესი მუხლი. ომმა წარმოშვა იგი. ომგამოვლილმა კაცმა კი სულის უხილავ სათავესოში გამოხარშა.

მცირე მიწა განა მართლა მცირე მიწა! იგი მთელი ჩვენი თვალუწყდენებით ქვეყანაა სოფლებითა და ქალაქებით, დაბებით... აი, რატომ იბრძვიან ასე გააფთრებით საბჭოთა ნეომრები, იბრძვიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. კითხულობ ამ ამალეღვებელ სტრეიტონებს და მათი სიძლიერე, სიუხადე ისე გაბრუნებს და გიტაცებს, ასე გგონია, ახლა თვით შენ მიაბიჯებ სამშობლოს დამცველთა შორის, ხელდაე მტრის ვერაგობას — გადაბეგულ, მიწის პირისაგან აღგვილ ნასახლარებს, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების გვამებით მოფენილ ქუჩებსა და მოედნებს...

მე შესაძლებლობა მქონდა, ახლო გავცნობოდი მეთვრამეტე არმიის ლეგენდარულ გმირებს. რომელი ერთი დავასახელო — ვლადიმერ ზარელუა, არტემ აზიროვი, შოთა თათარაშვილი, ალექსანდრე მუსიევი, დავით ჯაბუა, ოთარ ლესელიძე... გრძელია ეს სია. მონუსხული ვიყავი მათი თავნებაობით, შინაგანი კულტურით. მაშინ ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარი იყო — ყველაზე უფრო მათი დუმილი, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მათი ძუნწი მონათხრობი გარდასულ დღეთა ამბებზე. ის, რაც მათ ნახეს, რაც გადაიტანეს, რაც მათ მეხსიერებაში აღბეჭდილა,

ძნელი მოსაქცევია ერთ ყალიბში მართო მოვლენათა ზუსტი აღნუსხვა როდი კმარა. საჭიროა მრავალ ისეთ ასპექტთა ანალიზი, რასაც უარესად მასველი თვალი, უდიდესი პოლიტიკური მომზადება და სიბრძნე სჭირდება. ასეთ ნაწარმოებზე მოგვევლინა „მცირე მიწა“. მან აშკარად ახსნა ის ერთი საერთო და სავესებით უცხადესი მიზანი, რაიც რაზმავდა მილიონობით ადამიანს. აკავშირებდა ერთმანეთთან, აღიდა ახლობელს, მშობლიურს. ხომ სავესებით კონკრეტული მიზანია, ხომ აშკარად გამოკვეთილი პოზიციაა, მაგრამ დაუყვირდით, საიდან იღებს სათავეს ის უხილავი ოქროს ძაფი, რითაც იქსოვებოდა ამ ნაწარმოების თითოეული სიტყვა: სოციალისტური ჰუმანურობიდან.

დიდი სამამულო ომის ისტორია ჩვენი, საბჭოთა ადამიანის ისტორიაა. რამდენი რამ წაგვიკითხავს ამ ისტორიაზე. ქართველ კაცს უყვარს ანგვარი ლიტერატურა. ეს მართო მემუარულური ლიტერატურისადმი ტრფიალით არ ახსენება. ჩვენებური კაცი ამ წიგნებში თავის განვლილ საბრძოლო გზას, ნაცნობ ბრძოლათა აღწერას, დაკარგულ ძმას, მამას, შვილს, მეზობელსა და მოყვარეს ეძებს... იმიტომ რომ, ამ შვიდსი ათასი მემორიდან, დიდ სამამულო ომში საქართველოდან ფრონტებისაკენ რომ წაიყვანეს ეშელონებმა, ყოველი მეორე არ დაბრუნებულა უკან...

ლ. ბრეჟნევი იხსენებს: „ჩვენ ერთად შევიარეთ რუმინელთა ერთ-ერთ ბლინდაჟში, რომელიც ქვიშიან ნაპირზე აეშენებინათ. ძალიან ცხელოდა. ლესელიძეს, მე, ზარელუასა და ლუკინს გვინდოდა ცოტა ხნით მაინც ჩრდილს შევფარებოდით, მაგრამ ბლინდაჟიდან ისმოდა რაღაც შარიშური, განუწყვეტელი ტაკატუკი, ოღონდ სულ ჩუმად. მე ვთქვი:

— ეს ალბათ საათის მექანიზმია. ეტ-

ყოფა, ბომბი ჩაუღდეთ. მოდიტ, გავი-
დეთ აქედან.

და ჩვენ ჰაერზე გამოვედით, ბლინ-
დაჟს მოვშორდით, ნაბადი დავაფინეთ
და დავეჩქით. ლუკინიც იქვე, სულ ახ-
ლოს იწვა. შორს ცვიოდა ბომბები,
მთელი ნაპირი ქვეშის ბარხანებში იყო
გახვეული. აფეთქებათა გრუხუნნი რომ
მიწყდა, წამოვდექით. ამხანაგს დავუ-
ძახე:

— ლუკინ! ლუკინ!

დუმს. მივედი და მკვდარია. არც
ერთი ნაკაწრი, არაფერი არ ეტყობო-
და. ჰაერის ტალღას მოველა“.

— ასეთია ომის სიმართლე — დაუნ-
დობი, მკაცრი.

ასეთია მისი სიმარტივემდე დაყვა-
ნილი შინაარსიც: „მეგობრის ღიმილს
ვერ მოჰკლავს ტყვია. ვით არ მოკვდე-
ბა სიტყვა მართალი. რა ვუყოთ თუ
ერთ სანგარში არ ხარ, თუ წყალს
ველარ სვამს შენი მათარით“....

რატომ უყვარს ლეონიდ ილიას ძის
ეს ლექსი?

იქნებ იმიტომ, რომ მთელს მის შე-
სანიშნავად, დიდი ბელეტრისტის კა-
ლმით დაწერილ წიგნს სწორედ ეს
აზრი გასდევს? ალბათ. ომმა მართ-
ლაც ბევრი რამ წარმოაჩინა. თუკი
მშვიდობიან დროს წლობით და, ზოგ-
ჯერ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ
ჩასწვდები ადამიანს — იქ, ტყვეების
ზუზუნსა და ხელჩართულ ბრძოლაში
ყოველ წუთს იხსნება მისი ხასიათი...
მცირემიწელ მებრძოლთაგან ლეონიდ
ილიას ძე ბრეჟნევი საგანგებოდ არა-
ვისზე შეჩერებულა. მის წიგნში დასა-
ხელებული გმირები თითქოს გვეუბნე-
ბიან — თუ ადამიანი მართლა ადა-
მიანია, ომშიც ადამიანად რჩება. ეს
რომ ასე იყო, ამისთვის მცირე მიწის
მაგალითიც კმარა. აქ მძაფრად გამო-
იკვეთა გმირ დამცველთა ნებისყოფა,
მათი ფაქიზი გრძნობები, სიცოცხლის,
ყოველივე სილამაზის დაუოკებელი
წყურვილი და, რაც მთავარია, იმის
აშკარა რწმენა, რისთვისაც ასე უყო-

ყმანოდ სწირავს თავს კაცი ამ ერთ
მტკაველ მიწას.

„რა თქმა უნდა, სიკვდილის შიში
ჩვეულია ადამიანისათვის, ეს ბუნებრი-
ვია, მაგრამ კრიზისულ ეპოქაში გადაწყვე-
ტილება თითქოს თავისთავად მოდიოდა
და მთელი წინა ცხოვრებით იყო მომზა-
დებული“, — წერს ლეონიდ ილიასძე
ბრეჟნევი. წერს იმ მიმომხედვით, რო-
ცა სიკვდილი მიწის ყოველ მტკაველზე
იყო გადაარაგებული.

ეს ომია.

მაგრამ როგორ იქცევა ადამიანი
მშვიდობიანობის დროს? განა ომის და-
მთავრების შემდეგ, მიწასთან გასწორე-
ბული, ნანგრევებად ქცეული ქვეყნის
აღდგენა ნაკლებ გნირება გახლდათ?
ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევის მეორე
წიგნი „ალორძინება“ ამაზეც გვაძლევს
პეშმარიტ პასუხს.

„ბალახი უკვე ამოსულიყო რკინა-
სა და ღორღს შორის. შორიდან გავე-
ლურებული ძაღლები ყმუილი ისმო-
და. ირგვლივ კი მხოლოდ ნანგრევება
ასვეტილიყო და დამწვარი ხეების ტო-
ტებზე ყვავების ჩაშვავებული ბუდეები
ეკიდა...“ — ასეთი იყო ის მხარე, სა-
დაც ომის დამთავრების შემდეგ საბ-
ჭოთა კავშირის კომუნისტური პარტი-
ის ცენტრალურმა კომიტეტმა ლეონიდ
ილიასძე ბრეჟნევი სამუშაოდ გააგზავ-
ნა. ეს იყო ჩვენი დიადი ქვეყნისათვის
მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი — ეპოქა
მშვიდობისა და შენებისა. კაცობრიო-
ბას არ ახლავს იმგვარი ბოროტების
კვალი, რაიც უკანდახეულმა ფაშის-
ტებმა დატოვეს ჩვენს მიწაზე. არა, აქ
აღდგენითი სამუშაოები არ კმაროდა,
ფენიქსის მსგავსად ფერფლისაგან უნ-
და ალორძინებულიყო ყოველივე. ეს
კი ხალხის, პარტიისა და მთავრობის
ერთობლივ, დაძაბულ და მუხლმოუკო-
დავ შრომას მოითხოვდა სწორედ შრო-
მა გახდა ადამიანის შეფასებისა და
უპირველესი ღირსების საზომი. ეს

გიორგი სანაღობაძე
მოგავლის სახელით



რაც ლაიტმოტივად გასდევს „აღორძინებას“. და აქ ჩნდება მეტად ნიშანდობლივი აზრი, ნაწარმოების ერთგვარა გასაღებიც რომ გახლავთ: „როცა თვალს ვავლებთ განვლილ გზას, ვიხსენებთ გაკეთებულს, ჩვენ ჩვეულებრივ ამ გამოცდილებიდან ვიზიარებთ იმას, რაც გვარგია დღეს და სასარგებლოა მომავლისათვის“.

ეს ომგამოვლილი ადამიანის დასკვნა როდია, ეს უკვე ცხოვრების ყველა კუთხე-კუთხუღში ჩახედული ადამიანის სიბრძნეა. დიახ, მან უკვე იცის, რომ ასეთი უდიადესი გარდატეხის ჟამს პარტიული მუშაის უმთავრესი საზრუნავი რიგითი, მშენებელი ადამიანია. მაგრამ „აღორძინების“ ავტორს პარტიული მუშაის ასევე უმთავრეს კომპონენტად საკუთარი თავისადმი და სხვისადმი უმკაცრესი მომთხოვნელობა მიჰჩნია.

ნუთუ ნარტო ამაშია „აღორძინების“ მომხიბვლელობა?

მისი ყოველი ეპიზოდი ისეთ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ერთბაშად ვერც მოუძებნი ახსნას.

ოთხი წელი, თითქმის ათას ხუთასი დღე გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო კიდილი. ქვეყანა დაიღალა. სანგრებში, თოვლსა და ყინვაში ნაგვეზნაბრძოლი ადამიანები, როგორც იყო, დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას. აქ კი აღმოჩნდა, რომ ჭრილობათა მოშუშების დროც აღარ ჰქონდათ. ისევ მათ უნდა ეშენებინათ, ისევ მათ უნდა ეფიქრათ მყუდრო კერსა და სურსათზე. ეყოფოდათ მათ ძალა ახალ, უკვე მშვიდობიან საგმირო საქმეთათვის?

ეყოთ. იქნებ უკვე ესეც არის ზქმით დასმული კითხვის გასაღები?

„აღორძინება“ ხომ გაჯერებულია იმ პირველყოფილი სიწმინდითა და გულისათადობით, რითაც გაჯერებს შენი დაწყებული საქმის სამართლიანობაშიც, გიხმობს ახალი ჰორიზონტებისაკენ.

გამარჯვებულმა ხალხმა აღორძინების სადავებები დაიჭირა ხელთ.

ეს არ არის რიტორიკა. ეს ცხოვრების ცხელი ქარი გვცემს სახეში. ეს ქარი ნანგრევებიდან იღებს სათავეს. ნანგრევები ბოლავენ... ესლა დარჩა „ზაპოროჟსკის“ საქვეყნოდ განთქმული ქარხნისაგან, დნეპრპეტრისკისაგან, ზაპოროჟიის სანახებისაგან არც წყალი, არც სინათლე, არც საავადნყოფო... ახლა სამუშაო იარაღს არ იკითხავთ? ბარი, წერაქვი, ურიკა... თითქმის სიზიფესეული შრომა. აი აქ, ასეთ ვითარებაში უნდა წარმართულიყო პარტიი! საოლქო კომიტეტის ახალდანიშნული პირველი მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქმიანობა. და როგორც უკვე ვნახეთ, მისი მოღვაწეობის უპირველესი საზრუნავი ადამიანი იყო.

აი, რამდენიმე ამონაწერი „აღორძინებიდან“:

„...თუ მუშაობის სტილზე, ადამიანებთან ურთიერთობებზეა ლაპარაკი, მიგხვდით, რომ არ უნდა ეცადო შენს ყაიდაზე გარდაქმნა ისინი... პარტიულმა ხელმძღვანელმა თანამშრომლები ისეთებად უნდა მიიღოს, როგორებიც ისინი არიან. მათი სუსტი მხარეების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ უნდა შეგეძლოს დაინახო და საქმის სასარგებლოდ წარმართო მათი ძლიერი მხარეები: პოლიტიკური ხაზი მხოლოდ მაშინ გაიმართება, როდესაც დღითიდღე, თვიდან თვემდე აღწევ დასახულ მიზანს, ავითარებ შენს იდეებს, არ ლაღატობ სიტყვას, არ ივიწყებ საკუთარ გადაწყვეტილებებს“.

„...მე არასოდეს ვყოფილვარ უხეში, მყვირალა, ანდა, როგორც კიდეც აზობენ ხოლმე, ხელმძღვანელობის „თვინებური“ მეთოდის მომხრე. თუ კაცი დაშინებულია, იგი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს. ჩვენ კი არ უნდა შეგვებოქვა, არამედ პირიქით, მხარი დაგვეჭირა ყველაზე ფართო ინიციატივისათვის“.

...როდესაც იმ წლებში... უშაო-
ბას ვიხსენებ და გონების თვალს ვავლებ
ადამიანებთან შესვენებებს, ვხედავ,
რომ მათში უწინარეს ყოვლისა ვაფა-
სებდი შეუპოვრობას, დამოუკიდებელ
აზროვნებას, კომპეტენტურობას, სია-
ხლის მახვილ გრძნობას, უნარს, დრო-
ულად შეამჩნიო და დაუჭირო მხარი
მასების ინიციატივასა და შენობქმედუ-
ბას. უნდა შევნიშნოთ, რომ დღესაც ეს
თვისებები, თუ გნებავთ, საქმიანობის
ასეთი სტილი ყველაზე მეტად გვჭირ-
დება“.

ეს ცნებები სამოქმედო პროგრამაა
დღესაც და მომავალშიც... ასეთი სამო-
ქმედო პროგრამა ყოველთვის ადამი-
ანებთან, მასებთან უშუალო კონტაქტ-
სას იზადება.

„აღორძინების“ ავტორს აღწერილ
აქვს ერთი ასეთი ეპიზოდი: უბანზე წა-
იქცა იმ დროისათვის საოცრად მძლავ-
რი და ერთადერთი ამწე. შეიქნა ხმა-
ური, მითქმა-მოთქმა და საგამომძიებლო
ორგანოების ჩარევის აუცილებლობა.
ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ქარხნის
დირექტორს ჰკითხა, მსხვერპლი თუ
არისო. „არაო“, — უპასუხა იმანაც.
მართლაც, ამწე თავისუფალ ადგილას
წაქცეულიყო. ზედმეტად გადატვირ-
თეს და შედეგიც სავალალო გამოდგა.
„მაგრამ უკვე მესმის ისტერიკაც, —
წერს ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევი, —
მემაწიანე გავასამართლოთ! მინდა
სწორად გამიგოთ: მე იმის მომხრე ვარ,
რომ ვისი დანაშაულიც მთლიანად და-
დასტურებულია, მკაცრად და, რაც
მთავარია, უდავოდ დაისაჯოს. მაგრამ
რაკი დავრწმუნდი, რომ აქ რაიმე ბო-
როტეაზრახვას კი არ ჰქონდა ადგილი,
არამედ გაუფრთხილებლობა, მოვიუ-
ხოვე. ტონი შეეცვალათ — რატომ შე-
ვქმნათ ნერვიული და შიშის ატმოს-
ფერო? რას ნიშნავდა მეამწეს სასტი-
კად დასჯა ადამიანებს, მშენებლობას,

იმ საქმეს, როდესაც ვეშახტებოდით?
...“

აი, პარტიული და სახელმწიფო მო-
ღვაწისათვის საკადრისი გადაწყვეტი-
ლება.

ეს ჰუმანიზმი, ადამიანისადმი განუხ-
რელი ზრუნვა წითელ ხაზად გასდევს
ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნებს.

ამ წიგნებში გაცხადდა მილიონობით
პატიოსანი ადამიანის ფიქრი და გრძნო-
ბა, სიტყვა და საქმე. ეს არის ჩვენი
ხალხის ახლო წარსული და დღევან-
დელობა, — ლამაზად იხატება მომავა-
ლი. გრძნობ, რა ძალა ჰქონია ხალხს,
რომელმაც მთელს მსოფლიოს დანა-
ხა თავისი ბრძოლის სამართლიანობა,
მშენებლობის სიდიადე, ეკონომიკური
პოტენციალი.

არ შეიძლება არ აღნიშნო ამ წიგნე-
ბის ერთი საკვირველი თვისება — ყო-
ველი მათი სიტყვა შთამბეჭდავია, გუ-
ლითაღია და სულში ჩამწვდომი. ეს
სიტყვები მშობლისა და ნეგობრის სი-
წრფელითაა შეზავებული — გირჩევს,
გასწავლის, გარიგებს...

„მცირე მიწა“.

„აღორძინება“.

ვინ უწყის, მერამდენედ მიუზბრუნ-
დებით ჩვენი დროის ამ უშესანიშნავეს
ქმნილებებს.

ჩვენმა ახალგაზრდობამ სამაგიდო
წიგნებად უნდა გაიხადოს ისინი. მჯე-
რა, ასეცაა.

თორემ წლების შემდეგ შეიძლება
თქვენც წარდგეთ თქვენი მემკვიდრის
წინაშე და დაახლოებით ამგვარ კითხ-
ვაზე მოგიწიოთ პასუხის გაცემა: —
როგორ მოხდა, რომ ქვეყანამ, რომელ-
მაც ოცი მილიონი ღირსეული შეი-
ლი დაკარგა, მაინც იპოვა ძალა თავი-
სი სიდიადის შესანარჩუნებლად?

წაიკითხავენ ისინი ლეონიდ ილიას ძე
ბრეჟნევის წიგნებს და პასუხს ამ
წიგნებში იპოვიან ისინი.



სულიკო დიასამიძე

ლ ე ნ ი ნ ი

მან აღასრულა ოცნება ჩვენი,
ფიქრი და ნატვრა მამა-პაპათა,
დიდება ლენინს, დიდება ლენინს,
ვინც ქვეყნად ძმობის დროშა აღმართა.


ომი და სისხლი დაგმო ტიტანმა, —
ხსნამ და იმედმა ყველა ჩაგრულის,
მოვიდა ჩვენთან, თან მოიტანა
ძმობა, მშვიდობა, მზე,
გაზაფხული

აკაკი თევზაძე

კ ა კ უ ლ ი

კაცი რომ ხილვად არ მოინატრებს
ამ ციხე-ტაძრებს, მტერთა ნამუსრევს,
სულს არ აღუვსებს, როგორც სინათლე,
თუნდ წუთიერი ფიქრი მამულზე;
კაცი რომ მიწის ვალის გადახდას,
კაცი რომ ქვეყნის ვალის გადახდას,
არ ცდილობს, ოფლით შუბლდანამული, —
თუ, თუ არსებობს მისთვის მამული?!
მამულო ჩემო! თუკი მაცოცხლებ, —
სიკვდილთან მხოლოდ შენთვის მადავე!..
რადგან შენა ხარ ჩემი ფიქრების,
ჩემი სიმღერის და სიყვარულის
წყაროსთვალვით წმინდა სათავე!





ყველა გაუბოღა მოსეს, მის დანახვაზე გველნა ბენი ვით პირს იბრუნებდნენ და გუნებაში ილანძვებოდნენ. შესახედავად არც მახინჯს წაავად და არც გული ჰქონდა ბოროტი, მაგრამ მაინც თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, დაუბრუნებლად იფურთხებოდნენ. ვინც კი იცნობდა, დარწმუნებული იყო, გასაჭირის დროს ყველას თავს შემოეველებოდა და თუ საჭირო იქნებოდა, გადამთიელისთვისაც ცხრა მთას დაუზარებლად გადაივლიდა. ასატანი გარეგნობის იყო და გულიც კეთილი ჰქონდა, მაგრამ მას დანახვაზე მაინც დაბადებას იწყევლებდნენ. არავის უკვირდა მთელ დაბაში ძაღლები რომ ყეფასაც ვერ უბედავდნენ; დედები და ბებიები ბავშვების დაშინებას თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, მოსეს სახელს ასხენებდნენ და პატარე-

ბიც ნიკაბის თამაშით გულამომჯდარნი ტიროდნენ.

სამოც წელს მიტანებული მარტოდ-მარტოდ ცხოვრობდა ერთ მივდებულ დაბაში აფთიაქის თავზე ადამისდროინდელ, ორსართულიან, კრამიტით დახურულ ხის შენობაში. ზამთარ-ზაფხულ გახურებულ ხაყის კიტელსა და გალიფეში დაიარებოდა, ილიაში ამოჩრილი გადატყავებული შავი პორტფელით. — ბევრმა არც იცოდა, რომ მელოტი იყო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღედაღამ, შინ თუ გარეთ, გაცრეცილი კეპიანი ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული შუბლზე. მუშაობდა სამხედრო კომისარიატში, სადაც მის მოვალეობას წვევამდელთა უწყებების სიატემაში მოყვანა შეადგენდა. სამსახურში აკურატობისა და კეთილსინდისიერებისათვის იმდენად არ სცემდნენ პა-

ტივს, რამდენადაც შესაშური კალიგრაფიის გამო. უმისოდ საფოსტო ბლანკეტსაც ვერ ავსებდნენ ზეირიანად, მაგრამ მაინც თანამშრომლები შეძლები-სდაგვარად პირს არიდებდნენ. ზედმეტ სახელად ყველა კომისარს ეძახდა და ეს არცთუ მაინცდამაინც სწეინდა. ტანნოჩრჩილი და ძალზე ცოცხალი მიხრ-მოხრით ყველასგან გამოირჩეოდა, მაგრამ წითური უღვაშითა და ჭროლა თვალებით უფრო იქცეოდა მნახველის ყურადღებას. უცნაური ის იყო, რომ მთელ დაბაში, ვისაც კი უსიანოვნება შეემთხვეოდა, მომხდარის მრჯებად უსათუოდ მოსეს მიიჩნევდნენ. ზოგი ხუმრობით, ზოგიც ლანძღვით ირწმუნებოდა, რომ ყოველგვარი ჭირი და უბედურება მხოლოდ კომისარს მოჰქონდა. ვინმეს რომ ფეხსაცმელი გარღვეოდა, სათვალე გასტეხოდა ან სურდო შეჰყროდა, იმწამსვე ჩაფიქრდებოდა და იხსენებდა — შეხვდა თუ არა იმ დღეს სადმე მოსეს. პურზე რომ წასულიყო დაბაში დიდი ან პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა და გზად კომისარს გადაჰყროდნენ, მაშინვე უკან გაბრუნდებოდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, მაღაზია ან დაკეტილი დახვდებოდათ, ან გამოცარიელებულა, ან დანახშირებული; კატამ რომ კრუსხ ბუდიდან კვერცხი მოპარა, რა თქმა უნდა, მოსეს ბრალი იყო, რადგან, იმ სახლის წინ, სადაც ეს შემზარავი ქურდობა მოხდა, მხოლოდ მან ჩაიარა იმ დღეს; ას ექვსი წლის დედაბერმა მოულოდნელად ფეხები გაჭინა შუაგულ ბაზარში და ესეც კომისარს დააბრალეს, რადგან, თურმე იქვე იდგა დაბლთან იმ დროს; მოსეს მიზეზით მომხდარა ისიც, რომ მთელი დაბის ერთი ციციქნა საპარიკმახერო გადატიხრეს და შიგ ვიდაც გადამთიელი მექუდვ დასვეს; დალაქები წამდაუწუმ კომისარს უკურთხებდნენ, სხვაგვარად ხომ ვერაფრით ზეხსნათ ისედაც ჯუჯა სახელოსნოს კიდევ უფრო დაპატარავება, ერთი სიტყვით, გვალვა დაატყდებოდა

დაბას, ნეტყვა, ქარიშხალი თუ უბედურობა, უბედურების მომტანი მუდამ მოსე იყო. ასე მიაჩნდა ხალხს და თუ სადმე იშვიათად სკეპტიკოსი გამოჩნდებოდა, იმდენად სწამდათ კომისარზე გავრცელებული აზრი, რომ ექვით შეპყრობილს აღარც კი ედავებოდნენ. ასეთი სახელი მოსემ სრულიად მოულოდნელად და იოლად გაითქვა: ერთხელ, ორშაბათ დღეს, როცა იგი დილაადრიან აფთიაქის წინ იდგა — და თავის გადატყავებულ პორტფელში იქეჩებოდა, გზად გასათხოვრად გამზადებულ შინაბერას ჩაუვლია, წამით კომისარისთვის შეუხედავს, რომელიც მალულად უკვე უმზერდა თურმე, კოჭი გადაბრუნებია, ფეხი მოუტეხია და იმავე საღამოს საქმრო გაქცევია. მთელ დაბას ელვის უსწრაფესად მოედო ეს ამბავი. „გამთვალა, გამთვალა“ — კიოდა თურმე ქალი და მანამ წყევლა მოსე, სანამ საქვეყნოდ კუდიანის სახელი არ დაუმკვიდრა. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, აგორდა თოვლის გუნდა... მოსეს კი კეთილი გული ჰქონდა და მუდამ იმას ცდილობდა, ვინმეს რამეში წასდგომოდა.

ასე იყო თუ ისე, კომისარს მარტო-მარტოდ უხდებოდა ცხოვრება აფთიაქის შენობის თავზე მოთავსებულ ერთი ციციქნა ოთახში, სადაც სტუმარს ფეხი არასდროს დაედგა. და აი, მოხდა სასწაული: მოსემ წვეთლება გამართა! მთელი დაბა გააოგნა ამ უჩვეულო ამბავში. დიდხანს ხმას ვერ იღებდნენ, მერე აჩურჩულდნენ, ალაპარაკდნენ, აყაყანდნენ და სიცილისგან იგუდებოდნენ. თითოეული თავისებურად ცდილობდა აეხსნა თითქოსდა სიზმრად ნახნი ზღაპარი, ვინ რას ამბობდა და ვინ რას, მაგრამ, სასწაული მაინც ყველასთვის გაუგებარი დარჩა.

— კი მარა, კაციშვილი რომ არ ეკარება იმ დამთხვეულს, ამას მაინც ვერ ხედავს?

— მოსიე კომისართან ფეხის დამღმელი ვარ მე?

— სხვა თუ არაფერი დამემართა, ძვალი მაინც გამეჩხირება ყელში და გამავლდავს.

— ან ჭერი ჩამოგვეგრევა თავზე, ან კიბე ჩავვიტყუდბა, ან ღვინო დავგვამლავს და საერთოდ, შინ ცოცხალი დავბრუნდებით თუ არა, ღნერთმა იცის.

ასე ამბობდა ხან ერთი, ხან მეორე. მაგრამ, მოხდა დაუჯერებელი რაბ: ყველას საკუთარი თვალთი სურდა ეხლა, ვინ იქნებოდა ისეთი თავზეხელაღებული, რომ სწვეოდა ყოველგვარი უბედურების მომტან კომისარს და სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. დიდმა ინტერესმა და ცნობისწადილმა შიში გადავიწყათ, ჩუმ-ჩუმად სათითაოდ ილოცეს შინ, ცოლშვილს მამაცურად გამოეთხოვენ და თავგანწირული ნაბიჯით აფთიაქისკენ გასწიეს. „რაც მომივა, მომივა, მოსახდენი მაინც მოხდება, — ყვირილით თავს იმართლებდა გაანჩხლებულ და აკივლებულ მეუღლესთან ერთი მიპატიეხებული მეზობელი, — მოსიე კომისარის თვალებს მაინც ვერ გადაურჩები გინდ შინ იყავი და გინდ არა. ამას გარდა, რომ არ მივიდე, გაბოროტდება ჩემზე და უყარე ნერე კაკალი“. დანარჩენებმაც დაახლოებით ამ მოტივებით დაამშვიდეს ცოლები და დაპატიეხებულ თანამშრომელთაგან, უკლებლივ ყველა, დათქმულ დროზე, აფთიაქთან გამოცხადდა. მეტე კენჭი იყარეს და რიგრიგობით მეორე სართულზე ავიდნენ. მასპინძლის მიზანი, მთელი დაბისთვის აუხსნელი და გაუგებარი, მხოლოდ ის იყო, რომ სურდა ენახა — მოვიდოდა თუ არა მოპატიეხებულ სტუმართაგან თუნდაც ერთი, და თუ არავინ ეწვეოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, სადღაც შორს გადაეკარგულიყო.

გათგნებული მოსე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, მასთან მისულ ამდენ ხალხს რომ ხედავდა. მოულოდნელმა სიხარულმა იმდენად დაასუსტა, რომ მოზღვავებულ სტუმრებს აცრემლებული შეეგება კარებში, უსიტყვოდ ყუანტურებდა თითოეულს თავს და

მაჯით კურცხალს იწმენდდა. დაფრთხილებული, დამფრთხალი სტუმრები ცნობისმოყვარეობითა და მოკრძალებით ათვალიერებდნენ მალულად აქამდე უნახავ მოსეს ბინას. ერთი ციციკნა ოთახიდან გამობუნებული გაზეთებით აკრული პატარა ფანჯარა აფთიაქის წინ მდებარე მოედანს გადაჰყურებდა. თვალში საცემი ნივთი ბამბუკის წიგნების კარადა იყო გაყვითლებული ჟურნალებითა და საქაღალდეებით სავსე. ერთადერთ თავისუფალ ზედა თაროზე სპილენძის საშაქრე, კონსერვები, კოქის ძაფები, უსანთლო შანდალი და წამლის ბოთლები ეწყო. ფანჯარასთან დაბალი ტახტი იდგა აკეცილი ქვეშაგებით, მასზე გადაფარებული გაზეთის ქვეშიდან შოთის პუტების ყუთა მოჩანდა. სასთუმლის მოპირდაპირე, აქერცლილი შპალერის კედელზე საქართვლოს დამტვერილი რუკა ეკიდა. კარებთან მდგომ გამჟვარტლულ ნავთქურაზე ცოცხი და იატაკის საწმენდი სველი ტილო იდო. შუა ოთახში პატარა, რომბისებური მაგიდა იდგა გაშლილი სუფრით ირგვლივ შემოწყობილი ტახტებით და გადატყავებული შავი სავარძლით. ფანჯრის ჭერი წვიმის ჩამონაჟონისგან მოხატული გუბეებით იყო სავსე. ოთახში თითქმის ბნელოდა და მძიმე ჰაერი იდგა. სუფრაზე სხადასხვა სიდიდის თევზები ეწყო ახალთახალი უხმარი დანა-ჩანგლებით ღვინით სავსე ბოცა ქვეშაგების ახლოს იდგა ფანჯარასთან. ცელოფანებში ჩაწყობილი ძეხვი, წნილი და გუდის ყველი ტახტის ქვეშ შედგმულ მწვანელით სავსე ტაშტზე ელაგა. ყოველ ნივთს, ბოსტნეულს, ღვინოსა თუ იატაკის საწმენდ სველ ტილოს კომისარიატის თანამშრომლები უნდოდ უმზერდნენ. ხმას არავინ იღებდა და მგლოვიარე ჭირასუფალივით კედლის გასწვრივ ჩამწყვიდნენ. მოსე დაფაცურობდა, წარამარა გაბადრული სახით სტუმრებს

ლევან მაღაზონია
იმპერატორი

უზოდებდა, ხან მადლობას წირავდა და ხან სუფრაზე სანოვავეს აწყობდა. ერთ-ერთმა ჯმუხა თანამშრომელმა გაბედა და გაპარვა დააბირა, მაგრამ იგი დანარჩენებმა რკალში მოიმწყვდიეს. მალე სუფრას შემოუსხდნენ; სტუმართა შორის ყველაზე უხსენის მოსკმ ტყავადამძვრალ სავარძელში ჩასვა და დრობაც დაიწყო.

არავითარი უბედურება იმ დღეს დაბის ტერიტორიაზე არ მომხდარა, ოღონდ ეს იყო, სტუმრებს გამოუცნობი საშინელების მოლოდინის შიშით ღვინო არ ეკიდებოდათ და მანამ კანკალებდნენ, სანამ შუალამისას კიშკრებთან მოყუარყუბლ აქვითინებულ ცოლებს ომიდან ცოცხლად დაბრუნებულეზივით გულში არ ჩაესტენენ ბლავილით. სასწაული ნეორე დილით მოხდა: გონებადაკარგული მოსე აფთიაქის თანამშრომლებმა საავადმყოფოში მიიტანეს გაშლილი ბრეხენტიო. წინა ღამით, გაოგნებულს, თვალს არ მოუხუჭვას ისე დაათენდა თავზე, მერე ფეხდაკარგული ძლივძლივობით კიბეზე დაეშვა, მოედანზე გავიდა და სამსახურისკენ მიმავალ გზას დაადგა. სწორედ ამ დროს ვიდაცეებს ჩამოუვლიათ და თავაზიანად მისალმებიან თურმე. გაბადრული და გაციკროვნებული მონსე მიწამდე თავს უკრავდა ყველას. ვეტრინიდან მომზირალი აფთიაქის თანამშრომლები ხედავდნენ, რომ კომისარს აღარავინ გაუბრბდა. ის კი არადა, ერთ-ერთმა გამვლელმა მისალმებისთან ერთად დაუფიქრებლად ხელიც კი ჩამოართვა მაგრად. ამ უზომო პატივს კი ვედარ გაუძლო მოსეს პატარა გულმა, გონება დაკარგა და ქუჩაში ჩაიკეცა. ეს სასწაული დაბაში დიდხანს არავის სჯეროდა, ბოლოს, როგორც აქნა, დარწმუნდნენ, რომ კომისარიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და იმ დღით, რომ ცუდს აღარაფერს დაგვმართებსო, შეიყვარეს კიდევ ზოგიერთებნა. სკეპტიკოსები მაინც გამოერეოდნენ აქაიქ და საკუთარი თვალთ რომ

ეხილათ მომხდარი სასწაული, რიგრიგობით დაიარებოდნენ მოსეს საავადმყოფოში. კომისარი თავის მხრივ ამ აუდიენციებს საკუთარ ოჯახში დიდი ღრეობის შემდეგ (მასპინძლი ანად სვამდა თერთმეტი კაცი, დაიღაოცდაათამდე ბოთლი) ხალხის თვალში სათაყვანებელ კაცად აღიარების დადასტურებად მიიჩნევდა და მნახველებს გულჩუყებული ხვდებოდა. მისი ავადმყოფობის პერიოდში (ოთხ დღე-ღამეს) დაბაში არც სახლი დამწვარა, არც კოჭი ამობრუნებია ვინმეს, არც ზვავი ჩამოწოლია და არც კვერცხები ჩაუტენია კრუხს ბუდში. ორშაბათს, 13 რაცხვში, გამოჯანმრთელებული და გახალისებული გამოეწერა ყაზარმისმაგვარი ყვითელი საავადმყოფოდან და ფრთებშესხმულივით შეუდგა თავის საქმეს კომისარიატში.

სწორედ ამ დღიდან დაიწყო მოსეს ნამდვილი ტანჯვა და შეუწყნარებელი დევნა.

სავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ შინ სიხარულისგან ძილი არ მიკარებია იმ ღამეს, წამითაც ვერ ივიწყებდა ხალხის თვალში საპატივსაცემო პიროვნება რომ გახდა და წამდაუწყებოვავადა, წრიალებდა, გაუტრკმემულ სიტყვებს ისროდა. სახლიდან თუ აფთიაქიდან გამთენიისას გამოვიდა და ცუნიცულით სამსახურისკენ გასწია. კომისარს, ჩვეულებისამებრ, გადატყავებული პორტფელი იღლიაში ამოეჩარა, თავჩაღუნული თავის თავს ელაპარაკებოდა და დროდადრო მარჯვენა ხელს ისე მოიქნევდა, თითქმის მუშტს მაგიდას ურტყამდა. ირგვლივ არავინ იყო. თენდებოდა ზაფხულის წვინიანი დღე. ამ დროს შავი კატა გზის გადაჭრას აპირებდა, მაგრამ მოსე რომ დაინახა, ჩაცუქდა, მერე შეტრიალდა და იმის შიშით—ვინმემ ცრურწმენაში არ ჩამომართვას უკან გაბრუნებო, მაღულად მიიხედ-მოიხედა, ხაზგასმული სიღინჯით დანავსულ ადგილს გამოორდა, რანდენიმე წამით გამვლელს დაე-

ლოდა, როცა დარწმუნდა, გამთენიისას
კაციშვილი არ ჩამოვივლიდა, ფრთხილი
ნაბიჯით გზაზე ვადმოფოფრილ უზარ-
მაზარ ცაცხვისკენ გასწია, ზედ შეხტა,
ტოტებზე გადაიარა, მოპირდაპირედ
მღვარ გამხმარ ტყემაღზე ციყვივით
ისკუბა, კრუსუნით თუ ბუზღუნით ჩა-
მოჰყვა ხის ტანს და გზის გადაღმა ჩა-
მოხტა. მოსე კი ცუნტულით მიუყვებო-
და შარას იმით დაიმედებული, რომ
ყოველი სულდგმული ნორმალურ ადა-
მიანად თვლიდა აგერ უკვე ორი კვირა
იქნებოდა.

თითქმის ზეიმად იქცა მისი სამსახე-
რში მისვლა. კომისარიატის თანამშრომ-
ლები ერთმანეთს აგლეჯდნენ ხელიდან
მოსეს და ზევნა-კოცნით სულის მოთ-
ქმასაც არ აცლიდნენ. ბოლოს ერთმა,
იმის შიშით, დიდ სიხარულს დიდი მწუ-
ხარება არ მოჰყვესო, განწირული ხნით
წამოიძახა:

— გუშინ გამოწერეს საავადმყოფო-
დან და ასე დასუსტებული რა სინდი-
სით უნდა ვამუშაოთ?!

— მართალია, მართალი! — აყვირ-
დნენ დანარჩენები.

მათ შორის ყველაზე უხნესმა, სკეპ-
ტიკოსმა და ნათამადარმა, რომელსაც
მთლიანად დღემდე არ სწამდა მოსეს
ჩვეულებრივ ადამიანად გახდომა, მი-
ზეზი იშოვა და თავი გამოიღო:

— ასე რავე წავხდები, ნაავადმო-
ფარი კაცი ვამუშაო! მე თვითონ წავი-
ყვან სახლში და მე თვითონ გავაკეთებ
მის საქმეს დღეს!

— ნუ გეშინიათ, ნუ! — ამოიკნავლა
ცრემლმორეულმა მოსემ, თან მისი
ჯანმრთელობით შეფიქრებულ თა-
ნამშრომლებს მხრებზე ხელს უთათუ-
ნებდა.

— არავითარ შემთხვევაში, ახლაც
სახლში წახვალ! — რატომღაც ბრავი
მოუვიდა და უყვირა კომისარს ყველა-
ზე უხნესმა, სკეპტიკოსმა და ნათამადა-
რმა.

— ნურაფრის გედარდებოთ, ჩემო
ძებო, ნურაფრის; მე ისე კარგად ვარ

ახლა, ისე კარგად, ჩემს სიცოცხლეში
რომ არ ვყოფილვარ! — სლუკუნით
ამბობდა მოსე.

— დაისვენე, თავს გაუფრთხილდე,
ავადმყოფობას ხუმრობა არ უყვარს!
— ისევ აყვირდნენ თანამშრომლები.

ხალხის სიყვარულით დარეტიანებუ-
ლი მოსე ახლა ხელებს ასავსავებდა და
უარის ნიშნად თავს აქეთ-იქით აქნე-
და. მერე ერთ-ერთი თანამშრომელი,
გულში ჩაიხუტა და კოცნა დაუწყო.

— იქნებ აქ ურჩევნია და ჩვენ ძა-
ლით ვაგდებთ? — იკითხა ვიღაცამ.

— დარჩეს მაშინ, დარჩეს! — წამიე-
რი სიჩუმის შემდეგ აყვირა ყველა, —
დარჩეს თუ ჩვენთან ურჩევნია!

ამ დროს, იმ თანამშრომელმა, რო-
მელსაც ჩვეულებრივ ადამიანად ქცე-
ული გულში იხუტებდა, კომისარის
მკლავებიდან თავი გაითავისუფლა, ნა-
ბიჯით უკან დაიხია, შემცბარმა მიმო-
ხედა, მერე წამით მოსეს დააშტერდა
ყბებზე, გველნაკბენივით შეხტა, შეტ-
რიალდა და ოთახიდან გავარდა. ყვე-
ლანი გაშეშდნენ. ერთმა მხოლოდ
მხრები აიჩჩია, სხვა ვერაფერი შესძ-
ლო. ბოლოს, ჯმუხი მაიორი ადგილი-
დან დაიძრა და ოთახიდან გავარდნილს
გამოუდგა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა
მოსე გადაყვითლებული საქაღალდე-
ებით აესებულ სამუშაო მაგიდასთან
დაჯდა, კომისარიატის თანამშრომლები
გაფაციცებით ერთმანეთს რალაცაზე
ეჩურჩულებოდნენ. გავიდა კიდევ რამ-
დენიმე წუთი და ატყდა ერთი ვაი-უმ-
ველებელი, აურზაური, ზღრიალი.
დროდადრო, უთავბოლო ყვირილსა და
ყაყანში, გარკვევით მხოლოდ ერთად-
ერთი სიტყვა ისმოდა — „ქოსა“, „ქო-
სა“. წარმოუდგენლად განსაცვიფრებე-
ლი ამბავი წაშში მთელმა სოფელმა
შეიტყო: თურნე იმ თანამშრომელა,
რომელსაც ცრემლმორეული მოსე გუ-
ლში იხუტებდა, კომისარის დაპრანჭულ
სახეზე მეჩხრად ამოსული რამდენიმე

ლევან მაღაჩონია

იმაპარტორი



ღერწვერი შეუნიშნავს, ამ აღმოჩენით თავზარდაცემული თავის ოთახში ჩაკეტილა და საიდუმლო პირველად მაიორისთვის გაუხდევია. ღმერთმა იცის, რამდენად დასაჯერია აქამდე რომ ქოსობას კომისარს ვერავენ ამხნევდა. უდავო და სარწმუნო მხოლოდ ისაა, რომ ღრეობამდე მოსეს სათოფეზე არ ეკარებოდნენ და რა გასაკვირია, მისი სიმანჩივე სოფლისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ასე იყო თუ ისე, იმ დღეს, ორ საათზე კომისარიატში ბრძანება მიიღეს ოთხი თანამშრომლის შტატის შემცირების შესახებ. მათ შორის აღმოჩნდა ჯმუხი მაიორი, რომელსაც, სხვათა შორის, „ერუდირებული“ და „გამოცდილი“ მუშაის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მოსეს, რა თქმა უნდა, ვინ შეამცირებდა, მისთვის სიტყვაც არ უთქვამთ შტატების გაუქმებაზე და, საერთოდ, შუადღიდან არავინ გამოლაპარაკებია. მხოლოდ ვიღაც აფორიაქებული დედაბერი ეჩურჩულებოდა რალაცაზე დილიდან საღამომდე ხვეწნა-მუდართით. დამტკბარი და ღიმილად ქცეული მოსე მოხუც ქალს აწყნარებდა და ყოველგვარ სიკეთეს ჰპირდებოდა. იმ დღეს თვალში საცემი ამბავი კიდევ ის მოხდა, რომ აფთიქის წინ, შუაგულ მოედანზე, შავი კატა ნახეს გაწყლული. ამით მაინცდამაინც არავინ გაოცებულია, მაგრამ უკვირდით ის, რომ დედამიწის ერთ-ერთი მარდი ცხოველი ურემს გაეტანა (რა იცოდა კატამ, მოსეს გადაჭრილ გზაზე გადასვლა ცაცხვისა და ტყემლის ტოტებიდანაც რომ არ შეიძლებოდა). ეს კიდევ არაფერი, მართლაცდა გულსატკენი ამბავი იმ დღეს შებინდებისას მოხდა.

აფთიქთან მცხოვრებ ერთ ჩოფანო წვევამდელს, რომელიც ადრე მოსეს გაუბრუნდა და ახლა მის უახლოეს მეზობლად მოჰქონდა თავი, მიუხედავად იმისა, რომ არც და ჰყავდა, არც ძვა და მოხუცი მშობლებიც შრომის უნარს იყვნენ მოკლებულნი, თავის

ღროზე უწყება მიუვლიდა შინ. ისეთი წივილ-კივილი, თითქოს ომში მიჰყავდათ და არა ჩვეულებრივი სამხედრო სამსახურის მოსახდელად. ვის არ სთხოვეს შველა ერთადერთი შვილის პატრონმა მოხუცმა მშობლებმა, ვის არ შეევედრნენ, მაგრამ ყველა უმწევოდ მხრებს იჩენდა და ნუგეშისმცემელი არავინ იყო. ბოლოს ერთმა თავზე ხელაღებულმა გაბედა და ურჩია ჩოფანო წვევამდელს, მისულიყო „მოსიე კომისართან“ და მუხლებში ჩავარდნოდა. ბიჭმა ქოსასთან მახლოება ღრეობის შემდეგაც ვერ გაბედა და ყურის მეზობელს ბეგია მიუხვანა, სწორედ ის დედაბერი, ოთხი თანამშრომლის შტატის შემცირებას დღეს კომისარიატში ხვეწნა-მუდართით რომ ეჩურჩულებოდა ქოსას რალაცაზე. მოსე რალა კომისარი იქნებოდა, ასეთი „უბრალო საქმე“ რომ მაშინვე არ მოეგვარებია. ოღონდ, ჩოფანოს ბუბიას პირობა დაადებინა, ბიჭისთვის სასწრაფოდ ცოლი შეერთოთ. ასეც მოიქცნენ. იმ დღესვე გამოძენეს სახელდახელოდ საპატარძლო, იმავე დღესვე გაიმართა ჯვრისწერა და იმავე დღესვე გაჩაღდა ქორწილი. ყველაფერი ნორმალურად და მშვიდობიანად მიმდინარეობდა. ბიჭის მშობლები და საქმოსანი ბეგია ცას ეწიენ სიხარულით, დედოფლის (ოღნავე შეუხედავი იყო) მოდგმა გააოგნა მოულოდნელმა ბედნიერებამ, მაგრამ ზარ-ზეიმი მთელ დაბაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ატყდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოსახლეობამ ირწმუნა „მოსიე კომისარის“ ნორმალურ აღამიანად გადაქცევა. და უცებ, სრულიად მოულოდნელად, წყნარ, უღრუბლო და მოკრიალებულ ცაზე, მეხმა იქექა.

ჩოფანო წვევამდელმა, რომელსაც სახელად ტოგო ერქვა და გვარად ჯიბუტი იყო, მოსეს წყალობით გატყიცინებული უწყების დახვეიდან ნახევარი საათის შემდეგ ორი ბავშვობის მეგობრის დახმარებით უცნობ საცოლეს



მოედანზე მიაგნო და ქორწილიც იმავე საღამოს მოისურვა. ხალხს უკვე აღიარაფერი უკვირდა, არც ორთავიანი ხბოს გაჩენა, არც სახელდახელოდ თუ ნაუცბათევად საპატარძლოს გამოძებნა და არც მშვიდობიანი დღე-ღამის მომრავლება. ერთი სიტყვით, მიეჩვივნენ დაბაში მცხოვრები ადამიანები ამ ქვეყანაზე ყოველივე ნორმალურს, ჩვეულებრივსა და ბუნებრივს. მაგრამ, გაკვირვების უნარის დაკარგვამ ხალხში მხოლოდ გამთენიამდე გასტანა, მანამ, სანამ საქორწინო სუფრიდან არ აიშლებოდნენ და ნეფე-დედოფალს წითელი ლენტეხით მორთული მოლურჯო მსუბუქი მანქანით სადგურისკენ არ გაისტუმრებდნენ. სწორედ ამის შემდეგ მოხდა, რაც მოხდა და მთელი დაბა შესძრა ტოვო ჯიბუტისა და მისი ცოლის შემადრწუნებელმა უბედობამ: „მოსიე კომისრის“ სახლისა თუ აფთიაქის წინ ნეფე-დედოფლის მანქანა მოედანზე გადაშვალ ურემს შეასკდა, მარცხენა გვერდზე გადაწვა, გახონდა და ერთ-ერთი ხარის ლაგებში ამოჰყო თავი (ძლიერმა დარტყმამ მეორე ხარი ნაფოტით წინ გაისროლა). ათი-თხუთმეტი წამი ისე გავიდა, კრინტი არავის დაუძრავს; ბოლოს, როგორც იქნა, „ვაიმეო“ ამოიგნავლა ცალ გვერდზე წამოწოლილი მანქანიდან დედოფალმა და მის ხმას მოედანზე ელვის უსწრაფესად თავშეყრილი ხალხის ჩოჩქოლი დაერთო. მალე ვიღაცამ კივილიც მორთო და ახალ ჯვარდაწერილები სულმოუთქმელად გამოიტირა. ამან თითქოს ადგილზე უმოქმედოდ მდგომი და აჩოჩქოლებული ხალხი გამოაფხიზლა და ახლა უკვე ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ნეფე-დედოფლის ხსენას. მშველელი საქიროზე მეტიც იყო და ალბათ ამის გამო საქმიანი არაფერი კეთდებოდა. ყველა თავის გეგმას ჩემულობდა, ყველა თავის რჩევას, თუ როგორ გამოეყვანათ აყირავებული მანქანიდან ჯვარდაწერილები. ვინ რას გაიძახოდა და ვინ რას. ასეთ არეულო-

ბას ველარ გაუძლო ერთ-ერთმა ახმახმა მაყარმა და ბრაზმორეული ხმით იყვირა:

— დეიხიეთ უკან ზოგიერთებმა და მიმიშვით ახლოს მე!

ამ სიტყვების შემდეგ მოყაყანე ხალხი ორად გააბო და აყირავებულ მანქანას გაგვიშული მიუახლოვდა. ყველა-სთვის მოულოდნელად შუშა ჩამსხვრეული უკანა მარჯვენა კარებიდან თავი გამოყო ტოვო ჯიბუტმა. ხალხმა ისუღლა და სიხარული იმით გამოხატეს, რომ ცალ გვერდზე წამოწოლილი მანქანა წამოსწიეს და ფეხზე დააყენეს.

— დედოფალი არ ჩანს, დედოფალი! — გაისმა აქეთ-იქიდან შეძახილები.

— აგერ ვარ მე! — მკიანა ხმით გამოეპასუხა ხალხს პატარძალი შუშა-ჩამსხვრეული მარცხენა უკანა კარებიდან.

სიხარულისა და გაცეცხის შეძახილები ერთმანეთს ცვლიდა. ახმახმა მაყარმა უკანა მარცხენა კარები გამოაღო, რომ დედოფალს მანქანიდან გადა-მობრძანებაში შეშველებოდა. ასევე ცდილობდა ვიღაც მიხმარებოდა ტოვო ჯიბუტს და სწორედ ამ დროს გაისმა პატარძლის შემადრწუნებელი კივილი და ნეფის გულსაკლავი გმინვა. ყველანი მიხვდნენ, რომ ჯვარდაწერი-ლებს რაღაც უბედურება სჭირდათ.

ისევ გადაიგრუსუნა უღრუბლო ცაზე ქუხილმა.

გახვევბამ და გაოგნებამ მთელ დაბაში რამდენიმე წუთს გასტანა და მერე ერთბაშად აიფოფრა ამღვრეული ტალღა, აიშართა, ზანტად გადმოიზნინა წელში და ღმუილით „მოსიე კუდიანისკენ“ დაქანდა. ყველა, დიდი თუ პატარა, საქმიანი თუ მოცლილი, ჰკვიანო თუ უტკინო, მხიარული თუ უყმური, მშიმარა თუ გამბედავი, ღვთისმოსში თუ ურწმუნო, შეთქმულებით აფთიაქისკენ გარბოდა ქიხას ჩასაქოლავად (ხალხს გული მოუკლა და გააბოროტა

ლევან მაღაზონია
იმაბრატორი



იმან, რომ ნეფესაც და დედოფალსაც, მუხლს ქვემოთ ორივე ფეხი მოსტეხოდოთ). — აფთიაქის კიბეები ბრავაბრუ-გით აირბინეს და გამოკეტილ კარებს ყვირილითა და ლანძღვა-გინებით წიხ-ლები დაუშინეს. ახმახმა მაყარმა საი-დანაც უზარმაზარი ძალაყინი მოათ-რია, გაჯგიმულმა ყველას ზემოდან და-ხედა და თვალების ბრიალით დასჭყი-ვლა:

— დეიზიეთ-მეთქი უკან ზოგიერთ-ბმა და მიმიშვით ახლოს მე!

გრძნობას აყოლილი ხალხი დარ-წმუნებული იყო, რომ მოსე შინ იმა-ლებოდა და კარებს არ აღებდა. ახლა ძალაყინის ყრუ დარტყმა ფარავდა უთაგბოლო ზღრიალსა და ყაყანს. „ჩქარა, ჩქარა!“ — ისმოდა ისტერიუ-ლი კივილი, — „ჩქარა, არ გაგვექცეს!“ ახმახმა ძალაყინის რამდენიმე დარტყ-მით დანჯღრეული ხის კარები შეამტე-რია და თვითონაც ინერციით ოთახში შევარდა. წინამძღოლს თუ ბელადს და-ნარჩენებიც მიჰყვნენ დგრიალით და წამში ბინა თვალეზამღვრეული ადამი-ანებით აივსო. უცებ სამარისებური სი-ჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ ხმა-მალალი სუნთქვა და ქშენა. ოთახის ყოველი კუნჭული ისე მოათვალერეს, რომ კრინტი არავის დაუძრავს. ერთმა ფანჯარასთან მიდგმული ტახტის ქვეშ შეიხედა და ტაშტზე დაყრილი ობმო-კიდებული პურებისა და დამღრალი მწვანილეულობის მეტი ვერაფერი იპოვნა; ვიღაცამ საქართველოს დამტე-ერილი რუკა ჩამოგლიჯა აქერცლოლი შპალერიდან, კედელზე ფრთხილად მი-აკაკუნა და მიაყურადა, ალბათ იმ იმე-დით, რომ ფარულ გასასვლელს მიაგ-ნებდა. ახოვანმა მეტი წინდახედულო-ბა გამოიჩინა, ტახტზე აკეცილ ქვეშა-გებელს მიეპარა, ტერფი ჰკრა და გო-რვით გაშალა. მოსე არსად ჩანდა! ამ მოულოდნელობამ ხალხი გამძვინვა-რებულ ბრბოდ აქცია; გაისმა ველური ყიჟინა, ცოფმორეულებივით ოთახიდან გამოვარდნენ და კიბეზე კისრისტეხით

დაეშენენ. თითოეული მათგანი ^{ნადირს} პირში ჩალაგამოვლებულ ნადირს მიაგავდა, იმ ნადირს, ბრჭყალებიდან დასხლეტილ მსხვერპლს, რომ მეტი ჟინით გამოუდგება.

მოსე რახან შინ არ დახვდათ, მათთ-ვის ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი გაექ-ცა, დამალა სასჯელს და ისინი ახლა ეძებდნენ უკვე ღამნაშავეს და არა კუ-დიანს; ახლა აღტკინებული და გაშმა-გებული ბრბო ცდილობდა ჩქარა ეძია შური კომისრის ფორმაში გახვეულ სა-ლისტზე.

უკვე დილის ზუთი საათი ხდებოდა და მისი კვალი არსად ჩანდა. მოსეს შინ არყოფნით გახელებული ბრბო მე-ძებარი ძალღვივით ყნოსავდა დაბას ყოველ კუნჭულს; არ დაუტოვებიათ უნახავი არც ერთი ქუჩა, მაღაზია, საზ-ლი, ქოხი, მოედანი, კუთხე, მაგრამ კუ-დიანს ვერსად მიაგნეს.

— გაგვექცა! გაგვექცა! — იღრიალა მაშინ ბრბომ და ყველა, შეთქმულივით, რკინიგზის სადგურისკენ გაქანდა. ერ-თადერთი იმედი მისი ადგილსამყო-ფელის პოვნისა იყო მხოლოდ მატა-რებელი. ცოფიანებივით გარბოდნენ სადგურისკენ და გზადაგზა გინებით იკ-ლებდნენ „აქამდე ათასჯერ ჩასაძალე-ბელს“. ცამ უკვე შეთეთრება იწყო. მთელი დაბა, დიდიან-პატარიანად, გა-რეთ გამოეფინა და ყოველ წამს მახა-რობელის გამოჩენას ელოდა. ბრბომ ისევ აფთიაქისკენ იბრუნა პირი, რად-გან სადგურისკენ მიმავალი გზა მოსეს სახლის წინ გადიოდა. ყვირილი და ზღრიალი უეცრად შეწყდა! მოულოდ-ნელად ჩამოვარდნილ სიჩუმეში აქა-იქ შიშით აჩურჩულდნენ და გარკვევით ისმოდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა — „შეხედე, ქოსა!“, „თურმე სად ყო-ფილა!“ თითქოსდა შემზარავ ურჩხულს გადაეყარაო, ბრბო გაისუსა, გაშეშდა და მონუსხულივით ერთ წერტილს მი-აშტერდა. აფთიაქის კიბეზე ილღია-ში ამოჩრილი გადატყავებული შავი პორტფელით მოსე იჯდა ხალხისგან



ზურგმეტყველი. მხრები უთრთოდა და ზმუილით ტიროდა. მის ფეხებთან პუტკუნა ლეკვი გაწოლილიყო და წმეტუნით და ყეფით ცდილობდა მტირალი კაცის ყურადღების მიპყრობას. კომისრის გახუნებული კიტელი ალაგ-ალაგ, ბეჭებზე და წელში, ოფლისგან ჩაშავებულიყო. იმ ხელით, რომელსაც მომუშაული ქუდი ეჭირა, დროდდრო კურცხალს იწმენდდა, წამით გაყურდებოდა და მერე ისევ იწყებდა ზმუილს. პუტკუნა ლეკვი, თითქოსდა უყურადღებობით განაწყენებული, კუდის ქიციანით თავგამოდებით უყეფდა და მუხლებზე ახტებოდა. ერთის შეხედვით მოსე არავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა იმისას, რომ ირგვლივ ვინმეს ან რამეს ამჩნევდა. მაგრამ, მოულოდნელად, მან თავი ნელა მოაბრუნა, უკან მოიხედა, გასუსული ბრბო შეათვალიერა, ზოგ მათგანს კიდევ დიდხანს უცქირა, მერე ისევ შეტრიალდა, ღმწებზე ჩამონადენი ცრემლი ქუდით მოიწმინდა და ხმამაღლა ატირდა. გაშეშებული მღევრები მოსეს ასეთმა ქცევამ უფრო დააბნია, ვინემ გააოცა. ქოსა არავის ემალებოდა! კუდიანი არსად გარბოდა! იგი ახლა აფთიაქის კიბეზე ჩამოშვდარი ზმუილით ტიროდა და დროდადრო ხელში მომუშაულ ქუდს მუხლზე ირტყამდა. ლეკვმა ეს მოსესგან გამართამაშებად მიიღო, ყეფა შეწყვიტა, ორ ფეხზე შედგა და კუდის ქიციანით კომისრის ზურგს უკან ხტუნაობა დაიწყო. მერე კიტელს კბილები ჩაავლო და ღრნით რამდენჯერმე თავისკენ დაქაჩა. მღევრები უძრავად იდგნენ. ვიღაცამ ჩაიფხუქუნა. მოსეს მხრები უთრთოდა, იჭდა თავისთვის, ზმუილით ტიროდა და ცრემლებს მონუშული ქუდით იწმენდდა. და მოხდა კიდევ ახალი სასწაული: გაბოროტებული ბრბო ერთბაშად მოლბა, აღგზნებული სახეები დაიწმინდა, ანთებული თვალები ჩაქრა და აღარავის სურდა ჩაეჭოლა „აქამდე ათასჯერ ჩასაძალღებელი“ კომისარი. ის კი არადა, ზოგ მათგანს შეებრაღა კიდევ კიბეზე ჩა-

მომჯდარი მტირალი ქოსა იღობდა ამოჩრილი პორტფელით. ხალხი ერთხანს კიდევ უცქერდა მოსეს, უსმენდა მის ზმუილს და ცოტა ხნის შემდეგ უხმოდ გაიკრიბა. სულ მალე მოედანზე აღარავინ დარჩენილა. ქოსას გარდა, რომელიც მის ფეხებთან აკოტრიალებულ ლეკვს ვერ ხედავდა და გულამომჯდარი ტიროდა.

დაბაში თვალი აღარავის მოუხუჭავს...

კვირა დღე თენდებოდა. მზე ამოიწვერა თუ არა, ღამენათევმა ხალხმა შუა ზაზარში იწყო თავმოყრა: ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა გადაეწყვიტათ „მოსიე კომისრის“ ბედი. დიდ, ოთხკუთხა სასწორზე შემდგარი წვერგაუპარსავი, შუბლდაბალი, დაგვაჯული და ჯმუხი ბაზრის კონტროლიორი აჩოჩოლებულ ხალხს მაღლა აშვერილი სასტვენიო სიჩუმისკენ მოუწოდებდა. გაზინზლულ, ყვითელ მაისურზე ახალთახალი ფართხუნა ყავისფერი პლამში და გახეხილი ჩექმები ეცვა, მარცხენა მკლავზე ქინძისთავით მიბნეული დაჭმუჭნილი წითელი ლენტე ეკეთა და ბოხი ხმით ერთსა და იმავე სიტყვებს მუქარით იმეორებდა:

— უფროსი მოდის, უფროსი მოდის! უფროსი მოდის!

მალე მართლაც გამოჩნდა ბაზრის დირექტორი, ის ახმახი, რომელმაც წინა ღამით კომისარს ძალაყანით კარები შეუშტვრია. ხაკის კიტელში გამოწყობილი, კეფიდან წინ გადმოვარცხნილი შეღებილი თმით, ძეწკვზე ასმულ გასაღებებს მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ატრიალებდა და ჯგროდ შეყრილ ხალხს თვალებით ტრიბუნასთან თუ სასწორთან მიშვებას სთხოვდა. აქა-იქ მიიწწ-მოიწწეს კიდევ, მაგრამ ბაზრის დირექტორმა მაინც ვერ შეძლო დაგვაჯულ კონტროლიორამდე მისვლა.

ლევან მაღაჟონია
იმაპრატორი

— დეიხიეთ ზოგიერთებმა უკან და მიმიშვით მე წინ! — წამოიყვირა მაშინ ახმახმა და ძეწვეზე ასხმული გასაღებები ხვეისბერის დროშასავით შეაქლრიალა.

ხალხი მაშინვე ორად გაიპო; სასწორიდან ჯმუხი კონტროლიორი ჩამოვარდა და ტრიბუნა ბაზრის დირექტორს დაუთმო.

და დაიწყო ბჭობა, კამათი.

— ყველაფერი მაინც მისი ბრალია, რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, — წამოიძახა რომელიღაც სულწასულმა.

— ყველაფერი? — იკივლა უკანა რიგებში ქალმა. მაგი არ უნდა იყოს მართალი, მე თუ მეითხავ!

— ასეა, ხო, — მოისმა ბოხი ხმა, — ყველაფერი მისი ბრალი რომ იყოს, მოსიე მაშინ იმპერატორი იქნებოდა და კომისარიატში კი არ იძუდებოდა.

— ავაშენა ღმერთმა, — დაეთანხმა ბოხშიანს უკანა რიგებში მდგომი ქალი.

— ასეა, კი, ყველაფერს მართლა იმპერატორებს და ტირანებს აბრალებენ. და დევიჯერო ახლა ჩემ იხვს რომ კლუბის შოფერმა ფრთა მოტეხა, ქოსას ბრალია ვითომ?

— ანდა, მე რომ გუშამ ნემსი შემერტო, მოსიეს წყალობით შემერტო?

— ეჰ, რა იცი! — ამოიღუღლულა რომელიღაც ურწმუნომ.

— არც მასეა საქმე, — შეედავა ბოხშიანი, — მაშინ ისიც მოსიეს ბრალია, მე რომ დღეს მარცხენა ხელი მეფხანება.

— და მე მარჯვენა თვალი მითამაშებს, — დაუმატა ჩიფჩიფით უკბილო დედაბერმა.

— მოსიე კაცია, ბოლოს და ბოლოს, კაცი, აბა! — იკივლა ძაძვებით შემოსილმა ქალმა. — მოსიე რომ კაცი არ ყოფილიყო, ისე ვერ იზლუქუნებდა წუხელის.

— მართალია!

— მართალი! — გაისმა ხმები.

— მოსიე ნამდვილად ჩვენსავით ტარობდა!

— ახლა აგეხილათ თვალები? — სასწორზე შეხტა და გადმოსძახა ხალხს კონტროლიორმა, იმ იმედით, რომ ბაზრის დირექტორიც იმავეს იტყოდა.

— მაცალეთ ზოგიერთებმა მე, თვარა გააყრით კარში სუყველას! — დაიყვირა თვალების ბრიალით ახმახმა და კონტროლიორს წაუჯიკავა.

ჩოჩქოლი და ყაყანი შეწყდა.

ნირწამხდარი კონტროლიორი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და პირზე ცალი ხელი მიიფარა მორჩილების ნიშნად.

— მე მეტს გეტყვით კიდევ! — დაიქუხა ბაზრის დირექტორმა და ძეწვეზე ასხმული გასაღებები ისევ შეაქლრიალა, — ყველაფერი რომ მოსიეს ბრალი იყოს, მაშინ იგი იმპერატორი კი არა, ღმერთი იქნებოდა!

— აბა არა? — პირზე მიფარებულა ხელი დაბლა დაუშვა კონტროლიორმა და ხალხს რატომღაც კუშტად გაზედა.

— ასე გამოდის, ხო.

— ასე გამოდის, — გაისმა აქა-იქ.

— მოსიე და ღმერთი ერთად?

— მოსიე და იმპერატორი!

— მითხარით მაშინ, ის ქოსა მაჩვიოთ თუ ვინაა და გავჩუქდები, — ამოიღუღლულა წინ მდგომი ამოფარებულმა ურწმუნომ.

— ვინაა და კაცია, კაცი! — მოისმა გაგულისებული ხმა ბაზრის დირექტორის ზურგს უკან მდგომთა მხრიდან, — ღმერთმა გვაშოროს და, ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ იტირებს ისე, როგორც წუხელ მოსიე ბღაოდა.

— კაი და, ახლა როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ვიღაცამ.

— ჰო, რა ვქნათ, ბოლოს და ბოლოს — იკითხეს სხვებმაც.

— მაცალეთ ზოგიერთებმა მე და ყველაფერი კარვად იქნება, — გადმოსძახა ხალხს ოთხკუთხა სასწორიდან ბაზრის დირექტორმა.

— ჰოდა, გვითხარი, რას აპირებ.

— გვიტყვი! — მიამახეს აქეთ-იქედან.

ბაზრის ღირებურობა მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით მალლა ასწია, მარცხენათი გასაღებების ასხმა ახლა გაბრაზებულმა შეაქდრია და დამარცვლით წარმოსთქვა:

— რა ვქნათ და საკუთარ სახლში ჩავაწყვდით!

რამდენიმე წამს ენა არავის ამოუღია და მერე ერთბაშად იხუვლა ბრბომ:

— ჩავაწყვდით!

— ჩავაწყვდით!

— ცემას და ჩაქოლვას სახლში ჩაეტევა სჯობია, რა თქმა უნდა!

— და საკუთარ თავს დამართოს ოთხ კედელში რაც მოეხსიათება, თუ მართლა კუდიანია!

ღისაუბტი დიდხანს აღარ გაგრძელებულა.

ხალხმა აიტაცა ბაზრის ღირებურობის სიტყვები და გადაწყდა „მოსიე კომისრის“ საკუთარ სახლში განმომწყვდევა.

იოლი გამოსავლის მიგნებით გახარებული ხალხი მალე დაიშალა, მანამდე კი დათქვეს — მზის ჩასვლისას აფთი-აქთან შეკრებილიყვნენ, გაეთოკათ ქოსა, შეეგდოთ ოთახში და დაეღურსნათ კარ-ფანჯრები.

ამის შემდეგი საინტერესო მოხდა იმ, რომ კუდიანი, ამჯერად უტყუარად და დანამდვილებით, უკვალოდ გადაიკარგა. თვეების მანძილზე ეძებდნენ დაბაში მის ასავალ-დასავალს, მაგრამ, ამოდ, იგი გაქრა უხმაუროდ როგორც თოვლი და სულ მალე მიიფიწყეს კედელს იოლად. მიზეზი ამისა არც თუ ძნელი მისაგნებია: რადგან ქოსას ადანიანურმა და ბუნებრივმა ტირილმა ხალხს ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა კუდიანობის თაობაზე და მოსე ყველას თვალში კვლავ ჩვეულებრივ მოკვდავად იქცა, უკვე ყურადღებას აღარავისგან იქცევდა, კაციშვილი მასზე არ ფიქრობდა და რა გასაკვირია, რომ მალე სულ მიევიწყათ. იშვიათ შემთხვე-

ვაში აქა-იქ მაინც ასხენებდნენ, ისევე გასართობად თუ დროის მოსაგლავად, მაგრამ მერე და მერე „კუდიანი კომისარი“ არც აგონდებოდათ. მთელი სამი წელი ისე გავიდა, რომ დაბაში თითოც არავის გაუკაწრავს, ნენსიც არავის დაკარგვია, ძალღიკატას არ გამოკიდებია (ანლა პირიქით), მეგლს ცხვარი არ დაუგლეჯია, არც ავარი მომხდარა გზაზე, ლორმუცელს არც სლოკინი ასტეხია და, საერთოდ, ირგვლივ არაფერი მომხდარა. ჭიანჭველა რაა, ჭიანჭველასაც კი საკუთარ ბუდისკენ მიმავალ გზიდან ერთხელაც არ გადაუხვევია, რომ, ამით მაინც შეცვლილიყო რამე. (სიმართლე რომ ითქვას, ფათერაკების მსგავსი რამ დროდარო, აქა-იქ, ბუნებრივია, რომ ხდებოდა, მაგრამ, რადგან დაბაში აღარ ცხოვრობდა ის, ვისთვისაც შეეძლოო გადაებრალებიათ ყოველგვარი უკუშმართობა, ჭირსა თუ უბედურებას მაინცდამაინც ველარ ამჩნევდნენ და ველარც იმახსოვრებდნენ). სიკვდილიანობა თითქოს გადაშენდა, აღარავისთვის ითხრებოდა საფლავი. ხმაბალი სიტყვაც კი არსად ისმოდა, ჩხუბსა და ტირილზე რომ არაფერი ვთქვათ. მთელი სამი წლის მანძილზე სურდოც კი არ დამართნია ვინმეს, ქარიც კი არ ამოვარდნილა ძლიერი; ამ ხნის განმავლობაში მოსავლიც ხვავრიელიყო. გვალვა და წყალდიდობა ნათესებს აღარ აჩანავებდა, ამინდები იმდენად იდეალური იდგა, რომ ყანებს თოხის წაკვრაც შეელოდა. ერთი სიტყვით, რაიმე ფათერაკი დაბაში თითქმის აღარ ხდებოდა, რის გამოც სათქმელი თუ მოსაყოლი შენოელით და ყველამ მოიწყინა. ყოველივე ამის გამო თეთრხალათიანი ექიმები ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაბიჯებდნენ დაცარიელებულ პალატებში, მილიციელები ყბებს ივარჯიშებდნენ წამლაუქუმ მთქნარებით, მოსამართლეები უსაქმუ-

ლევან მაღაზონია
იმპერატორი

რობისგან დომინოს თამაშობდნენ დილიდან საღამომდე, აფთიაქის საწყობი გაუსაღებელი წამლებით აივსო, ბაზარზე ისეთი სიუხვე იყო, რომ სასწორი ხმარებიდან გადავარდა და სხვებთან ერთად ყოფილი სპეკულიანტებიც ნარდად ვაჭრობდნენ. გაზარმაცებული მოწაფეები ტელევიზორებთან ისხდნენ შუალამემდე, აღარავის ჰქონდა სურვილი გამოეწვია ვინმე თუნდაც კროსვორდის ამოხსნაში, იმდენად მოეშვნენ და ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს.

და, დაბაში სიცოცხლე ჩაკვდა. ფოთოლიც კი არ იძვროდა ხეზე. დაჭაობიანდა მინდვრები, მომრავლდნენ ბაყაყები;

ჰყვოდნენ წყალმცენარეები მწვანე გუბეების ზედაპირებზე.

და მაშინ ყველამ იგრძნო, რომ რაღაც მოხდა, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი, რაღაც აკლდათ, რაღაც დაკარგეს და თითოეული ამ გამოუცნობმა უკმარისობამ დააფიქრა.

ბოლოს და ბოლოს, ნიაგმა დაუბერა: ერთ-ერთ ორშაბათს, ცამეტ რიცხვში, ფანჯრის რაფაზე ჩაძინებული ნამთვრალევი კონდუქტორი გადმოვარდა სადგურის შენობის მეოთხე სართულიდან, ზღართან მოადინა აყალო მიწაზე და გამოეღვიძა. აშკარა სიკვდილს გადარჩენილს ოდნავი ტკივილიც კი არ უგრძენია. მხოლოდ თვალებს აფხულებდა და ისე უმზერდა მეოთხე სართულზე გამოდებულ ფანჯარას. მერე მიწაზე წამოჯდა და თავზე დამღვარ ხალხს დაინტერესებულმა ჰკითხა:

— მოსიე თუა ცოცხალი, ხომ ვერ მეტყვიოთ რომელიმე?

ვერაო უპასუხეს.

— მკვდარია ნამდვილად, — გადაჭრით თქვა კონდუქტორმა, წამოდგა და შარვლის ტოტები ჩაიფერთხა.

— რა იცი შენ? — ჰკითხა ვილკანს.

— აბა ის კუდიანი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მიწაზე სული დამყ-

ვებოდა? — ნიშნის მოგებით თქვა კონდუქტორმა და ყველას თვალი მოავლო.

— კი მარა, მაშინ აბა ვინ გადმოვადგო, — ამოილულულა ვილკანს.

კონდუქტორი შეცბა.

არც სხვები მოელოდნენ ამ კითხვას.

— ვინ გადმოვადგო, ჰო, ვინ გადმოვადგო, — აყვირდნენ იმწამსვე აქეთ-იქიდან.

— გვერდი ვიცვალე ალბათ... — წამოიწყო კონდუქტორმა.

მაგრამ მას უკვე აღარ უსმენდნენ.

— ნამდვილად ცოცხალია, — გაიძახოდა ვილკანს.

— აბა მოსიას რა მოკლავდა, — ამტკიცებდა მეორე.

— სადაა ნეტა ახლა, — მოიკითხა სხვამ.

— იქნებ ჩამოვიდა კიდეც, ვინ იცის.

— ჰო, იქნებ აქაა და გვემალება.

— მოსიას რა სჭირს დასამალავი! — აყვირდა ვილკანს.

— მართალი ხარ, ნამდვილად, — დაეთანხმა მეორე, — სხვა თუ არაფერი, მისაღმებას ვერ დაასწრებდი ვერასდროს.

— წუწკი არ იყო და ძუნწი!

— არც ხარბი და არც შურიანი!

და მოსიე ყველას გულით მოეჩატრა. მისი სახელის ხსენებაზე, როგორც იქნა, მიხვდნენ ვინ აკლდათ თვალში და ვინ იყო ის, ურომლისოდაც მოიწყინეს და მოღუბდნენ.

იმავე დღესვე მთელმა დაბამ მოსიე კომისრის მოძებნა და ჩამოყვანა გადაწყვიტა. შეარჩიეს თორმეტი ალღოიანი კაცი, დაყვეს ოთხ ჯგუფად და ოთხივე მხარეს დაგზავნეს, რომ „ცოცხალი ან მკვდარი“ სამ თვეში ეპოვნათ.

ქოსა მეზობელ სოფელში იმალებოდა გაქცევის დღიდან. იქ ერთ პენსიონერ ქალს შეეხიზნა, თითქოსდა შორი გზიდან ნამგზავრს თავი ცუდად ეგრძნო და დროებით, „სულის მოსათქმე-

ლად“ ლამის გათევა ეთხოვა. მარტოხელა დედაბერი დაფაცურებულა და თავზე ევლებოდა თურმე. მერე და მერე კი შეეჩვივნენ ერთმანეთს და აღარც სტუმარს აგონდებოდა წასვლა და აღარც მასპინძელს შემოხიზნულას გაშვება. დედაბერს, რა თქმა უნდა, გაგებული ჰქონდა მოსეს ამბავი, მაგრამ არ იცოდა „სტულის მოსათქმელად“ მოსული თუ კუდიანი იყო, რადგან სახით არასდროს ენახა.

ოთხივე მხარეს დაგზანნილი ჯგუფები კუნჭულსაც არ ტოვებდნენ უნახავად და დაუზვერავად. ორი თვისა და ცამეტი დღის ძეზნის შემდეგ ყველას იმედი გადაეწურა, რომ მიაგნებდნენ ქოსას. ერთ-ერთი ჯგუფი, როცა უკვე უკან გაბრუნებას აპირებდა, სასხვათაშორისოდ თუ ალაღებდნენ იმ სოფელს მიადგა, სადაც კუდიანი იმალებოდა. არაქათგამოცლილებს და ხელჩაქნეულებს იმის თავიც არ ჰქონდათ, რომ ეზო-სახლები შარავზის გარდგარდმო მაინც ეთვალეირებიათ. საღამო ხანი იყო, სწორედ ის დრო, როცა მზე გორას ამოეფარება ხოლმე. ქოსა თავისი განუყრელი კეპკიანი ქუდიით დედაბრის სახლის აივანზე იჯდა მუთაქებით ამაღლებულ ტახტზე, გახუნებული კიტე-ლი ზურგზე მოეხურა, შიშველი ფეხები მოაჯირზე შეეწყო, ნივზისოდნა პურის ცომს თითებით ზელდა, თვალე-ბი გაშტერებოდა და შარავზას უახროდ გასცქეროდა.

— მოსიე! — ერთხმად წამოიყვირეს გაოცებულმა თუ გახარებულმა მღევრებმა და ეზოს ჭიშკარს ეცნენ.

ქოსა იმ წამშივე მოჩვენებასავით გაქრა აივნიდან.

— არიქა, არ გაგვექცეს! — აყვირდნენ მღევრები და სახლში თავზეხელაღებული მკვლელებით შეცვივდნენ.

მაგრამ უკვე გვიანი იყო: კომისიის, თითქოსდა მართლაც კუდიანის, კვალიც აღარსად ჩანდა. ბუხართან ატუ-ზულ დედაბერს შიშისგან ენა ჩავარდნოდა და პირდაღებული სამ აქოშინე-

ბულ მუტრუქს მიშტერებოდა, რო-
ლებმაც დაწყრილებული ოთხ-
ნში ნაპარტახევად აქციეს.

— გაგვექცა! — იბღვლა ერთ-ერთმა მღევარმა და უკანა კარებიდან ეზოში გავარდა, მას დანარჩენებიც მიყვანენ და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ აღრილდნენ: — გზაზე გასულა, გზაზე!

მართლაც, ქოსა, ილიაში ამოჩრილი კიტელით, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცუნცულით გარბოდა შარაზე ფეხშიშველი. სირბილისას კეპკიანი ქუდი გადასძვრა, მოტიტვლებული კეფა გამოუჩნდა და ხელები თავზე წაიფარა. სახლების აივნებსა და ეზოებში სეირს მონატრებული ხალხი გამოეფინა.

— დაიჭირეთ! არ გაუშვათ! — ყვაროდნენ მღევრები და ქოსას თანდათანობით ეწეოდნენ, როგორც დაგე-შილი მწვერები.

კუდიანი დარწმუნებული იყო, რომ მოსაკლავად მისდევდნენ, გრძნობდა, ვერ გაექცეოდა მათ და შიშისგან თუ უიმედობისგან მუხლები ეკვეთებოდა. ერთხელ მაინც უკანასკნელად გაიბრძოლა, ისე როგორც დასაზრზობად განწირული ამაოდ გაიბრძოლებს აზვირთებულ ტალღებთან ზღვაში სიცოცხლის ინსტინქტის უდიდესი ძალით და მერე ბედს მინდობილი მოდუნდება, ჭოეშვება და გარდაუვალ დაღუპვას შეეგუება. ძალაგამოლუღი მოსიე ღობემორღვეულ ეზოს ჩიშკართან ჩაცუქდა, კიტელი თავზე წაიფარა და უხმოდ ატირდა. აქოშინებული მღევრები გარს შემოერტყენ და უზომო სიხარულისგან აღტკინებულებმა ველურებივით როკვა იწყეს ზავილით. მოსიამ მელოტ კეფაზე წაფარებული კიტელი ოდნავ გადაიწია და განოიჭყიტა. მღევრებმა ციკვა შეწყვიტეს და ერთხმად თავზე დასძახეს:

— გამარჯობა, მოსია!

ქოსა გაიტრუნა, მერე სახეგაბადრუ-ლი მუტრუქები თვალების პარპალით

ლევან გალაჟონია
იმპერატორი

სათითოდ შეათვალეირა და დაეპყე-
ბულნა კიტელი ისევ წაიხურა თავზე.
მღევრებმა ერთმანეთს დაბნეულად
გადახედეს.

— ვერ გვიცანი თუ? — განაწყენდა
ერთ-ერთი და თავზე წაფარებული კი-
ტელი ააგლიჯა ქოსას.

აივანზე გადმონდგარმა მკლავებწაყა-
რწახებულმა მხარბეჭიანმა მასპინძელ-
მა; აქამდე თვალმოუშორებლად რომ
უმზერდა ჭიშკართან მყოფთ, ველარ
მოითმინა და მღევრებს გამოსძახა:

— რა დაგიშვავთ მაგ კაცმა?!

მერე ქალმაც გამოყო თავი და ახლა
იმან იკივლა:

— რას ერჩით, ხო, რას! თავი ტყეში
ხომ არ გგონიათ!

მღევრები წამით თითქოს დაფრთხ-
ნენ, მერე ქოსას სვავებზე დააცხრ-
ნენ, ტომარაში უკრეს თავი, ზურგზე
მოიგდეს და დაბისკენ წაძუნდულდნენ.

— კაცი მოკლეს! კაცი გაგუდეს! —
ისმოდა სახლის აივანიდან ქალის კივი-
ლი.

ორი საათის შემდეგ მთელი დაბის
მოსახლეობამ მოიყარა თავი აფთიაქის
თუ მოსიე კომისარის სახლის წინ
მოედანზე; აღტაცებულ შეძახილებმა
და ყიჟინში მღევრებმა ტომრიდან გო-
ნდაკარგული ქოსა ამოიყვანეს და
ურემზე დააწინეს. მერე სახეზე წყალი
ასხურეს და კუდიანმა მაშინვე ააპარბა-
ლა თვალები. იხუვლა ხალხმა და ტა-
შის გრიალი დაბის ირგვლივ მდებარე
მთებსაც მისწვდა. ახმახნა ბაზრის ღი-
რექტორმა ხელი აღმართა და ბრბოს
რამდენიმე სიტყვით ზომიერებისკენ
მოუწოდა. მერე ისიც მოაგონა გუ-
ლაჩუყებულ ხალხს, რომ ახლა მოსვე-
ნება და სიმშვიდე ნამგზავრ მოსესთვის
„ჰაერივით აუცილებელი“ იყო. ყველამ
დაიჯერა ბაზრის ღირექტორის ბრძნუ-
ლი სიტყვა, ხმაგაკმენდილებმა ქოსა,
ვით ბრძოლით დაღლილი გამარჯვებუ-
ლი იმპერატორი, ხელზე დაისვეს და
სვენებ-სვენებით თავის სახლში აიყვა-
ნეს. აფთიაქის თანამშრომლები წა-

მითაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ.
წამლებს ხომ სასწაულმოქმედს იმედოვნებდა
დნენ გაოგნებულს და მისავათებულს.
მნახველები ბუზებივით ირეოდნენ მო-
ედანზე, სპეციალური განრიგიც კი
დააწესეს, რომ მოსიეს ნახვის ბედ-
ნიერება ყველას ხვდომოდა. სხვათა
შორის, ტანსაცმლის გახდა ვერავენი
შებედა, ტახტზე საყელოშეხსნილი კა-
ტელით და შარვლით იწვა, ფეხზე დე-
დაბრის მოქსოვილი თეთრი წინდები
ეცვა და ზემოდან ძველი პალტო ეხუ-
რა. მესამე დღეს თვალები გაახილა, წა-
მოჯდა კიდეც და პირველი, ვინც მოი-
კითხა, ის ქალი იყო, რომელმაც უპატ-
რონა მაშინ, როცა მეზობელ სოფელში
იმალებოდა. მნახველთაგან ვერავენი გა-
იგო, ვის გულისხმობდა ქოსა, ზოგს
მოეჩვენა, რომ აბოდებდა და პასუხი
არ გაუციათ. მაშინ კომისარმა შინაქ-
სოვ თეთრ წინდებს დახედა, ხელი ჩაი-
ქნა და მერე ხალხით სავესე ოთახი
მოათვალეირა. ფანჯარასთან ბაზრის
ღირექტორი აყუდებულიყო და შუბლ-
დაბალ კონტროლიორს თვალებით კა-
რებისკენ ანიშნებდა. ხალხი ფეხას
წვერებზე შედგა და ოთახიდან გაიკრი-
ბა.

იმ ხანებში ათასი რამ ხდებოდა და-
ბაში, კომისარის დაბრუნების დღიდან,
როგორც მანამდის, ზოგმა თითი გაი-
კაწრა, ზოგს მოშანაურებული მტრელი
გაუფრინდა, ვიღაცის ურემმა ზღარბი
გაიტანა, ას ოცდაშვიდი წლის ბერეკა-
ცმა შვილთაშვილის ქორწილში ცეკვა-
სას სული დალია, ორმა შავმა კატამ,
ქოსას სახლის თუ აფთიაქის წინ, რიგ-
რიგობით ერთმანეთს გზა გადაუჭრა
და არც ერთი ფათერაკს არ გადაყრია,
ორშაბათ დღეს, ცამეტ რიცხვში, ერ-
თმა მონადირემ ოთხი გარეული ტაჩი
მოკლა, ლატარიის ბილეთების გამყიდ-
ველს, პირველ მუშტრად დილაადრი-
ან უწვევრულუვაშო გამოეცხადა, მაგრამ
მაინც სარფიანად ივაჭრა, დაუსწრებე-
ლი ინსტიტუტის სტუდენტმა სპეცია-
ლობაში ორიანი მიიღო და უმაღლესი-

დან ასპირანტურაში შევიდა, ძველ მე-
დოლეს და აკორდეონზე დაძვრელს
სახლი გაუძარცვეს, უშვილო ცოლ-
ქმარს, ჯვრისწერიდან მეთვრამეტე წე-
ლს ანგელოზებივით ტყუბი ბიჭი შეე-
ძინა, ერთგან ვენახი დაისეტყვა, სხვა-
გან იმდენი ყურძენი მოკრიფეს, მარა-
ნში ადგილი აღარ ჰყოფნიდათ დასა-
ბინავენებად, ერთი სიტყვით, ავიც
ხდებოდა და კარგიც, უფრო მეტად
მნიშვნელოვანი ხდებოდა ის, რომ არა-
ვინ ცდილობდა ყველაფრის ამხსნელი
მიზეზის პოვნას. ყოველ შემთხვევაში,

უმეტესობა თანდათან ხდებოდა, აღ-
ბათ გაუთვითცნობიერებლად, რომ
სხვის ბედ-იღბალში ქოსას ხელი არ
ერია.

ცხოვრება კი დაბაში გრძელდებოდა
და მოსიე კომისარს აღარავინ გაუბო-
და, არც მის დანახვაზე იფურთხებოდ-
ნენ და აღარც გუნებაში ლანძღავდნენ
ათვალწუნებით; პირიქით, ბევრმა შე-
იყვარა კიდეც გულით, რადგან იგი
დაეხმარა მათ ერთი ციკქნა სიმართ-
ლის მიგნებაში.



და ჩიტი — სკვინჩა ბალახის ფესუს მიათრევს სადღაც...
„სადღაც“, მე ვამბობ, მაგრამ იმან ხომ კარგად იცის,
თუ სად მიათრევს ახლა იგი იმ ბალახის ფესვს,
რასაც კარგა ხანს დაეძებდა ამ ნაყანეში.

ასე მივითრევ მე ჩემს რწმენას და იჭვიც არ მაქვს,
რომ იქით მიმაქვს იგი, სადაც მამულის თაღი
კაშკაშებს მზეში, თუმცა უცხო თვალისთვის მარად
დაფარულია შთაგონების ელვარე ცეცხლი!

თავს იტვირებდა ხოლმე ბაბუ და ფხალის ფოთლებს
რომ წაიკრავდა, დაღვრემილი გასცქერდა სოფელს.

და როგორც ტახტზე, ის ჯორჯოზე იჯდა მღუმარი,
ჭკუის საკითხად მოდიოდა მასთან სტუმარი.

ო, ის გვირგვინი! ფართო-ფართო ფოთლები ფხალის, —
შვენოდა ბაბუს, როგორც მეფეს მწუხარე მხარის!

დღეში ათასგზის ვიყურები უკან და ვხედავ:
არა მყავს მამა, არც გამზრდელი არა მყავს დედა,
არა მყავს ბიძა, მაგიერი, უფროსი ჩემზე,
არა მყავს ქვეყნად ნათესავი, სისხლი და ხორცი,
და თუ სევდიანს ჯერაც ვარჩევ, მხიარულ ლექსებს,
ღმერთია მოწმე, არავისი არა მაქვს შური,
გვაა მხოლოდ, სხვაზე მეტი რომ მეკითხება —
ამაზე ვდარდობ და ამაზე მიწუხს მე გული,
თორემ სხვა რამე ქვეყანაზე არც მეფიქრება, —
მეც მიმიბარებს ჩემი კოხტა ქაფათის ბორცვი!

ახალი ქარების დილა

თოვლი იწრითება მთებში და
ლონე ემატება ორწყალს;
შუაფხოს პირიქით ტყეა და
ტყე, როგორც ლაშქარი მოჩანს!

ასი ათასამდე ცაცხვი და
ასი ათასამდე ფიჭვი;
ასი ათასამდე კაცი და
ასი ათასამდე ბიჭი!

გუშინ კამერმა პატარა ზაქი
მოიგო ჭრელი და დადგა სითბო;
გრძელდება ასე სიცოცხლის ძაფი
და კვლავ მომავალ დღეებზე ვფიქრობ!
მე იმ წელს სკოლის შვედლე კარი,
და ია-ია მოგძებნე თითოთ;

და ისე გვიან რეკავდა ზარი,
რომ არც მეგონა, ოდესმე დიდი
თუ გავხდებოდი, და ჩემიც სიტყვით
თუ შევამკობდი ოდესმე სოფელს;
ჟამი კი მიდის, მიდის და მიდის,
როგორც ურემი მიჰყვება ღობეს!

— ეგ თქვენ იკითხეთ, თორემა, —
ასე ამბობდა სვიმო, —
მე ლუკმა პური მეყოფა
და ერთი ხრიკე ღვინო.

ერთი დაგება ღომი და
კოტოს ლობიო ცივი, —
ეგ თქვენ იკითხეთ თორემა,
მე ჩემი მყოფნის წილი.

ეგ თქვენ იკითხეთ თორემა,
მე ისეც მალე წავალ,
ისეც მეყოფა, რაც ვცლაპე
ეს თნარიის ჰაფა! —

ასე ამბობდა ბაბუა, —
დასტურ — იმ ზამთარს მოკვდა, —
ეგ მე ვიკითხო, თორემა,
მან რაც ინატრა, — მოხდა!

მე მთელი ღამე პოემას ვწერდი,
ჩემს მხარეს იყო მაღალი ღმერთი.

მე მთელი ღამე პოემას ვწერდი,
ჩემს მხარეს იყო თითქოსდა ღმერთი,
მიყვარდი რადგან, — ჩემს მხარეს იყო,
და მიჰყვებოდა სტრიქონი-სტრიქონს.

მე ვწერდი, როგორ მიყვარდი ადრე,
მე ვწერდი, როგორ მიყვარხარ ახლა.
და მელღერებოდა სტრიქონში მადლი,
და მივდიოდი მადლა და მადლა.

ბაგეს იპობდა ყვავილი მინდვრის,
და იფრქვეოდა სურნელი ველად,
გადადიოდა წყაროდან ბინდი
და მადლდებოდა პოემა ნელა.

იყო ჰაერი მზატე და სუფთა,
მე ვწერდი, როგორ მიყვარდი მუდამ.
შენ მოიხედე — გესროლე გუნდა,
მე ვწერდი, როგორ მიყვარდი მუდამ.

და მე მეგონა, რომ შურდათ ჩვენი,
და ჩურჩულებდნენ ამჯერად ხენი,

ახლა ფოთლები მოჰგავდნენ სიტყვებს,
ცვარი — ცრემლს ჰგავდა, მდინარე —
მდევარს,
სოფელი — ციხეს, ხეები — ისრებს,
და ჩვენი შურდა თითქოსდა ყველას.

მე ვწერდი დიდხანს, — გათუნდა
ვიდრე
და არ გიხილე, თოლივე, გვერდით;
და ჩვენი შური ექნებათ ვიდრე,
ვიქნებით ერთად, — მოწმეა ღმერთი!

მე სოფელში ვიყავი და დები ვინახულე,
ჭამე ბალახ-ბულახი და ცოტა ვიმარხულე.

ხორცი აღარ გავიკარე არასდიდებით,
გავიგონე რას ამბობდნენ სკვინჩა-ჩიტები.

დილა ვნახე, წამი-წამზე გათენებული,
მეზობლები შევარიგე — დამტერებული.

სადამო ხანს მკითხეს: ომი ხომ არ ატყდება,
ლობით და ცივი ღომი ხომ არ გაწყდება?

და მეც თავი მოვიწონე, როგორც არასდროს,
შენგან მსგავსი რა მიგრძენია, ჩემო ქალაქო?

კაცად ვჩანდი სოფლის თვალში, როგორც არასდროს,
ღმერთო, მომე ძალა, ჩემს ხალხს ველაპარავო!





მ ბ ე ლ მ

ფიზკულტურის მასწავლებელი სპარტაკ ხაჩიძე, ორმოცი წლის ჯამხი, შავგვრემანი კაცი, მეტსახელად ოტელო, პაემნისთვის ემზადებოდა.

ამ პაემანს გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, მთელი ღამე მომავალ შეხვედრაზე ფიქრობდა, ცუდად ეძინა და აღრე გაიღვიძა; ერთხანს ფიქრობდა, მერე შეშინდა, არ დამაგვიანდესო, წამოხტა და თუმცა პაემანი შვიდ საათზე დანიშნა, ისე ჩქარა დაიწყო მზადება, თითქოს აგვიანდებოდა, მსუბუქად ივარჯიშა, აბაზანაში სარკის წინ მკლავები ასწია, კუნთები დაჰკიმა, პერიორმად ჩაისუნთქა, გულ-მკერდი ამოიბურცა და ერთხანს თავისი სხეულის სილამაზით ტკებოდა, მერე ღრმად ამოიოხრა, რა იქნებოდა, კიდეც ათი სანტიმეტრი მოეცაო, გაიფიქრა და მაღლა აიხედა, გაუგებარი იყო, ღმერთს საყვედურობდა თუ მშობლებს.

სპარტაკ ხაჩიძე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. პატარა თაროზე მისი სპორტული ჯილდოები იყო გამოფენილი. კედელზე ეკიდა დიდი სურათი — თეთრ რეიტუზში გამოწყობილი სპარტაკი ორ-

ძელთან, ხოლო იქვე პატარა ფოტოსურათები — სპარტაკი სხვადასხვა იარაღზე ვარჯიშის დროს. იგი მტკიცედ იცავდა სპორტულ რეჟიმს, დილაობით ვარჯიშობდა იოგების სისტემით, ცივი ტილოთი იზებდა სხეულს; მერე იცვამდა თეთრ პერანგს, რომელიც მისივე სიტყვით, „მომგებიან კონტრასტს“ ქმნიდა შავგვრემან სახესთან და ფეხით მიეშურებოდა სკოლაში. მაღალი რომ გამოჩენილიყო, გაკიმული და თავაწეული დადიოდა, ახალი ფეხსაცმელი კი ხარაზთან მიჰქონდა, ქუსლებს რამდენიმე სანტიმეტრით ამაღლებინებდა და ყოველთვის ამბობდა, რა ვქნა, საოცრად სწრაფად ვცვითავო. სკოლიდან ფეხით ბრუნდებოდა, ისვენებდა, მერე კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას ან ცხოვრებაზე ფიქრობდა. ყველაზე უფრო ორი პრობლემა აწუხებდა: თავისი მეტსახელი და უცოლობა. მეტსახელი სცემდა მის ავტორიტეტს კოლეგების და მოწაფეების თვალში, აღიზიანებდა და თუმცა მოსწავლეები ვერაფერს უბედავდნენ მწარე ხელის გამო, მათთან ურთიერთობისას ყო-

ველთვის დაძაბული იყო, თითქოს რა-
ღაცას ელოდა. ერთხელ რომელიღაც
პირველკლასელმა ჰკითხა: ოტელო მას-
წავლებლო, მართლა ორას კილოს
სწევთო? მან ხელი სტაცა შეშინებულ
ბავშვს, მერე მიხვდა, რომ იგი უფროს-
კლასელებმა გააბრიყვეს, გამოტეხა და
წამქეზებლებს შავი ღლე აყარა. იცვლე-
ბოდა მოსწავლეთა თაობები, მიდიოდა
ძველი, მოდიოდა ახალი, მეტსახელი კი
რჩებოდა და ერთი თაობიდან მეორეში
გადადიოდა. ამის გამო სკოლაც კი გა-
მოიცვალა, ქალაქის სულ სხვა უბანში
გადავიდა, მაგრამ მეტსახელი ახალ
სკოლაშიც გაჰყვა და ვერაფრით ვერ
მოიცოლა.

უცოლობას თავის სიმაღლეს აბრა-
ლებდა. როგორც ყველა დაბალ მამა-
კაცს, მასაც მაღალი ქალები მოსწონდა,
მაგრამ მათთან დაახლოებას ვერ ბედავ-
და, — სხვების თვალში სასაცილო გა-
მოეჩნდებო. ერთხელ მამიდა ვიღაც
ქალს ურიგებდა, მაგრამ ქალმა დაიწუ-
ნა, დაბალიაო. სიმაღლეს რა ჰკუთვნა,
მთავარია, აზროვნებდო, იწყნარებდა
თავს, თუმცა მშვენიერად ესმოდა სიმა-
ღლის მნიშვნელობა. მან საკუთარი გა-
მოცდილებით იცოდა, რომ ქალებს
მაღალი მამაკაცები მოსწონთ და
მტკივნეულად განიცდიდა თავის ნაკლს.
გარდა ამისა, ხშირად ფიქრობდა ადა-
მიანის წარმოშობაზე ან სამყაროს უსა-
სრულობაზე. წამოწვებოდა სავარძელზე
და ფიქრობდა. მართლაც და, რა არის
ამ უსასრულობის იქით? სადმე ხომ
უნდა იყოს დასასრული? რას წარმო-
ადგენს ადამიანი ამ უსასრულო სამყა-
როში? პატარა ნაწილაკს, მტვერს, არა-
რაობას. ან კიდევ, საიდან გაჩნდა ადა-
მიანი? დავუშვათ. მაიმუნისაგან, მაგრამ
მაიმუნი საიდან გაჩნდა? ვინ შექმნა
სამყარო, ღმერთმა? ღმერთი ხომ არ
არსებობს? მაშ ვინ?... თუმცა რაზეც
არ უნდა ეფიქრა, ყველაფერი მაინც
ქალებზე ფიქრით თავდებოდა. „უნდა
მოვიყვანო ცოლი, აბა უშვილოდ ხომ
არ გადავეგები. ყველამ რომ ჩემსავით

ჩაიქნისო ხელი, გადაშენდება კაცობრი-
ობა“.

სპარტაკმა ქათქათა პერანგი შეარჩია,
დაუთოვა და კოსტუმზე გადაფინა. ნი-
შანი „სპორტის ოსტატი“ კბილის
ფხვნილით გააპრიალა და პიჯაკზე მია-
ბნია. ამის შემდეგ გაპარსვას შეუდგა.
ორჯერ ჩამოიპარსა, მესამედ გაისაპნა
სახე, ლოყაზე უკუღმა დაისვა სამარ-
თებელი, ზედმეტი გულმოდგინებისა და
სიფრთხილისგან ნიკაბი გაიჭრა; ნერვე-
ბი აეშალა, მთელი შრომა წყალში ჩა-
მეყარაო. ფხვკამ კანი გაუღიზიანა და
საბოლოოდ წაუხდა გუნება. გახურე-
ბულ სახეზე რამდენჯერმე დაიდო ცივი
კომპრესი, ესიამოვნა — ერთხანს სარ-
კესთან იდგა, მერე იფიქრა, იქნებ მერი
სახლში დავპატიოო, „შტანგა“ აივან-
ზე გაიტანა და ოთახი მიაღება. როცა
საქმე შემოეღია, საათს დახედა, წამო-
წვა და მერიზე დაიწყო ფიქრი.

მერი ნადიბაძე, ოცდაცხრა წლის
ქერათმიანი, სიმათიური ქალი, იმავე
სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა. სპარ-
ტაკს დიდი ხანია მოსწონდა, მაგრამ
უარის შიშით ვერაფერს უბედავდა. გარ-
და ამისა, ეჩვენებოდა, რომ ქალი მასზე
მაღალი იყო და ცდილობდა შეუმჩნე-
ვლად დატოლებოდა, მაგრამ ხელსაყრე-
ლი მომენტი ვერ მოძებნა. რჩევისთვის
კოლეგას, ფეტვიაშვილს მიმართა.

— საშუალო სიმაღლის ქალი ყო-
ველთვის დაბალ კაცზე უფრო მაღალი
ჩანს, მაგრამ ეს მოჩვენებითია. სინამ-
დვილეში დაბალი კაცი საშუალო ქალ-
ზე მაღალია, ასე რომ მიდი, ნუ გეში-
ნია! — გაამხნევა ფეტვიაშვილმა. სპარ-
ტაკს გულში ეწყინა, რადგან თვლიდა,
რომ თავად საშუალო სიმაღლისა იყო,
მაგრამ არაფერი უთქვამს.

„მშვენიერი სახელია მერი... ნეტავი
იცის, ოტელოს რომ მეძახიან?... საიდან
ეცოდინება, ვინ ეტყოდა? მერი, მერი!..
„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი...“
ჩვენ დღისით დავიწერთ ჯვარს, მერე
ზღვაზე წავალთ... სპორტული ტანი
აქვს. საინტერესოა, რა სპორტს მის-



დევდა...“ სპარტაკმა საათს დახედა და ოცნება განაგრძო: „მერე ჩამოვალთ და აქეცხოვრებთ. ბიჭს სპორტსმენად გავზრდი, ბავშვობიდანვე გავაყავებ. ძალოსნობაზე არ შევიყვანე, სიმაღლეში დაიჩაგრება. კალათბურთი სჯობს. გოგოც კარგია. ბიჭი და გოგო გვეყოლება. მოკლედ, ოჯახი აუცილებელია, — დაასკვნა სპარტაკმა, — სიყვარული პოეტების მოგონილია. რა არის ბოლოს და ბოლოს სიყვარული? კარგი მეოჯახე ცოლი, შვილები, მყუდროება. მთავარია, გემრიელ საჭმელს ამზადებდეს, რად მინდა მე მაგის ინგლისური“.

ექვსი შესრულდა. წითელი ჰალსტუხი შეარჩია, დიდხანს ნასკევდა ყუღფს, ყველაზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, სარკეში ჩაიხედა და გაიფიქრა: „ჰალსტუხი ადამიანის სახეა“.

შვილის ნახევარზე დანიშნულ ადგილას იდგა და დეღავდა.

მერი ავტობუსიდან ჩამოვიდა. სპარტაკს თვალში მოხვდა ქალის უზარმაზარი „პლატფორმები“ და არ ესიამოვნა.

— თუ ნებას მომცემთ, კინოში დავპატიჟებთ, — უთხრა სპარტაკმა.

— ნებას ვაძლევთ, — მერიმ გაიდიმა.

სპარტაკს უნდოდა ხელკავი გაეყარა, მაგრამ ეუხერხულა და ჰკითხა:

— მერი, თქვენ მხატვრულ ტანვარჯიშს ხომ არ მისდევდით?

— არა, მე ცურვაზე დავდიოდი.

— ოოო, ცურვა მშვენიერი სპორტია, მთელ ორგანიზმს ჰარმონიულად აწვითარებს. საერთოდ, პირადად მე, ჰარმონიული განვითარების მომხრე ვარ. თანამედროვე ადამიანი ჰარმონიულად უნდა განვითარდეს. სამწუხაროდ, ჩვენში არ ესმით ეს მარტივი ჭეშმარიტება, დავამენ შვილებს და ასწავლიან სამ უცხო ენას, მუსიკას, ხატვას... სპორტი კი ავიწყდებათ. რა გამოვა ასეთი ბავშვისაგან?.. ცალმხრივად განვითარებული ადამიანი. გონებასთან ერთად ბავშვმა სხეულიც უნდა გაიკაუთოს. ძველი ბერძნები სწორედ ასე ზრდიდნენ

თავიანთ ბავშვებს. აი, მაგალითად, მე, სისტემატურად ვიკაეებ სხეულს. არ გეგონოთ, რომ გონებას არ ვანვითარებ, არა, გონებასაც ვანვითარებ, ვკითხულობ, ვფიქრობ, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ ფიზიკურად საღი არა ხარ, გონებრივადაც ვერ იქნები სრულყოფილი. მე იოგების სისტემით ვვარჯიშობ. თქვენ ალბათ არ იცით, რაში მდგომარეობს იოგების სისტემა. ახლავე აგიხსნით...

სპარტაკი გატაცებით ლაპარაკობდა იოგებზე, მერე მოკლედ აღწერა თავისი სპორტული მიღწევები და ამასობაში კინოთეატრამდეც მივიდნენ.

ისინი ფოიეში დასხდნენ და ქალი რომ გაერთო, სპარტაკმა უამბო სასაცილო შემთხვევები თავისი სპორტული ცხოვრებიდან.

დარბაზში ცოტა ხალხი იყო. როცა სინათლე ჩაქრა, სპარტაკი მერისკენ მიიწია და სუნამოს სურნელი იგრძნო. ალბათ ფრანგულია, გაიფიქრა მან, უნდოდა ხელი მერის ხელზე დაედო, მაგრამ ვერ გახედა. მათ უკან ჩახუტებული წყვილი იჯდა.

კინოს მერე სპარტაკს უნდოდა მერი შინ, ყავაზე მიეპატიებია, მაგრამ შეშინდა, რამე ცუდი არ იფიქროსო. დარწმუნებული იყო, რომ მოეწონა ქალს. „კიდევ სამჯერ შეგხვდები და მერე ხელს ეთხოვ“, — გაიფიქრა მან.

გაზაფხულის თბილი საღამო იდგა, ჰაერში აკაციის სურნელი ტრიალებდა. ისინი წყნარ, უკაცრიელ ქუჩაზე მისეირნობდნენ და რადგან მათ შორის ჯერ არ იყო ისეთი დამოკიდებულება, როცა დუმილი უხერხული აღარაა, სპარტაკმა იფიქრა, მოდი ინგლისურ ლიტერატურაზე ვესაუბრებო, მაგრამ შექსპირის გარდა ინგლისელებიდან ვერავინ გაიხსენა. გარდა ამისა მარტო „მეფე ლირი“ და „ოტელო“ ჰქონდა თეატრში ნანახი, ისიც დიდი ხნის წინ. იგი ვაკი-

სიმონ ჯაფარიძე
მოთხრობები

მულო, ამაყად მიაცილებდა ქალს და
ძალიან უნდოდა რამე ჰკვიანური ეთ-
ქვა, რომ კიდევ უფრო მოეწონებია
თავი, მაგრამ ამ დროს ვილცამ დაიძახა:
— ოტელო!!

სპარტაკი გაშრა. ერთხანს გაოგნებუ-
ლი იდგა და ვერაფერს ხედავდა, თით-
ქოს თავში რაღაც მძიმე მოხვდა; იქით-
კენ გაიქცა, საიდანაც ძახილი მოისმა,
ერთ ეზოში შევარდა, მეორეში, მერე
რომელიღაც სადარბაზოში და რატომ-
ღაც მოზინადრეთა გვარების კითხვა და-
იწყო. უკან დაბრუნებულს მერი აღარ
დახვდა. სპარტაკი გაეცოდა, ქუჩის კუთ-
ხემდე ირბინა, მაგრამ ვერ იპოვა; კე-

დელს მიეყრდნო, ერთხანს გაუნდო-
ლად იდგა, მერე იფიქრა, თავი რომ შე-
მეკავებია, ვერაფერს ვერ მიხვდებო-
დაო, მაგრამ უკვე გვიან იყო. მიხვდა,
რომ ყველაფერი გათავდა და რაღაცამ
შტეივნეულად გაჰკრა გულში. ქუჩა ცა-
რიელი იყო და უცნაური სიმარტოვე
იგრძნო.

გაწვიმდა. ოტელო მხრებჩამოყრილი
მიჰყევბოდა ქუჩას. ლოყაზე ნელა ჩამო-
უვორდა ცრემლი და თეთრ პერანგზე
დაეცა. თმა დაუსვევდა, მაგრამ ამას
აღარ აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ
შიგნით რაღაც სიცარიელეს გრძნობდა
და კიდევ — დაღლას.

ხელოვნების კალა

ანდრო სიმსივნეში პირველად მოხვ-
და თეატრში. მართალია, ბავშვობაში
მოზარდში დადიოდა, მაგრამ მაშინ
თეატრში წასვლის პროცესი უფრო მო-
სწონდა, ვიდრე თვით წარმოდგენა.
მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ანდრომ
დაამთავრა სკოლა, ტექნიკუმი, დაიწყო
მუშაობა, დაცოლშვილდა და როგორ-
ღაც ისე მოხდა, რომ თეატრში არ ყო-
ფილა. სკოლა-ინტერნატმა, სადაც
იგი მწედ მუშაობდა, კოლექტიური
სვლა მოაწყო „ჰამლეტზე“ და ანდრო,
შეიძლება ითქვას, პირველად მოხვდა
თეატრში. იგი პარტერის მესამე რიგში
იჯდა, თვალგაფართოებული უცქერდა
მსახიობებს და როცა დანიის პრინცმა
შური იძია, შვებით ამოისუნთქა.

შემოდგომის თბილი საღამო იყო. ბუ-
ღალტერი შალიკო ქაცარავა და ანდრო
ქუჩაში მისეირნობდნენ და სპექტაკლს
არჩევდნენ.

— ყველაზე უფრო აი ის მომეწონა,
ჰამლეტი რომ ამბობს, არარაობავ, დე-
დაკაცი უნდა გერქვასო, — ლპარა-
კობდა ანდრო. — რა სიტყვებია: „არა-
რაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“
მერე როგორ ამბობს, რა სახე აქვს, აი,
გრძნობ, რომ ეზიზღება დედაკაცები.—

ანდრომ ხელი წინ გაიშვირა და მთელი
გრძნობით წარმოსთქვა: — „არარაობავ,
დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“

— გენიალური სიტყვებია, — დაუ-
დასტურა ქაცარავამ. — მართლაც, რომ
დაუკვირდე, აბა რა არის დედაკაცი?..
არარაობაა და მეტი არაფერი. სწორედ
ამაშია თეატრის ძალა, რომ სიმართლეს
გვეუბნება—დედაკაცი არაფერს არ წა-
რმოადგენს, არარაობააო. რა გამოდის
აქედან თუ იცი?.. ის, რომ მამაკაცი გაცი-
ლებით მაღლა დგას დედაკაცზე. აქედან
შეიძლება დავასკვნათ, რომ რადგან მა-
მაკაცი თავისი გონებრივი მონაცემებით
გაცილებით მაღლა დგას დედაკაცზე,
არასდროს არ უნდა დაისვას ქალი თავ-
ზე. ხედავ, რამხელა აზრია ჩაქსოვილი
ერთ პატარა წინადადებაში?.. ამ აზრს
ყველა კი ვერ ჩასწვდება. ქალი არ უნ-
და დაისვაო თავზე, გეუბნებიან. ამაშია
თეატრის ძალა, აბა!

— ქალი არ უნდა დაისვა თავზე, —
დაეთანხმა ანდრო.

— თეატრს აღმზრდელიობითი ფუნ-
ქცია აკისრია, — განაგრძობდა ქაცარა-
ვა. — რას ნიშნავს თუ იცი ეს? როცა
გაიგებ, რომ დედაკაცი არარაობაა,
აღარ მოექცევი ცოლის გავლენის ქვეშ.

არაობა არ უნდა დაისვა თავზე, ეგრე არაა?

— ეგრეა, აბა, რა. — თქვა ანდრომ. მას უკვირდა, აქამდე როგორ ვერ ჩაწვდა ასეთ მარტივ ჭეშმარიტებას. ქაცარავა კი უფრო ღრმად ანვითარებდა თავის აზრს:

— ცოლი არ უნდა დაისვა თავზე, თორემ ერთხელ თუ შეგაჯდა, მერე წასულია ხელიდან შენი საქმე. აჩუ, ცხენო, საით გაგაჰქენო, ზომ გაგივია, აი ასეა, შეგაჯდება სამუდამოდ. ოჯახში მამაკაცმა თავისი ხაზი უნდა გაატაროს განუხრელად! ამაშია საქმე. ეგრე არაა?

— ეგრეა, აბა რა, — თქვა ანდრომ და ჩაფიქრდა, უნდოდა გაერკვია, იყო ცოლის გავლენის ქვეშ, თუ არა.

— მე ოჯახში ყოველთვის ჩემს ხაზს ვატარებ. აბა გაბედოს ვინმემ და ზედმეტი სიტყვა მითხრას?!.. ვერ გაბედავს. იციან ჩემი ხასიათი და ვერ მიბედავენ. თავიდან კი მოინდომეს რალაც, მაგრამ ვერ მივართვი! თავზე არ უნდა დაისვა, თორემ თუ შეგაჯდა, წასულია ხელიდან შენი საქმე. თავიდან ჩემი ცოლი დედამისის გავლენის ქვეშ იყო, რასაც ეტყოდა, ყველაფერს უჯერებდა. გადავწყვიტე სიდედრი ჩამომეცილებია. ერთხელ გავაგდე, მოვიდა, მეორედ გავაგდე, მოვიდა, ავიღე და მოვისროლე ფანჯარაში.

— ზოგორ? — გაუკვირდა ანდროს.

— როგორ და ისე, ავიღე და მოვისროლე. მერე ვიჯექი, აბა.

— რას ამბობ?!.. — ანდრომ იცოდა, რომ ქაცარავა გაფლანგვისთვის იჯდა და არ დაიჯერა. „აღბათ მოიგონა, გაფლანგვის ამბავი რომ დაფაროს, — გაიფიქრა მან. — რომელი ჯობია — გაფლანგვა თუ სიდედრის გადაგდება?..“

— როცა მოსამართლემ მკითხა, რატომ ქენიო ეს, რა ვუპასუხე იცი?.. სულ ბუზღუნებდა-მეთქი, ათი წელი ბუზღუნებდა-მეთქი. ავაშენა ღმერთმოდ, ეტყობოდა, ისიც ნამეტანი გაამწარა სიდედრმა. ხმამაღლა კი არ უთქვამს, თავისთვის თქვა, მაგრამ მე მაინც გავიგე. სამი წელი მომცა. ამნის-

ტიით ერთ წელიწადში გამოვედი. ვარა გი კაცი იყო. ეტყობა, ნამეტანი წარა სიდედრმა და შევიდა ჩემ მდგომარეობაში. ისე. რას გავიგებს კაცი, ყველაფერი თავის თავზე თუ არ გამოსცადა.

„საინტერესოა, მართლა გადააგდო, თუ იგონებს? — ფიქრობდა ანდრო. — რაში დასჭირდა ჩემი მოტყუება, აღბათ მართლა გადააგდო. არადა, როგორ გადააგდო ფანჯარაში?..“ მან რატომღაც თავისი სქელი სიდედრი წარმოიდგინა და იფიქრა, რომ ქაცარავას ძალიან გაუჭირდებოდა ამისხო ქალის ფანჯრიდან გადაგდება.

— რა არი მთავარი ოჯახურ ცხოვრებაში? — განაგრძობდა ქაცარავა. — მთავარია, შენი ხაზი გაატარო განუხრელად. ცოლი არ უნდა მოექცეს სიდედრის გავლენის ქვეშ, თორემ წასულია შენი საქმე ხელიდან. მე დიდი გამოცდილება მაქვს ამ საქმეში, შენ ახალგაზრდა ხარ, გამოგადგება. კარგად დაიხსომე, მთავარია, შენი ხაზი გაატარო განუხრელად! დანარჩენი ყველაფერი რიგზე იქნება. აბა, შენ იცი, კარგად იყავი!

ანდრომ მარტო განაგრძო გზა.

„მართალია შალიკო, არ უნდა მოექცე ცოლის გავლენის ქვეშ, — ფიქრობდა იგი. — მე ვარ ცოლის გავლენის ქვეშ? — არა. ის არის ჩემი გავლენის ქვეშ? — არა. დედამისის გავლენის ქვეშაა, მის დღუღუკზე ცეკვავს, იმიტომ არ მიჯერებს. შემაჯდნენ და აჩუ, ცხენო, — გაიძახიან... მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა თავზე დაჯდომა! ავიღებ და მოვისვრი ფანჯარაში“. ანდრომ წარმოიდგინა, როგორ მოისვრიდა სიდედრს ფანჯარაში, მერე გაახსენდა, პირველ სართულზე რომ ცხოვრობდა და გული დასწყდა.

— ავდგები და გავაგდე, ჩემი ხაზი უნდა გაატარო მე!

ანდრომ გადაწყვიტა, რომ დღეიდანვე

დაწყებდა ოჯახში თავისი ხაზის გატარებას და ნაბიჯს აუჩქარა.

ცოლს ეძინა და „ხაზის გატარება“ მეორე დღისთვის გადადო.

მეორე დღეს კვირა იყო. ანდრომ ადრე გაიღვიძა, ერთხანს ფიქრობდა, როგორ გაეტარებინა თავისი ხაზი, მერე დიბანა და სამზარეულოში გავიდა. ცოლი, სიღვდრი და ექვსი წლის ლია ჩაის სვამდნენ.

— მამიკო, დღეს ცირკში წამიყვანე, რაა!.. — სთხოვა ლიამ.

— დღეს არ მცალია, — მკაცრად უთხრა ანდრომ. ცოლმა ჩაი დაუსხა.

— შეპარი რატომ არ უქენი?

— როდის აქეთ გიშაქრავდი?.. მე რა ვიცი, რამდენი გინდა.

— არ იცი, რომ ნამი კოვზი მინდა?

— აიღე და ჩაიყარე!

— რომ ჩაგეყარა, ვითომ რა მოხდებოდა?

— შენ დღეს რა ხასიათზე ხარ? — ეუუქუნა ქმარს მიაჩერდა.

— ძალიანაც კარგ ხასიათზე ვარ!

— რა გაჩხუბებთ, შვილო, დილიდან, — წყნარად თქვა სიღვდრმა, უცისრო, უღვაშიანმა ქალმა.

„ამას ვინ ჰკითხავს“, — გაიფიქრა ანდრომ, მაგრამ არაფერი უთქვამს, თავი შეიკავა.

— გაზეთები იყო? — იკითხა მან.

— მაგიდაზეა.

სავარძელში ჩაჯდა და გაზეთი გაშალა.

— მამიკო, ცირკში წამიყვანე, რაა!.. — ლია მუხლებზე დაუჯდა. ანდრომ ბავშვი მოიცილა და მკაცრად უთხრა: — ხომ გითხარი, არ მცალია-მეთქი. ხელს ნუ მოშლი!

ოთახში ცოლი შემოვიდა.

— პროდუქტები გაგვითავდა, — თქვა მან. ასეთ დროს ანდრო, ჩვეულებრივ, უხმოდ დგებოდა და ბაზარში მიდიოდა, მაგრამ ახლა თავისი ხაზი უნდა გაეტარებია და მშვიდად უთხრა:

— წადი და მოიტანე. — გაზეთისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

ეუუქუნა გაკვირვებული მიაჩერდა ხომ არ ხუმრობსო.

— მე უნდა წავიდე? როდის იყო, მე ბაზარში დავდიოდი?

— არ დავდიოდი და ახლა წახვალ.

— გადაირიე, კაცო, სად შემიძლია მე სიმძიმეების თრევა?

— მე შემიძლია?!

— შენ კაცი ხარ...

— მე კაცი ვარ, შენ კი არარაობა ხარ. — წყნარად თქვა ანდრომ.

— მაშ მე არარაობა ვარ, ხო, შე მხეცო?!

— ანდრო, შვილო, ხომ იცი, ღვიძლი აქვს გაღიღებული, როგორ შეიძლება მაგისტვის სიმძიმის აწევა, — დაუყვავა სიღვდრმა. მას ისედაც ეჩვენებოდა, რომ სიძე მის ქალიშვილს ჩაგრაგდა.

— ჩემთვის შეიძლება სიმძიმის აწევა?.. მე კუჭის წყლული მაქვს. ერთი უქმე მაქვს და დასვენება მინდა.

— რამ დაგღალა, ერთი ვიცოდე? — სიღვდრმა დონჯი შემოიყარა და მიაჩერდა.

— მუშაობამ.

— რას აკეთებ ამ სამუშაოზე?

— რას და, რემონტს ვაკეთებ, მთელი დღე მუშებს დავდე, ყველგან მე დავრბივარ, ერთი დასვენების დღე აღარ მეკუთვნის?

— შენ განა მუშაობ?.. ტყუილად ადგილს აფუჭებ. სხვა შენ ადგილზე აი, ასე იქნებოდა, — სიღვდრმა თითი ყელზე გადაისვა, — შენ კი არაფერი არ შეგიძლია. მაგ რემონტებზე აშენდა ხალხი. ნახე შენი ღირექტორი როგორ ცხოვრობს, თვალი გაახილე!

— მე პატიოსანი კაცი ვარ, ქურდობა არ შემიძლია.

— ვინ გეუბნება, იქურდო? ცოტა მარიფათი უნდა გამოიჩინო, მარიფათი! მაგრამ მაგის შნოც რომ არა გაქვს! ბოლოს და ბოლოს, ცოლ-შვილი გყავს, ცოტა შენც გაინძერი, ნახე შენს გარშემო ხალხი როგორ ცხოვრობს.

— მე ერთხელ ვთქვი, დანაშაულისკენ ნუ მიბიძგებთ-მეთქი. მე პატიოსანი კაცი ვარ და უკანონობას ვერ ჩავიდენ!



— ამახლა კაცი როდემდე უნდა იყო ჩემს კმაყოფაზე? — სიდედრს სახეზე ეტყობოდა, რომ სიამოვნებდა ანდროს დამცირება.

— მე არავის კმაყოფაზე არა ვარ. ვმუშაობ და ვცხოვრობ!

— შენ ცოლ-შვილს ვინ აცემევს? .. აგარაკებზე ვინ აგზავნის? .. ბავშვებისთვის პიანინო ვინ იყიდა, სამასმანეთიანი ტყავის პალტო ვინ გაჩუქა, შე საცოდავო? ..

— არ მჭირდება მე თქვენი პალტო! — ველარ აიტანა ანდრომ ამდენი დამცირება, კარადიდან პალტო გამოიღო და სიდედრს ესროლა. — აი, შენი პალტო, შე არარაობავ! წაიღე შენი პიანინო და პალტო და წაეთრიე აქედან. ჩემ ცოლ-შვილს მე თვითონ მივხედავ, არარაობავ!

— ახლავე წაეთრიე აქედან! — იკივლა სიდედრმა, უცებ სახე შეეცვალა და იმდენი სიძულვილი გამოეხატა ზედ, ანდროს შეეშინდა, არ მომკლასო. მას არასოდეს არ უნახავს სიძულვილით ასე დამახინჯებული სახე.

— მე ჩემ სახლში ვარ! .. ახლავე წაეთრიე, შე გათახსირებულო! .. — კიოდა სიდედრი.

თავისი სახლიდან რომ ვერ გაავდებდა სიდედრს, ველარ გაითვალისწინა ანდრომ. იგი მეორე ოთახში გავიდა და იქ ესმოდა სიდედრის ყვირილი. ჟღერდა აწუნარებდა, გაჩერდი, სირცხვილია, მეზობლები გაიგებენო, მაგრამ სიდედრი დიდხანს ვერ დაშოშმინდა, ლანძღავდა და ლანძღავდა ანდროს. „არარაობავ“ — გაიფიქრა ანდრომ, ჩაიცვა და კარი მაგრად მოაჯახუნა.

ანდრო სამსახურში წავიდა. ერთხანს შენობაში იბორიალა, მერე დირექტორის კაბინეტში ტახტზე წამოწვა, ფიქრს მიეცა და ჩაეძინა.

როცა გაიღვიძა, დროის მოსაკლავად დიდხანს ესაუბრა დარაჯს და სადამოს ქუჩაში გავიდა. დამე სადღაც უნდა გაეთია და გადაწყვიტა მძასთან წასულიყო.

რძალს ცივი თვალები და მუდამ უყ-

მაყოფილო სახე ჰქონდა, ანდროს არ უყვარდა იგი და იშვიათად დადიოდა მძასთან.

მძას გაუხარდა ანდროს ნახვა, იფაშმეს, ისაუბრეს და ბოლოს ანდრო გამოტყდა, სიდედრს ვეჩხუბე და შინ ვერ დავბრუნდებო. რძალს არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ანდრო ლოჯიაში დააწვინეს. ტახტი მოუხერხებელი იყო, დიდხანს იწოი-ალა, მერე ადგა და ფანჯარასთან მივიდა. მოწმენდილ ცას სავეს მთვარე ანათებდა, ვარსკვლავები კრთოდნენ. ჰაერი არ იძვროდა, უჩვეულო სიჩუმე იდგა, მხოლოდ ქვემო სართულიდან ვიდაცის ზვრინვა ისმოდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან იღვრებოდა რბილი, ვარდისფერი შუქი და მყუდრო ბინაში ცხოვრების სურვილს აღუძრავდა კაცს. „ხომ ცხოვრობს ხალხი აღამიანურად, მე რა ღმერთი გამიწყრა? — ფიქრობდა ანდრო. — რატომ უნდა მეძინოს მე სხვასთან? .. სულ იმ არარაობის ბრალია. ღმერთო, რა სახე ჰქონდა, რა სახე! .. საიდანა აქვს ამდენი სიძულვილი, საიდან? .. არადა, თავისი სახლიდან ხომ ვერ გაავდებ, რა უნდა ქნა. როცა ჩემი ბინა მექნება, აუცილებლად გაავადებ და ჩემ ხაზს გაავტარებ. რა სახე ჰქონდა... ასეთი სახე არც მინახავს. საიდანა აქვს ამდენი სიძულვილი? ..

ანდრო დაწვა. მას საკუთარი ბინა დაესიზმრა, მერე სიდედრი. სიდედრი უყვიროდა, წაეთრიე აქედან, შე გათახსირებულო...

მეორე დღეს მძამ ღვინო მოიტანა. ორი ბოთლის მერე ანდრომ ველარ მოითმინა და დაგროვილი ბოლმა გადმონთხია:

— ლუკმას მამადლის, თითქმის მაგის პურს ვჭამდე! შენ ცოლშვილს აგარაკზე მე ვაგზავნიო, პიანინო მე გიყიდევო, პალტო მე გიყიდევო. რად მინდა მაგის პალტო? წაიღოს თავისი პიანინო და პალტო და წაეთრიოს! მე მშრომელი

სიმონ ჯაფარიძე
მონუმენტალიზმი

კაცი ვარ და სხვისი არაფერი მინდა, ჩემ ცოლ-შვილს მე თვითონ მივხედავ. მე პატიოსანი კაცი ვარ, არასოდეს არ მიქურდია და ვერც ასლა მოვიპარავ. რა უნდა ჩემგან მაგ არაბობას, რა!?! — ანდრო ხმამალა ლაპარაკობდა, ანთებული თვალებით ხან ძმას უცქერდა, ხან რძალს, თითქოს მათგან ელოდა მხარდაჭერას.

— რას იზამ, ცოტა უნდა მოითმინო, — უთხრა რძალმა.

— როდემდე უნდა ვითმინო, როდემდე?! .. უკვე აქ ამოვიდა. არ მინდა არც პიანინო, არც პალტო, წაიღოს ყველაფერი და წაეთრიოს! .. რა სახე ჰქონდა, იცი? .. საიდანა აქვს ამდენი ბოლმა. საიდან? — ანდრო გაჩუმდა და მაგიდას მიაჩერდა, მერე თავი ასწია, თვალები მოწყურა და ძმას ჩუმად ჰკითხა:

— იცი, რა მითხრა? .. გათახსირებული... ვინაა გათახსირებული, მე? — იგი ამღვრული თვალებით ძმას მიაჩერდა — მე ვარ გათახსირებული? — ჩუმად გაიმეორა, დანას ხელი სტაცა, წამოხტა და კარებისკენ გაემართა. — მოვკლავ, მაგის...

ძლივს დააწყენარეს ანდრო, დანა წაართვის და დამალეს. ძმას კიდევ უნდოდა სმა, მაგრამ ცოლმა ღვინო გადამალა. ანდროსაც უნდოდა ღვინო, სინანულით უცქერდა ცარიელ ჭიქას, მერე ძმას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— შენი ხაზი უნდა გაატარო, — ჩაფიქრდა და დაუმატა: — განუხრელად!

ერთი კვირა იცხოვრა ანდრომ ძმასთან. სამუშაოდან გვიან ბრუნდებოდა, რძალს ერიდებოდა და რესტორანში სადილობდა. ჭამის დროს რძალი თავისი ცივი თვალებით სულ პირში უცქერდა. ანდროს ეჩვენებოდა, რომ ბევრს ჭამდა, რძალს ენანებოდა საკმე-ლი და ლუკმა ყელში არ გადასდიოდა.

ერთხელ რძალმა მარტო გამოიჭირა და ჭკუის დარიგება დაუწყა. მისი კლავიკულა კიდან გამოდიოდა, რომ ანდრო აუცილებლად უნდა შერიგებოდა სიდედრს და ოჯახში დაბრუნებულიყო. ანდრო მიხვდა — რძალს მისი სიდედრთან შერიგება იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც თავიდან მოცილება უნდოდა. „არაბობაა“, — გადაწყვიტა მან და კიდევ უფრო შეიძულა რძალი.

ერთი კვირის მერე ანდროს თავისი გოგონა მოენატრა. გარდა ამისა, შინაურ საკმელს და დიდტას მიჩვეულმა კუჭმა შეაწუხა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა.

კვირა დღე იყო. ანდრომ კარი გააღო და სახლში შევიდა. სამზარეულოდან ცოლი გამოვიდა, გაკვირვებული მიაჩერდა და ოდნავ გაუღიმა. ღიმილმა გაათამამა და ცოლს ლოყაზე აკოცა.

— ლია სადაა?

ცოლმა ოთახზე ანიშნა.

— მაიკო! — ლია გამოიქცა და ჩაეხუტა. ანდრომ იგრძნო, რომ გულში რაღაც თბილი, მშობლიური ჩაედვარა, მაგრად ჩაიკრა ბავშვი და დიდხანს არ უშვებდა. „როგორ მომნატრებია“, — გაიფიქრა მან, ბავშვი მუხლებზე დაისვა და უთხრა:

— დღეს ცირკში წავიყვან.

ოთახში ჟუჟუნა შემოვიდა.

— ბავშვს სულ აღარა აქვს ხილი, — თითქოს სხვათა შორის თქვა მან.

ცოტა ხნის მერე ანდრო დიდი ჩანთით ხელში ბაზარში მიდიოდა. ჯიბეში საყიდლების გრძელი სია ედო. „ბავშვის გულისთვის თორემ... ბავშვი რა შუაშია. იმას რომ ეთქვა, ღინაზე არ წავიდოდი“. სიდედრის გახსენებამ გუნება წაუხდინა, მერე გაახსენდა, რომ დღეს გემრიელად ისადილებდა და ნაბიჯს აუჩქარა.

კ ბ ი ლ ა ძ ე

კბილაძემ საქმეზე გული აიყარა. ეს ასე მოხდა: კვარტალი თავდებოდა, გეგმა შეუსრულებელი იყო. კბილაძე დილიდანვე თავაუღებლად ხაზავდა და დაიღალა. გაიზმორა, სკამის სახურავზე გადაწვა, გრძლად დამთქნარა, სიამოვნებისგან თვალები მილულა, ერთხანს ასეთ მდგომარეობაში იჯდა და როცა თვალები გაახილა, განყოფილების უფროსი ნეიძე დაინახა. იგი უკმაყოფილოდ უცქერდა, მერე მკაცრად უთხრა:

— ახლა მთქნარების დროა?!

კბილაძე უხერხულად შეიშმუშნა, არაფერი უპასუხა და მუშაობა განაგრძო. მერე ჩაფიქრდა: „რა მოხდა, ერთხელ დავამთქნარე და ამაზე შენიშვნა უნდა მომცეს?.. მთელი დღე ვირივით ვმუშაობ და დამთქნარების უფლებაც არა მაქვს?.. შესვენებას მე არ ვიყენებ, სამუშაოს მერე ვრჩები, ვინ გიფასებს? მაინც სულ უკმაყოფილოა, ექვსი წელია აქ ვმუშაობ და სულ უკმაყოფილოა, სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ კვარტლის ბოლოა და გეგმას ვერ ასრულებენ, სულ მაჩქარებს, ჩქარა, ჩქარა! საკითხავია, სად ეჩქარებათ, სად?... ამ სიჩქარეში გავა ცხოვრება და მორჩა. მერე ვიღაც სხვა მოვა, ისიც ასევე იმუშავენს, მერე კიდევ სხვა და ასე. მერე, რა იქნება მერე?.. მერე ვერ შეასრულებენ გეგმას, გააუქმებენ ორგანიზაციას და მორჩა. რას ვიკლავ ნეტავი თავს, ვის სჭირდება ეს ოხერი ნახაზები, აკინძავენ და ჰაიდა, — არქივში, აღარც ჩაიხედავს შიგ არავინ. მე კი ვზივარ და თავს ვაკლავ, ვისთვის?.. მთელი დღე ვირივით ვმუშაობ და ეს კრეტინი დამთქნარებისთვის შენიშვნას მაძლევს. კვარტლის ბოლო... მიმიფურთხებია თქვენი კვარტლის ბოლოსთვის!“ ამ ფიქრებმა ისე ააღელვა, რომ სიგარეტი გააბოლა. თან ფანჯარაში იცქირებოდა და ფიქრობდა. რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო იბოლმე-

ბოდა. მერე ნახაზები გადახია და კალათში ჩაყარა.

— მიმიფურთხებია თქვენი სამუშაოსთვის! დაწერე განცხადებას და წავალ!

ასეთი გადაწყვეტილების მერე ისეთი სულიერი სიმშვიდე დაეუფლა, თითქოს დირექტორმა უკვე რეზოლუცია დაადო მის განცხადებას და თავისუფალი იყო. კმაყოფილმა დინჯად გააბოლა, სიგარეტიც უფრო გემრიელი ეჩვენა. უცნაურია, რატომ ადრე არ უფიქრია ამაზე. თუმცა სად იყო ფიქრის დრო როცა ნეიძე სულ იძახდა ჩქარა, ჩქარა, ჩქარაო!.. ნეიძის გახსენება არ ესიამოვნა, მაგრამ მერე მოაგონდა, რომ უკვე აღარ ემორჩილება მას.

ნეიძე განყოფილებაში არავის უყვარდა. იგი საერთოდ არ ილიმებოდა. სამუშაოს მერეც ვერ იფიწყებდა სუბორდინაციას და ხელქვეითებს ყოველთვის აგრძნობინებდა, თქვენზე მაღლა ვდგავარო. შავ შლაპას ატარებდა, თავაწეული დადიოდა და კიდევ ცოტაც რომ დაეწინაურებინათ, ალბათ ზემოთ აფრინდებოდა. ქუჩაში შეხვედრისას კბილაძეს უცნაური სურვილი ებადებოდა, ძალიან უნდოდა უფროსი გაეჩერებინა, ხელი ჩამოერთვა, ზრდილობიანად მოეკითხა, მერე უცებ თავში ხელი წამოერთყა ისე, შლაპა რომ გადავარდნოდა და ნეიძის შეცბუნებული სახისთვის ეცქირა.

ახლაც მისი სახე წარმოიდგინა და ამან სიამოვნება მოჰგვარა. ძალიან მოუნდა ნეიძე მოსულიყო. „მოვა და მკითხავს, კბილაძე, დაამთავრეთ ნახაზით, — ფიქრობდა იგი, — მე ვეტყვი, არა, ბატონო კაკო, არ დამამთავრებია. მეთქი. ძალიან ზრდილობიანად ეუბასხებ. რატომ არ დაგამთავრებიათ? იმატომ არ დამამთავრებია, ბატონო კაკო, რომ მიმიფურთხებია მე თქვენი ნახაზე-

სიმონ ჯაფარიძე
მოთხრობები

ბისტვის საერთოდ!“ — მიმიფურთხე-
ბია თქვენი ნახაზებისთვის, — მი-მი-
ფურ-თხე-ბი-ა! — ხმამალა თქვა
მან. სიტყვას მიმიფურთხეობა, განსა-
კუთრებით სიამოვნებით წარმოთქვამდა.
პირდაპირ ასევე ეტყვის: მიმიფურთხე-
ბია! სასეში ესვრის ამ სიტყვას, გაშტე-
რებული ნიძე პირს დააღებს, თვალები
გაუფართოვდება. მერე მის თვალწინ
დაწერს განცხადებას და მიუგდებს.

კბილაძემ მაგიდა მიაღება, შუაში
სუფთა ფურცელი დადო, ზემოდან
— კალმისტარი. დემონსტრაციულად
არაფერს არ აკეთებდა და ნიძეს უც-
დიდა. რა სასიამოვნოა უსაქმოდ ჯდომა,
არაფერს არ აკეთებ, ზიხარ შენთვის და
ფიქრობ. არავინ არ გაჩქარებს, ხარ
შენთვის და ყველაფერი ფეხებზე გვი-
დია. იგი ადგა და ოთახში სეირნობა
დაიწყო. ყველანი მუშაობდნენ. „მუშა-
ობთ, ხო?.. იმუშავით, იმუშავით!..“
სახეზე ირონიული ღიმილი დასთამა-
შებდა. მან ზომ ისეთი რაღაც იცოდა,
რაც სხვებმა არ იცოდნენ, იმიტომ კი
არა, რომ მათზე ჰქვიანი იყო, არა, უბ-
რალოდ მათ არ უფიქრიათ ამაზე, მუშა-
ობდნენ და ფიქრის დრო არ ჰქონდათ.
„სად გეჩქარებათ, ხალხნო, სად?..“ იგი
ჯანყარაშვილთან მივიდა. ჯანყარაშვილი,
დარდისგან მოტეხილი კაცი, ისე თავ-
გამოდებით ხაზავდა, თითქოს ამ ნახაზ-
ზე ეკიდა მისი ბედ-იღბალი.

— მუშაობ, ხო? — ირონიულად ჰკი-
თხა კბილაძემ. ჯანყარაშვილს არც ამო-
უხედავს, მხოლოდ რაღაც გაუტყვევ-
ლად ჩიიდუღდუნა. — მუშაობ, ხო?
— გაუმეორა კბილაძემ.

— მააშ.

— მერე?

— რა მერე?

— მერე რას იზამ?

— დამთავრდება სამუშაო და წავალ
შინ, — ჩაიხითხითა ჯანყარაშვილმა.

— მერე, სულ ასე უნდა იმუშაო?

— მააშ!

— მერე არ გბეზრდება სულ იმუშა-
ობა, მუშაობა, მუშაობა...

ჯანყარაშვილმა ამოხედა და სახეზე

გაკვირვება გამოეხატა, რა უცნაურად
ლაპარაკობს ეს კაცი.

— მაშ რა გქნა?

— იმუშავე, იმუშავე! — კბილაძემ
სინანულით გადახედა მას და გაიფიქრა:
„მააშ... არაფერზე არ ფიქრობს, ზის და
მუშაობს. ან რა საჭიროა რომ იცოდეს,
მე ვიცი და საკმარისია. ეგ იჯდეს და
იმუშაოს, მე კი მიმიფურთხეობა ყველა-
ფრისთვის“.

— მიმიფურთხეობა! — თქვა მან.
ერთხანს იჯდა და ნიძეს უცდიდა, ძა-
ლიან უნდოდა ეს სიტყვა მიეხალა, მა-
გრამ უფროსი არ ჩანდა. მერე იფიქრა,
ასეთ ამინდში კარგია გასეირნებო და
ქუჩაში გამოვიდა.

მზიანი დარი იდგა, თბილოდა. ქუჩა
ხალხით იყო სავსე. კბილაძე უცქერდა
კვირტამოყრილ ხეებს, კრიალა ცას და
ფიქრობდა, რომ სიჩქარეში და ფუს-
ფუსში ვერც შეამჩნია გაზაფხულის
მოსვლა. არა, შემჩნევით კი შეამჩნია,
მაგრამ როგორღაც ყურადღება არ მი-
აქცია, თითქოს გვერდით ძალიან ლა-
მასმა ქალმა. ჩაუარა, შეხედა, მაგრამ
ვერ შენიშნა მისი სილამაზე. „ასე, ამ
უზბო ფუსფუსში ჩაივლის ცხოვრება
და ვერაფერს ვერ შეამჩნევ. ვანა ბევრი
გაზაფხულია ადამიანის ცხოვრებაში?..“

ნელა მისეირნობდა და გამვლელებს
ათვალიერებდა. მერე ლუდი მოუწდა,
სასაუზნეში შევიდა. კათხის პირს მარო-
ლი მოაყარა და ნელა მოწრუპა ცივი
სითხე. პირველს მეორეც მიაყოლა, ხინ-
კალი აიღო, ჭამდა და პატარა ყლუპებით
აყოლებდა ლუდს. მერე სიგარეტი გა-
აბოლა, ეწეოდა და ფიქრობდა, რა კარ-
გია თავისუფლებო. რა არის, ბოლოს
და ბოლოს, თავისუფლება?.. როცა არა-
ვის არ ემორჩილები, დადისარ როგორც
გინდა და რასაც გინდა აკეთებ. ესაა
თავისუფლება, მეტი კი არაფერი... აბა
ის რა თავისუფლებაა, როცა კრეტინი
ნიძე ყოველდღე გიმეორებს, „ჩქარა,
ჩქარა, ჩქარა!“.. მერე, ვინაა ასეთი
თავისუფალი?.. ნიძე? ნიძე გალდავას
ემორჩილება, გალდავა — კუტუბიძეს,
კუტუბიძე კიდეც სხვას და ასე. ვაშ

ვინაა თავისუფალი? — „მე ვარ თავისუფალი და მიმიფურთხებია თქვენი ნახაზებისთვის, დავწერ განცხადებას და წავალ,“ — გაიფიქრა მან და პარკში წასვლა გადაწყვიტა.

კბილაძე ავტობუსში ჩაჯდა, მაგრამ ბილეთი არ აუღია.

— მიმიფურთხებია თქვენი ბილეთისთვის! აბა მითხრას ვინმემ რამე!

პარკში შევიდა, ერთხანს აუზთან იდგა და შადრევანს უცქერდა, მერე მერხზე ჩამოჯდა. აქვე პენსიონერები ისხდნენ, ჭადრაკს თამაშობდნენ, საუბრობდნენ ან უბრალოდ არაფერს არ აკეთებდნენ — ისხდნენ და შადრევანს უცქერდნენ. როდისმე ისიც პენსიონერი გახდება, მოვა აქ და იჯდება უსაქმოდ. პენსიონერები... აი, ვინ არიან თავისუფალი. იღებენ თავის პენსიას, არავის არ ემორჩილებიან, ცოლ-შვილი მავათ არ აწუხებენ, არსად არ ეჩქარებათ, სხედან და ფიქრობენ. როდისმე ისიც მათსავით იქნება, სიბერეს ვერ გაექცევი, მაგრამ რატომღაც ცხოვრება ასე უცნაურად მოწყობილი, რომ თავისუფალი მხოლოდ სიბერეში ხდება, როცა აღარაფერი შეგიძლია? მაგრამ პენსიამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, შეიძლება ამაზე არც ფიქროს კაცმა.

იქვე პატარა ბავშვები თამაშობდნენ, ნიჩბით ქვიშას ახორავებდნენ, მერე ნიჩბის გულისთვის წაიჩხუბნენ და მოხუცმა გააშველა. „ბავშვები — ჩვენი ცხოვრების ყვავილები“, — გაახსენდა სადღაც ამოკითხული ფრაზა. ყვავილებმა ჯერ არ იციან ის, რაც მან იცის, გაიზრდებიან, იმუშავენ და ერთ მშვენიერ დღეს უცებ მიხვდებიან. ყველა, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდება. იმუშავენ, დაბერდება და ასე გავაცხოვრებ-

ბა. მერე გავლენ პენსიაზე, დასნდებიან ბაღში და არაფერს არ გააკეთებენ. ამასობაში სხვა ყვავილები წამოიზრდებიან, ისინიც იმუშავენ, მერე კიდევ სხვები და ასე. კბილაძე დიდხანს ფიქრობდა ცხოვრებაზე, მერე მოშვიდა და სახლისკენ გაემართა.

— მოდი, ისადილე, — უთხრა ცოლმა.

— მიმიფურთხებია თქვენი სადილისთვის! — ცოლს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, იფიქრა, ალბათ რაღაც უსიამოვნება შეხვდა და ცუდ გუნებაზეაო.

კბილაძემ მაინც ისადილა და დაიძინა. მეორე დღეს გვიან ადგა.

— სამუშაოზე არ მიდიხარ? — ჰკითხა ცოლმა.

— მიმიფურთხებია სამუშაოსთვის!

— რა მოხდა, კაცო, აღარ იტყვი?

— შეწუხდა ცოლი.

— რა მოხდა და არაფერიც არ მოხდა. არ მინდა და არ მივდივარ!

— გაგიჟდი, კაცო?

— ჩემი ნება არაა? არ მინდა და არ მივდივარ!

კბილაძემ ისაუზმა, გაზეთები იყიდა და პარკში წავიდა. ნელა გადაიკითხა გაზეთები. შუადღეზე სასაუზმეში ლუდი დალია. მერე პარკში იჯდა და ფიქრობდა. ასე გრძელდებოდა ერთი კვირა. ბოლოს მოებზრდა უსაქმურობა, სამუშაოზე გამოცხადდა, ავად ვიყავიო, თქვა და მუშაობას შეუდგა.

კბილაძე დინჯი გახდა, აღარ ჩქარობდა, ნელა დადიოდა, აუჩქარებლად მუშაობდა, ზოგჯერ შეწყვეტდა მუშაობას და ფიქრობდა, ფიქრობდა... რაზე ფიქრობდა?

ბოლო

ჯანბუარაშვილი სიღერს ეჩხუბა და სახლიდან წავიდა.

ღამის თორმეტი საათია. ნასვამი ჯანბუარაშვილი ქუჩას მიყვება და თავის-

თვის ლაპარაკობს. — როგორ გამიბედა, მაგის... მე მინდა დავლევ, მინდა არ და-

სიმონ ჯაფარიძე
მოთხრობები

ვლევ, რა შენი საქმეა! მინდა ვიმღერებ; მინდა არ ვიმღერებ. რატომ დალიე, ნასევამი რატომ მოხვედლიო. შენ ვინ გეკითხება, ნასევამი მოვალ თუ ფიზიკალი! მინდა და ვსევამ. შენი ფულით ხომ არ ვსევამ. ჩემი ფულია, მინდა დავლევ, მინდა არა, რას ეჩრები ჩემ საქმეში? მე ტარიელ ზანგურაშვილი ვარ! უფროსი ლეიტენანტი ტარიელ ზანგურაშვილი!.. მაშინ რომ დამიწყო კიდეც ლაპარაკი. — იგი ძველ წყენას იხსენებს, იბოლმება. მერე ჩერდება, მილიციის შენობას ხედავს, უკვირს რომ აქ მოხვდა და არ იცის რა ქნას; ტანსაცმელს ისწორებს, მკაცრ იერს იღებს და განყოფილებაში შედის.

სამორიგეოში უმცროსი ლეიტენანტი ენვერ ომიადე და მძლოლი კრაწაშვილი კამათობენ.

— ზვანჭკარა სჯობია, — ამბობს ომიადე.

— ევე... აბა, რას ამბობ, ქინძმარაულს ღვინო სჯობია?

— ზვანჭკარას, შენ რომ იცოდე, მთელ მსოფლიოში იცნობენ, როგორც საუკეთესო სადესერტო ღვინოს.

— მაშ, ქინძმარაულს არ იცნობენ?

— იცნობენ, მაგრამ ზვანჭკარა უფრო ცნობილია, ოცდაათ ქვეყანაში გააქვთ. შენ რომ იცოდე, ზვანჭკარას უფრო მდიდარი თაიგული აქვს.

— თაიგული არ ვიცი მე, — ბრახდება მძლოლი. — მე გემოს გეუბნები, გემოს!

— შენი წონა მარტო ოჭროს მედლებზე აქვს მიღებული ზვანჭკარას.

— მაშ, ქინძმარაულს არა აქვს?

— ზვანჭკარას მეტი აქვს. თუ გინდა დამენიძლავე. — ომიადე ხელს უწვდის, კრაწაშვილი ერთხანს ფიქრობს, ვერ გადაუწყვეტია დაენიძლავოს თუ არა, მერე გამომცდელად ეკითხება:

— მაშ ზვანჭკარა სჯობია ქინძმარაულს?

— მაშ. — აჯავრებს ომიადე.

— ტარიელსა ვკითხოთ! რომელი სჯობია, ზვანჭკარა თუ ქინძმარაული?

— ეკითხება მძლოლი. ზანგურაშვი-

ლი თვალებს ზუჭავს, ცდილობს ამ ღვინოების გემო გაიხსენოს, პირში სხვა ღვინის გემო უდგას, ამ ცოტა ხნის წინ რომ დალია.

— რვა ნომერი სჯობია, — ამბობს იგი.

— ევე... აბა შენა ყოფილხარ... — ნაწყენი მძლოლი ხელს ჩაიქნევს და გადის.

— რა ჯიუტი ვინმეა, კაცო, დაუჯინია ქინძმარაული და ქინძმარაული, ნამდვილი რეგვენია.

— შენც მოგცლია, — ეუბნება ზანგურაშვილი და მაგიდასთან ჯდება. — რა მნიშვნელობა აქვს მაგას?

ომიადე გაკვირვებული უცქერის ზანგურაშვილის მოღუშულ სახეს.

— შენ რაცხა ხასიათზე ვერ ხარ, ვინმემ ხომ არ გაწყენინა?

ზანგურაშვილს სურვილი ებადება მორიგეს თავისი ამბავი მოუყვეს, მაგრამ ყოყმანობს, — რას იფიქრებს ახალგაზრდა უმცროსი ლეიტენანტი, ეს კაცი სიღერს ვერ მოერიო და ბოროტმოქმედებთან რას გახდებაო. იგი ძლიერ პიროვნებას თამაშობს და ეშინია მორიგემ სუსტ კაცად არ ჩათვალოს.

— ვინ გამიბედავს! — ზანგურაშვილი შუბლს იჭმუხნის. — ჩემი ხასიათი ხომ იცი შენ.

მორიგე ჟურნალს ფურცლავს. ზანგურაშვილი სიღერზე ფიქრობს და იბოლმება.

— დომინო გინდა? — ეკითხება ომიადე.

— მოიტა.

მორიგე ქვებს მაგიდაზე ყრის და ურევს.

— ათი ჩავიწერე, — ამბობს ომიადე და ქვას მაგიდას ურტყამს.

— ნუ აბრაზუნებ. — აფრთხილებს ზანგურაშვილი.

ოთახში კრაწაშვილი შემოდის, მაგიდასთან დგება და თამაშს უცქერს.

— დავამთავრე. ხელში რამდენი გაქვს? — მორიგე ქვას ახეთქებს და ფანქარს იღებს.

— ნუ აბრახუნებ. — ზანგურაშვილი თავის ქვებს თვლის.

პირველ ხელს ომიადე იგებს. ზანგურაშვილს არ სიაშოვნებს უმცროს ლეიტენანტთან წაგება, თავს დამცირებულად გრძნობს, იღუშება და ქვებს ურევს.

— თხუთმეტი ჩამიწერე. — ზანგურაშვილი ქვას მაგიდაზე დებს და ჩანაწერს თვალს ადევნებს.

— ოცი! — უხარია ომიადეს და ქვას მაგიდაზე ახეთქებს.

— ნუ აბრახუნებ, რამდენჯერ უნდა გითხრა! — მკაცრად ეუბნება და შუბლს იჭმუხნის.

ერთხანს უხმოდ თამაშობენ. ომიადეს ოცდაათი ქულა აკლია, ზანგურაშვილი კი წამდაუწუმ ყიდულობს ქვებს. მორიგე ისევ აბრახუნებს.

— ათჯერ გითხარი, ნუ აბრახუნებ! — ზანგურაშვილი ქვებს ყრის და ურევს. — აღარ მინდა!

— მოგებული ხელია... — წყინს ომიადეს.

— ათჯერ გითხარი, ნუ აბრახუნებ-მეთქი, ჭინაზე მიკეთებ, ხო?!

— რა მოხდა, კაცო, ყველა აბრახუნებს... თამაშია...

ზანგურაშვილი ჩუმად ზის და იბოლმება. „უმცროსმა ლეიტენანტმა როგორ უნდა მომიგოს... ალბათ ჰგონია რომ ჩემზე მაგარი... სიაშოვნებით დავგრეხდი ამ საცოდავს და გაიგებდა ჩემს ძალას“.

— ტარიელ, მოდი ვითამაშოთ, — სთხოვს მოწყენილი მორიგე. ზანგურაშვილი ერთ წერტილს მისჩერებია და არ პასუხობს.

— აღარ დავაბრახუნებ, კაცო, რა გეწყინა.

— არ მინდა!

ზანგურაშვილი თავის ოთახში გადის, ტახტზე წვება, ფიქრობს და ვერ იძინებს. „უმცროსმა ლეიტენანტმა როგორ უნდა მაჯობოს, ყველაფერში მაგაზე მაგარი ვარ: ჭადრაკში ვუგებ, შაშში ვუგებ, დომინოში როგორ მომიგო... განზრახ აბრახუნებდა რომ ნერვები ამშლოდა, თორემ ეგ ჩემი მომგები არაა,

დავანგრევ ყველაფერში. ჩემზე მეტად წონა აქვს, მაგრამ სულ ვაბურთავებოდა ტყლაპივით გაეკრავე ხალიჩაზე. — მან ხალიჩაზე გაკრული ომიადე წარმოიდგინა, მერე სიდედრი გაახსენდა. — როგორ გამიბედა, მაგის!.. მაგან არ იცის ჩემი ძალა. ორ თითს მოვუჭერ მკლავზე და ვაკივლებ დასაკლავი ღორივით. მერე გაიგებს ჩემ ძალას. მაგას მე ვინა ვგონივარ...“ სიდედრის მიმართ დაგროვილი ბოღმა იმდენად ძლიერია, რომ ომიადეზე გაბრაზება ვერ ახშობს მას, ერთს მეორე ემატება, გულში ვეღარ ეტევა და გადმონთხევის სურვილს ბადებს.

— მე მაგას ვინ ვგონივარ?... ვინ ვგონივარ მაგას მე? — თავისთვის იმეორებს და ოთახში დადის. — ტარიელ ზანგურაშვილი თავს არავის დააჩაგვრინებს, ეს უნდა იცოდეს ყველამ! — ხმა მალლა ამბობს და ოთახიდან გადის.

ომიადე მაგიდასთან ზის და თვლემს. ზანგურაშვილი კარს აჯახუნებს, მორიგე თვალს ახელს, უაზროდ მისჩერებია, მერე ეკითხება:

— ვითამაშოთ?

ზანგურაშვილი შეკითხვას დაცინვად ლებულობს და გაბრაზებული პასუხობს:

— არ მინდა!

მაგიდასთან ჯდება, ერთხანს მოღუშული ზის და საკუთარ ხელებს ათვალიერებს, მერე სიარულს იწყებს. გაზიარებული ჰირო ნახევარი ჰიროთ, ნათქვამია, უნდა, რომ დაგროვილი ბოღმა გადმონთხიოს, მოყვებს და გული იოხოს, მაგრამ ყოყმანობს — რას იფიქრებს ომიადე, კაცი უფროსი ლეიტენანტია და სიდედრს ვერ მოერიათ.

— შენ რაცხა ხასიათზე ვერა ხარ, — ეუბნება მორიგე.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, რაცხა კი არა, რაღაცა, რა-ღა-ცა! — უსწორებს ზანგურაშვილი. — კულტურული ადამიანი სწორად უნდა მეტყველებდეს.

ზანგურაშვილი ფანჯარასთან ჩერდე-

სიმონ ჯაფარიძე

მოთხრობები

ბა. ქუჩა ცარიელია, მაგრამ ამას ვერ ამჩნევს, მერე ხმამაღლა ამბობს:

— მინდა და ვსვამ, შენ ვინ გეკითხება! (მორიგისკენ ბრუნდება). მაგას ვინ ვგონივარ მე, ქურდები ვერ დაგიჭერიაო, მეუბნება. მაგან არ იცის შეიარაღებული რეციდივისტი რომ შევიპყარი. ვინ ვგონივარ მაგას მე, ეგ როგორ გამიბედა! (სიჩუმე). იცი რა მითხრა?..

— ვინ კაცო, რა გითხრა? — ვერაფერი გაუგია ომიძეს.

ოთახში კრაწაშვილი შემოდის, კედელთან ჩერდება და ზანგურაშვილს უცქერს.

— რაო, რა გითხრა? — ეკითხება და ინტერესებული მორიგე. ზანგურაშვილს არ სიაშინებდა მძლავრის დასწრება, მაგრამ ველარ ჩერდება და განაგრძობს:

— იცი, რა მითხრა... შენი ტანის პატრონი მილიციაში არ უნდა მუშაობდესო.

— მაშ სად უნდა მუშაობდესო? — ეკითხება კრაწაშვილი.

— სად და... რა ვიცი მე სად! — ბრაზდება ზანგურაშვილი. სიდედრმა უთხრა: შენი ტანის პატრონი ცირკში უნდა მუშაობდესო, მაგრამ თავმოყვარეობა არ აძლევს ამის გამეორების უფლებას.

— ვინ გითხრა ეგა? — ეკითხება მძლავრი.

— სიდედრმა მითხრა!

— სიდედრმა რომ ეგრე მითხრას, გავხლეჩავ შეაზე! — ამბობს მძლავრი.

ბანდიტებს და რეციდივისტებს ჩემი სახელის გაგონებაზე ცივი ოფლი ასხამთ, ეგ კი მეუბნება, ქურდები ვერ დაგიჭერიაო. რამდენი ქურდია, ყველას ხომ ვერ დავიჭერ?

— რას ამბობ, ყველას ვინ დაიჭერს?! — ამბობს კრაწაშვილი.

— სიმაღლეს რა ჰქუა აქვს, მთავარია ილეთები იცოდე. მე სამბისტი ვარ, კარატეს ილეთებიც ვიცი. ასკილიან კაცს ისე დავცემ, აზრზე ვერ მოვა. შენ რამდენი კილო ხარ? — ეკითხება მძლავრი.

— მეე... ოთხმოცდაათზე მეტი ვიქნები.

— მე სამოცდახუთი ვარ, მოდი დამეჭიდე! — ამბობს და მძლავრს მკლავზე მარჯვენას ავლებს, მძლავრი ცდილობს განთავისუფლდეს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— თავი დამანებე, კაცო, მე მაგის თავი სადა მაქვს!

— შენ რამდენი კილო ხარ? — მიმართავს ომიძეს.

— ოთხმოცდახუთი.

— მოდი, კარატეს ილეთს ჩაგიტარებ... ნუ გეშინია, არაფერს გატყენ.

— არ მინდა, არა... გამიშვი... — მორიგემ იცის ზანგურაშვილის ძალა.

— რეციდივისტი რომ განვაიარაღე, ხომ გახსოვთ? მე, ციხისელი და მძევლური ვიყავით ოპერატიულ ჯგუფში. პალტოს ქვეშ ავტომატი ჰქონდა, ჯიბეში — ხელყუმბარა ელბაქიდის დაღმართზე მოდიოდა არხინად. პატარა ილეთი... ჰოპ, და ისე აფუარე იარაღი, ვერც გაიგო... — ზანგურაშვილი აზარტში შედის, ველარ ჩერდება და სხვა ამბავს ყვება.

— აი, აქ გამიარა ტყვიამ, — ცერს საფეთქელს აყოლებს, — ერთი მილიმეტრი და მორჩენილი იყო ჩემი საქმე.

სიგარეტს უკიდებს, ბოლს მალლა უშვებს და მისჩერებია. ერთხანს ასეა, მერე თითქოს თავის თავს ეკითხება:

— რა არი ჩვენი ცხოვრება? .. აა, ამხელა ტყვია კლავს კაცს.

— მაშ, — ამბობს კრაწაშვილი და მრავალმნიშვნელოვნად იქნევს თავს.

— ვითამაშოთ? — ეკითხება ცოტახნის მერე მორიგე.

— მოიტა.

ომიძე ქვევს ურევს.

პირველ ხელს ზანგურაშვილი იგებს. მორიგე ქვევს მაგიდაზე აბრაახუნებს.

ზანგურაშვილიც აბრაახუნებს. მეორე ხელიც მოიგო და ახლა კარგ გუნებაზეა.

ტაბუ მებაურიშვილი

სინათლის ურთები

პირველი სიზმარი

ოცი წლის შემდეგ.
შემოსილი შუქთა მოვითა,
ჩემი სიზმრების
გაზაფხული ისევ მოვიდა.
კი არ მოვიდა,
სიყვარულის ფრთებით მოფრინდა
ჩემი წარსულის
დატირებულ წუთისოფლიდან.
შენ მოხველ ჩემთან
გულწითელა მზით და სამოთხით
და ჩემს მარცხენა
ხელის გულზე
ბედს მკითხაობდი.
არსად საზღვრები,
ღობეები,
არსად მიჯნები...
ჩრდილის და ლანდის
სიმსუბუქით მივაბიჯებდით,
რადგან ჯერ ქვეყნად
არ გვეგემნა
ცოდვის ნაყოფი
და ყველა ბოროტ სადღედეზე
კეთილს ვამყნობდით.
მხრებზე პეპლები
გვასხდებოდა მენჩერ ჩეროთა.
შენი სიცილი

ყვავილივით იფურჩქნებოდა.
რა მიმოზნები!
რა ტიტები!
...და რა იები!
დარაიები!
ნისლის ლურჯი დარაიები!
შენ საქორწილოდ
გაზაფხულის ცას იკერავდი,
ჩემგან მოძღვნილი
თეთრი ვარდი გესხა ყელამდი.
სივრცეს ავსებდა
შენი ღიმის ცისარტყელები
და მე ყამარის კოშკს
ვაგებდი
შიშველ ხელებით.
ბოლოს დამადგა
ჯალათივით თავზე ღვიძილი,
გაქრა ზმანება,
სანთელივით ჩაქრა სიცილი.
...
დავბრუნდი ცხადში...
ვწევარ,
თავი ბალიშზე მიდეგს
და მისარია:
სიზმრის ნიჭი
რომ შემრჩა კიდე.

მეორე სიზმარი

წითელპერანგა გოგო მიჰქროდა,
მისდევდა მოთქმა ჩემი ჯაჭვების...
და ჩემი წილი ზეცა მიჰქონდა,
ზეცა კი არა ზეცის ნაჭერი.
ის ჰგავდა წითელ ჭიამაიას
და ძლიერ ქარში ფრენა უჭირდა,

იგი გაფრინდა, ვით სამარიდან, —
ადამიანის ცივი მუჭიდან.
ჩემი წითელი ცეცხლი ბრიალით
სწავდა გზადაგზა ბარდთა, ეკალთა
და ხელში, როგორც ჩემი იარა,
უკანასკნელი ლექსი გვაფა.

მესამე სიზმარი

გავასავათე ულაცი ქროლით,
გამასავათა ქროლით ულაციმა,
მიწამ გამიგო ბიბინა მოლი,
ბიბინა მოლზე ვწევარ გულადმა.
ატოტებულა ჩვიდმეტი წელი,
პირველად ყივის ლექსი ყვინჩილა,
ვინ გამიჩინა ეს ცა და ხმელი,
დასაფიცარი ვინ გამიჩინა.
მე ვითამაშე წელან ის როლი,
შენ რომ გიყვარდა, — ქარის დაჭერის...
ჩემი ფიქრები ცანი ისროლე,

და სიყვარულით ციდან დაგცქერი.
ამ მიწასავით მხურვალე ფიცი
არ უნდა გატყდეს,
უნდა გადარჩეს!
ჩემი სულივით ზეიმობს სივრცე,
ვწევარ მოლზე თუ მწვანე ლადარზე.
ცაში ჭიკჭიკებს ფერი შვიდივე,
სისხლად წდებიან ღრუბლის ფთილები.
მზის ცხელო სისხლო, ჩქარა იდინე,
პირველ ლექსებად მოედინები.

მეოთხე სიზმარი

არ მოუხედავს უკან,
სული ისე გაფრინდა
ხორცის ციხიდან —
ამ წყეული თავმესაფრიდან.
ცეცხლის ალების —
ქალწულების ცეკვა იწყება,
მათი ტკვარცალი
იფანტება ოქროს ჩინჩსლებად.
მეგრძლე მაშლიან
მობრიალე დალალებს, კაგებს...
ძალუმად მხევენ
უმხურვალეს ხორცისფერ მკლავებს.
მეგრანებიან

მიუჩევენი ლაგამ-ავშარებს,
ამნაირ ალერსს
სიცოცხლეში ვინ მოგაშაგებს.
ცრემლებს ღვრით?
ღვარეთ!
შეებას მოგვგვრით
ცრემლი გულჩვილებს,
თქვენთან ვარ ისევე,
თავი მხოლოდ გავიუჩინრე.
ფერფლად გარდაველ
თიხის დოქში
თიხის ჩაფიდან
და ჩემი სული
მარადიულ ცას შეაფრინდა

მესამე სიზმარი

„ქვეყნად მე მხოლოდ
სიყვარულის გზებით მივლია...“
ჯამი

მესიზმრა:

სადღაც უდაბნოში,
მზისფრად მცინარე,
მიშრიალებდა
სიყვარულის თეთრი
მდინარე.
ვუსმენდი:
ერთურობს ახსენებდნენ

წყველით და კრულით —
ადამიანის სიძულვილით
ბრმანი და ყრუნი.
ვითარცა ბავშვებს,
დავუღეჭი ყველას მეურვედ
და-საცოდავებს —
სიყვარულის ნიჭწართმეულებს,

თვალდავსებულებს
უცნაური ბოღმით,
კაეშნით
ვერდი,
ვნათლავდი
სიყვარულის ცხელ მდინარეში.

რჯულად ვაძლევდი
სიყვარულს და
მოძმის გატანას
იჯდა ცივ ქვაზე
და შავ ცრემლებს
ღვრიდა სატანა.

მეექვსე სიჟარი

სინათლის ფრთები!
სინათლის ფრთები!
სინათლის ფრთები
მომცეს ღმერთებმა.
სინათლის წვიმით ვსველდები, ვთვრები,
ნათელ-მირონად მზე იღვენთება.
მზე იღვენთება ნათელ-მირონად,
ცის გახსნილ კარში უკვე შევფრინდი...

ხომ ვკარი ტყვია შენს ირონიას,
ხომ აგისრულე,
რასაც შეგპირდი.
სიჩუმე ირგვლივ ყვავის საყვარლად,
სიჩუმე — ლურჯი ანგელოსივით,
თავისუფლება მაქვს თავსაყარად
და მზის ბუმბულით ვარ შემოსილი.



გურამ კატრიკაშვილი

ორი ზღაპარი

ყირაშალა მოსიარულე კაცი

ზაფხულის ერთ დღით პატარა ქალაქის მახლობლად, ყვავილოვან ველზე ბავშვები გასულიყვნენ სათამაშოდ. ღარბოდნენ.

დაბტოდნენ.

პეპლებს ეთამაშებოდნენ.

ერთ ბიჭუნას ჯიბეში ფერადი შუშები ჰქონდა.

დაირიგეს ის შუშები და უცქეროდნენ ველს, ზოგნი ცისფრად, ზოგნი ვარდისფრად და ზოგნი წითლად შეღებილს.

მზესაც შეხედავდნენ ხოლმე.

გაუცვლიდნენ ერთმანეთს იმ შუშებს, იჭყიტებოდნენ და ჰქონდათ ერთი ყრბა ანული.

— შეხედეთ, შეხედეთ, წითელი ღრუბლებია!

— წითელი კი არა, ლურჯიაო!

— აგერ, მწვანე პეპლაო!

— მე ცისფერ გვირილას ვხედავო!..

უცებ ერთმა გოგონამ შორს, ველის ბოლოში რაღაც დაინახა. ფერადი შუშა დაბლა დაუშვა და გაოცებულმა თქვა:

— უყურეთ, იქ თითქოს დიდი მაკრატელი მოძრაობსო.

გაიხედეს ბავშვებმა. მართლაც იყო რაღაც, დიდი მაკრატლის მსგავსი.

გაიქცნენ იქით.

მივიდნენ ახლოს და რას ხედავენ: დგას ვიღაც კაცი ყირაშალა და ყვავილს ყნოსავს. დატყებმა იმ ყვავილის სურნელით და ახლა მეორე ყვავილთან გადავა.

დადის ხელებზე.

— გამარჯობა, ძია! — უთხრეს ბავშვებმა. თან იფიქრეს, თუ გამარჯობაზე გვიპასუხა, ხომ კარგი, საშინო არაფერია. თუ არადა, ალბათ უნდა გავიქცეთო.

— გავიმარჯოთ, ბავშვებო! — თქვა კაციმა.

— რას აკეთებთ?

— ყვავილებს ვყნოსავ.

— მერე ყირაზე რატომ დგახართ?

— ყვავილებს რომ ვყნოსავ, იმიტომ.

ბავშვებს მოეწონათ პასუხი. აღარაფერი უკითხავთ. თვითონაც მოინდომეს ხელებზე სიარული.

დგებოდნენ ყირაზე. ფეხებს აფხარკალებდნენ, ეცემოდნენ.

იცინოდნენ და კვლავ ცდილობდნენ ხელებზე გავლას.

— აბა, თქვენ იცით, ცოტაც და ის წავლითო, — ეუბნებოდა კაცი.

ამ მხიარულებაში რომ იყვნენ, ერთმა კაციმა გამოიარა.

მოდიოდა, კისერი გაშეშებული ეჭირა, წინ იყურებოდა და ღრმად სუნთქავდა.

მისთვის ექიმს ეთქვა: წადი, მინდორში გაიარ-გამოიარე, სუფთა ჰაერი ჩაყლაპეო.

ეს ისეთი კაცი იყო, რომ ეტყოდნენ, ასეთია წესიო, ყველაფერს ასრულებდა.

მაგრამ ექიმს ალბათ დავიწყებოდა ეთქვა, მინდორში პეპლები და ყვავილები იქნებიან, უცქირე, დატყბი სილამაზით, ყვავილთა სურნელზე იყნო-

სერ. ამიტომაც ბეჭემოთივით მოაბო-
ტებდა და ყვავილებს თელავდა.

ყირაზე დამდგარი კაცი და იმ კაცის
ირგვლივ მოჰრიაშულუ ბავშვები რომ
ღაინახა, შეჩერდა.

— რა ხდება აქ? — ჰკითხა კაცს. —
რატომ ღვახაარ ყირაზე?

— ყვავილებს ვყნოსავ.

— მერე მაგას რად უნდა ყირაზე
დგომა? აი, მეც შემძლია მოეწყვიტო
ყვავილი და დაეყნოსო.

— ეგრე ვერაფერს იგრძნობთ, —
თქვა ყირაზე მდგომმა კაცმა, — ყვავი-
ლი ვიდრე მიწაშია ფესვებით, მანამდე
აქვს ნამდვილი სურნელი.

— მაშინ ჩავიმუხლებ ან ჩავცუტქ-
დები.

— არც ეგრე გამოგივით რამე, თუ
ფეხებს ჰაერს არ აბიჯებთ, ყვავილი
არ გაგიმხელთ ნამდვილ სურნელს.

— ვითომ რატომ? — ჰკითხა ბრიყ-
ვმა კაცმა. ასე ვუწოდოთ მას (რომ
გენახათ, დამეთანხმებოდით, რომ ეს
სახელი ზედგამოჭრილია მისთვის).

— რატომ? — გაუმეორა კითხვა

— ეგ კი, მართალი გითხრათ, არ ვი-
ცი, — უთხრა ყირაზე მდგომმა.

— აბა ვინ იცის?

— არც ეგ ვიცი...

— სისულელეა! — თქვა ბრიყვმა. —
მერე გადახედა ბავშვებს, მისი მოსვლის
შემდეგ გატრუნულები რომ იდგნენ, და
დაამატა: — შენ გინდა, რომ ბავშვები
ყირაზე დგომას მიაჩნო და გაახულიგ-
ნო?

— რატომაა ყირაზე დგომა ხულიგ-
ნობა? განა ამით ვინმეს რამე უშავდე-
ბა? — მიუგო კაცმა.

— ბავშვებო, წადით, მოშორებით
ითამაშეთ და დაიმახსოვრეთ, ეს ბიძია
არ იქცევა წესიერად.

ბავშვებს არ სურდათ წასვლა, მაგრამ
ბრიყვმა დაუცაცხანა:

— წადით, თორემ თქვენს მასწავ-
ლებლებს ვეტყვი და ორიანებს დაგი-
წერენო.

— წადით, ბავშვებო, ნახვამდის!
— თვალი ჩაუკრა ყირაზე მდგომმა ბავ-

შვებს, — რაც შეეხება წესიერებას, ენ-
დაიმახსოვრეთ მხოლოდ, ხულიგნობა ის
კი არაა, თვითონ რომ დგები ყირაზე,
არამედ ის, სხვა რომ გინდა ყირაზე და-
აყენო ძალით.

— ნახვამდის! — თქვეს ბავშვებმა და
წავიდნენ.

შორიახლოს განაგრძეს თამაში. ფი-
ქრობდნენ, ეს ბრიყვი რომ დაანებებს
თავს, დავბრუნდებით იმ კაცთანო. გუ-
მანით გრძნობდნენ, ამ კაცს ბევრი სა-
ინტერესო ამბავი ეცოდინებოდა.

ბავშვები რომ შორს გაიგულა, ბრიყ-
ვმა ხმას აუწია:

— არა გრცხვენია განა? ამხელა კა-
ცი ყირაზე ღვახაარ, ხალხი რას იტყვის,
ასე რომ გნახონ...

— ეგ მე ნაკლებად მაწუხებს. ვიცი,
რასაც იტყვიან. — ზოგს მოეწონება,
ზოგი კი თქვენსავით გაბრაზდება —
უთხრა კაცმა.

— დადექ! ახლავე ფეხზე! — უცებ
მართლაც გაბრაზდა ბრიყვი.

— ვერ დავდევი, ჯერ არ შეიძლება
ჩემი ფეხზე დადგომა, მე მსურს ჯერ
ყვავილების სურნელით დავტკე, —
უთხრა კაცმა. — თუ თქვენ ხელს გიმ-
ლით, წავალ!..

— ნურას უკაცრავად! საღ მიდიხარ?!
სხვაგანაც იქნებიან ბავშვები და იმა-
თაც ცუდ მაგალითს მისცემ.

— ეჰ! — თქვა ყირაზე მდგომმა კა-
ცმა.

მართალი თუ გინდათ, ნამდვილად
ხათაბალაა ეს ყირაზე მდგომი ხალხი.

ახლა მინდოდა დამეწერა ამოიხზა-
მეთქი, მაგრამ, როცა კაცს პირი ქვევითა
აქვს მიქცეული, ვერ იტყვი, ამოიხზა-
რაო. ამოიხზრა ხომ იმას ნიშნავს, ოხ-
ვრა გულიდან მაღლა რომ ამოდის.

არადა, კაცმა რომ თქვა, — ეჰო, ოხ-
ვრაც მოჰყვა ამას და ხომ უნდა ვთქვათ
ეს როგორღაც.

რა ვქნა, უკეთესი ვერ მოვიფიქრე და
ჯერჯერობით ასე დავწეროთ:



— ეჰ, — თქვა კაცმა და მისი ოხვრა დაეფინა ყვავილებს...

ბრიყვმა კაცის ოხვრას ყურადღება არ მიაქცია.

— დადექი ფეხზე, რომ გეუბნები! — შეუტია კაცს.

კაცმა ხმა აღარ გასცა.

წავიდა ხელეზზე.

მიდიოდა.

ბრიყვი კი უკან მისდევდა და მისძახრდა:

— დადექი ფეხზე, ფეხზე დადექიო!.

ბოლოს გაცეცხლდა:

— რახან ნებით არ გინდა, მაშინ სხვა გზა აღარა მაქვს, ძალით უნდა დავაყენო ფეხზეო.

— ხომ გითხარით, მაგას ჰქვია სწორედ ხულიგნობა, ძალით რომ გინდა სხვის საქმეში ჩაერიო, — უთხრა მშვილად კაცმა.

— რაც გინდა, ის ერქვას, მთავარი, წესრიგი იყოს ქვეყნად, — თქვა ბრიყვმა.

აქ არ შემიძლია მეც არ ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კიდევ ბევრი ფიქრობს ასე.

გაიწია ბრიყვმა კაცისკენ.

და კაცმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თუკი ყვავილის ყნოსვაში ბრიყვი ხულიგანი გიშლის ხელს, მაშინ სხვა გზა არაა, შენც უნდა ღონე იხმარო.

აქაც კვლავ უნდა დავუმატო, რომ ასე ცოტა ფიქრობს და ესეც სამწუხაროა, ცხადია.

კაცის სიტყვებზე ბრიყვი გაჩერდა.

— რას აპირებო? — ჰკითხა.

— რადგან ხელები დავკეზებული მაქვს, ანიტომ სხვა გზა აღარაა, პანლური უნდა გითავაზო კინკრიხოში.

— პანლური? კინკრიხოში?... — ბრიყვს იმ დღეს და შეიძლება იმ წელიწადშიც კი პირველად გაეცინა. — აი, რა მოსდევს ყირაზე დგომას. სწორად ლაპარაკიც დავგიწყნია. პანლური იმას ჰქვია, როცა ფეხს ურტყამენ საჯდომზე. კინკრიხოში პანლური ვის გაუგია?!

— რა ვენა, — გაელიმა კაცს — რა-

დგან ყირაზე ვდგავარ. ჩემთვის კინკრიხოში მოსახერხებელია კინკრიხოში მოგვლად ფეხით, ვიდრე საჯდომზე. თანაც ისე ვატყობ, სადაც უნდა მოგარტყა, მორტყმას მაინც პანლური ერქმევა.

— ეგ როგორ? — ვერ მიხვდა ბრიყვი და ჩაფიქრდა. ეტყობა, რაც შეეძლო დაძაბა გონება, ხელიც კი მიიღო თავზე.

კაცი ფეხზე რომ მდგარიყო, ალბათ ხელს ჩაიქნევდა, ახლა კი ესლა უთხრა:

— თუ კაცი ხარ, დამანებე თავი, თორემ მართლა მოგაყოლებ პანლურებს.

— მე მინდა ფეხზე დავაყენო, შენ კი პანლურებით მემუქრები?! დადექი რა, ფეხზე! — ახლა ხვეწნა გაურია ხმაში ბრიყვმა.

— თავი დამანებე! — უთხრა კაცმა,

— გაიგე, რომ არ მინდა!

— თავში სისხლი რომ ჩაგეჭყეს? — ჰკითხა ბრიყვმა და იფიქრა, ეს რა კარგად მოვიფიქრეო.

— არ ჩამეჭყევა, — უპასუხა კაცმა...

მიდიოდა კაცი.

და მიჰყვებოდა ბრიყვი...

ბავშვებმა გული იჯერეს ბალახებში კოტილით და თამაშით. ზოგმა ათის დათვლამდეც კი ისწავლა ყირაზე დგომა.

დაილაღნენ და დასხდნენ...

მზე გადაიხარა...

თბილმა სიომ დაუბერა და დაღამდა.

ვარსკვლავები აკიაფდნენ ცაზე.

ბრიყვი არ ეშვებოდა კაცს. უკან დასდევდა ღრტიანით. ტიროდა.

— დადექი ფეხზე! დადექი რა, ფეხზე! — ზღუტუნებდა ის. — ყირაზე დგომა არ შეიძლება. ძალიან გთხოვ, დადექი რა, ფეხზე...

— არ შეიძლება, — თქვა კაცმა, — არ შეიძლება ჩემი ფეხზე დადგომა. ჯერ ყველა ყვავილის სურნელი არ შემიგრძენია. მაგრამ რახან აღარ მეშვები და თავი მომაბეზრე, რა გაეწყობა!

დადგა კაცი ფეხზე.

— ხომ გითხარი, ასე არ სჯობია?!... დაიწყო ბრიყვმა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. კაცი იზრდებოდა!

— ვაიმე! — თქვა და საღაც იდგა, იქვე ჩაჯდა ბრიყვი.

იზრდებოდა კაცი, ზეცას შეჰყურებდა და ილიმებოდა.

იზრდებოდა. მაღლა მიიწევდა მისი სახე და თითქოს ღიმილი მიჰქონდა ცისკენ.

— რას შვრები? — გონს მოეგო და იყვირა ბრიყვმა.

— რა ვქნა, ასეა, — ჩამოსძახა კაცმა, — ხომ გეუბნებოდი, ჯერ არ შეიძლება ჩემი ფეხზე დადგომა-მეთქი. სხვანაირად არ შემიძლია. თუ ყვავილებს არ ვცნობ, მაშინ ვარსკვლავების სურნელით უნდა დავტკებ...

— რატომ? — ასძახა ბრიყვმა.

— ასეთი გავუჩენივარ ბუნებას.

— რა სისულელეა, როგორ შეიძლება! მაშ ბუნებას, არა?... მე ამას ვაცნობებ, საღაც საჭიროა... გასწავლით წესრიგს! ბუნება... ბუნება!.. მე მაგას ვაჩვენებ!

— აბა, შენ იცი! — ჩამოსძახა კაცმა...

იზრდებოდა, იზრდებოდა კაცი, ასცდა ღრუბლებს და აბა, ცას მისწვდა თავით.

ბრიყვი იდგა დაბნეული.

მერე ასძახა:

— რაო, მართლა ასდის რაიმე სუნი ვარსკვლავებს?

— ვარსკვლავებს სუნი კი არ ასდით, სურნელებას აფრქევევენ, — ჩამოსძახა კაცმა.

— მაინც რის სუნი ასდით? — არ გატყდა ბრიყვი.

— აბა, როგორ გითხრა, მე მგონი, ყველაზე მეტად ეს სიზმრის სურნელებას ჰგავს.

— სიზმრის სურნელება როგორიღა?

— ჩაიბურტყუნა ბრიყვმა.

ბრიყვი კაცი ხომ სიზმრებს არ ხედავდა.

— ფეხებზე მკიდია მე შენი სიზმრები და ვარსკვლავები! — იყვირა ბრიყვმა და ეცა კაცის ფეხს, ჩააფრინდა კბილებით.

კაცმა ასწია ფეხი, მიწას ააცილა ბრიყვი და უთხრა:

— როგორც ხედავ, ახლა თვით მკიდობარ ფეხზე. შენ ბრიყვი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ, რადგან ადამიანი ხარ, და ადამიანები თუ არ გიყვარს, ისე რა ფასი აქვს ან ყვავილების სურნელს ან ვარსკვლავებისას. სიმაღლეს რომ იგზავნებ, იქნებ მიხვდეს რამეს. ზეცაშიც ამოგიყვანდი, მაგრამ აქაც შენი სულელური წესრიგის დამყარებას დაიწყებ და მეშინია, მოწყენილობით არ დატკნენ ვარსკვლავები.

თვალდაჰყებელი შემოხვეოდა კაცის ფეხს ბრიყვი, ჩაბლაუჭებოდა შარვალს. აქეთ-იქით ღრუბლები იყო.

ჩაიხედა ძირს ბრიყვმა და პატარა ქალაქის სინათლეები დაინახა.

— ეს კარგიაო, — იფიქრა და თავის სახლს დაუწყო თვალებით ძებნა, ხანძარი ხომ არ გაჩნდა, რაც წამოვედით.

ერთხანს ეჭირა კაცს ბრიყვი ღრუბლებს შორის, შემდეგ უთხრა:

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ დავიღალე ცალ ფეხზე დგომითო, და დასვა მიწაზე.

მერე აიწია ის ღიმილ ფეხი და მთების იქით, საღაც შორს, სიბნელეში გაუჩინარდა. იმას მერე ფეხიც მიჰყვა. დაარჩა ველზე ბრიყვი კაცი.

წამოვიდა და ნახა, ბავშვებს ჩასძინებოდათ.

მინდორში ძილი ვინ გაუგიაო, — იფიქრა ბრიყვმა, მაგრამ თავის სიცოცხლეში პირველად დაეზარა ეს ხმამაღლა ეთქვა.

გააღვიძა ბავშვები და ჰკითხა:

— სიზმარი ხომ არ გინახავთო?

— კი ვნახეთო, — უთხრეს.

— მერე როგორი სუნი ასდისო?

ბავშვები ჩაფიქრდნენ.

მერე მხრები აიჩეჩა ყველამ, აბა, როგორ გითხრათო, და ერთმა გოგონამ თქვა გაუბედავად:

— ალბათ ვარსკვლავების სურნელი ჰგავს სიზმრის სურნელსო.

— სისულელეა, — თქვა ბრიყვმა, მაგრამ ბავშვებმა იგრძნეს, რომ ძალიან ბრაზიანად აღარ თქვა ეს.

უცქეროდა ბრიყვი კაცი ბავშვებს.

— მალე ალბათ ესენიც ისწავლიან ყირამალა სიარულს. ეტყობა, არაა საშველი! — იფიქრა ბოლოს და... ამოიოხრა.

როგორც ხედავთ, წესით და რიგით რომ იქცევა, ისეთ კაცზე წერა გაცილებით იოლია.

ბრიყვი ფეხზე იდგა, ამიტომ შეგვიძლია უბრალოდ დავწეროთ:

ბრიყვმა ამოიოხრა და აქ დგას უკვე ერთი ამბავი.

თუმცა, სიმაღლე მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ თუ ბრიყვს ოხვრა აღმოხდა, ის მთლად ბრიყვი აღარაა უკვე.

რაც შეეხება იმ კაცს, იგი კვლავ დიდის ვეება ნაბიჯით მთელ დედამიწაზე. ხან აქაა, ხან იქ. ერთ ადგილას დიდხანს ვერ გაჩერდება, რადგან ყველგან გამოჩნდება ხოლმე ვინმე ბრიყვი.

და ბრიყვები ხომ სწორედ იმით იცნობიან, რომ სწორედ იმ კაცს არ ეშვებიან, ვინც ყვავილების ან ვარსკვლავების სურნელით ტკბება.

ნაღვლიანი სპილო

ერთ დღილით გაიხედეს პატარა ქალქის მცხოვრებლებმა და ქუჩაში დიდი სპილო დაინახეს.

სპილო იდგა. რაღაცაზე მეტად დაღონებულს თავი ჩაეჩინდრა და თვალებიც დახუჭული ჰქონდა.

ხალხი მოგროვდა. უქცეროდნენ. დიდი ხანია აღარ ჰყოლოდათ ქალაქის ზოოპარკში და ზოგ ბავშვს არც კი ენახა ცოცხალი სპილო.

იდგა ხალხი, უცქეროდა სპილოს...

გახილა სპილომ თვალები და ღრმად ამოიოხრა.

იმ ოხვრამ ქარივით დაუბერა და ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები ჰაერში აფრიალდნენ.

სპილო გამოერკვა. ხალხს თვალი მოავლო და ერთ ქალზე შეაჩერა მზერა. ქალი დილის მატარებლით ჩამოსულიყო და ახლა სახლში მიდიოდა. ხელში მძიმე ჩემოდანი ეჭირა. სპილო გაემართა ქალისკენ და ვიღრე იმან გაქცევა მოახერხა, ჩემოდანი გამოართვა ხორბთშით. მერე იქვე შედგა და მიაჩერდა, საით წავიდიო.

ქალს გაეღიმა.

ხალხმაც შვებით ამოისუნთქა.

წაუღო სპილომ ქალს ჩემოდანი.

მას შემდეგ, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა ყველას.

თუ ვინმეს ავეჯი ჰქონდა წასაღები, სპილო იქით მიეშურებოდა, ხარჩოებს თუ აგებდნენ, იმათ ეხმარებოდა, ვინმე თუ წაიქცეოდა, წამოაყენებდა და ხანძარი თუ გაჩნდებოდა, ცეცხლის ჩაქრობა უხაროდა.

გააკეთებდა საქმეს და ახლა სხვა მხარეს გასწევდა.

ოღონდ ეს იყო, რომ კვლავაც ხშირად დანაღვლიანდებოდა ხოლმე.

გაჩერდებოდა. ჩაჰკიდებდა თავს და მერე ისე ამოიოხრებდა, თითქოს გული ამოატანო.

უეცარი ძლიერი ქარის წამოქროლვასავით დაუბერავდა ხოლმე სპილოს ოხვრა.

და რადგან სპილო მოულოდნელად ყველგან შეიძლებოდა გაჩერებულიყო დაღონებული, მოქალაქენი ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, რომ მის ოხვრას არაფერი გაეფუჭებინა.

ბევრჯერ ფანჯრები მიაჯახუნა და მინები ჩაამსხვრია. რამდენიმე ყვავილის ქოთანიც გატეხა.

და კიდევ რამდენიმე ასეთივე პატარა დანაშაული ჩაიდინა უნებლიეთ.

მაგრამ, მართალი უნდა ითქვას, უნებლიეთ კარგი საქმეც ბევრჯერ გააკეთა. ყველა ამ საქმეთა ჩამოთვლა, ცოტა არ იყოს, გააგრძელებდა ამბავს, ამიტომ სამაგალითოდ სამ შემთხვევას მოგიყვებით.

ერთხელ, ღამით, ერთ ღია ფანჯარასთან ამოიოხრა სპილომ. ოთახში კაცი იჯდა და უსახელო წერილს ავსებდა ლანძღვა-გინებით. იმ ოხვრის ქარმა მელანი ცხვირზე შეასხა ცუდ კაცს და სანთელიც ჩაუქრო.

მეორედ სპილო ქუჩაში შეჩერდა ჩაფიქრებული. იქვე ერთი კაცი იდგა კართან. ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. რატომღაც ღელავდა და ხან ასწევდა ხელს კარზე დასაჯაკუნებლად, ხან დაუშვებდა. სპილომ რომ ამოიოხრა, კაცი კარზე მიაგდო, კარი გაიღო და კაცი შიგ შევარდა. ცოტა ხნის შემდეგ კარი ისევ გაიღო, კაცმა თავი გამოჰყო, ქუდი მოუხადა სპილოს და უთხრა, გმადლობთო.

ერთხელაც სპილო კვლავ ჩაფიქრდა ქუჩაში.

შორიახლოს წუმპე იყო.

უნდა ითქვას, რომ ასეთი წუმპე არც ისე ცოტა იყო ქალაქში. მოქალაქენი მოიზარმაძებდნენ და წუმპეების ამოშრობას და ორმოების ამოვსებას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. გაცილოდა ხანი, იმ წუმპის ახლოს ან თვით წუმპეში რაიმე მოხდებოდა და წუმპეს სახელი დაერქმეოდა. ხოლო სახელი რომ დაერქმეოდა, მერე იმ წუმპის ამოშრობა იშვიათად მოსდიოდა თავში ვინმეს და, ვისაც მოსდიოდა, არც იმას აძლევდნენ უფლებას ხელი ეხლო წუმპისთვის. ცნობილი წუმპის ამოშრობას რატომღაც ქალაქის შეურაცხყოფად თვლიდნენ მოქალაქენი...

ჰოდა, იდგა დაღონებული სპილო. ერთი უსახელო წუმპის შორიახლოს.

და სწორედ ამ დროს ქუჩაში ერთი გაბლენძილი კაცი გამოჩნდა. გამოსცდა წუმპეს ის კაცი და ამ დროს აქეთ სპილომაც ამოიოხრა.

დაუბერა ოხვრის ქარმა, მოსძვრა

ქუდი გაბლენძილს და ჩაეარდა წუმპეში.

გაბლენძილი საშინლად გაბრაზდა, როგორ თუ ჩემი ქუდი წუმპეში ჩააგდესო!

— ჩემი ქუდი, ჩემი ქუდიო! — ყვიროდა.

გამვლევებმა უთხრეს, უნებლიეთ მოუვიდა, ბატონო, ხომ ხედავთ, დაღონებულია სპილო.

— უნებლიეთ მე არ ვიცი, პასუხი უნდა აგოსო! — უფრო მეტად აყვირდა გაბლენძილი.

მას სხვა მისთანებიც შეუერთდნენ. მართალია, ყვიროდა ყველა ერთად. წუმპეებისა არ იყოს, იშვიათი არც გაბლენძილი კაცი იყო ქალაქში.

დაწერეს დიდი არზა და დააფრიალებდნენ, სპილო უნდა მოვაშროთ ქალაქს, ვის გაუგია, რომ ასე ხმამაღლა ოხრავსო. ოხვრა თუ გინდა მაინცდამაინც, ჩუმად იოხრე შენთვის, რომ არავინ შეაწუხო. წესრიგს არღვევს, ქუდებს გვხდის და წუმპეში გვიყრის. მაგისი შიშით ჩვენც ველარაფერი გვიქნია. იქნებ გვინდა, რომ თავზე დიდი ბუზები დავისვათ და ისე ვიაროთ, მაგან კი ყოველ წუთს შეიძლება აგვიფრინოსო.

აქ მე მგონი ცოტა დაწვრილებით უნდა ვთქვათ გაბლენძილების შესახებ...

გაბლენძილობა, მოგეხსენებათ, ავადმყოფობაა.

ამ სენით დაავადებულ კაცს სახლში დიდი სარკე აქვს ცალკე ოთახში. დროდადრო შევა იმ ოთახში, ღრმად ჩაისუნთქავს, გაიფხორება და იცქირება სარკეში. ქუჩაშიც ის სარკეში დანახული ახსოვს და ცდილობს იმას ჰგავდეს. რადგან სულ საკუთარ თავზე ფიქრობს, ასე ჰგონია, ჩემზე უკეთესი ქვეყნად არავინააო.

მოქალაქენი ხშირად ფიქრობდნენ,

გურამ კაბრიაშვილი
თარი ზღაპარი

თუ როგორ ჩნდებოდა ეს ავადმყოფობა.

ერთი ამბობდნენ, ამ სენით ის ავადდება, ვისაც ბავშვობაში მშობლები ძალიან ხშირად ჩასურჩულებდნენ, რა კარგი გვყავხარო. მეორენი კი, პირიქით, ამბობდნენ ბავშვს იშვიათად რომ აქებენ, იმის ბრალიაო.

პირველნი ამბობდნენ, ბევრი სათამაშო არ უნდა უყიდო ბავშვსო, მეორენი ამბობდნენ, სათამაშო რომ არ ჰქონდა, იმიტომ მიეჩვია სარკეში გაფხორილ ცქერასო.

პირველნი მიზეზად იმას თვლიდნენ, ბავშვს ყველა სურვილს უსრულებენ მშობლებიო, მეორენი კი ჩიოდნენ, ალბათ ბავშვს ყურადღება აკლდაო.

იყვნენ ისეთნიც, ვინც ყველაფერში ზომიერების მომხრენი იყვნენ. და თუმცა ნამდვილი მიზეზი ვერ ეპოვათ, ექვი იმაში არავის ეპარებოდა, რომ გაბლენძილობით კაცი ბავშვობაში ხდება ავად და ეს სენი მერე გამოაჩნდება ხოლმე.

შველით ძნელად შველოდნენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველა ავადმყოფს თავისი წამალი უნდა უპოვოს მკურნალმა, აქ კი საქმეს ის აძნელებდა, რომ სიზარმაცე ექიმებსაც სჭირდათ პატარა ქალაქში.

მეორეც, გაბლენძილობა ყველას არ ეტყობა გარეგნულად. ზოგს ძალიან თუ არ დააკვირდი, ვერც შეატყობ ვერაფერს და როდის გამოამჟღავნებს სენი თავს, არც ის იცის არავინ. ერთი კაცი ყოფილა თურმე, ბევრი განკურნა გაბლენძილობისაგან, მაგრამ ერთ დღეს თვითონ უყვლია დიდი სარკე და დამდგარა მის წინ გაფხორილი.

და ბოლოს, რაც მთავარია, ეს მგონი ერთადერთი ავადმყოფობაა, რისგან განკურნებაც საშინლად არ სურს ავადმყოფს. კი არაა, განკურნებას სიკვდილი ურჩევნია.

ახლაც გაბლენძილებმა წუმპეში ჩავარდნილი ქუდი საბაზად გაიხადეს, თორემ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად გახლდათ: ნაღვლიანი სპილოს ოხვრამ

თურმე რამდენიმე გაბლენძილის გულში შეაღწია, გაუთბო გული და მათგანაც რომ მათ გარდა, სხვადაა ქვეყანაზე.

სპილოს ოხვრა გულებს ათბობსო, ამიტომაც შეშინდნენ გაბლენძილები, — არიქა, ვიღუპებით, ჩვენც არ მოგვარჩინოსო. გაბლენძილობას ხომ სხვაწაირად გულგრილობაც ჰქვია. სულ თავის თავზე რომ ფიქრობს, ამგვარ კაცს სხვა ადამიანი ფეხებზე ჰკიდია.

რა არ იღონეს გაბლენძილებმა სპილოს თავიდან მოსაშორებლად. ჯერ თქვეს, საიდანაც მოსულა, ისევ იქ წავიყვანოთო. დაგზავნეს ხალხი მახლობელ ქალაქებში, მაგრამ არავის დაჰკარგვოდა სპილო.

მერე წინადადება წამოაყენეს, გალიაში ჩავსვათო. მიაღწიეს კიდეც ამას. მაგრამ რამდენჯერაც ჩასვეს, იმდენჯერ მეორე დილით ღია აღმოჩნდა გალიის კარი და კვლავ ქუჩაში დადიოდა სპილო.

ერთი-ორჯერ ღამით თოფის ხმაც გაისმა ქალაქში.

მაგრამ სპილოს ვერც ტყვიით დააკლეს რამე გაბლენძილებმა.

ალარ იცოდნენ რა ექნათ.

რალა არ იღონეს, ის არ იფიქრეს მხოლოდ. რასაც მაშინვე იფიქრებდნენ, გაბლენძილები რომ არ ყოფილიყვნენ: თუ ხედავ, რომ ვინმე ოხრავს, შველას უნდა ეცადო.

საბედნიეროდ, პატარა ქალაქში გაბლენძილებს ყოველთვის სჭარბობდნენ კეთილი ადამიანები, ჰოდა, მათ, ქალაქში გამოჩნდა თუ არა, მაშინვე დაიწყეს სპილოზე ზრუნვა.

უკვე ქალაქის ყველა ექიმს ჰყავდა სპილო გასინჯული.

ბოლოს შეიკრიბნენ ექიმები, იმსჯელეს და ერთ დასკვნამდე მივიდნენ — გული სტიკვა და იმიტომ ოხრავსო. დაუნიშნეს უამრავი წამალი. აუღაპეს ყუთებით აბები და მიქსტურები. ვეება ნემსებიც გაუყეთეს. მაგრამ არაფერმა უშველა. კვლავ ნაღვლობდა სპილო.

კვლავ შეიკრიბნენ ექიმები და ახალ რეცეპტებზე დაიწყეს სჯა-ბასი.

მაშინ მოვიდა ერთი მოხუცი ექიმი, რომელიც აქამდე არ იღებდა მონაწილეობას სპილოს მკურნალობაში, და უთხრა ექიმებს:

— მაპატიეთ, პაციენტებზე კოლეგებო, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ ერთ-მანეთში ურევთ მიზეზს და შედეგს: გული რომ სტკივა, ამის გამო კი არ იზრავს სპილო, არამედ პირიქით, რადიკალურ დარღობას, ამიტომ იზრავს და გულიც ამან აატივიაო. თუ გვინდა ვუშველოთ, მისი სეველის მიზეზი უნდა გავიგოთო.

ზოგი ექიმი დაეთანხმა მოხუცს, ზოგმა კი კვლავ ახალ წამლებზე განაგრძო ფიქრი.

წავიდა მოხუცი ექიმი.

ფიქრობდა, ნეტავ რაზე დარდობს, როგორ ვუშველო სპილოსო. სახლში მოსული, ავადმყოფებისაგან მოიცილიდა თუ არა, გავიდოდა ქუჩაში, უცქეროდა სპილოს და სიბრაღულით ეკუმშებოდა გული.

თურმე გალიიდანაც ის უშვებდა სპილოს: რომ ვერ ვშველით, სამწუხაროა. მაგრამ თუ ნაღვლობს, გაბღენილებსაც უნდა ესმოდეო მისი იხვრაო.

მოხუცმა ექიმმა შეამჩნია, რომ სპილო ხშირად ერთ სახლთან მიდიოდა ხოლმე.

იფიქრა, ეს შემთხვევით არ ხდებაო. ერთხელ, სპილო კვლავ რომ გაჩერდა იმ სახლთან, მივიდა ექიმი და დააკაუნა კარზე.

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და გამოვიდა ქალი. ექიმი დაინახა თუ არა, ქალმა თქვა:

— რა იცოდით, რომ თქვენი ნახვა მინდოდა? რამდენი ხანია ვაპირებ თქვენთან მოსვლას, მაგრამ ვერ ვებედავ, მეშინია იმისა, რასაც მეტყვიოთო.

ქალს თვალები ნატივით ჰქონდა — მითხარით, რაზე სწუხართ და ვეცდები, გიშველოთო, — უთხრა ექიმმა.

ქალმა შეიყვანა ექიმი სახლში, თითოეტი ერთი კარი აჩვენა და ჩურჩულით უთხრა:

— იქ ჩემი პატარა ბიჭია...
— რა სტკივა? — ჩურჩულით შეჰყურებდა მოხუცმა.

— არაფერი არ სტკივა, მაგრამ უცნაურად ლაპარაკობს, ამბობს, ის დიდი სპილო, მე რომ სათამაშო სპილო დავკარგე, ისაა, გამიშვი, მინდა ვეთამაშოო. ამხელა სპილოსთან ბავშვი სათამაშოდ როგორ გავუშვაო? — თქვა ქალმა, შემდეგ მოიბოდიშა და სამზარეულოში გაიყვანა ექიმი, რომ მათი საუბარი ბავშვს არ გაეგონა.

— მართლა დავარგა ბავშვმა სათამაშო სპილო? — ჰკითხა ექიმმა.

— დავარგა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ყველაფერი შესაძლებელია, — თქვა ჩაფიქრებულმა მოხუცმა, — შეიძლება ბავშვი მართალია....

დედამ იფიქრა, მოხუცი ექიმიც არაა ჭკუაზე, რა მეშველებათ, და ფრთხილად უთხრა:

— როგორ შეიძლება მართალი იყოს, ის პაწია სათამაშო სპილო მე თვითონ შევეკერე ნაჭრისაგან, ეს კი დიდი, ცოცხალი სპილოაო.

— ყველაფერი შესაძლებელია, — გაიმეორა ექიმმა. — ოღონდ მითხარით, გეთაყვა, ბავშვმა სათამაშო სპილო რომ დავარგა, იმის წინ რა მოხდაო.

— ისეთი არაფერი მომხდარა. წინა დღეს ცირკში ვიყავით, მერე კი...

— მაპატიეთ, — შეაწყვეტინა სიტყვა ექიმმა და შუბლზე შემოირტყა ხელი, — აქამდე როგორ ვერ მივხვდი, რატომაც სპილო ასეთი სეველიანი, მგონი, მართლა დავებრდიო.

ქალი გაოცებული მისჩერებოდა ექიმმა კი გაუღიმა და უთხრა:

— გინდათ, გითხრათ, რა მოხდა ცირკში? შუა წარმოდგენის დროს თქვენთან მოვიდა კლოუნი და ხელში აიყვანა თქვენი შვილი. ბავშვს კი ხელში სწორედ ის სათამაშო სპილო ექირა.

გურამ კაპრიაშვილი
ორი ზღაპარი

— თქვენ ეს საიდან იცით. იქ იყავით მაშინ?

— არა, იქ არ ვყოფილვარ. ამას ჩემით მიგხვდით. ვიდრე ყველაფერს აგიხსნიდეთ, ერთ ამბავს მოგიყვებით. დიდი ხნის წინათ ერთი ბიჭი ცირკში წაიყვანა დედამ. ყველაზე უფრო ბიჭს კლოუნი მოეწონა. უცქეროდა, იცინოდა მის ოინებზე და მხიარულობდა ბიჭი.

დაბაჯბაჯებდა კლოუნი სასაცილოდ, ყირაზე დგებოდა და ხტუნავდა.

უცქეროდა ბიჭი და უცებ არენაზე რალაცამ გაიბრწყინა.

შეწყვიტა სიცილი ბიჭმა.

ოცა ხნის შემდეგ კვლავ გაიბრწყინა რალაცამ.

და შემდეგ, გამომშვიდობებისას კლოუნმა თავი რომ ასწია და დარბაზს მხერა მოავლო, ბიჭს ისევ მოხვდა ის ბრწყინვა თვალში...

ცირკიდან გამოსვლისას ბიჭუნა ძალად დაეკარგა დედას ხალხში. რადგან ბიჭუნა აღარ იყო ძალიან პატარა და თანაც მათი სახლი ცირკიდან სულაც არ იყო შორს, დედა მშვიდად გაეშურა შინისკენ, იფიქრა, ბავშვი თვითონ მოვაო.

ბიჭუნა ცირკის შორიანხლო დაიძალა ბუჩქებში.

ხალხი წავიდ-წამოვიდა და ბოლოს კლოუნიც გამოჩნდა.

თუმცა ახლა აღარც წითელი ცხვირი ჰქონდა კლოუნს და აღარც ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი ეცვა. ბიჭმა მაშინვე იცნო, რადგან იმ კაცის გამოსვლისას ფარნების შუქზე კვლავ გაიბრწყინა რალაცამ.

წავიდა შინისკენ კლოუნი. მიდიოდა თავდახრილი. ბიჭი უკან მიჰყვებოდა.

გაიარა კლოუნმა ვიწრო ქუჩები და ერთ მაღალ სახლს მიადგა.

სახლის გვერდით კედელს რკინის ხვეული კიბე ასდევდა და ის კიბე მაღლა, სხვენში შესასვლელ პატარა კართან მთავრდებოდა.

აჰყვა კლოუნი კიბეს ნელ-ნელა.

ბიჭი კიბის ძირას იდგა.

ნახევარი კიბე რომ აიარა, შეისვენა და მოაჯირს დაეყრდნო.

ბიჭი ქვევიდან შესცქეროდა. მთვარის შუქზე ბიჭი კარგად ხედავდა კლოუნის დადლილ სახეს. კლოუნი კი ვერ ხედავდა ბიჭს, რადგან კედლის ძირას ხეები იდგა და ბნელოდა მათი ტოტების ჩრდილში.

შეჰყურებდა ბიჭი კლოუნს.

უცებ კვლავ გაიბრწყინა რალაცამ მთვარის შუქზე. და ბიჭს რაღაც საშინლად ცხელი ჩაუფარდა თვალში.

სიმწრით კინაღამ დაიყვირა ბიჭმა. მაგრამ დააპირა კბილი კბილს, ზელი კი თვალში არ ამოუსვია, იგრძნო, რომ ასე იყო საჭირო. აცრემლებული თვალებით კვლავ უცქეროდა კლოუნის ნაღვლიან სახეს.

შემდეგ კლოუნმა განაგრძო კიბეზე ასვლა. მიიხურა კარი.

დარჩა ბიჭუნა კიბის ძირას ხეების ჩრდილში.

საშინლად ეწვოდა თვალი, მაგრამ არ უტირია, რადგან საოცარ სითბოს გრძნობდა გულში...

აქ მოხუცმა ექიმმა შეწყვიტა თხრობა, ღრმად ამოიოხრა და განაგრძო:

ის ბიჭი მე ვიყავი. კლოუნი კი ახლანდელი კლოუნის ბაბუა იყო.

რამდენიმე დღეს მეწვოდა თვალი. შემდეგ გამიარა. სითბო კი დამრჩა გულში... შემდეგში მიგხვდით, რომ ის მბრწყინავი რაღაც კლოუნის ცხელი ცრემლი იყო.

გადადის არენაზე მაღაყებს კლოუნი, დარბის, დახტის, აკეთებს ათას სასაცილო ოინს და თან უნებლიე ცრემლი აქვს თვალზე.

კლოუნის ცრემლი დაეცა სათამაშო სპილოს და გააცოცხლა, დიდ, ნაღვლიან სპილოდ აქცია იგი... — დაამთავრა თხრობა ექიმმა.

ქალი ჩაფიქრებული უსმენდა, მერე კი თქვა: — იცით, არ მინდოდა თავს გამოეტყუდომოდი, მაგრამ გულის სიღრმეში ვფიქრობდი, შეიძლება მართლაც გაცოცხლდა სათამაშო სპილო-მეთქი. ის ხომ მე შეგვერე და მახსოვს, რომ ზუს-



ტად ისეთივე წალი ჰქონდა ყურზე, როგორც ამ სპილოსა აქვს. მითხარით, ახლა, როცა ვიცით სპილოს ამბავი, არ შეიძლება გავუქარვოთ ნაღველი კლოუნს და სპილოსაც ვუშველოთ ამით?

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, — ამოიოხრა მოხუცმა ექიმმა, — კლოუნები მანამდე იქნებიან ნაღვლიანები. ვიდრე ყველა ბედნიერი არ იქნება ქვეყნად. ისინი ხომ სწორედ იმიტომ ცდილობენ გაამხიარულონ ხალხი, რომ ქვეყნად მოარულ დარდს, ტკივილსა და უბედურებას ებრძვიან. სპილოს ვერ მოვარჩენთ, მაგრამ თუ შეგვიძლია, ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ დარდი, ეს უნდა გავაკეთოთ აუცილებლად... — მოხუცმა ექიმმა გაუღიმა ბიჭის დედას.

დედამაც გაიღიმა, მიგზღვით.

წავიდა და გამოიყვანა ბიჭი ოთახიდან.

გავიდნენ ექიმი და ბიჭუნა გარეთ.

სპილოს ისე გაეხარდა, ხორთუმი ასწია და, როგორც შეეძლო, შეიკურტრუშა კიდევ.

მას შემდეგ ხშირად იყვნენ ერთად სპილო და ბიჭუნა.

მოხუცმა ექიმმა ბიჭსაც უამბო, როგორ გაცოცხლდა და რატომ ოხრავდა სპილო. ამიტომ ბიჭუნა სულ ცდილობდა, გაერთო ნაღვლიანი სპილო.

ერთხელ ბიჭმა ჰკითხა ექიმს.

— ხომ მართალია, რომ შეიძლება ტყუილის თქმა, თუკი ეს არავისთვის არ იქნება საზიანო?

ექიმი მიხვდა, რაც სურდა ბიჭს:

— თუ ღრმად ხარ დარწმუნებული, რომ ამით სიკეთეს მოუტან იმას, ვისაც მოატყუებ, შეიძლება...

— მაშინ, მოდი, მოვატყუოთ სპილო, რომ ყველა ბედნიერია უკვე ამქვეყნად.

— როგორ აპირებ ამას?

ბიჭმა გაანდო თავისი განზრახვა.

წავიდნენ ერთად სტამბაში და სთხოვეს ერთ ასოთამწყობს, დაგვეჩმარეო.

ის კაცი კეთილი იყო და თქვა, კი, ბატონო, თუკი რამეს გიშველითო...

ადგა და იმდღევანდელი გაზეთის ერთ ცალს რამდენიმე სტრიქონი ამიტა ასეთი შინაარსისა:

შურაღმება, შურაღმება, შურაღმება!

დღეს დილით ქვეყნიერების დიდ მეცნიერთა შეკრებილობამ დაადგინა, რომ უკვე ყველა ბედნიერია ცისქვეშეთში!

წაუღო ბიჭუნამ გაზეთი სპილოს.

ექიმიც უკან მიჰყვებოდა ჩაფიქრებული.

წაუკითხა ბიჭუნამ სპილოს ის ცნობა.

სპილომ უსმინა, შემდეგ ხორთუმი გამოართვა გაზეთი, თვალთან ახლოს მიიტანა და დიდხანს უცქეროდა.

მერე გაზეთი დაუბრუნა ბიჭს და თავი გაიქნია. ჩაფიქრდა, დახუჭა თვალები და ადრე რომ ოხრავდა, იმაზე მეტად ამოიოხრა. წავიდა თავჩალუნული.

დაღონდა ბიჭი.

ექიმმა უთხრა:

— ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ არ დავიშალე, მინდოდა თვითონ დარწმუნებულიყავი, რომ სხვათა ბედნიერებას და უბედურებას გულით გრძნობს სპილო. ამიტომაც ყველაზე დიდ მეცნიერებსაც არ დაუჯერებს, თუ კი სხვას ეტყვის გულით.

მერე ეს დაამატა ექიმმა: — თუ სპილოს გახალისება გინდა, შენც მიეშველე, როცა ვინმეს დაეხმარება. ამაზე უფრო ვერაფრით გაახარებო.

დაუჯერა ბიჭუნამ.

და იმის შემდეგ სპილოსთან ერთად ეხმარებოდა ყველას...

მალე ბიჭს ქალაქის სხვა ბავშვებმად მიბაძეს..

დადიოდა სპილო ბავშვების ამალით მთელ ქალაქში და აკეთებდნენ კეთილ საქმეებს.

თუმცა კვლავ ნაღვლიანი იყო სპილო, მაგრამ ბავშვების კარგი საქციელი ცოტას მაინც ახალისებდა..

გურამ კაბრიაშვილი

მარი ზღაპარი

ერთხელ კვლავ ჩაფიქრდა სპილო. წვიმიანი დღე იყო. და სპილომ რომ ამოიოხრა, სწორედ ამ დროს იქვე ვიღაც ქოლგიანი ქალი მიდიოდა თურმე. სპილოს ოხვრამ ჰაერში აიტაცა ქალი...

ხეებს ზემოთ აფრენილი, ერთხანს ქანაობდა ქალი ჰაერში, მერე კი ნარ-ნარად ჩამოფრინდა მიწაზე.

ქალს ძალიან მოეწონა ფრენა. იღიმებოდა. შემდეგ კი რატომღაც ცრემლი მოერია, აიწია თითის წვერებზე, სორათუშზე აკოცა სპილოს და საჩქაროდ წავიდა.

ქალის ფრენა რომ ნახეს, ბავშვებს ძალიან მოეწონათ.

გაიქცნენ სასწრაფოდ სახლში ქოლგე-ბისათვის.

და როგორც კი კვლავ ჩაფიქრდა სპილო, მაშინვე იქვე დადგნენ დიდი ქოლგებით ხელში. ამოიოხრა სპილომ. და აფრინდნენ ბავშვები ჰაერში. ირ-ხეოდნენ ფერად-ფერადი ქოლგები ლამაზად.

დიდებს უნდოდათ, ფრენა აეკრძალათ ბავშვებისათვის: რად არა გრცხვენიათ, სპილო ოხრავს, თქვენ კი ერთობითო! — ეუბნებოდნენ.

მაგრამ სპილომ თავი გაიქნია და ამ დროს ისეთი ჰქონდა თვალები, რომ ყველა მიხვდა, რაც სურდა ეთქვა:

— მე ისედაც ვოხრავ და არაფერი მშველის, ბავშვები მაინც გაერთონო.

ჰოდა, მთელ დღეს დადიოდნენ ქალაქში სპილო და ბავშვები, ეხმარებოდნენ, ვისაც სჭირდებოდა შველა.

ოხრავდა სპილო.

ფრენდნენ ბავშვები...

გაბლენძილების რიცხვი დღითიდღე კლებულობდა ქალაქში. ზოგს სპილოს სევდიანობამ გაუთბო გული, ზოგს ბავშვების ფრენამ. თურმე სხვისი სიხარულის დანახვამაც შეიძლება გაბლენძილი მოარჩინოს.

ბევრი კი ქალაქიდან გაიქცა შეშინებული.

დადიოდა დღისით ქალაქში სპილო.

დამით კი ქალაქის ბაღში იძინებდა ხეივანი მიყრდნობილი.

ბიჭი ეხვეწებოდა, ჩემს სახლთან და-იძინეო, მაგრამ სპილოს როცა ეძინა, მაშინაც ოხრავდა და არ უნდოდა ძილი დაეფრთხო ვინმესთვის...

ერთ დილას ბიჭუნა ფანჯარაზე კაკუნმა გამაღვიძა.

მოხუცი ექიმი იყო, შეშფოთებული ჩანდა.

— ჩქარა ჩაიცვი, წავიდეთ სპილოსთან, — უთხრა ექიმმა.

ბიჭი შეშფოთდა.

— სპილოს რამე მოუვიდა? — ჰკითხა შეშინებულმა.

— არა, მაგრამ ნისლი შემოდის ქალაქში.

— ნისლი?

— ჰო, ნისლიანი დღე განსაკუთრებით ძნელია იმისთვის, ვინც ნალვლიანია, გული შეუბნება, რომ საჭიროა ვნახოთ სპილო.

გაიქცნენ.

წინ ბიჭუნა მირბოდა, უკან მოხუცი ექიმი მისდევდა სვენებ-სვენებით. თან მკერდზე ეღო ხელი.

სულ ერთი წამით მიუსწრეს.

დიდი ხის ძირას ნისლში იდგა სპილო და თანდათან სქელდებოდა ნისლი.

გაუღიმა სპილომ ბიჭუნას... და დაფრა ნისლმა.

იდგნენ ხელიხელჩაკიდებულნი ბიჭუნა და მოხუცი...

ნისლი რომ გაიფანტა, აღარსად იყო სპილო.

ალბათ ნისლს გაჰყვა ქალაქიდან. ან შეიძლება თვით იქცა ნისლად და გაიფანტა ქვეყანაზე...

გავიდა ხანი...

ბიჭუნა გაიზარდა და სათამაშოების ოსტატი გახდა. ცხოვრობდა ქალაქი თავისი ცხოვრებით. ბრწყინავდა არენაზე კლოუნის ცრემლი.

მისი ბრწყინვა ხდებოდა თვალში ბავშვებს, უთბობდა გულს და ისინიც უფრო კეთილნი ხდებოდნენ.

ზოგი ბავშვი იმ ბრწყინვას ვერც ამჩნევდა. მათ უკვე მზერა ჰქონდათ და-

ქვეითებული სახლში, სტუმრად თუ ქუჩაში სხვადასხვა ზიზილ-პიპილების ცქერით. ვინ მოთვლის, რამდენი რამაა ქვეყნად, რომ ბზინავს, ციმციმებს, ბრწყინავს და პრიალებს... და სწორედ ასეთი ბავშვები იზრდებოდნენ შემდეგ გაბღენძილებად, ვინც იმ ბრწყინვას ვერ ამჩნევდა.

ხანდახან ქალაქში ძალიან მრავლდებოდნენ გაბღენძილები.

მაშინ სათამაშოების ოსტატი წავიდოდა ცირკში. უცქეროდა კლოუნს და იმახსოვრებდა, სად ეცემოდა მისი მბრწყინავი ცრემლი.

ღამით შეიპარებოდა და არენიდან ერთ მუჟა ნახერხთან ერთად კლოუნის ცრემლს წაიღებდა.

და მეორე დღეს ქალაქში დიდი, ნაღვლიანი სპილო გამოჩნდებოდა...

ოსტატს ებრალებოდა იგი, მაგრამ რა ექნა, მსხვერპლი იყო საჭირო, რომ გაბღენძილების სამყოფად არ ქცეულიყო პატარა ქალაქი.

დადიოდა კეთილი სპილო, ეხმარებოდა ხალხს.

ოხრავდა სპილო.

ფრენდნენ ბავშვები ფერადი ქოლგებით.

კლებულობდა გაბღენძილთა რიცხვი...

დადიოდა ნაღვლიანი სპილო ქალაქის ქუჩებში და მერე ერთ დილით ქრებოდა ნისლში.

მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა...

ნაღვლიანი სპილოს საიდუმლოს თა-

ოდან თაობას გადასცემდნენ სათამაშოების ოსტატები.

ბრწყინავდა კლოუნის ცრემლი არე-ნაზე...

დიდ კეთილ სპილოს უცქეროდა ხალხი...

და ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით პატარა ქალაქი...

.

— ეეჰ!

ეს ვიღამ თქვა?

ვერ დაგიმაღავთ, ეს თვით ავტორმა აღმოიხრა.

არა, ავტორმა კარგად იცის, რომ ყველაფრის ბოლო კეთილია, მაგრამ აი, ჭერჭერობით...

პირდაპირ გეტყვით:

როგორც ვიცი, პატარა ქალაქში დიდი ხანია აღარ გამოჩენილა ნაღვლიანი სპილო.

რა არის ამის მიზეზი?

უკვე ყველა ბედნიერია ქვეყნად?

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა ასე.

გაბღენძილები აღარ არიან პატარა ქალაქში?

არიან და საკმაოდაც არიან.

იქნებ სათამაშოების ოსტატებს დაავიწყდათ ნაღვლიანი სპილოს საიდუმლო?

ნეტამც! ნეტამც ასე იყოს მართლა. კვლავ მოვაგონებთ, ვასწავლით, არაა ძნელი.

მაგრამ ვაითუ კლოუნები აღარ ტირიან? ან ტირიან, მაგრამ ყალბია და ცივი მათი ცრემლები?



მერაბ აბაშიძე

შიშველი ნერვი

თქვენ, რომლებიც კარგად იცნობთ ჩემს სულიერ სამყაროს, ალბათ წარმოიდგენთ, რა გაბრუებული გამოვიდოდი რეჟისორის კაბინეტიდან, რომელმაც ესტრაგონის როლი შემომთავაზა პიესა „გოდოს მოლოდინში“. ეს სრულიად მოულოდნელი სიურპრიზი განგებას მივაწერე და იმ წუთშივე დავგმე ჩემი თავი; გამაზნენდა, რა ირონიით ვეკიდებოდი ამ კაცის რეჟისორულ ნიჭსა და გემოვნებას. „მამა ასე“ — ვუთხარი ჩემს თავს, — „იქეცი ნერვად, შიშველ ნერვად, ამ დღიდან, ამ წუთიდან შენ აღარა გაქვს ეროვნება, არა გაქვს საღი მსჯელობის უნარი, არასოდეს არ გყოლია მშობლები, და-ძმა, შენი მიზანია ერთი რამ — ფეხი არ დაადგა მიწას, რადგან შენი ფეხი ამ ნერვის ერთ-ერთი შტოა“.

უცებ მაყურებელზე დაფიქრდი.

„მიგრძობენ?“

აჰლა ეს იყო მთავარი.

მე მათ ნერვად უნდა ვქცეულიყავი.

„ღირს კი?“ — იქნებ სულაც უარი ვთქვა ამ როლზე, რომელიც მე-20 საუკუნის ქუჩების მტვრიდან წამომართულა და თავის ქალის ქანქარით მოემართება ჩემსკენ?

„ჯანდაბა შენს თავს!“ — შევცინე ამ უცნაურ ქმნილებას, რომელსაც ხალათის სახელოებიდან ორი მეტად გრძელი, დაძარღვული, ცისფერი ხე-

ლი მოუჩანდა; „როგორმე შენც აგიტან, — ვუთხარი მე, — ოღონდ გაფაქიზებული სულის ყალბი პათეტიკის მოსასხამი არ მომახურო, ასეთივე შიშველი დამტოვე, შიშველი და უშიშარი. რა უნდა იყოს ამაზე დიდი სიამავე — ვდგავარ და პირში შემოგვტინი“.

„იცი, იცი“ — მითხრა მან, — „ოღონდ ჯერ კარგად შემომხედე, — ეს ორი ხელი, რომელსაც შენ სკვრეტ — მაყურებლის ხელებია“.

„მერე რა“, — ვკითხე ოდნავ შემკრთალმა, როცა დავინახე, რომ ეს მისი ხელები კი არ იყო, არამედ მას ეჭირათ თავის კლანჭებში.

„ის, რომ ძლიერ ნიჭიერთაც არ უკრავენ ისინი ტაშს. მხოლოდ გენიოსებს სცნობენ!“

მაგრამ ჩონჩხს ანგარიში შეეშალა. მსახიობი რისი მსახიობია, თუ ყველა როლის თამაში ვერ შეძლო. მე უკვე ვიყავი ძლიერ ნიჭიერი — ნერვი, ახლა მე ხალხის ნერვად უნდა ვქცეულიყავი — გენიოსად.

მსახიობისათვის ხელოვნების მუშაკთა შორის ყველაზე ძნელია გენიოსად ქცევა. მან სცენიდან მაყურებლის სულში ერთი ნაპერწკალი მაინც უნდა იპოვოს, რომელსაც თავისი სუნთქვით გააღვივებს და ხანძრად აქცევს. მაგრამ ერთი რამ ყოველთვის უნდა ახსოვდეს: არ შეიძლება ამ ხანძართან ბალოს მისვლა, არ შეიძლება მისი ალის

ხვეულებში ჩახედვა, რადგან იქიდან შეიძლება შემზარავმა სიგონჯემ შემოგანათოს... სიგონჯემ — პირველსაწყისმა სიგიჟისა.

არ შეიძლება ამ სახის დანახვა, რადგან შენ მაშინვე მოკვდები როგორც ხელოვანი და შენი ვნებებიც მის გაყინულ თვალებს დაემსგავსებიან.

არ შეგაწყენთ თავს იმაზე საუბრით, თუ როგორ ვითვისებდით ამ როლებს მე და „ვლადიმირი“. არც იმას მოგიყვებით, თუ რას განვიცდიდი პოცოსა და ლაკის მიმართ. გეტყვით ერთ რამეს — მე უკვე მტკიოდნენ ისინი...

და აი, დადგა სანატრელი დღეც. ვიცოდი, რომ დიდი თავშეკავება მმართებდა, რათა არ გავგიჟებულიყავი.

მევე მეჭირა ჩემი სადავე და ფრთხილად ვაბრუნებდი აქეთ-იქით, რათა ლავამს, ჩემს პირში გაჩრილს, კბილები არ ჩაემსხვრია ჩემთვის.

პიესის მსვლელობა დუნედ წარიმართა. ვგრძნობდი, რომ წყალში იყრებოდა მთელი ჩემი იმედები.

ვლადიმირი — არაფრად არ ვარგა.
მე — შენ ამბობ, ხვალაც უნდა მოვიდეთ?

ვლადიმირი — უნდა მოვიდეთ.
მე — აბა მაშინ კი წამოვიდებთ მაგარ თოკს.

ბოლო სიტყვები ჩურჩულით წარმოვთქვე; უკვე სულ ერთი იყო, გაიგე-

ბდა თუ არა მათ მაყურებელი, რომლისთვისაც უცხო იყო ორი უბედურ მოხუცის ტანჯვა, რომელთაც თავის ჩამოსახრჩობი თოკიც კი უწყდებოდა...

„ისინი მხოლოდ გენიოსებს უტარვენ ტაშს!“ — ჩამესმა ხითხითი...

ხითხითი შემეხო, თითი მკრა მკერდზე და განმერიდა... მაგრამ მე ველარაფერი ამალელებდა. ისევ ჩვეულებრივ მსახიობად ვიქეცი და მაყურებელზე უფრო მეჩქარებოდა შინ წასვლა.

პიესა დასასრულს უახლოვდებოდა;
მე — მაშ წავიდეთ?

ვლადიმირი — შარვალი აიწიე.

მე — რა თქვი?

ვლადიმირი — შარვალი აიწიე.

მე — შარვალი გაიწიო?

ვლადიმირი — აიწიე, შარვალი აიწიე-მეთქი...

უეცრად გონებაში ერთმა აზრმა გამოიელვა. ამ აზრმა მთლიანად შეცვალა პიესის არსი და იმის მაგივრად, რომ ოდნავ ჩამოშვებული შარვალი ამეწია და სცენიდან გაესულიყავი, მთლიანად ჩავხადე იგი, შემოვიგლიჯე ვაზინზლული პერანგიც და მთლად დედამობილა ამაყად აღვიმართე, ცისკენ აყრობილი ხელებით, გაოგნებული მაყურებლის წინაშე, რომელიც დუმდა და რომლის დუმილშიც მქუხარე ტაშს ვისმენდი.

გ უ ლ ქ ვ ა

ძალდი, ბატონო ჩემო, რომელიც თქვენს თავში ზის, ტყუილად ელოდება ამ მოთხრობაში პოეზიის მარგალიტებს. აქ არც გაუქმებული სასაფლაოების სურნელებაა, არც საგალობლები, არც კიდევ ბევრი რამ, რაც მას ისევე სჭირდება, როგორც მაიმუნს ოქროს სამაჯური.

ძალდი, ბატონო ჩემო (ვიმეორებ), ალბათ უკვე გაღიზიანდა იმით, რომ მას

თავისი ნამდვილი სახელი უწოდეს. ის ახლა ალბათ უკვე მზადაა მიკბინოს, მაგრამ მას ისე დაუტყადა კბილები ტკბილეულის თქვეფით, რომ ჩემს ფოლადის ღუნდულებს ვერაფერს დააკლებს.

ნება მომეცით თავი გაგაცნოთ... ოჰ!

გერაბ აბაშიძე
მომხრობები

რა მაგრად მიჰერთ ხელს! ასეთი ღონის პატრონს მტვிரთავდაც კი შეგიძლიათ მოეწყოთ სადმე.

იაკინთე პირველი!... თქვენი მონა-მორჩილი! რაო? მიცნობთ? აჰამდეც ბევრჯერ გაგივიათ ეს სახელი და გვარი? ხი... ხი... სწორედ ისა ვარ! ის სასამართლო სხდომა კარგად დავამახსოვრდათ, არა? რას იზამ, თქვენ ყოველთვის კარგი მესხიერებით გამოირჩეოდით. ოჰო, უკვე ზიზღის ღიმილს ვამჩნევთ ბაგეზე! არა უშავს, მაგასაც ავიტანთ! რაც მთავარია — გადარჩენილი ვარ; ძალდი, თქვენი პალატის ზედა სართულში გამომწყვდეული, იუკადრისებს ჩემს კბენას, თუმცა, კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ვერაფერს დამაკლებდა.

მამ, რისი გემინიაო, მეტყვიტ (რახან ვთქვი — გადარჩენილი ვარ მეტქვი), რა ვიცი... კბენამდე შეიძლება შევშინდე. დიახ, დიახ, მე კბენის ისე არ მეშინია, როგორც ყვეფის.

ჰამ, ჰამ... — და გავრბივარ ხოლმე.

ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა იმ წყეულ სასამართლოზეც. ალბათ რამდენი იცინეთ, როცა ჩემი ყოფილი ცოლის ნათესავები გამომევიდნენ, მე კი თავქუდმოგლეჯილმა მოვუსვი.

ჰა, ჰა, ჰა! — იცინოდით თქვენ, მე კი რატომღაც ჰამ, ჰამ, ჰამ მესმოდა. დიახ, ვერ გამოვიყურებოდი მაინცდამაინც სახარბიელოდ. სიცილის ზღვაში ერთადერთი იყო სევდიანი ტალღა... ეს ჩემი პატარა გოგონა ტიროდა, დედის ხელებში ატატებული.

ახლა კი, კარგი იქნებოდა, თუ წარსულის კარს ფრთხილად გავაღებდით. (უჰ!... დასწყევლოს ეშმაკმა! მაინც დაიჭრაკუნა!).

— არ მინდა!

ტყუილუბრალოდ ვცდილობ, სახეზე აფარებულ ხელებზე მაინც ვაკოცო ჩემს ცოლს. რა უმიზეზოდ დასჩემდა ამ ბოლო დროს გაბუტვა.

ო, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ახლა!

ისე მიყვარს, რომ ლამისაა რომანტიკოსად ვიქცე და დავუჩოქო... 

„ჩემო კარგო, ჩემო კარგო!“ — ყვირის ყელში ცრემლით სავსე ბურთივით გაჩრილი ხმა.

„ჩემო კარგო, ჩემო კარგო!“ — ვჩუჩებ, მაგრამ ხელისკვრით მიშორებენ და მეც გულცივი ვხდები.

ხი, ხი. — მეცინება, როცა იმ სისულელებებს ვიგონებ.

— სადისტო! — კივის ჩემი სიდედრი.

აბუზული ვუყურებ მოსამართლეს.

ნაცოლარი ისევ ისე იფარებს ხელებს.

— რატომ ქმნიდით ოჯახს, როცა გრძნობდით, რომ არ გიყვარდათ ის არსება, ვისთანაც მთელი თქვენი სიცოცხლის გატარებას აპირებდით? — მეკითხება მოსამართლე.

ვღუშვარ.

— გვიპასუხეთ, ამხანაგო პირველო! ისევ სიჩუმე.

— გვიპასუხეთ! გვიპასუხეთ! გვიპასუხეთ!

სახეები... სახეები... სახეები...

ნახეთ, რა ლამაზია სასამართლოს ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ბროლის ლარნაკი.

ეს გაყინული სიზმარია; სიზმარი — სადაც ვხედავდი, როგორ კოცნიდა ვიღაც ჩემს მეუღლეს თვალებში, კისერზე, ხელებზე.

მაგრამ ამას ვერ იტყვი... ან, რა საჭიროა!

სახეები... სახეები... სახეები...

„მე თქვენ მიყვარხართ, ბატონო სახეებო! დამიჯერეთ, რომ მე თქვენ მიყვარხართ! მაგრამ... ნუ დამიშლით, დავლევწო ის ლარნაკი, ეს საზარელი კოშმარი და მისი ნამსხვრევები შემოგაყაროთ! ვიცი, დაისერებით, გამწარდებით,

მაგრამ დამიჯერეთ, რომ ეს სიბოროტით არ მომდის! რამით ხომ უნდა მოიხოს გული კაცმა... დასწყევლოს ეშმაკმა!

სწორედ ასეც მოვიქეცი...

ო, რა სიშმაგით მოიწევდნენ ჩემსკენ შენი ნათესავები...

„ჩემო კარგო! ჩემო კარგო!“ — ვყვიროდი მე და გავრბოდი.

სასამართლოს დარბაზიდან გამოვარდნილი — გიჟს ვგავდი.

„ჩემო კარგო, ჩემო კარგო!“ — ვიძახდი მე, ვაჩერებდი გაოცებულ გამელებებს და ვეკითხებოდი — სწორად მოვიქეცი თუ არა, ის ლარნაკი რომ დავამსხვრიე...

ერთმა ბიჭმა ყურის ძირში გამიშალა: რა ლარნაკი, რის ლარნაკიო!

დავეცი. საფუროთხებელს მოვხვდებოდა... როგორც იქნა წამოვდექი და... შევცინე მაყურებლებს...

სახეები... სახეები... სახეები...

ასე და ამგვარად... სათქმელი ამეწერა. რაც შემეძლო ნაკლები საღებავი წავუსვი სიმაღლეს და ეს პატარა ბუტერბროდი ისე ვესროლე თქვენს ლეკვს ავად დაღრენილ ხახაში. მორჩა. ახლა მეც შემიძლია ჩამოვჯდე მის წინ და ვეთამაშო. მაგრამ ვგრძნობ, რომ მაინც უნდობლად მიყურებს... მენდე, ძვირფასო!

თუმცა, რატომ უნდა მენდოს, როცა ჩემს თვალებშიც უნდობლობას კითხულობს! მაგრამ ჰოი! უცებ რა გაოცებით შემომამტერდა! ალბათ ხედავს, როგორ ჩამიმუქდა თვალები...

რაო, რა დაინახეთ ჩემო თვალებო? რატომ გაიხედეთ განზე? რა საშინელი შეძრწუნება აისახა თქვენში, ღმერთო ჩემო!

სასამართლოს კართან მდგარი ისტერიულად მოცინარი ქალი ხომ არ დაინახეთ, ხელში ატატებული მტირალი ბავშვით?

ხი... ხი... (რა გულქვა ვარ, არა?) ტსსს... ყური მოსწიეთ ჩემსკენ... ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ;... ის ბავშვი...



ვახტანგ ზაქარიაშვილი

გადაუვლიათ ანანურზე
თოვლისფერ ღრუბლებს
და საესე მთვარე
კრიალებს ცაზე.

შენ ლამაზდები ამ წელიწადს უფრო და
უფრო, —

ეს სიყვარულმა,
სიყვარულმა
იცისო ასე.
არა, შენამდე არ ვცოცხლობდი
და არ ვიყავი,

შენ მოვევლინე ჩემს გაძარცულ
ხატს და სალოცავს.
მე მინდა ცაში, ვარსკვლავებთან
რომ აგიყვანო

და ვარსკვლავების გვერდით ჩამოგსვა.
ქარი მორეკავს ანანურზე
თოვლისფერ ღრუბლებს
და თუთარჩელა კრიალებს ცაზე.
შენ ლამაზდები ამ წელიწადს
უფრო და უფრო
ეს სიყვარულმა, სიყვარულმა იცისო ასე.

ზის ზამთრის ბაღში
ობოლი გოგო
და ენატრება მხარი, რომელზეც
შეიძლება გამოტყუება
ამ მწუხარების.

ცივა... ცივა... ცივა

და არავინ ჩანს —

მის მცივან ბეჭებს

წამოახუროს მზიანი და თბილი შუადღე.

ჩამოვიბერტყე დამაშვრალი ჩემი მხრებიდან
ამქვეყნიური თოვლი და წვიმა.
ჩამოვიბერტყე ფეხებიდან ეს მოედნები,
ეს ქუჩები და დარბაზები ფარისეველთა.
მივფრინავ მაღლა, ნება-ნება, სვენებ-სვენებით,
ვუახლოვდები ჩემს ორეულს,
ცაში რომ დამჩნა,
როდესაც ერთხელ ძალისძლად ჩამომიყვანეს
აქ, ამ უცნაურ, მღვრიე ქალაქში.

შორსა ვარ შენგან,
უცხო ზეცის დელგმა მეღვრება
და მხოლოდ ზოგჯერ გიგზავნი ბარათს.
ჩემს სტრიქონებში ამოკითხულ წუხილის გამო
ტირიან თურმე შენი თვალები.

სიტყვების იქით მიმალული ტკივილის გამო
გიცახცახებენ თურმე ხელები
და მეგობრები შორეთში მყოფს მხედავენ შენით —
ისე ვით ქარის არსებობას ხედავენ ხოლმე
მოკანკალე ხეთა რტოებით.



ყველამ არ იცის, რომ ღამეც დღეა, იგივე დღეა,
დილით მოსული,
ოღონდ ნამგზავრი და დაბინდული, აწ დაქანცული
და მარტოსული.
ის დღეა, მაგრამ ახლა ფერს იცვლის და ხეალ დილამდე
ღამე იქნება,
დღესაც სჭირდება განმარტოება, განმარტოება და
დაფიქრება.
ის გამოისხამს ფიქრს ვარსკვლავებად და ჩავლილ წუთებს
თვალს მიადევნებს
და მიიძინებს, რომ ხვალისათვის უფრო ღამაჲ
და კარგ დღედ გათენდეს...



ჩიტების გუნდად გამოფრინდა ნეშოდან ქარი
და შეერია უამინდობას.
გზის განაპირას ანწალაზე დაჰკიდეს ჩალა,
სიმღერად რომ თქვა ერთმა მინდორმა.

მოლადურებით გაფოთლილა გასმარი ვერხვი,
ზანტად იღვრება ხევხუვში ბინდი.
გადმოაბოტებს შგზოდგომის ტლაპოებს გლეხი
და მოქანცული ზამთრისკენ მიდის.



რამდენიმე პირობა პროვინციული ტრაგიკონის სხოვანობიდან

„რა ქნას კარგმა მონარქმა...?“

დილით რომ გაიღვიძა, ცხვირი ძლივს ამოჰყო საბნინდან, ისე ცოლდა. ოთახს თვალი მოავლო: ყველაფერი თავის ადგილზე იდო. „აბა, შუალამისას ვინ მოვიდოდა ჩემს უკითხავად, ვინ გადააღებდა? — გაიფიქრა. — რა დაანთებს ამ ოხერ თუნუქის ღუმელს! რომელი საათია?“

გირჩებიანი კედლის საათი წყნარად და მყუდროდ წიქწიქებდა, ვერ იტყოდო. „ალბათ, დასაზნებია“, — გაიფიქრა ისევ. ცხრას ათი წუთი აკლდა, ანუ რვა საათი და ორმოცდაათი წუთი იყო, როგორც რადიოში აცხადებენ. წამოხტა, წინა ღამით შეშაშეწყობილ, დასანთებლად გამზადებულ, წყლით საესე ჩაიდანდაღმეულ ღუმელში შავი, ჭუჭყიანი ნავთი შეასხა და ასანთი გაჰკრა. ერთხანს იცადა, ვიდრე ნავთად წოდებულ სითხეს ცეცხლი გაუჩნდებოდა. მერე საწოლს დაუბრუნდა. ამ „ოპერაციას“ რამდენიმე წუთი მოანდომა. ათმაგად ესიამოვნა თავისი ტანის სითბო, ქვეშავეებმა რომ დაახვედრა. გაიტრუნა, თვალი მილულა. მალე აგიზგიზდა ღუმელი, ოთახში სითბო დატრიალდა. ახლა მთავარი იყო, ადგომა და ტანთ ჩაცმა მოესწრო, ვიდრე ცეცხლი ჩაქრებოდა, თორემ თუნუქის ღუმელი რომ მალე ხურდება და სწრაფადვე ცივდება — ბავშვმაც კი იცის. ზედმეტ შეშას ვერ დახარჯავდა: ყოველი ღერი დათვლილი ჰქონდა და გაზაფხულის დადგომამდე განაწილებული. „ჩვიდმეტი აპრილიდან ღუმელს აღარ ავანთებ, — ამას, ვიდრე აღნიშნული თარიღი დადგებოდა, ყოველ დილით ფიქრობდა. ეგონა, ჟამთა სვლას დააჩქარებდა, მარ-

თალია, მარტი ძველი სტილით ცამეტ აპრილს მთავრდება, მაგრამ, დიდდა ამბობდა და მართალი უნდა იყოს, თოთხმეტი, თხუთმეტი და თექვსმეტი ნასესხები ჰქონია აპრილისაგან. რახან ნასესხები აქვს, ცული ამინდი, ესე იგი ზამთარი, თექვსმეტ აპრილს მთავრდება. ჩვიდმეტი აპრილიდან საქართველოში და განსაკუთრებით საქართველოს ამ პროვინციაში, პირდაპირ ზაფხული დგება. არა, არა, მთლად ასეც არ არის: ჩვიდმეტი აპრილიდან თხუთმეტ მაისამდე კიდევ ჰგავს ვითომ გაზაფხულს, მაგრამ შუა მაისიდანვე მზე ისე ხელდება, მოკლესახელოებიან პერანგშიც ცხელა“.

ადგა. გაყინულ ფლოსტებში ფეხები წატუტა და ტანსაცმელი ღუმელს მიუშვირა, შეათბო. მერე ჩაიცვა და საათს დახედა. იმწამსვე რადიო ჩართო. „მწვავე შეტაკების შედეგად ჩვენმა ჯარებმა...“ — გაისმა რადიოს ცნობილი დიქტორის ხმა. რადიო გამოთიშა. ერთხანს ჩუმად იყო, არც განძრეულა. მერე ღრმად ამოიოხრა და თუნუქის ღუმელს მიუბრუნდა. ამასობაში ჩაიდანში წყალმა თუხთუხი დაიწყო. ცხელი წყლის ნახევარი ტაშტში გაანელა და პირი დაიბანა. მერე ჩაი დალია. ორი კვინტი შაქარი და ხელისგულისოდენა შავი, ტალახს რომ ჰგავდა, ის პური შეატანა და ამოისუნთქა. ამ დღეს ჩვეულებრივზე ადრე ადგა: წერილი ჰქონდა დასაწერი. სხვა დროს რეპერტიციისათვის რომ მიესწრო, მაშინ დგებოდა, რადგან შეშას ზოგავდა. ამ დღეს ადრე ადგა, თუნუქის ღუმელთან სამფეხა პატარა სკამი დაიდგა, მაგიდად ტაბურეტი გამოიყენა. წყლით გაზავე-



ბული, ქიმიური ფანქრის ნაფხვენისა-
გან დამზადებული მელნით სავსე ბოთ-
ლი და ბავშვები „მზესუმზირას“ რომ
ეძახდნენ, ისეთ კალმიანი კალმისტარიც
ტაბურეტზე დადო და მოყავისფრო
ქაღალდის ოცგვერდიანი რვეულიდან
შუაფურცელი ამოხია. სამფეხაზე დაჯ-
და, ზურგი ღუმელს მიუშვია და ჩა-
ფიქრდა.

„დიომიდე ცირამუას!

მოწყალეო ხელმწიფე! ასე უნდა
დამეწყო ბარათი, ეპისტოლარულ
მემკვიდრეობას რომ ვუფრთხილდე-
ბოდე. თუმცა, რა ვიცი, შესაძლოა, შე-
ნი არქივი გამოაქვეყნონ, როცა ჩვენ
ალარ ვიქნებით ამქვეყნად და მაინც მო-
ვხვდეთ საქართველოს ხელოვნების ის-
ტორიაში, რომელიდაც ფურცლის
ერთ-ერთ სტრიქონად. ზუსტად სამი
წელი გავიდა, რაც ერთმანეთს დავცი-
ლდით. მაინც ზეპირად მახსოვს ფიცი,
სტუდიასთან განშორებისას რომ დავ-
დეთ. განსაკუთრებით ეს ადგილი:
„წყეულმც იყოს, ვინც ნიჭი შენიშ-
ნოს და დათრგუნოს ან გვერდით გულ-
გრილად ჩაუაროს! დედამც შეერთოს
ცოლად, ვინც მეგობრის ხელი არ გაუ-
წოდოს, გზა არ გაუნათოს, არ დალო-
ცოს ის ნიჭი!“ რა სასაცილონი ვიყა-
ვით, არა?

აქ იმიტომ წამოვედი, რომ თბილი-
სის თეატრებში მეოთხე გლეხისა ან პი-
რველი მონადირის როლი არ მეთამაშა.
ეს რატომდაც გარდუვალია ახალბე-
და აქტიორისთვის დედაქალაქში. რა
ვქნა, თქვენი, რეჟისორების ბრალია
ყველაფერი, სტუდიაში პირველი დღი-
დანვე ცისფერი გმირების როლებს რომ
მთავაზობდით!

ახლა, როცა სცენის ალარ მეშინია
და ორივე ფეხით მაგრად ვდგავარ, ერთ
რამეს ვთხოვ და უარს ნუ მეტყვი შე-
საძლოა, თავხედობად ან ფანტაზიად
მოვეჩვენოს, მაგრამ „რომეო“ უნდა
დამიდგა. ჩამოდი, რამდენიმე თვე მა-
ინც იქნები მაძლად. ახლა ისეთი
დროა, სოფელი უფრო კარგად იკვებე-
ბა, ვიდრე ქალაქი. თუმცა საქართვე-

ლოში ეს ყოველთვის ასე იყო. თანაც
დავადგინე, რომ დასსაც და სცენასაც
ახალი წლის იანვარ-თებერვლამდე
სცალია. ესე იგი, ჩვენს ხელთ მხო-
ლოდ ოთხი-ხუთი თვეა.

ვერ წარმოიდგენ, როგორ უყვართ
აქაურებს თეატრი! ყოველ საღამოს
ანშლაგია და, მიუხედავად ამისა, დარ-
ბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებ. რე-
აქციებიც ისეთია, გაგისხარდება. ეს მა-
ძლებინებს, თორემ მეც ვიცხოვრებდი
მანდ, საკუთარ დედ-მამასთან. დედა
ვერ მომივლიდა თუ მამაჩემის მანქა-
ნით თეატრში მობრძანებას ვერ შევი-
ფერებდი? ცალკე ოთახი მაწყენდა თუ
ლოგინში მორთმეული კაკაოიანი გოგ-
ლი-მოგლი? არც ერთი, არც მეორე...
მაგრამ ამათ ვერ ვუღალატებ. აქაუ-
რებს ჩემსავით უყვართ თეატრი და ქუ-
ჩაში რომ გამოვდივარ, ყველა მიყუ-
რებს. იციან, მამაჩემი სახკომსაბჭოში
რომ მუშაობს და მე კი, თეატრის გუ-
ლისათვის, ასეთი ცხოვრება ვირჩიე.
ერთ რამეშიც უნდა გამოგიტყდე: ჩვენ
მთავარ რეჟისორს, შესაძლოა, ჩემზე
უკეთესი კანდიდატურა არცა ჰყავს,
მაგრამ მაინც თავს იზღვევს, ეშინია
(ხომ იცი, ვაჟკაცი კაცის სახელი აქვს
დავარდნილი) და არც ერთ მთავარ
როლს არ მაძლევს. ისიც შესაძლოა,
ჩემნაირი მსახიობები არ მოწონდეს. არ
ვიცი, ვერ გავიგე. ისე, ძალიან კარგად
არის ჩემთან, ჩვენი სტუდიის ყოველ
გამოშვებულთან, მაგრამ როლებს მა-
ინც „ძველებს“ აძლევს, თუმცა ისინი
ნელ-ნელა არმიაში მიჰყავთ. ასე შედი-
ან შენი თანაკურსელები რეპერტუარში.
მე კი... მეტის მოთმენა ალარ შემიძლია.
ლამის არის დამავეკვოს არჩეულმა პრო-
ფესიამ... ერთი სიტყვით, პასუხი დრო-
ზე მომწერე, თორემ წავედი მო-
ხალისედ და ეგ არის. მოხალისე არ-
ტისტობას... მამაჩემს რა ვუთხარი:
ბრტყელტერფა იმას დავემსგავსე! სა-

თავაჯ ჯოდბერაძე

ჩამდენიმე მაკოლონი პროვინციილი
ბრაზიკოსის ცოვრამიდას

მჯერ დამაბრუნეს! ასეც ხდება, ჩემო კარგო...

მე დღეს დილიდანვე ისე ვარ აღელვებული, აღტაცებული და გადარეული, როგორც რომეო პირველი პაემანის წინ. რომეოში ყველაზე ძალიან ჭაბუკის კაცად გახდომის მომენტი მიტაცებს. ჩვენ ახლა ყველანი ნადრევად დაგვაცდით. რომეო ერთ კვირაში დაკაცდა, დაბრძენდა და დაიღუპა კიდეც. ჩვენც ერთ მშვენიერ დღეს (თუ გახსოვს, შარშანდელი ოცდაორი ივნისი მართლაც მშვენიერი დღე იყო!) დავკაცდით ყველა. ამას რაღაცა საერთო აქვს. არ ვიცი, რა, მაგრამ ვგრძნობ, რომ აქვს ამ ორ ამბავს ბევრი რამ საერთო... თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი. მე მაგსოვს შენი საღებლომონი ნამუშევარი და კარგად მაქვს წაკითხული „რომეოს“ შენეული ექსპლიკაცია. აქაურები და, განსაკუთრებით, რაიონის ხელმძღვანელობა ძალიან დაგიმადლებს, ამ სიტყვების ნებისმიერი მნიშვნელობით.

ძალას არ გატან. დაფიქრდი. თუ ჩემი გეშინია, მომწერე, არ მეწყინება. სინამდვილე უფრო გამაძწარებს. ეგებ მართლაც მხოლოდ სურვილი მაქვს და ძალა არ შემწევს?! რა ვიცი. ამასაც თქვენ, რეჟისორები, უფრო კარგად ხედავთ. ერთი სიტყვით, პასუხი არ დამიგვიანო, თორემ უკვე მაბოდებს. მთელი ტრაგედია ზეპირად ვიცი. თანაც ისეთი ჭულიეტა გვყავს — გაგიჟდები. „მზეა ჭულიეტა!“ გემახსოვრება შენ ეს გოგო.

მოუთმენლად ველი პასუხს. თქვენი უერთგულესი მონა, თემო ბროკიაშვილი.

20 ოქტომბერი, 1942 წელი.

P. S. მართალია, ჩვენებს რაღაც რეაქტიული გამოუფონებიათ და მალე ყველაფერს შეატრიალებსო?“

ბაზრიდან დიდი მწვანე ველი მოიხანდა. ეს ველი პირდაპირ ფეხებში ეგო მარადიული თოვლით მოვარაყებულ ქედს. ველზე არ იყო არც ერთი ბორცვი, გორაკი თუ სოფელი, არც ბუჩქ-

ქნარი ან ტყე... ის პირდაპირ ცენტრში ეფინებოდა მიუვალი კლდეებისა და მწვერვალებისაგან აშენებულ მთაგრეხილს. ტყე მხოლოდ ფერდობის შუავულში იწყებოდა რატომღაც. მერე ეს ტყე ბუჩქნარსა და ჯაგნარში გადადიოდა და ბოლოს, ალპური ზოლიც ხავერდად ეფინა, ნაირნაირი ყვავილებით მოთეთულ-მოკაზმული. შემოდგომაზე ამ ველზე, ამ ტყეში, ამ ბუჩქნარსა თუ ჯაგნარში და ალპურ ზოლშიაც საოცარი ფერები ფეთქებოდა. არც ყველაზე მრავალფეროვან პალიტრასა და საღებავს, არც ყველაზე დიდ ფანტაზიასა და უნარს. არც ყველაზე გრძნეულსა და ბრძენს არ შეეძლო იმ ფერთა ცეკვის აღწერა, აღწერა კი არა, მოფიქრებაც კი! ეს ლამაზი ველი, ულამაზესი ქედი, თოვლის თეთრი მწვერვალები ზურგით ამაყად და თავისუფლად ებჯინებოდნენ ცის მკვირვ, წმინდა, ხელშესახებამდე ნამდვილ სილურჯეს. ცის საზურგე რომ არა, გეგონებოდათ, ყველაფერი ამოტრიალდებოდა და საუკუნეობით მიწაში ჩაზრდილ-ჩაზლართულ. ულამაზო და უშნო ფესვებს ქუჩაში წაქცეული დედაბრის ნიკრისის ქარისაგან დაკრუნჩხული ფეხებივით მაღლა აიშვერდა. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, აქ ცა ყოველთვის სანდო და მოწმენდილი იყო. ღრუბლის ფთილა რა არის, ისიც იშვიათად ჩნდებოდა. დევის გული უნდა გქონოდა, ამ სილამაზისათვის რომ გაგეძლო.

ქალაქში იყო ბევრი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა ველზე მიბმული ქედი დაგენახა, მაგრამ ბაზრიდან სულ სხვა სანახები ჩანდა. ეს უბრალო რამეა, ხედვის კუთხეზეა დამოკიდებული და მთქმელს შეუუკამათებლად უნდა დაუჯერო.

ყველას ეგონა, ღვინო უყვარს და ბაზარში ასე ზნირად იმიტომ დადისო; თემურ ბროკიაშვილი კი, ვიდრე თანამესუფრენი დანაყრდებოდნენ, იდგა და ამ გადარეულ სიმშვიდეს შესცქეროდა.

იმ დღესაც არ უთქვამს უარი მე-

„ცისკარის“ მკითხველებს ვთავაზობთ
ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების ფოტო-
რეპროდუქციებს.
შეუძლებს კირველად.



















გობრებისათვის. რეპეტიციის შემდეგ ბაზარში ჩავიდეთ რომ ანიშნეს, თანხმობის ნიშნად მაშინვე დაუქნია თავი. საღამოს სპექტაკლი ჰქონდა და წვეთი არ დაუღვია. არც ვისმეს დაუძალეზია, რადგან იცოდნენ მისი ხასიათი. არა თუ იმავე საღამოს, მეორე დღესაც რომ ჰქონოდა სპექტაკლი (როლს მნიშვნელობას არ აძლევდა), წვეთს არ დაღვევდა. მაგრამ თუ იშვიათი თავისუფალი დღეები წაეწყობოდა... გინახავთ მოწყურებული ცხენი, ხარი ან კამეჩი უეცრად წყაროს რომ მიადგება? მაგრამ ცუდი სიმთვრალე არ იცოდა, ამიტომ ყველას უყვარდა ფიზიკა და მთვრალიც.

იმ ხსენებულ დღეს არც სუფრასთან დარჩენილა ბოლომდე. ბოლო — ეს მზის ჩასვლა იყო. მზე რომ თვალს მიეფარებოდა, ისე ლამაზი აღარ იყო გადასახედი. ამხანაგებს ბოდიში მოუხადა, საქმე მაქვსო და შინ დაბრუნდა. დიასახლისის თემურის ოთახი დაელაგებინა და ავეჯისათვის რაღაცა ნაჭრებში გადაეფარებინა. რამდენჯერ უთქვამს, ავეჯს ნურათფერს აფარებ, არ უხდება, ეგეც არ იყოს, სტუმარს ძუნწი და უნახავი ვეგონებით, მაგრამ დიასახლისის ისე უყვარდა მდგმური, რომ ყველაფერს საკუთარივით და უფრო მეტადაც უფრთხილდებოდა. თემური საწერ მაგიდასთან დაჯდა, ქაღალდი და საწერ-კალამი აიღო და... წამოდგა, ფანჯრები დააღო. „ახლაც რომ არ მიპასუხოს? — გაიფიქრა — მე რე სხვა გზას ვეწევი თუ რა?“ ისევ მიუჭდა მაგიდას. რამდენჯერმე დაიწყო და წაშალა... დახია, ახალი ფურცელი ამოიღო, ერთი-ორი სიტყვა დაწერა და ისევ დახია. ადგა. გაიარ-გამოიარა. დიასახლისის ნაბიჯების ხმა არ გამოჰყარვია და „ხომ არაფერი გინდა, თემურ, შვილო?“ — იკითხა. მაგრამ „არაო!“ — ისე მოკლედ მიუგო, რომ მიახვედრა, საუბრის გაგრძელება არ მინდაო. „რა ჰქნას ამანაც, მარტოხელაა.“ — გაიფიქრა. ისევ მაგიდას მიუჭდა. „არ ავდგები, სანამ არ დავეწერ!“

„დიომიდე ცირამუსი! მოწყალეო ხელმწიფე! ჩემო დიომედე!“

არ ვიცი, როგორ დავიწყო. იმედო მაქვს, ისევ გახსოვარ, თუ შეგახსენო თემურ ბროკიანშვილი, შენი სტუდიელი თანაკურსელი? მე — ერეკლე, შენ — სოლეიშანი „ღალატში.“ მე — გიჟუა, შენ — ბატონი „რაც გინახავში.“ გავაგრძელო? არ არის საჭირო, ხომ მართალი ვარ? შენ თავიდანვე რეჟისორობა გინდოდა. აქი მოგიმართა ღმერთმა ხელი. ახლა, როცა საქმეები ასე კარგად გაქვს აწყობილი, მეგობრებსაც უნდა მოგგზიდო. ისევ უნდა გაგახსენო ფიცი, სტუდიის დამთავრებისას ელზბარ ანდრონიკაშვილმა, ჩვენმა აღმზრდელმა და საყვარელმა აღამიანმა (ღმერთმა აცხონოს, კარგი კაცი იყო) რომ დაგვადებინა: „წყუეულომც იყოს...“ გემახსოვრება... ასეთი რამ კაცს არასოდეს ავიწყდება!

ალბათ ჩვენი თეატრის ამბები და შესაძლებლობები გეცოდინება. ბევრჯერ დამიძახეს თბილისის სხვადასხვა თეატრში და კინოშიც, მაგრამ აქაურებს ვერ ვუღალატებ. ამ ქალაქში თეატრის მოლარე და გამნათებელიც კი დიდ პატივშია. მე ხომ მადიდებენ და მღიმერებენ. წაიკითხავდი, აქაური რეპერტუარი მთლიანად ჩემს კისერზეა. ქუჩაში ზოგი არსენას მეძახის და ზოგი — ერეკლეს, ზოგი — გიორგის, ზოგი — ზღესტაკოვს, ზოგი — კრაზანას, ზოგი — პლატონ კრეჩეტს, ზოგი — პეპოს და ზოგიც... აღარ მახსოვს, ვერც ვავიხსენებ, ამასობაში იმდენი როლი ვითამაშე, რომ... ვისაც რაში მოვწონვარ, იმ სახელს მეძახის, ლამის საკუთარი დამავიწყონ.

ახლა მინდა ჰამლეტი დამიძახონ. არ გეგონოს, მხოლოდ ტრაგედიის ან შექსპირის თამაშის სურვილი მაიძულებდეს ეს მოგწერო. დიდი ვაჭირვე-

თამაზ გომარძიშვილი
გაფლანგიმ მაიზოდი პროვინციელი
ბრამპონის ცხოვრებიდან

ბით, მაგრამ შენი სპექტაკლები თითქმის ყველა ვნახე და დარწმუნებული ვარ, ახლა შენნაირად ვერავინ დადგამს „ჰამლეტს.“ მგონია, მეც შევძლებ გვერდში ამოვიდგე. რა ვიცი, ეგებ აქაური მთავარი რეჟისორი მანებიერებს, მაგრამ მითხრა: „ისეთი თვალეები გაქვს, აუცილებლად ჰამლეტი უნდა ითამაშო.“ ნათქვამს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ... ამით გამომიტყდა, თუ დადგამენ, წინააღმდეგი არ ვიქნებიო. შენც მუშაობა, ალბათ, ამისი დასტურით უნდა დაგეწყო. ახლა ეს ოფიციალური ამბავი მოხსნილია. ისე რომ ყველაფერი შენზეა, ჩემო ძმაო.

შენ შეგიძლია მთელი ტრაგედია, რომელიც დანიაში, კერძოდ, ელსინორში თამაშდებოდა, ერთ ადამიანში, კონკრეტულად, ჰამლეტის სულში გადაიტანო. ასე უფრო საინტერესო იქნება, ხომ მართალი ვარ? ბოლოს და ბოლოს, კლავდიუსის მიერ „სახელმწიფოს გადატრიალება“ სისხლის სამართლის საქმეა და პეტი არაფერი. კოზინცევი ამბობს, კლავდიუსმა გვირგვინი მოიპარა და ჯიბეში ჩაიღოო. მაგრამ მას ხომ ჯიბეში თამბაქო, ჭაყვა და დუქნის გადაუხდელი ქვითარიც აქვს დამალული?.

საოცარია ჰამლეტი! რამდენი რამ იცის, რაზე არ მსჯელობს: მეზაღვრობა გინდა თუ მეზოსტენოზა, საქმელი თუ სასმელი, ავადმყოფობა თუ განსაკურნებელი წამალი, ნადირობა თუ სპორტი, იურისპრუდენცია თუ ფორტიფიკაცია, ჯარისკაცების, ტუსაღების, მაწანწალების, აქტიორების, ღურგლების, მესაფლავეების ცხოვრება გინდა თუ რა ვიცი, კიდევ რა. ჰამლეტმა ისიც იცის, როგორ აშენებენ ქალაქებს, როგორ აწყობენ მიწას, როგორ ომობენ ხმელსა თუ წყალზე. გასაკვირიც არ არის, ის ხომ ვიტენბერგში სწავლობდა. შექსპირის თანამედროვეთათვის კი ეს უნივერსიტეტი ლეგენდარული იყო. თუ გადმოცემებს დავუჯერებთ, ვიტენბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა

ფაუსტიც, მეფისტოფელს სული რომ მიჰყიდა.

არ ვიცი, როგორ თამაშობდა რიჩარდ ბერბეჯი, ჰამლეტის პირველი შემსრულებელი, არც დავიდ ჰარიკი, არც სკოფილდი, მაგრამ მჯერა: უკვე დროა, ბოლო მოეღოს მსჯელობას — რეალური პიროვნებაა ჰამლეტი თუ სცენით შემოფარგლული პირობითობის პირშო. და ბოლოს, ჩვენ მოგვიწევს, ალბათ, შექსპირის პოეტური თეატრის აღდგენა და კვლავ ასე თამაში. ოღონდ, ეს უნდა იყოს პოეტური რეალიზმი! ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ „ჰამლეტიზმის“ ფროიდისეული, პესიმისტური, ხელჩაქნეული, ეგზისტენციალური გაგება, ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით იმის შემდეგ რომ გამეფდა მსოფლიოში, ღმერთმა უწყის, რატომ. ჩვენ უნდა ჩვენი ჰამლეტი და, აქედან გამომდინარე, ჩვენი „ჰამლეტიზმი“ შევქმნათ. აბა, დაუფიქრდი, შენს მეტი ვინ შეძლებს ამას? არა მგონია, ვინმემ აიკიფლოს ასეთი ტვინით. შენი აზრი მაინც ტრესებს.

რასაკვირველია, შეგიძლია, თუ არ აპირებ, ჩემთან ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად ვილაც, ახლა უკვე ყველა წოდება რომ მოაგროვო, ის რეჟისორი დამისახელო. იმისი გვარი და სახელი, ავრთვე, მისამართი, ალბათ, მეც მეცოდინება, მაგრამ წერილს შენ გწერ. ესე იგი, შენი მჯერა. სხვანაირად არც შეიძლება, როცა საქმე გაქვს შექსპირთან, ამ უგენიალურეს პიროვნებასთან, დრამატურგსა და პოეტზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

აბა, შენ იცი, ჩემო დიომიდე. ძალიან გთხოვ, პასუხი არ დამიგვიანო. შენ პასუხზე უნდა ავაგოთ მთელი რეპერტუარი. მე თუ არ გეცოდები, დირექტორი და მთავარი რეჟისორი მაინც შეიბრალო.

შენი უერთგულესი მონა-მორჩილი თემურ ბროკიაშვილი.

P. S. მართლა, ანაზღაურება ე. ი. ჰონორარი უმადლესი იქნებაო, ესეც გავიგე. 10 იენისი, 1955 წელი“.

„ვითარი მაშინ იდუმელობა დაისადგურებს შენს არემარეს!“ — ჩაიბუხუნა ბროკიაშვილმა. მას ტკბილი, ხავერდოვანი, თბილი ბანი ჰქონდა. „იდუმელობას“, რადგანაც დედანში ასეა და ბევრმა იქაურმა ეს არ იცოდა, განსაკუთრებული „იდუმელებით“ და წამღერებით გამოთქვამდა.

ბნელოდა. ქალაქგარეთ, ერთი მოყუჩებული რესტორნის საბანკეტო დარბაზში ბროკიაშვილი და მისი დედა ქალაქელი სტუმრები ქეიფს მორჩნენ. ბროკიაშვილს ფული წინასწარ ჰქონდა გადახდილი (ასე იცოდა: მისვლისთანავე განსაზღვრულ თანხას მისცემდა რესტორნის დირექტორს და ბოლოს ოფიციალტი უკან უბრუნებდა, რასაკვირველია, დანახარჯის გამოკლებით, ამით თავიდან იცილებდა გადახდის პროზაულ პროცესს. ზოგჯერ, ზოგჯერ კი არა, უფრო ხშირად ფულს ხელუხლებლად უბრუნებდნენ, რადგან სხვა მომხმარებლები, უმთავრესად, მადლიერი მაყურებელი, იხდიდნენ მის დანახარჯს. საერთოდ, სადაც წასწრებდნენ, იქ უხდიდნენ აქაურები. თავდაპირველად თავილობდა, მაგრამ მერე, თავს ზემოთ ძალა არ არისო, და ნელ-ნელა შეეჩვია). ამჯერად, ნამდვილად არ უნდოდა სხვის ხარჯზე გამოსულიყო, რადგან თბილისელი განთქმული ლამაზმანები ჰყავდა საბურმარილოდ. თითქოს ვინაზე, ოფიციალტმა ორჯერ მეტი ფული დაუბრუნა. ბროკიაშვილმა ოფიციალტს ჩურჩულთ ჰკითხა, საიდან? წვენების ქარხნის დირექტორმა ვალი გადაგიხდათო, ჩუმიადვე უპასუხა ოფიციალტმა. წვენების ქარხნის დირექტორს ბროკიაშვილის ვალი არა ჰქონდა, მაგრამ ერთხელ რაიკომის მდივანთან სიტყვა შეაწია და ალბათ იმანაც ეს ივალა... უკან უნდოდა დაებრუნებინა, მაგრამ წასულები იყვნენ ყველანი. ბროკიაშვილის თეთრი „ვოლგით“ ამ შუალამეს ქალაქში დაბრუნება მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, რადგან სასტუმროსთან ყოველ-

თვის დგას ვილაცა. ამიტომ კიდევ ერთი შავი „ვოლგა“ ჰყავდათ წამოყვანილი ორი „მოსკვიჩის“ გარდა. ხუთი მზეთუნახავი თავისუფლად ჩაეტია შავ „ვოლგაში“. ტანთხელი და ლერწმით გაზნექილი ხათუნები კისკისებდნენ და სულ მადლობთ, მადლობთო, გაიბახოდნენ.

მეორე დღეს პრემიერა იყო: „ვერაგობა და სიყვარულში“ უნდა ეთამაშა. სტუმრებიც ამიტომ ჰყავდა. ორი დღილი ძმაცკი ჩამოუვიდა ორი „მოსკვიჩით“ და ხუთი გოგო. ეს ორი ძმაცკი ყოველ პრემიერაზე და ისედაც ხშირად ჩამოსდიოდა. გოგოები კი იცვლებოდნენ. შეიძლება კაცს რაიმე „ისეთი“ ეფიქრა, მაგრამ აბა, რომელი თბილისელი გოგონა ივლის პროვინციაში ყოველ პრემიერაზე? გამოიცვლებოდნენ, აბა რა იქნებოდა?! შავი „ვოლგის“ პატრონმა გოგოები სასტუმროში მიიყვანა და წინასწარ მომზადებულ გაკრიალებულ ოთახებში დაანაწილა. მერე ბროკიაშვილს, გზის გასაყართან რომ უცდიდა, მოახსენა, ყველაფერი კარგად არისო. გოგოებისთვის ისე მოულოდნელი აღმოჩნდა გაშლილი სუფრა და ნაირნაირი სასმელებით და ხილით გამოტენილი მაცივრების ნახვა, რომ ლამის გული მისდიოდათო. და მაშინვე შინისაკენ გააქროლა მანქანა. ეტყობა, ბროკიაშვილისა და იმ ლამაზების მომსახურებით ძალიან დადლილი იყო. ბროკიაშვილმა მანქანა ადგილიდან დასძრა. ორი „მოსკვიჩი“ დინჯად მიჰყვა თეთრ „ვოლგას“. ბროკიაშვილმა მანქანა ორსართულიანი სახლის წინ გააჩერა, ჰიშკარი გააღო, გარეის კარიც გამოაღო და „მოსკვიჩებს“ ანიშნა, შემოდიეთ. „ვოლგისთვის“ ჰკვიანურად აშენებულ გარაჟში ორი „მოსკვიჩი“ თავისუფლად ეტევა. ბროკიაშვილმა თავის „ვოლგას“ ბრეზენტის დიდი ნაპერი გადაათარა. ბი-

თაბაგ ზოფარაიშვილი
კამადინიშო მაიუოდი პროვინციელი
ტრაპიკოსის ცაოვრეაიშვიან



პებს მეორე სართულზე აუძღვა, ცალ-ცალკე ოთახში მოათავსა და ტკბილი ძილი უსურვა. თვითონ აივანზე გავიდა. ვარსკვლავებით გადაჭედებული ცა-ბროკიასფილმა ღრმად ჩაისუნთქა (ხმამაღლა, მაგრამ ნელა): ვიითარი მა-შინ იღუპილობა... ვითააარ შვენიან (სწრაფად), როს მონაშენ ცვარნი ციუ-რნი, ოდეს საღამოს დაშენ ამოს (ნე-ლა, თითქმის სიძლერით) ციავნი ნეე-ლნი! „ეს ორსართულიანი სახლი, ეს „ვოლგა“, ეს შეცდომით ორმაგად მო-ზომილი კარ-მიდამო, აყვავებულ-ახუნ-ძლული! რად მინდა? ოხ, დიომიდე, შე-ნი დედა ვატირე!“ გაიარ-გამოიარა. სამუშაო ოთახში შევიდა, სინათლე აანთო. მიაყურა. ძმაკაცებს, ეტყობა, ეძინათ. გაახსენდა: „ბორჯომი“, ხილი, ნარინჯის წვენი და კონიაკი დაუდგა თითოეულს თავთან ფრთხილად. მერე სამუშაო ოთახში დაბრუნდა და დიდი სარკის წინ დადგა: „ვითააარ შვენი-ან...“ მკვეთრად მობრუნდა, საწერ მა-გიდას მიუჯდა და დაიწყო:

„დიომიდე ცირამუა!

რა კაცი ხარ შენ ამის შემდეგ! მოე-ლა რო უნდა ყოილსა, დავაფიწყა?“

შეჩერდა, ფურცელი დახია, ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ცას ახედა. კი-დევაც რომ ყოფილიყო, ვერც ერთი ვარსკვლავი ვეღარ დაეტეოდა. „ჩემი კი არ არის! — გაიფიქრა, — არ-ცერ-თი!“ — ჩამომარცვლა ხმამაღლა.

შებრუნდა, საათს დახედა: თორმეტი საათი და ორმოცდაათი წუთი იყო. დროს ასე ადგილობრივ რადიოში აცხ-ადებდნენ და მიჩვეული იყო ასევე აზ-როვნებას. დილით რეპეტიცია არ ჰქონ-და, გამოძინებას მოასწრებდა. ამიტომ გადაწყვიტა, ვიდრე ერთი ლახვარივით ბარათს არ დაწერდა, არ დაეძინა.

„ბატონო დიომიდე!

მოწყალეო ხელმწიფე! ნუთუ არც ერთი ბარათი არ მიგიღია?! ნუთუ გინ-და, აუცილებლად გეახლო და... ვერ მიხვდი, რა გინდა, თორემ გავაკეთებ-დი, შენსავით ამდენ ხანს კი არ გავყუჩ-დებოდი... ვიცი, თავის ასაწევად არ

გცალია, იმდენი საქმე გაქვს: ესაა... რიო, ეს თეატრალური ინსტიტუტო, ეს კინოსტუდიაო, ეს სახელმძღვანელო-ების წერაო, ეს არცთუ ისე იშვიათი და ფრიად სასიამოვნოდ შესრულებული როლები კინოში, ეს მივლინებები საზ-ღვარგარეთ და დადგმები საზუთა კავ-შირის სხვადასხვა ქალაქებში და რა ვი-ცი, კიდევ რა! ჩვენი ქალაქი რა გახდა, რომ ვერ მოიცალე? საქართველოში ტურისტი არ ყოფილა, აქ არ ჩამოსუ-ლიყოს და შენ რა მოგივიდა?! ერთი რამ უნდა შეგახსენო: დედაქალაქი არ ვიცი, მაგრამ პროვინცია უტრაგედოდ ვერ იცოცხლებს. ჩვენ თეატრში მუ-დამ უნდა იდგმებოდეს შილერი, შექ-სპირი... რა მოხდება, ჩამოხვიდე და ჩვენი დასიც გაახარო ერთხელ? მხო-ლოდ ჩვენი თეატრი კი არა, მთელი რა-იონი გახალისდება. წარმოიდგინე რა-იონული გაზენი რომ დაბეჭდვას: მალე იხილავთ შექსპირის „ოტელოს.“ სპექ-ტაკლს დადგამს ხელოვნების დამსახუ-რებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დიომიდე ცირამუა. ოტელოს როლს შეასრულებს რესპუბ-ლიკის დამსახურებული არტისტი თეი-მურაზ ბროკიასფილიო. რა ამბავი ატყ-დება, იცი? თუმცა შენ ვერ წარმოიდ-გენ. რამდენიმე წელიწადი უნდა გაა-ტარო აქ ან აქაური უნდა იყო, რომ ნაღდად წარმოიდგინო. მიდინხარ ქუჩა-ში და... ჩურჩულებენ. ხმამაღლა ლა-პარაკის ეშინიათ, ვაითუ ფიქრი, სიმ-ყუდროვე ან ოცნება დავერღვოთო.

რა იქნება მთელი ჩემი შემოქმედება, ოტელო თუ არ ვითამაშე?! მიპასუხე, თუ ძმა ხარ, რატომ შევალე მთელი ჩე-მი ნიჭი და უნარი ამ გადაკარგულ ქა-ლაქს, ოტელო თუ არ ვითამაშე?! მანდ, გასაგები მიზეზის გამო, არ შემეძლო და იმიტომაც არ დაებრუნდი, როცა მიმიწ-ვიეს. მაგრამ აქ, ჩემს რაიონშიც თუ ვერ ვითამაშე, დამსხვრეულა მთელი ჩე-მი ოცნებები და ეგ არის! როლი, როლი კი არა, მთელი ტრაგედია უკვე დიდი ხანია შევისწავლე. პარიკიც მაქვს, გა-გეცინება, შავი ხუჭუჭა თმა, ზორავა-

ნავით! მაგრამ ჩვენ იმ გზით ხომ არ წა-
ვალთ? ბევრი რამ არის სადავო. არ შე-
იძლება ოტელო თავიდანვე ექვიანი და
გადარეული იყოს და იაგო თავიდანვე
გველი, ბოროტი, ინტრიგანი და ბინ-
ძური. გარემოება ხდის მათ ორთავეს —
მავრს გიჟად და ასისტავს ბინძურად,
ხომ მართალი ვარ? არ შეიძლება თა-
ვიდანვე ასეთები ყოფილიყვნენ. მაგრამ
რა აშმაგებს ორივეს? უბრალო ადამი-
ანური ურთიერთობანი. დიახ, დიახ, არ
უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე ისეთი-
ვე ადამიანია, როგორიც ჩვენა ვართ.
ორივესა აქვს ნაკლი. ახლა გაგიკვირ-
დება და მკითხავ, ოტელოს თავიდანვე
რა ნაკლი აქვსო? კარგად იცი, შავი-
მეთქი, ამაზე არ გიპასუხებ. მაგრამ
აღმოაჩნდა, ბატონო, ეს ნაკლი ოტე-
ლოს! მე თუ მკითხავ, იაგოა ოტელოს
გაგიყვებული. რა ნაკლი აქვს ოტელოს
და, მატყუარაა!! ალბათ, არა გჯერა. კი,
ბატონო, ყური დამიგდე: პირველი მოქ-
მელება, მესამე სურათი. საათობრიო
დარბაზი, ვიდრე დისდემონას (მიმიხ-
ვლები, რატომაც ვეძახი ასე!) მოიყვანენ,
რომ დაადასტუროს, ოტელო მიყვარ-
სო, მავრი მთავარსა და სენატორებს
ეუბნება: „მე მოგიტხოვრებ ისეთ სის-
წოროთ (გესმის, ისეთ სისწოროთ!), რა
სისწოროთაც ზეციის ვუმხელ“ და ასე
შემდეგ, როგორც ვიძინებურე დისდემ-
ონათ. მერე მიდის ცნობილი მონო-
ლოგი: „იმ ქალის მამას ვუყვარდი მე...“
და რა ირკვევა: დისდემონას რომ უამ-
ბობს, აქ ვიყავი, იქ ვიყავი, ეს მინახავს,
ის მინახავსო, იქვე აპარებს, მე შეგხ-
ვდიო „ხალხს კანიბალად წოდებულსა,
ანტროპოფაგთა, ერთმანეთისა ხორცის
მჭამელთ (კი, ბატონო, არიან, უფრო
სწორედ, იყვნენ ასეთები!) და კაცთ
უცნაურთ, რომელთაც თავი მხრებს
ქვემოთ აქეთ გამოზმული.“ გესმის? თა-
ვი მხრებს ქვემოთ! როგორია? ტყუი-
ლიც არის და ტყუილიც! ხალხში რომ
ამბობს, ასეთ რამეებს ვუყვებოდით,
პირისპირ, ალბათ, რა ბუქს დააყენებ-
და! ერთი სიტყვით, მოატყუა და ისე
შეაცდინა საწყალი დისდემონა. ახლა

იმასაც მკითხავ, იაგო როგორღა ვაძინებ
ხეცაო? ა, ბატონო: იქვე, იმავე სურათ-
ში, რამდენიმე გვერდის შემდეგ, ყველა
თანდათან გადის სცენიდან და როდრი-
გო და იაგო რჩებიან. იცი, რას ეუბნე-
ბა იაგო? „მე მავრი მძაგს: ამბობენ, ვი-
თომ ჩემმაგვირობა გაეწიოს ჩემ სარე-
ცელზედ“. გესმის? თუ ძმა ხარ, შურის
საძიებლად კიდევ თუ საჭიროა რაიმე
საბაბი, მითხარი, გეთაყვა! მართალია,
ამის შემდეგ იაგო არაადამიანურ და აკ-
რძალულ ილეთებს იყენებს, მაგრამ სა-
ბაბი ჰქონია და ისიც იმიტომ არის ასე
გაავეებული. ერთი სიტყვით, სცენაზე
უბრალო ადამიანები უნდა იდგნენ და
არა თავიდანვე განსაზღვრული ინტრი-
გის მსხვერპლი, საბრალო მავრი და გვე-
ლი იაგო. ძალიან უბრალოდ, უპატიო-
სოდ, თითქმის ნატურალისტურად მინ-
და ვითამაშო. მაგრამ რა მნიშვნელობა
აქვს ამას? კაცი ბუბოდა და ღმერთი იც-
ინოდაო, ხომ გაგიგონია? ამ შემთხვე-
ვაში შენა ხარ ჩემი ღმერთი და რო-
გორც გადაწყვეტ, ისე ვითამაშებთ.
ოღონდ ჩამოდი, ოღონდ დათანხმდი...
ჩემთან იცხოვრებ, „ვოლგა“ მოგემსა-
ხურება, ანაზღაურება — როგორც ნა-
ტურით, ისე ბანკოტებით — განუსაზ-
ღვრელია, თქვენი რანგის შესაფერისად.
ამაზე არც მინდა ვილაპარაკო; ხომ უნ-
და იდგეს ადამიანი რალაც-რალაცეებ-
ზე მალა!

გულს ნუ მომიკლავ, მიიღე ჩემი წი-
ნადადება. მადლიერი დაგრჩება მთელი
რაიონი და ეგებ სააგარაკო ნაკვეთიც
გამოგიყონ. სახლის აშენებას რალა უნ-
და, მე ვითავებ. სეზონში ერთი ოთახი
სამასი-ოთხასი მანეთი ღირს. რა ვიცრ,
რას არ მაწერინებს შენი გულქვა სიჩუ-
მე და სიჩიუტე. თუ არ ჩამოხვალ, პა-
სუხს მაინც მომწერე, თავიდანვე რომ
განგსაზღვრო რეპერტუარიცა და ჩემი
გზაც. ამჯერად დიდი იმედი მაქვს. ჩემი
სტაჟი, ნიჭი, გამოცდილება და წოდე-
ბაც უკვე მაძლევს უფლებას მოვითხო-

თამაჟ ზოფარძიშვილი

ჩამდინიძე ბაიუნოვი პროვინციელი
ტრაგიკოსის ცხოვრებიდან



ნო, დიახ, უბრალოდ, მოვითხოვო სე-
ზონში ერთი სპექტაკლი მაინც დაიდგას
პირადად ჩემთვის. მანდ ხომ უდგამთ
ჩემნაირ მსახიობებს სპექტაკლებს? ჩვენ
რატო დავაშავეთ, პროვინციალებმა, ჰა?

აბა, გოცნი და გეხვევი, მაგრად გარ-
თმევ ხელს.

შენი ერთგული ძმა თეიმურაზ ბრო-
კიაშვილი.

15 სექტემბერი, 1964 წელი.

„მე უსაქმურობის გამო ანგლიურის
ენის სწავლას შევუდექი...“ — ჩა-
ილაპარაკა ბროკიაშვილმა, აღმართ-აღ-
მართ მიმავალი ტურისტი ქალის ჩივი-
ან გავას თვალი გააყოლა და მზეს მი-
ეფიცხა. ბროკიაშვილის სახლის წინ გა-
დიოდა ძველთაძველი ცხენ-სიმაგრისა-
კენ მიმავალი ერთადერთი ბილიკი. სხვა
მხრიდან მიუვალი იყო ეს ისტორიული
ძეგლიცა და ფრიადო კლდეც, რომელ-
ზედაც სახელგანთქმული ღირსშესანიშ-
ნაობა კოხტად წამოსკუპულიყო. ქა-
ლაქში თუ იკითხავდი, ციხე-სიმაგრეში
როგორ ავიდნო, გიპასუხებდნენ: ბრო-
კიაშვილის სასახლეს ხედავთ? მარცხ-
ნიდან აუარეთ და ის ბილიკი პირდაპირ
გალავანს მიგაყენებთო. ამიტომ ბროკი-
აშვილის სავანეს, განსაკუთრებით ზაფხ-
ულის თვეებში, ამვლელ-ჩამვლელი არ
აკლდა. ბროკიაშვილს უყვარდა აივანზე
ღრმა სავარძელში ჯდომა და სხვადა-
სხვა ადამიანების ბიოგრაფიების შეთხ-
ზვა. თავისუფალ დროს ამით ძალიან
ერთობოდა და ფანტაზიასაც ივარჯი-
შებდა. შინ მუშაობა აღარ შეეძლო:
ბავშვები პატარები და უჭკუონი იყვნენ,
ლოლიც — ახალგაზრდა და გამოუცდე-
ლი. თუ საქმე ჰქონდა, სამუშაოდ თე-
ატრში მიდიოდა.

მანქანა ზუსტად დანიშნულ დროს
მოადგა და მოაყვია. (სამანქანო გზა
ბროკიაშვილის სახლამდე მოდიოდა,
ამიტომ სახლის წინ პატარა მოედანი
გააკეთებინა მოსაბრუნებლად. გზაც და
მოედანიც იმდენად პაწაწკინტელა იყო,
რომ „ვოლგა“ ძლივს იჩენებდა კუდს და
აბა, ავტობუსი როგორღა დაეტეოდა!).

ბროკიაშვილმა კიბე ჩაირბინა და ანგლი-
ურულ ბავშვებს არც გამოემშვიდობა,
ისე ჩაჯდა მანქანაში. მანქანამ თეატრში
მიაგრაილა. დასვენების დღე ჰქონდათ
და თეატრში დარაჯის გარდა არავინ
იყო. დარაჯის მოწიწებულ შეკითხვაზე,
რამ შეგაწუხათო, ბროკიაშვილმა —
„უსაქმურობის გამო ანგლიურის ენის
სწავლას შევუდექი.“ თეატრის მცველ-
მა მხრები აიჩეჩა და კაბინეტის დიდი გა-
საღები მიაწოდა. ბროკიაშვილს არ უყ-
ვარდა გასაღებების ტარება. მანქანის
გასაღებებსაც კი, როცა საჭეს თავად
უჯდა, სულ ბუდეში ტოვებდა. დარაჯმა
გაწვდილი გასაღებიანი ხელი, თითქოს
დაეწვაო, სასწრაფოდ ზურგს უკან და-
მალა და კაბინეტისაკენ გაიქცა.

მშვენივრად მორთული და მყუდრო
კაბინეტი ჰქონდა ბროკიაშვილს. აქ ყო-
ფნას და მუშაობას არაფერი სჯობდა.
თეატრის ახალი შენობა ბაზრის ადგი-
ლას ააშენეს და ბროკიაშვილის სამუ-
შაო ოთახის ფანჯარა ზუსტად ცნობილი
და სახელგანთქმული გადასახედისაკენ
იყო გაჭრილი. ის გადარეული სიმშვიდე
თითქოს ამ ოთახშიც იღვრებოდა და
ნაზი, თბილი სხივებით ავსებდა იქა-
ურობას; თითქოს სურნელებაც შეჰქონ-
და ახლად გაღვიძებული ყვავილებისა
და ბალახისა.

ბროკიაშვილი მაგიდას მიუჯდა. თეთ-
რი, პრილა ქალაღის გვერდით „პარ-
კერის“ ოქროსწვერიანი მუდმივი კალა-
ში ედო. ამჯერად კარგად იცოდა, რაც
უნდა დაეწერა, ამიტომ არც დაფიქ-
რებულა.

„ბატონო დიომიდე!

მოწყალეო ხელმწიფევ! რახან ჩვენი
ურთიერთობა ისე გაგრძელდა, რომ ვერ
შეგზვდი ჩემი თბილისში არცთუ ისე
იშვიათი მივლინებების დროს, იძულებ-
ული ვარ, კიდევ ერთი წერილი გამო-
გიგზავნო. თხოვნა კონკრეტულია და
ფრიად შეეფერება დროსაც და ვითარე-
ბასაც. თუ არა ვცდები, გაისად სრულ-
დება 370 წელი „მეფე ლიონის“ წიგნად
დასტამბვიდან. პროგრამას ჩვენც ასე
დავებუდებით: „უილიამ შექსპირი. მისი

მართალი ისტორიული ქრონიკა მეფე ლირისა და მისი სამი ასულის ცხოვრებისა და სიკვდილის შესახებ. გრაფი გლოსტერის შვილისა და მემკვიდრის ედვარდის უბედური ცხოვრებით და ბედ-ლამიდან გამოსული ტომის მძიმე და მოგონილი მდგომარეობით. როგორც იყო წარმოდგენილი მისი უდიდებულესობის, მეფის წინაშე უაიტჰოლში წმინდა სტეფანეს სალამოს, საშობაო დღესასწაულზე, მისი უდიდებულესობის მსახურთა მიერ, რომლებიც ჩვეულებრივ თამაშობენ „გლობუსში“ ბუნესაიდზე.“ ამ გავრცობილმა და ძველებურმა სათაურმა ისიც მაფიქრებინა, ეგებ მაშინდებურად, უდგეოროდ გვეთამაშა. სიტყვა, სიტყვა შექმნის დეკორაციას! გარემო მაყურებლის გონებაში შეიქმნება. ამიტომაც თეატრის საზღვრები უსასრულოდ გაიზარდება, რეალურს ფანტასტიკურად გარდაქმნის და ადამიანის შიშველ გრძნობებს ბუნებასთან, გარესამყაროსთან შეაკავშირებს. დიახ, უხილავი დეკორაცია ნამდვილად წარმოიქმნება ტრაგედიის პოეტური განვითარების დროს და შედეგიც არ დააყოვნებს თავად ლირი კი... მინდა, ერთიანად და ერთნაირად დიდებული, ამაყი და მბრძანებელი იყოს ჭირშიაც და ლხინშიაც; თავისნათქვამა, ჭიუტი, კერპი, დესპოტი, ტირანი! არ გაუწიოს ანგარიში არაფერს და არავის, თუნდაც ერის საჭიროებასა და გასაჭირს ან ევთილდებობას. სახელმწიფოს, საკარმიდამოსავით, უნდა გაყოფს, უნდა სულაც გაასაჩუქრებს. ამიტომ მისი ტრაგედია მარტო ის კი არ არის, უმადური შვილები რომ ჰყავს! მისი ხელმწიფობა შიშსა და ჩაგვრას ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, ყოველთვის მხოლოდ მლიქვნელნი ახვევია გარს. ჭეშმარიტება მისგან ან საიმედოდ არის დაფარული ან, საერთოდ, დამალულია. მეფე მხოლოდ ლაქუცა სახეებს ხედავს. ეს ყალბი სამყარო და გულისმომგებთა გარემოცვა აბრმავებს ლირს. ყოველივე ამაზე აგებული სახელმწიფო ადრე თუ გვიან ხუხულასავით ინგრევა. ასე ემარ-

თება ლირსაც. ამიტომ ორმაგად ზარდამცემია მისთვის ილუზიების დაღუპვა. ამის შემდეგ ის უკვე კარგად ზედავს, რასაც ვერც კი ამჩნევდა. პირადულს იქით კაცობრიობის ტრაგედიასაც შესანიშნავად გრძნობს. ახალა აგონდება ქვეშევრდომები, ესმის იმ წყობილების სასტიკი უსამართლობა, რომელსაც თვითონვე იგონებდა და ახორციელებდა. მაგრამ ახლა ის ქვისგულიანი ადამიანებით არის გარშემორტყმული. ამ გარემოში არ არსებობს სიყვარული, მეგობრობა სისულელეა, თანაგრძნობა — სასაცილო ამბავი. ირგვლივ ცივა, თითქოს ყინულოვან კუბოში წევხარ. აქ, სწორედ ამ მომენტში გრძნობს ლირი ადამიანისა და კაცობრიობის, თავისი სევდისა და მსოფლიო სევდის ერთიანობას. ახლა ის ცხოვრების ჭეშმარიტ სურათსაც ხედავს. აქ ლირი ჭკუიდან შეიშლება და... ბრძენდება! საოცარია, ღმერთმანი!!

როცა ნაწარმოებზე ვმუშაობ, შექსპირი ქართველი მგონია. ისე კარგად არის ნათარგმანები. თითქოს მოძველებული ენააო, მაგრამ, მკვლევარებისა არ იყოს, სხვაგვარად შეუძლებელიც არის შექსპირისათვის დამახასიათებელი გარემოცვა შექმნა თარგმანში, მისი სურნელების გადმოსაცემად. ილიას აზრით, არც ერთი რუსული თარგმანი და, მგონი, სხვაც, არ შეედრება ქართულს. მაგრამ ილია იმასაც წერდა: „უკელას მოსწონს აკაკი წერეთლის გარდაო.“ თუ თქვენც არ მოგწონთ, ეგებ ვათარგმნინოთ. ახლა პროზად თარგმანი ყოფილა მოდაში. მაგრამ ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. მე კი ცდა აღარ შემიძლია, სამოცს გადავაბიჯე. დავბერდი, დავბერდი, უნდა ვალიართ. ჩემო დიომიდო. (წერილი არავის აჩვენო, ბიჭო!).

ჩვენი დასი საკმაოდ მომძლავრებულია და პროფესიული, ხალხმრავალიც. ახლა სცენის სარკე და საერთოდ, ყვე-

თამაზ გომეზაშვილი
რამდენიმე მაიკოფი პროვინციელი.
ბრაზილიის ცხოვრებადან

ლაფერი ზომ ისეთი გვაქვს, რომ, რაღა არ შეიძლება მოაწყოს კაცმა! სამინისტროს ყურადღება არ გვაკლია. ასე რომ, ყველა პირობა გექნება. თუ დათანხმდები, მხატვარი და კომპოზიტორი, ან მუსიკალური გამფორმებელი მანდვე შეარჩიე — ესენი არ გამოვადგებიან — და ბარემ ერთად ჩამოდი და მოვილაპარაკოთ.

ვიმედოვნებ, არ დამზარდები. ქართული თეატრი თუ არა, ჩვენი რაიონი და, განსაკუთრებით, მე ძალიან დავიმადლებთ. ისე ნუ მომკლავ, შექსპირი არ მათამაშო.

ქმურად გართმევ ხელს თეიმურაზ ბროკიაშვილი.

ოღნავ შეყოყმანდა, მაგრამ მერე სწრაფად მიაწერა: რესპ. სახალხო არტისტი, თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. 10 ივლისი, 1977 წელი“.

ყოველდღე გულისთანაცქალით ელოდა ბროკიაშვილი გაზეთებს. ერთხელ წამოცდა: ქალებს არ ვუცდიდი ასე ახალგაზრდობაშიო. გაზეთები სდუმდნენ. რამდენიმე კვირის შემდეგ „კომუნისტის“ მეოთხე გვერდზე რუბრიკაში „ახალი სპექტაკლები“ პეტიტიით დაებეჭდათ სხვადასხვა ქალაქების პრემიერების შესახებ. აქვე იყო მოხსენიებული „მეფე ლირი“ და მისი დამდგმელი ჯგუფი: რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი. ეს რომ წაიკითხა, ბროკიაშვილმა კაბინეტის კარი მაგრა მიიჯახუნა, სავარძელში ჩაესვენა და მწვანე ველს გახედა. პირველად ამდენი წლის მანძილზე, ველი უფერო ეჩვენა. უფრო სწორედ, ახლა ის ვერც ხედავდა ველს. დიდხანს იჯდა ასე ჩუმად, უაზროდ. „რამდენი ხანია გემრიელი რეცენზია არ წამოკითხავს. — აუმოძრავდა ფიჭვი ბოლოს. — ყველაფერს აქებენ, ყველას აქებენ. ნუთუ დედაქალაქის არც ერთ სპექტაკლს მცირე ნაკლიც კი არ გააჩნია? რა მოხდება, რომ მიუთითონ,

კრიტიკის ქარცეცხლი კი არ დაგეგმონ! არამედ დიპლომატიურად მიახვედრონ! რაიონულ თეატრებზე რომ არ წერენ, აღარავის უყვირს. მაშ რატომ ველი ასე ვილაცის აზრს? სპექტაკლებზე ბილეთს ვერ იშოვნე. გლოსტერი ტირის, კორდელია ტირის, მასხარა ტირის, პირველ რიგებში თვალზე ცრემლი არ უშრებათ, იქით ვეღარ ვარჩევ: ცრემლი მეც მიშლის. ყვავილებსა და ოვაციებს ზომ ბოლო არ უჩანს. ამაზე კარგი რეცენზია, ამაზე კარგი შეფასება რად მინდა ნეტა, ერთი ვიცოდე:“

ბროკიაშვილს ხასიათი გამოუჩნდა. გადასახედი მზეში ჩახჩახებდა. ველზე ვილაც თეთრ ცხენს აჰენებდა დაუზოგავად.

თეატრიდან შინისაკენ ფეხით გასწია. გაზეთის კიოსკში ახლად მიღებულ ჟურნალებს ყიდდნენ. გულმა შეერად, ყოველგვარი წინათგარძნობის გარეშე დაუწყო გრუხუნე. კიოსკს მიადგა. რიგი დაუთმეს. ჟურნალი იყიდა. სკვერში შეუხვია. პირდაპირ იმ გვერდზე გადაშალა, რომელზეც საკმაოდ ვრცელი რეცენზია იწყებოდა. ასე გულდასმით, ასე თანმიმდევრულად, ასეთი მონდომებითა და ალაგ-ალაგ იუმორითაც კი, ჯერ არც ერთი სპექტაკლი არ მოეთხარათ ამ ჟურნალში. და არა მარტო ამ ჟურნალში. ბროკიაშვილმა ორჯერ წაიკითხა რეცენზია. ხელს ახალგაზრდა, იმედის მომცემი და უკვე საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსი აწერდა. რადგან რედაქციისაგან მინაწერი არ იყო, ეტყობა, ჟურნალიც იზიარებდა ამ შეხედულებას. რედკოლეგიაში კი...

ბროკიაშვილმა ახალგაზრდული სიმსუბუქითა და სიმკვირცხლით აათავა ბოლო აღმართი. ეზოს კარი შეადო. ჰიშკრის ჭრიალზე ცოლმა, შვილებმა და ძაღლმა გამოხედეს. ბროკიაშვილი დინჯად ავიდა კიბეზე, თავის ოთახში შევიდა, ჰალსტუხი მოიძრო, კოსტიუმი გაიხადა, საშინაო ტანსაცმელი ჩაიცვა, ბველებურ, განიერ ფარდაგადადარებულ ტახტზე დაწვა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

სოლომონ სამხარაული

პქა, მოველი!

ბიჭიბიჭა ზურგი ზურგს მივაყუდეთ და შუა წრეში ვტრიალებდით. მარბიელები გარშემო გვირბენდნენ. ზოგი პირდაპირ გვიტევდა, ზოგი მოპარვით ჩაგვიქროლებდა და ქაშარს მოულოდნელად გადმოგვიჭერდა. ირგვლივ განუწყვეტლად შიშინებდა ლახტი. ხან ჰაერში შხუოდა, ხან ვისიმე კანჭზე გაიტყლაშუნებდა. მარბიელები ხორხოცობდნენ, წრეში ჩამდგრებს დაგვცინოდნენ, ხან გამეტებით დაგვცხებდნენ. ხანაც ყასილად შეგვიბრალეზდნენ, ერთი სიტყვით, როგორც მოეპრიანებოდათ... ჩვენც, რა გზა გვქონდა, ვითმენდით და დასაჭერად ვეშვირებოდით. მეტი ცემისაგან წვივები გამიხურდა და ტყვიის ველარც კი ვგრძნობდი.

ჭიოტამ ბრტყელბალთიანი ქაშარი ხელზე დაიხვია, დაიმოკლა და გატუსუღი წვერით გვიშხლაუენებდა. ერთთავად მე მეთანებოდა, ორ-სამჯერ ისე მომიქნია, რომ მომხვედროდა, ტყავს ამძრობდა, მაგრამ უკან გადავხტი და ავიციდინე. ჭიოტა გაგულისდა. წრეში შენოვარდა და გააღმასებულმა შემომკრა. მარცხენა ფეხი უტბად წინ წავდგი. ქაშარი ზედ დამეხვია, ჭიოტამ თავისკენ გასწია. მაგრამ სანამ ქაშარი გაიშლებოდა, ვისკუპე და მარჯვენა ფეხით კოჭში მოვსხიპე.

— დაიჭრა, დაიჭრა! — აჟრიაშულდნენ ჩემი ბიჭები და წრიდან გაცვივდნენ. მარბიელები ერთბაშად მოტყდ-

ნენ და ჭიოტაზე გულმოსულებმა უწადინოდ დააღაგეს წრეხაზზე ლახტები. ჩემი ბიჭები სიხარულით ხელებს იფშენებდნენ. ლახტებს შორიასლოდან ეფოლორცებოდნენ. ის იყო დავლა დავიწყეთ — დედაჩემის ძახილი შემომესმა. გავიხედე, ნაკალოვრის ბოლოში ხირხალზე მომდგარიყო, ხელი დამიქნია და გაბრუნდა. გუნება მომეწამლა. არ წავალ-მეთქი, — გავიფიქრე გუნებაში, მაგრამ როცა იქნებოდა, შინ ხომ მივიდოდი, რომც არ ეცემნა, ისეთ სიტყვას მეტყოდა, ცემაზე უარესი იქნებოდა. ქაშარი წელზე შემოვირტყი და აღრენილი, ფეხათრევით წავედი შინისკენ.

— მალე მოხვალ? — მომძახოდნენ ბიჭები.

მხრები ავიჩეჩე. ბიჭებმა ყურები ჩამოყარეს.

„აღბათ წისქვილში წამიყვანს“, — გავიფიქრე და უარესად ამემღვრა გუნება.

დედაჩემი მართლაც საწისქვილედ ემზადებოდა: სიმინდის პარკი კიბესთან ღაღდა და ფეხსაცმელებს იცვამდა.

— მარტო მე ვარ ამ ოჯახში? — დავიწყე ბუზღუნი, — ვაჟიას ნალები ასცევა?!

— ვაჟიას სიცხემ აუწია, — ხმადაბლა მითხრა დედაჩემმა.

შეეყოყმანდი. სათქმელი აღარაფერი მქონდა, მაგრამ მაინც შევედავე:

— ის გოგო-ბროგოები რაღას ვითებენ?

დედაჩემმა კუშტად შემომხედა.

— გოგოები წისქვილში წავიყვანო და კაცმა აქ ლახტი ითამაშოს?

— კაციო, და რაკი კაცი ვარ, ყველაფერი ჩემზე უნდა მოაგდოთ?

დედაჩემმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს ოთახიდან ტანტრა ვაჟია გამოვარდა. ფლარტებში წადგა ფეხი და, მეც მოვდივარ წისქვილშიო, — მოგვამახა.

— მომიკვდეს თავი, — შეიქცადა დედამ. — შენი ადგომა როგორ შეიძლება! — დაავლო ხელი და ოთახში შეიყვანა.

ვაჟია ფეხებს იქნევდა, ჰირვეულობდა, უნდა წამოვიდეო. ტიტლიკანა ნეტა როგორ წამოვიდოდა. მხოლოდ მოკლე პერანგი ეცვა, ჰიპს ვერც კი უფარავდა. დედამ ლოგინში ჩააწვინა, გვერდით მოუჯდა და მიეფერა, ავად ხარ, გზაში ცუდად რომ გამიხდე, საფქვევი ვატარო თუ შენ გატარო. კარადის თავზე დამალული შურდული ჩამოვიდე და ჯიბეში ჩავიდე.

მე თვითონ ვივლიო, — იხვეწებოდა ჩემი ძმა.

— გამიგონე, — ედუდუნებოდა დედა, — მალე მოვალთ, მოვიტანთ ფქვილს, გამოგიმტკიცავთ მკადებს, მოკეთდები და შემდეგ წასვლაზე წაგიყვან.

— თქვენ სულ ასე მატყუებთ. — წუწუნებდა ვაჟია, მაგრამ შინ დარჩენაზე უკვე თანახმა იყო. საბანი თავზე წაიფარა და აცრემლებული თვალებით მალულად იჭვრიტებოდა.

— „ვის მაღა აქვს და ვის ფლავი“, — ებრაზობდი გუნებაში. ამის ავადმყოფობამაც გააჭირა საქმე, გავიხედავ, კარგად არის. მეორე წუთს სიცხეს აუწყევს. ამას წინ ექიმო მოვიყვანეთ. რაკი მაღალი სიცხე ჰქონდა — მაგათ ზომ მეტი არ უნდათ — სინჯა და სინჯა. პირი დაადებინა, ენა გამოაყოფინა, ისუნთქე-ისუნთქეო და, დაადებდა ბეჭებზე

ყურს. ხან მეკრდზე უკაცუნა ფეხებზე, ხან ზურგზე, მერე ყვრიმალეგებზე უკაცუნებელი. ჯირკვლები აქვს, სამიში არაფერია, მაგრამ კვება უნდაო. რაღაც დაწერა და დედას უთხრა, ეს წამლები დაალევინეთო. ამის შემდეგ ჩემი დები აღარაფერს ჰმანდნენ, თუ რამ გვებადა — ვაჟიას უზოგებდნენ. გაუგო დედამ და გაუჯავრდა: ახლა თქვენ გამიხდებით ჰირადო. ჩემი დები მაინც თავისას არ იშლიდნენ. — ცოტას წაიკიცნებოდნენ, დანარჩენს ვაჟიას უნახავდნენ. მეც მაქვს მაგისთანა ჯირკვლები, ნაგრამ ამის გულისთვის ლოგინში არ ჩაწვევები. ეგ უშნოც რომ არ ჩაწოლილიყო, ახლა წისქვილში წასვლა ამცდებოდა.

დედაჩემმა პარკი აიღო და წავედით. ნაქალოვრებს რომ ჩავუარეთ, ბიჭები ყრიამულით წამოიშალნენ, სიხარულით ტოლდნენ. ალბათ ეგონათ, მათთან ებრუნდებოდი და ხელს მიქნევდნენ — სქარა მოდიო. ვანიშნე, სხვაგან მივდივარ-მეთქი და გატრიახვებულნი დარჩნენ. ჰიოტას კი გაუხარდებოდა, დღეს შერჩება, რაც გვიყაყუნეს. თუმცა მაგას რა ენაღვლება, ორი გრძელტოტება შარვალი აცვია. იმის შიგნით, კანჭებზე კიდევ რაღაცეებს იხვევს და ლახტი ჩუჩუნს ვერ უჩადის. ოჰ, ერთი გრძელტოტება შარვალი მეცა მქონდეს, მეტი არაფერი მინდა. ჩვენი უბნის ბიჭებიდან ორსა აქვს გრძელი შარვალი — ჰიოტას და ბახას. ჰიოტას მამა შინა ჰყავს და ახლებს უყერავენ. ბახას, ფრონტიდან დეპემის მიღების შემდეგ მამამისის ძველი შარვალი გადაუკეთეს. აჩაჩული აღვას, მაგრამ მაინც იზლინდება...

ლახტის თამაშში ვერავინ მჯობნის, ვერც ჰამრის გატანაში, ვერც მარბიელის დაჭრაში. მოქნეულ ლახტსაც ავიცდენ და ფეხსაც ისე აფუქნევ, რომ ზედ დამეჭვიოს. მაშინ ლახტი ძალას კარგავს და ისე აღარ გტყენს. თუ დროზე გამოჰყარი ფეხი, შეიძლება წაართვა კიდევაც ლახტი და იქით დაუწყო ცემა. მთავარია, არ შეგეშინდეს, თორემ თუ



უკან დაიწვევ, ნაკვანძი ან ქამრის წვერი მოგხვდება და ვაი შენი ბრალი! ჭიოტა თავისი მამისეული ქამრით თამაშობს ხოლმე. სქელი ტყავისაა, წვერი აქვს წატუსული და სულ იმის ცდაშია, ის გაფხოკილი წვერი მოგარტყას. თვალე-ბიდან სიმწრის ნაპერწკლები გცვივა, იმას კი სახე ებადრება. გაგორებით ლახტის გატანაც ჩემისთანად არავინ იცის. დიდი ბიჭებიც მათამაშებენ ხოლმე თავიანთთან.

გავცდით ნაკალოვრებს, ხოდაბუნები მოკლეზე გადავჭერით და ხევშმრალაზე გავვდივით. ორლობის ბოლოში დედაჩემი გაჩერდა. მიიხედა-მოიხედა, გზაზე არავინ ჩანდა, მაგრამ არხის გადღომა, ბუჩქების უკან ბახას ბებია დაინახა და ისევ განაგრძო გზა. ბახას ბებიას ყულდროზე ნახევარ ლიტრამდე ხორბალი გაეფინა და საწისქვილედ აშრობდა. ეზოდან ალბათ ქათმებს გამოარბდა. ჩამომჯდარიყო ქვაზე, ხილაბანდი შუბლზე ჩამოებურნა და თვალეზნილუ-ლული საფენის თავზე წკეპლას აქანქა-რებდა. იქვე, კუნელზე ბელურების გუ-ნდი შეფენილიყო და ჟივქივებდა. ჩი-ტები, ეტყობოდა, ხორბალს უტრიალებ-დნენ. თვალის არიდება და ისე აჰყენ-კავდნენ ბახაანთ სარჩოს, მარცვალი აღ-არ დარჩებოდა. ჩავუარეთ მოხუცს და ხევშმრალას არ ვიყავით გასული, რიყეზე ცხენის ურემი გამოჩნდა.

— ქვეყანა ახლა გამოიშალა, — წაი-ბუზღუნა დედაჩემმა. პარკი რიყეზე დადო და ურმის გავლას დაველოდეთ. დრო რომ გაეყვანა, თავშალი შეის-წორა, პარკს პირსაკრავი კანფი მოხსნა, გაჭიმა, გასინჯა, მერე ისევ მოაკრა პირს. ამასობაში ურემმაც ჩაირახჩახა. ცოტაც დავაცადეთ და საწისქვილე ბი-ლიკს რომ გაუსწორდა, ისევ გავიხედ-გამოვიხედეთ. აჟამიანის ჭაჭანება არ-საით იყო. დედამ ფეხსაცმელები გაიძი-რო, ხელში დაიჭირა, პარკი მხარზე შე-იდგა და ფეხმარდად გაუყვა ბილიკს. მე უკან ავეღვენე, მიგატყაპუნებდი ფე-ხებს და მტვრის კორიანტელს ვაყენე-

ბდი. გადავიარეთ ნარეკალმოდებელი ველი და ტყეში შევედი. დამრეც ტყიან ფერდას ბილიკი ირიბად კვეთს, წვიმების დროს ღვარის წყალი ბილიკს ხან ჩახრამავს, ხან ქვა-ლორღით მონა-შავს. სავალად არის ცუდი, თორემ შურდულის კენჭებისთვის უკეთეს აღ-გილს ვერ ინატრებთ. მრგვალი, თეთ-რი კენჭებით არის მოფენილი აქაუ-რობა. ყოველ გავლაზე ჯიბეს ვივსებ. მიდის დედაჩემი და მიიკაკება. ფეხებს სიმწრით ღრეცს. ტანჯვამ ამ ღელელუ-დეზე ფეხშიშველი სიარული. გაბედუ-ლად ნაბიჯს ვერ გადადგამ. ქვეები ტო-რკილობს, ლორდი ფეხქვეშ ინჩხრევა და ფეხისგულეებს ქლეშავს. ფეხშიშვე-ლა სიარულს შეჩვეული ვიყავი და გა-მართულად ვივლიდი, მარცხენა ფეხის ცერა თითი რომ არ მტკიებოდა. ფრჩხილის ძირში ხორცი განივად მჭო-ნდა გადამსკდარი და მიხურდა. ვცდი-ლობდი, არაფრისთვის მომეხვედრები-ნა, მაგრამ, მოგესხენებათ, მაინცაღამა-ინც მტკიენეულ ადგილზე უნდა მოხ-ვდეს კაცს ყველაფერი. რაც შემეძლო მალა ვწვედი ფეხს და ისე ვდგამდი ნაბიჯს, მაგრამ, ჩემდა ჭირად, გავერ-თობოდი კენჭების კრეფით, დამავიწ-ყდებოდა ჩემი სატკივარი და თხლაშ! — გავადვიებდი რომელიმე მიძინებულ ქვას. გულზე ცეცხლი მომედებოდა, ავიკანკურებდი ფეხს, მივხტოდი სკუბ-სკუბით და ტკივილი თანდათან გამი-ვლიდა. ამის შემდეგ ერთხანს ფრთხი-ლად მივლიოდი, მერე ისევ დამავიწყ-დებოდა და...

ტყე რომ გავანახევრეთ, დედაჩემმა მისაყვედურა — ცარიელი რომ მოტუნ-ტულეზ, ყასიდად მაინც შემთავაზე, პარკს ახლა მე ვატარებო.

კოჭლობას უფრო მოვეუმატე და თა-ვი მოვისაწყლე:

— აბა, როგორ ვატარო, ფეხი მტკი-ვა.

სოლომონ სახსარაული
აპა, მოგვადი!

— რა ვიცო, ლახტის თამაშს კი არ გიშლის და...

ხინჩილით წინ გადავუდგე და ფეხი გავუშვირე.

— აი, ნახე, როგორა მაქვს გასხეპილი ცერი.

მან ზედაც არ შემომხედა. რაკი თითი ვთქვი, არაფრად ჩააგდო. რომ მეთქვა; მუცელი ან თავი მტკივა-მეთქი, გიყვარდეს, ფერი ეცვლებოდა. მაშინვე გამომოთხავდა, რაღა გტკივო, როგორ გტკივო და ხელს მიმის-მომისევამდა. ვიცოდი, ასეთი რამეებისა ეშინოდა და ტყუილადც ბევრჯერ დამიფეთებია.

— ყველა უბედურება შენ უნდა დამართო, — მითხრა ცოტა ხნის შემდეგ.

— ქიოტამა მკრა ხელი, ნე რა დავიმართ!

დელაჩემი მობრუნდა და თითზე დამხედა. კალთაზე ჩავკიდე ხელი, რომ ცალ ფეხზე გავმაგრებულყავი და მტკივანი ფეხი გავუშვირე. მან თითზე მომისვა ხელი, გასინჯა.

— რა გქონდათ გასაყოფი? — მხარზე მომაწვა და წინ გამომძვარა.

— ომოზანას ვთამაშობდით და აგვიშარდა.

— აგიშარდათ თორემ, შენმა მზემ, მამა აბრამის ბატკანი მყავხარ!

— შენ კიდევ ყოველთვის მე რომ გამამტყუნებ ხოლმე... ჯერ დამცინოდა, მოკლესარვლიანი ოფიცერი ვის გაუგონიაო. მე და ქიოტა ვიყავით ოფიცრები, გავინაწილეთ ბიჭები და თავს მამეტებდა. კენჭი უნდა აგვეგდო, ვინ იქნებოდნენ „გერმანელები“ და ვინ — „ჩვენები“. ქიოტამ აიღო სალა ქვა, ცალი მხრიდან დააფუტოთხა და გამოიწოდა — აავდევო. მე ვუთხარი, დაფუტოთხებული შენ იქნები-მეთქი.

ფეხის ხმა მოგვესმა. ზემოდან ვიღაცა მოდიოდა. დელაჩემი შეჩერდა. მეც გაჩერდი. თან ლაპარაკი განვაგრძე:

— ჯერ ამაზე ამიშარდა.

დელა ბილიკიდან გადავიდა. აღარ მისმენდა, პარკი რცხილის ძირში მიღვა,

ბილიკისპირა ბუხნოზე ფეხები დაიხრტყა და ფეხსაცმელები ჩაიცვა. ფენის ხმა ჯერ მიწყდა. მერე ისევ აჩქამდა. დედამ კაბა ჩამოიბერტყა, თავშალი შეისწორა.

მოსახვევში კვრინჩხას ბებია გამოჩნდა, წისკვილიდან მოდიოდა. იღლიაში დაკონკილი პარკი ამოედო და გაცვეთილ ხარაზულ ჩუსტებს მოაფლარტუნებდა. თვალბზე ხელი მოიჩრდილა და შეგვათვალიერა. ხან ჩვენ გვიყურებდა, ხან ჩვენ პარკს კახედავდა.

— სად იშოვე? — ჰკითხა დელაჩემს, როგორც კი მოგვიახლოვდა.

დელაჩემმა კაბა ჩამოსწორა. პარკს დახედა და ექვთიანთ ბაბემ მასესხაო, — ჩაილაპარაკა.

— ეპ, ღმერთმა დაუმაღლოს, — ამოიოხრა მოხუცმა და პარკი მიწაზე დადო. სამი ჯამი არც კი გამოუვიდოდა. ჩვენი პარკი იმასთან შედარებით საცალოს ჰგავდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამოდენა სიმინდის შოვნა. სამი დღე ეხვეწებოდნენ ჩემი დები დედას, ფქვილი ვისესხოთ სადმეო. ვის კარს მივადგეო, — წუხდა დელაჩემი. ვისთანაც მიმესვლება, ნასესხები მაქვს, ყველას თავი გასჭირებიაო. ბაბე — დეიდასთან წადიო, — უჩიჩინებდნენ გოგოები. სამჯერ ვესესხე და მეოთხედ როგორ მივიდევო, — უარობდა დელაჩემი. წუხელ, სიცხემ რომ აუწია ჩემ ძმას, მთელი ღამე თავით ეჯდა დელა. დილაბნელზე წამომახტუნა ლოგინიდან — ბაბემ არსად გაგვასწროსო. ბაბე დეიდა დედას ნათესავია. უთენია კარზე მიმდგრები რომ დავგინახა, შეფიქრიანდა: რა იყოთ, ცუდი ხომ არაფერი მომხდარაო. ამაზე უარესი რა მოხდებოდა, — უთხრა დელაჩემმა, — ბალები ლამის შიმშილით ამომიწყდნერთან მოუბოლიშა, ერთთავად შენ გაწუხებ, მაგრამ, რა ვქნა, შენს მეტი მისადევარი ვინა მყავსო. ბაბე დეიდა დეიდა: დელ-მამის სული წამიწყდეს, თუ ფქვილის მტვერა მქონდესო. დამლუღრულები დავრჩით. ბაბე დეიდა



კარგახანს ჩაფიქრებული იდგა. იმედი მომეცა, ხელცარიელს არ გაგვიშვებს-მეთქი. მოგვიანებით აიღო თავი. შემომხედა და ვაიმე, შვილო, როგორ გამხდარხარო, — თავზე ხელი გადამისვა.

— ამას კიდევ არა უჭირს, — უთხრა დედაჩემმა, — პატარას ჯირკვლები გაუჩნდა და სიცხეებს აძლევსო.

მოდით, მოდითო, — გვიტხრა ბაბე დეიდამ და სარდაფში შეგვიძღვა. — რა გეშველებათ, რა გეშველებათო, — წუხნდა და თან მკერდზე ხელს იცემდა.

კოდის წინ ტომარა დადინა. კავიდან ლიტრიანი ჩამოხსნა და კოდში ჩააგდო. ჩემი შვილების შერჩენამ, ორად ორი ლიტრა სიმინდი მიყრია, მაგრამ გაგიყოფთ, აბა რა ვქნაო, — უთხრა დედაჩემს, კოდი გადმოაყრავა და შიგ ჩაეყუდა. სიმინდი ძირში ჩხრიალებდა. მართლაც ორ ლიტრაზე მეტი არ გამოვიდოდა. ცალ გვერდზე მოაქუჩა. აჩხრიალა, აჩხრიალა, აავსო ლიტრიანი, ამოიღო და ტომარაზე დადგა. ხელები შემოუტყაბუნა, სიმინდი დაძევა. ორი მუჭა კიდევ ამოიღო კოდიდან და თავზე დააყარა.

— სილათ გაძლევ, თავს შამოგველე, — უთხრა დედაჩემს. — მეც მაკდენი მრჩება.

თაროდან სწორი, ხელმოკლე ჯოხი გადმოიღო. ტონარაზე დაიხოჭა და ლიტრიანს პირზე გადაუსვ-გადმოუსვია. წინ გედქვი, ვუყურებდი, როგორ ინსხრეოდა ლიტრიანის თავიდან სიმინდი და ჩემი გულიც თან მისდევდა. ბაბე დეიდამ შემომხედა, თვალებში ჩამაცქერდა, მიყურა, მიყურა, მერე აფორიაქდა. მოხვეტა ტომრიდან სიმინდი, ლიტრიანს დააყარა, კოდიდანაც ორი პეშვი კიდევ დაამატა, თავი აუკოკლა, დაცურებულ მარცვლებს ტკეპნიდა. ღმერთმა ესენი შეგარჩინოს და თავშემბული იყოსო, — ჩავვიყარა პარკში და გამოგვატანა.

კვრიჩხას ბებია დაყანდრებულ კუნძს ჯერ ხელთ დაეყრდნო, მერე ზედ ფრთხილად ჩამოჯდა.

— ბიჭისა ხომ არაფერი გაგზავნის გოგო? — ჰკითხა დედაჩემს.

— ეჰ, არაფერი, — ამოიოხრა დედაჩემმა.

მოხუცმა კუნძი ხელთ მოსინჯა, არ წამექცესო და აფშრუქუნდა: ვაი მე უბედურს, თქვენი დამკარავი რაღა ვარ ცოცხალიო.

ორი შვილიშვილი გაგზავნა ფრონტზე და ერთთავად იმათ გზას მისტიროდა. ამბობდნენ, უმცროსი ბიჭის დელუპის დემა მოვიდა, მაგრამ არ უმხელენ, ეგებ ტყუილი გამოდგესო.

— ბევრი ხალხია წისქვილში? — ჰკითხა დედაჩემმა.

— ვინ იქნება, შენი ჭირიმე, — საცოდავად ჩაიღიმა. — ვისა აქვს დასაფქვავე... მნახველი მაინც არავინ გამოჩნდა? — მოხუცი ლაპარაკის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ დედაჩემმა მოუბოდიშა, — თუ ვინმემ მიმასწრო, დამიღამდებო და წავედით. მოსახვევში რომ მივეფარეთ, დედაჩემმა წაუყუარადა, ჩამიჩუმო არსაიდან იყო, მხოლოდ მოხუცის ფეხის ფლარტუნი ისმოდა, ფეხსაცმელები ისევ დაიხადა და პარკიც წამოიკიდა.

ტყის თავში ჩალობრული კორდი იყო. იქ ვისვენებდით ხოლმე. გავედით თუ არა ველზე, დედამ პარკი მოიხსნა, ჩაჯდა, ფეხსაცმელები გვერდით მოიწყო და ხელი გამომიწოდა — თითი მაჩვენეო. გვერდით მოვუჭექი და ფეხი გავუშვირე. ჭრილობა შემშუშებოდა და წითლად მოქცეულიყო.

— შინ ველარა თქვი? წესიერად შეგიხვევდი, — მისაყვედურა.

— ახლა მაგისთვის მბეგავადი...

დედამ შუბლშეკვრით გადმოხედა.

— კარგად იცი, რაზედაც ხარ საბეგავი, — თითოეცა ბალახი მოკრიფა და ჭრილობა ამომისუფთავა. ფრთხილად მიწმენდა, მაგრამ აქა-იქ სისხლმა მაინც გამოჟონა. სიმწრისაგან კუნთები დამეკიმა.

სოლომონ სახსარაული
აპა, მოგვიღი!



— რად ამიშარდაო, რას ამბობდი?

— მკითხა, მოსუფთავებას რომ მორჩა.

— მე ვუთხარი, დაფურთხებული შენა ხარ-მეთქი. ჯერ მაგაზე ამიშარდა.

დღდა თვალეში ჩამაცქერდა, თითქოს უნდა გასცინებოდა, მაგრამ თავი შეიკავა. განგებ მოიღუშა და მერე, რად უთხარიო, — გამიჯავრდა.

— სველი მხარე ხომ ერთ-ერთისა უნდა ყოფილიყო, — ვიშართლე თავი.

— შენ თუ კარგი კაცი იყავი, ეტყოდი, სველი მხარე შენი იყოსო, რაღა დაფურთხებულს ეუბნებოდი.

— წუხეალია და იმიტომ.

დღდა ახლა კი მართლა დანადვლიანდა.

— ბიჭო, რასა ჭამთ ერთმანეთს, მე-ლას თავის მახრჩობელა უყვარსო, შენ-ზეა ნათქვამი. რამდენჯერ თავი გაგიტეხა, ორჯერ კინაღამ თვალი გამოგთხარა, აი, წარბზე ისევაც გეტყობა კობიჭი. მოეშვი, ხომ იცი, გცემს და რაღა ეკინკლავები!

— იმის დაფურთხებული ქვა მე რად უნდა ამეგდო?

დღდამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ირიბად გამომხედა და ამათვალ-ჩამათვალეირა.

— მერე რაღაზე იჩხუბეთ? — მკითხა მოგვიანებით. მრავალძარღვას ფოთოლი მოწყვეტა, ოღნავ მოსრისა და თითზე ღამადო.

— ვყარეთ კენჭი. გერმანელობა ჩვენ გვერგო. გავშალეთ ფრონტი და დაეიწყეთ ომი. ჭიოტას გუნდმა სუყველა დაგვხოცა. ცოტა დავისვენეთ და თამაში ისევ განვაგრძეთ. ახლა ხომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ გერმანელები? ჭიოტამ კიდევ არა, ისევ თქვენ უნდა იყოთო. არც ჩვენ დავყაბულდით და აგვიშარდა. ვტყუივარ?

— კერპი ხარ, კერპი!.. — თავი გადააქნია დღდაჩემმა, — ყოფილიყავით, რა დაგიშავდებოდათ?

— რათა, სულ იმათ ხომ არ უნდა გამეშარჯნათ?!

დღდამ აღარაფერი მითხრა, ვიცი,

როცა მართალი ვარ. გაჩუმდებოდა ჩემი. ჯიბეები მოიხსრია, თითის მესამეებს ეძებდა. ვერაფერი იპოვა. თავშალი მოიხსნა, კიდე ჩამოახია და იმით შემხვია. გულზე მომეშვა. ისე მომეჩვენა, თითქოს ტყვიელმა ტანზე ჩამიარა და ფეხებიდან გაჟონა. წამოვდექი და ყამირზე სიამოვნებით გავიარ-გამოვიარე. დღდაც ადგა და გზას გავუდექით. მღუშარედ მივდიოდით. მე ისევ უკან მივდედდი. ველტყიანზე ნახირი გაშლილიყო. ჭიოტანთ შინდა დეკეუ-ლიც იქ იყო, ბილიკის პირას ძოვდა. ამოვიღე ჯიბიდან შურდული და მომსხო კენჭი ფერდში ვკარი. დეკეული შეფუნდრუკდა. გაქანდა, ბუჩქთან გაჩერდა, მოტრიალდა და დაფეთებულმა დაგვიწყო ყურება.

— რა ხელები აქაველდა! — გამიჯავრდა დღდა.

— რჩოლელაა და მოუხდება. — მოვი-საბაბე.

მივდიოდით. დროადრო უკან გავიხედავდი. დეკეული ისევ დაშეკეტილი თვალეებით გვიყურებდა.

— აღარ ესროლო! — მითხრა დღდამ.

— დედი, არ გინდა ეგ დეკეული მოხარშული იყოს, კისერზე ერთი გალაწიორი ეკიდოს, ზურგზე კი შოთებით საესე ხურჩინი?

— ნეტა ჭკუა როდის მოგეცემა, — ჩაილაპარაკა დღდაჩემმა.

მე განვაგრძე:

— კულზე მარილის პარკი და ლიმონათის ბოთლები ჭქონდეს გამოზმული.

— სისულელეებზე კი არ უნდა ილაპარაკო, — მითხრა დამრიგებლურად. — სჯობია, იმაზე იფიქრო. ზამთრისთვის შეშა რომ არ გვექნება და აქედანვე ცოტ-ცოტა ჩამოიტანო ხოლმე ტყიდან.

— დედი, დედი, იმ დღეს, ფიჩხზე რომ ვიყავით ბიჭები, კიკაბაურებში ვისვენებდით. სად იყო და სად არა, პოეტა გამოგვეცხადა. მეღორე რომ არის, პოეტა, ხომ იცი, ჩემზე ღიღია.

— ვიცი.

— პური ხომ არა გაქვთო? — გვეითხა. ბახასა ჰქონდა ერთი ხელისგულისტოლი ნატეხი, თითებიანად კი არა, მაჯიდან თითების მეორე სახრელამდე რომ მისწვდებოდა იმოდენა. ყველამ გაგინაწილეთ. პირის ქარად არ გვეყო. დაიწყეს ბიჭებმა ნატერა. კვრინჩხამა თქვა, ნეტა ახლა მოხარშული ინდაური გამოვბოდეს, უკნიდან ნიორთავა ჰქონდეს ჩატენილიო...

ინდაური რას გვეყოფოდაო? — გააწყვეტინა პოეტამ, — თუ ნატერაა, ნატერა იყოსო... დედი, მისმენ? პოეტამ თქვა: საძნე ურემი, ლასტებაკრულიო, ხომ იცი, ბზეს რომ ეზიდებიან ხოლმე?

— მაშ რაღა ვიცი.

— ლასტებაკრული საძნე ურემი ხინკლით სავსე მოგორავდეს და ჩვენ წინ აყირავდესო.

— არც იმასა აქვს თქვენზე მეტი ჰქუა, — ჩაეცინა დედაჩემს.

— მამაჩემი ჯარში რომ მიჰყავდათ, გახსოვს, მაშინ გავაკეთეთ ხინკალი, ხუთი ცალი შევჰამე და დავიძინე. ახლა გნანობ ხოლმე, რატო მეტი არ შევჰამე-მეთქი.

— რა ღორობაა, — გამიწყრა დედა. — კაცმა ჰამისთვის არ უნდა იწუწუნოს. ჩამოვა მამაშენი და კიდევაც გავაკეთებთ.

— როდის ჩამოვა?

— დამთავრდება ომი და ჩამოვა.

— მანამდე არ ჩამოვა?

დედა შეყვანდა. მერე თითქოს თავის კითხვას უპასუხაო, ენის ბორძიკით ამოთქვა:

— რატო, შეიძლება მანამდეც...

„ჩქარა მაინც დამთავრდეს ომი!“, — გნატრობდი გუნებაში.

— ბახას თავის მამის შარვალი გადაუკეთეს...

დედა შეცბა. პარკი მიწაზე დადგა და თვალეზში ჩამაშტერდა.

— მერე, გინდა შენც გადაგიკეთოთ? — მკითხა და თან გამომცდელად დამაცქერდა.

— განა ნავიტომავთქვი, — ჩაველენე თავი, — თვითონ რაღას ჩაიცმევს. დედამ პარკი აიღო და ნელ-ნელა გაუყვა ბილიკს.

ყანის ბოლოში, ბეგობს გადაღმა ტყუბი აკაკის ხე გამოჩნდა. ჯერ კენწეროები დაჩნდა, მერე თანდათან ამოიზარდნენ. ხეები კბოდეს თავზე იდგნენ. იქიდან თურდოს სანახები მოჩანდა.

— დედი, სხვას არაფერს ვინატრებ, ნეტა აკაკის ხეებთან მამაჩემი დავგვედეს.

— მერე, რას იზამდი? — მომიბრუნდა დედა.

— არაფერს, მაგრამ იქ იყოს და...

— ბიჭო, მაშ არ მოეხვეოდი, არ აკოცებდი?

გამელიმა, მორცხვად ავხედე და თანხმობის ნიშნად თავი დავეუქნიე. წავედი. დედა ნელ-ნელა მიდიოდა და ბილიკზე გადმოხრილ თავთავებს ხელს უსვამდა.

— დავგინახავდა თუ არა, გავგიცინებდა, ხელებს გაშლიდა და დაიძახებდა:

— ვაჰ, ამას რას ხედავს ჩემი თვალებიო! — გამოვავჯვრე მამაჩემს.

შევატყე, დედას ელიმებოდა და განვაგრძე:

— აი, შე ჰიქლა, — მეტყოდა და თავზე მომიტათუნებდა ხელს.

დედა არ გამეპასუხა და მეც გავჩუმდი.

— ასეთი სასწაულები არ ხდება, — თავისთვის ჩაილაპარაკა დედამ ცოტა ხნის შემდეგ.

მზემ დასავლეთისკენ გადაითავსქვევა. ცივ-გომბორის მთებიდან ნელი სიო უბერავდა. თვალსაწიერზე ზღაზენით დელავდა ათქვირებული ყანა. ზოგან ალაპლავდებოდა, ზოგან მოლიბრდებოდა. თავთავი ჯერ არ დამძიმებოდა და ნიაკი აღვილად იმორჩილებოდა.

— ბახას მამა გმირი იყოო, — ველარავიტანე ღუმილი.

სოლომონ სახაკაული
აპა, მოგვადი!

დელამ მოიხედა.

— რა თქვი?! — მკითხა გაკვირვებით.

— ბახამა თქვა, მამაჩემი გმირი იყო, გმირულად დაეცაო.

დელა უჩუმრად წავიდა.

— მამაჩემიც ხომ იწერებოდა, ორდენი მივიღეო. ადრე მედლები ჰქონდა მიღებული. რა ხანია წერილი აღარ მოსულა და, ვინ იცის, აქამდე რამდენჯერ დააჯილდოვეს.

დელაჩემმა წივანა ბალახს ღერო მოაწყვიტა და პირში ჩაიდო. ბილიკი აღმართ-დაღმართ მიიკლავენებოდა და ბევობის გადაღმა აკაკის ხეები ხან ჩაიმალებოდნენ, ხან კენწეროებს ამოაყელყელავებდნენ. მივდიოდით და ველარ მივედით იქამდე, გეგონებოდა, ისინიც მიდიანო.

— დელი! ხომ შეიძლება სასწაული მოხდეს? — გკითხე ხმამალლა.

დელა გაჩერდა და სანახევროდ შენობრუნდა.

— რა სასწაული? — გაიკვირვა.

— საერთოდ, ხომ ხდება სასწაულები?

დელა შეყოვნდა.

— ხდება, მაგრამ... შენ რა სასწაული გინდა მოხდეს?

— ხომ შეიძლება, მამაჩემი მართლა აკაკის ხეებთან დაგვეხედეს?

დელამ პარკი მოიხსნა, მომიბრუნდა და თვალებში ჩამაცქერდა. რაღაცის თქმა უნდოდა და ფიქრში წასულს, გადავიწყდა. მერე თითქოს თავისი აზრი უარჰყო: არა, მამაშენს მანდ რა უნდაო, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა, შეტრიალდა და ნელ-ნელა წავიდა. პარკი აღარ აუკიდაო.

— ხომ შეიძლებოდა დაჭრილიყო, ან იქნებ ომი დამთავრდა და რაღა შორიდან მოუაროს, შუამთის წყაროსთან ჩამოვა მანქანიდან და სათხე ბილიკებით მოკლებებზე გადმოვივლის.

— ომი რომ დამთავრებულიყო, ქვეყნა შეინიშნებოდა.

აკაკის ხეები თანდათან ამოიწვევრნენ. თითქმის ვარჯამდე დაჩნდნენ.

— დელი, გული მიგრძნობს, მამაჩემი მანდ დაგვეხედება, აი, ნახავ, თუ იმ ხეებთან არ იყოს.

დელამ გაკვირვებით მომხედა.

— რას აიუენე, ბიჭო, მამაშენი არა!..

ბევობს მივადექით. ცოტაც და გადასახედზე გადავდგებოდით. დელაჩემმა პარკი დადგა. ფეხსაცმელები ბილიკზე დაყარა, ფეხები დაიბერტყა და ჩაიცვა, სხვა დროს საწისქვილო დაღმართის თავში ჩაიცმევდა ხოლმე. მეც დავდექი. ახლა თმა გადავივარცხნა. ერთი სული მქონდა, გავქცეულიყავი და გადამეხედნა, მაგრამ სჯობია ერთად ვიყოთ-მეთქი, — გავიფიქრე და დაველოდე. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სახეზე რაღაც მომაწვა და შემახურა. დელაჩემმა კაბის ბოლოზე აკრული ძურწები მოიშორა, კალთა ჩამოიბერტყა და პარკი აიდო. მაშინ კი ველარ მოვითმინე და ბევობი ავირბინე. კისერი წავიგრძელე, ჭლინკებზე შევდექი და თავთავების შემოდან გადავიხედე.

აკაკის ხეებთან არავინ იყო. სირბილით გავედი ყანის ბოლოში და ახლა ხეობას გადავხედე. გაფაციცებით მოვათვალიერე რიყე, გაღმა-გამოღმა ჭალები, მაგრამ მამაჩემი არსად ჩანდა.

გაწბილებულმა დელაჩემისკენ გავიხედე. ბევობზე ამოდიოდა და ისე მომეჩვენა, თითქოს მისი თმაგადავარცხნილი თავი ფხის კეწეროებზე მოცურავსო, ვიგრძენი, თავთავებს შორის მალულად გამომხედა. მაშინვე თავი ჩალუნა და ზედ ისე წამომადგა, რომ აღარც ჩემკენ გამოუხედავს, აღარც აკაკის ხეებისკენ. ერთიანად მოვიღვედე, ნაბიჯის გადადგმის თავი აღარ მქონდა. დელასთან მაინც არ შევიმჩინე. ნელ-ნელა დავიძარი, თან სათხე ბილიკებს გავყურებდი. დელაჩემი წამომეწია, აკაკის ხეებს რომ ჩავუარეთ, მხარზე ხელი დამადო და ცოტა შევისვენოთო, წამჩურჩულა. ხეებთან გრძელი, თავბრტყელი ლოდი ეგდო. უკან მივბრუნდით

და იმ ლოდზე ჩამოვსხედით. მდუმარედ ვისხედით. დედაჩემი სადღაც, კავკასიონის მწვერვალების მიღმა იყურებოდა. „მამაჩემი კი ალბათ იქიდან აქეთ იყურება, — ფიქრობდი გუნებაში, — რა იქნებოდა, ჩანოსულიყო და აქ დავგზავდროდა“.

დედაჩემი როდის-როდის გამოერკვა ფიქრებიდან. ფეხებზე დამხედა და ეგრა გაქვს, რატომ წელან ვერაფერი შეგატყუო, — შეითხა ჩურჩულთ. კანკებზე დავიხედე, მთლად აჭრელებული მქონდა, არ ვიცი-მეთქი, — მხრები ავიჩეჩე. ის ხელს მისვამდა და, რა გჭირს, ბიჭო, რამ გიყო, ბიჭო, ჩამციებოდა. მეც გაოცებული ვიყურებოდი, — ვითომ არ ვიცოდი, გულში კი ფიქრობდი, რაც დრო გავა, უფრო მეტად დამეტყუობა-მეთქი... გვიან მიხვდა.

— შენამც გამოთავდები, — ჩამკრა თავში. — საჯარე ბიჭებში რომ ჩადგები ხოლმე, იმათთან შიშველა კანკებით ლახტის თამაში გამოგადგება?!

— გრძელი შარვალი არ მიყიდეთ და ყველა მე მშხვლეპავს, — დავიწყე ბუზღუნი.

დედაჩემმა ხმა არ გამცა. ხან ერთ ფეხს ამიწვედა, ხან მეორეს და აჭრელებულზე ხელს მისვამდა, კანკები ერთიანად ამიწითლდა და შემიხურდა.

— შენც ნუ ითამაშებ. — მითხრა ხმადაწევით. — ცოტაც მოითმინე, ჩამოვა მამაშენი და გიყიდით.

ტანში რაღაც თბილმა დამიარა.

— ნეტა მამაჩემი სად რას შოულობდა ხოლმე. სადღაც უნდა ყოფილიყო, რაღაცას მოგვიტანდა. ტყეში წავიდოდა, ზღმარტლით. თხილით ან სხვა ხილით აივსებდა ჯიბეებს. მინდორში ექნებოდა და არჯაველს ან მარწყვს დაკრეფდა.

— გახსოვს, როგორი ქული და პალტო ჩამომიტანა თბილისიდან? ის პალტო ხომ მერე ცქლიფას ვაჩუქეთ, მამა არა ჰყავდა, — მივუღიმე დედას. იმასაც გაეღიმა. წამოვდექით და საწისქვილო დადმართს დავუყევით.

მალე კბოდეს ძირში მიყუჩული წისქვილი გამოჩნდა. მესაფქვავე არაფერი ჩანდა. მეწისქვილე წინკართან ბურბუცებდა. რომ მივუახლოვდით, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და გამოგვხედა.

— ბეწვზე მომისწართ, უნდა დამეკეტა, — გვითხრა და წისქვილში შეგვიძღვა. პარკი აწონა, მინდი კოდში ჩააჩხრიალა, მერე ეზოში გავიდა, კედელთან კუნძი მიიღვა და ლობიოს ჭიგოებს წვერების ჩეკვა დაუწყა. დედაჩემიც იქვე, გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

— შენი კაცისა აღარაფერი გავიგია? — მეწისქვილემ კისერი მოიღრცა და გვერდულად გამოიხედა.

დედაჩემმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. მეწისქვილეს წალდი გვარიანად გაელესნა, თითო დარტყმაზე ჭიგოს ბოლომდე ბალთავდა. ნაჩეკი გვერდზე მიყარა, ალმაცერად გამოძხედა და, ეს ბალლი ხომ არაფერს იტყობს, რა ძალიან გამხდარაო, — წაიბურტყუნა. დედაჩემი სადღაც, ხეცს გაღმა იყურებოდა, შემომხედა და შემათვალეირა.

— ამის ფეხი არ გაჩერდება და ან სული სადღა უდგა. — თქვა ხმადაბლა.

მეწისქვილემ ისევ გამოძხედა. ეტყობოდა, პასუხი მთლად არ ირწმუნა.

„ზარის“ ჩხარტნი გაისმა, ზვიმირაში საფქვავი თავდებოდა.

— გაიქე, დაჰკიდე! — მითხრა მეწისქვილემ.

წისქვილში შევედი. ხარის გაღებული ნალების შეკრა მბრუნავ ქვაზე ხტოდა და გულის წამღებად ჟღერებოდა. ზარი საკიდზე დავკიდე და შევება ვიგრძენი. მეწისქვილე არ ჩქარობდა. ზვიმირის ჩამოცლა რომ იდროვა, მაშინ-ღა შემოვიდა. კრიკა თანდათან ჩამოუშვა, ალატის სახურავზე აბობლდა და ზვიმირას ხელი შემოუტყაპუნა. დაელოდა, სანამ უკანასკნელი მარცვალი

სოლომონ სამხარაული
აპა, მომადი!



ჩამოვარდებოდა. კრიჭა ასწია და ჩვენი პარკი ხვამირაში ჩაცალა. ზარი არ დაუყენებია. ან რად უნდოდა, ჩვენი საფუკავი ფირფიტას ვერც კი დაიმხარებდა. თითქმის ამოდენა როცა რჩება ხვამირაში, მაშინ ვარდება ზარი და ვი-ვიშს ატეხავს — საფუკავი თავდებაო. მეწისქვილე ზოხინობდა, დიდხანს აწვალა კრიჭა. როდის-როდის დააყენა ზომაზე. ჩვენი საფუკავი უკვე იფუქვებოდა, როცა ალატი ამოასუფთავა. ორსამჯერ კიდევ მოუსვა საგველა და ჩვენი ფქვილი თავისას გააყოლა. ყელში რაღაც მომეჩარა. ფქვილი თავის ბნელ ოთახში შეიტანა. ტახტის ბოლოში მიმალულ საცალოში ჩაყარა, სახლართები დაუჭიმა და ზედ ჩულები წაფარა. როგორც ჩანდა, მინდში დაგროვილი სიმინდი ჩამოფუქვა. მერე ისევ გარეთ გავიდა, კუნძს მიუჯდა და სოფელში რა არის ახალიო, — გვკითხა.

— სასიკეთო არაფერი, — თავი ჩაქინდრა დედაჩემმა. — დაღუპულთა დეპეშები მოდის.

— ოჰ, ოჰ, რა წარღვნა ტრიალებს ქვეყანაზე, ამ კვირაში მარტო ჩვენ სოფელში ხუთი დეპეშა მოვიდა.

— საცოდავ ნიქელანთ ტასოს სამი შვილიდან არც ერთი აღარ შერჩა.

მეწისქვილემ წალდი დადო და გვერდზე მოიღრცია.

— საწყალ დესპინესაც ეგრე არ დავმართა? ტასოს შვილიშვილები მაინც დარჩა.

მეწისქვილე წამოდგა. არხის პირას მიმოფანტული ჭიგოები წამოკრიფა — ეტყობოდა, გაღმიდან გადმოეყარა — წყობისად დააწყო, ილიაში აიგროვა და კუნძთან მოათრია.

— მაზმანიშვილების ვანო მთლად უბედურ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული.

— ეჰ, — ამოაოხრა დედაჩემმა. — ეგ არი, თავს ვერ მოიკლავს კაცი, თორე რაღა სასიცოცხლოა ანა, იმის შემხედვარი?

— აბა, აბა, — დაუდასტურა მეწის-

ქვილემ — ათასჯერ სჯობია, მშობელი შვილის უბედურებას არ შეესწავროს.

— დედის გული უკვე მკვდარია, ამის შემდეგ ძალუშმაღურად უნდა იღონდილოს.

— ამ ერთ თვეში თექვსმეტი დეპეშა მოვიდა: ხეკაანთ დათასი, კიბალანთ ვანოსი, ბუჩუკურ ალექსასი... — ითვლიდა მეწისქვილე: თან წალდს აჩაყუნებდა, ჩაუჩეკავდა ჭიგოს წვერს და გვერდზე გადასდებდა.

ბოლომდე აღარ მომისმენია, წისქვილს გვერდიდან წამოვუარე და ღარების თავში ავედი. ბერღარაზე ფიცარბოგირი იდო. შევდექი ზედ და იქაურობა მოვათვალიერე. წისქვილქვეშ ორი ღარი ეშვებოდა. ერთი დეკეტათ, მეორეში წყალი მითქრიალებდა.

„ნეტა ჭიოტა ჩამავდებინა ამ ღარში — გავიფიქრე გუნებაში, — რას გააქროლებდა!“.

წარმოვიდგინე შიშით თვალდაჭყეტილი ჭიოტა, ჩამოლუმპული გრძელი შარვლით და სიცილი ამიტყდა! ბორბალი დაღეწავს-მეთქი, გავიფიქრე და სასჯელი შევუმსუბუქე: „ბორბალმდე არ მივლშვებდი. ჩავაბამდი თოკს. გააქანებდა წყალი და ღარის ბოლოში რომ გაიტანდა — ანოვიყვანდი. სულ „ვაი დედას“ ვაძახებდი. ვახვეწინებდი, ერთ შარვალს შენ მოგცემ, ოღონდაც გამიშვიო“.

არხი ფლატეს ჩასდევდა. წყალი მღორედ მილივლივებდა და თან ფერნაცვალი ფოთლები და ყვავილთა შემქნარი ფიფქები მოჰქონდა. შემოიტანდა ბერღარაში და ზოგს ღია ღარისკენ გაიტაცებდა, ზოგს კი ჩაკეტილი ღარის თავთან, შეგუბებულში შეატყუებდა, ატრიალებდა, ატრიალებდა და როდის-როდის წაიღებდა დინება. ფოთლები რაღაცნაირად გემებს ჰკავდნენ, ყვავილის ფიფქები — ნავებს. დავკრთვე სხვადასხვა ფერის ფოთლები და წყალში ჩაყარე. ზოგი ჩემი გემი იყო, ზოგი — ჭიოტასი. მე ჩვენების

კაპიტანი ვიყავი. ჰიოტა — გერმანელ-
ბისა. ვაჭიბრები ერთმანეთს, რომელი
უფრო ჩქარა გადაეშვებოდა ღარში.
ფოთლები დუნედ დაცურავდნენ. ამი-
ტომ ახლა ქარქარაყები და ქერქეშელები
ჩავყარე, ბლომად რომ ეყარა არხის პი-
რას. წყალში მშვენივრად ტივტივებდ-
ნენ და თანაც წყალქვეშა სამხედრო ნა-
გებს და ტორპედოებს ჰგავდნენ. ომი
მიინც ვერ გავაჩაღე, გემები ზოზინათ
მოსდევდნენ მოლივლივ წყალს, ერთი-
მეორეს არც უსწრებდნენ, არც ეჯახე-
ბოდნენ და თუნდაც ხელით შემეჯახე-
ბინა, ერთი კი ჩაყლუბუნდებოდნენ
წყალში და მაშინვე ისევ დუნედ დაი-
წყებდნენ ზედაპირზე ციმციმს. ეგრე არ
გინდათ-მეთქი, ფიცარბოგირზე დავ-
დექი და ახლა სრბოლაში შევაჯიბრე.
ბორღარას შუაწელში ჩავყრიდი, აქედან
იწყებოდა წყლის აჩქარებული დინე-
ბა, გემები თანდათან მოუმატებდნენ
სიჩქარეს, ღარში გადაეშვებოდნენ, გა-
იქროლებდნენ, შევარდებოდნენ წის-
ქვილქვეშ, შეასკდებოდნენ ბორბლას
ფრთას, ანტებოდნენ მალა და აქაფე-
ბულ ჩქროში მიიკარგებოდნენ. ბორ-
ბალი ბრუნავდა, ზრიალებდა, ანჩქრე-
და წყალს, აბრუნებდა წისქვილის ქვას
და გაბმული გრუხუნით ქვეყანას ადან-
დგარებდა. აი, აქ შეიძლებოდა ნამდ-
ვილი ბრძოლა. „ეს ვითომ გერმანელია“,
ვთქვი ბორბალზე და წყალქვეშა ნავე-
ბის მთელი არმადა გავგზავნე მასთან
საომრად. ახლა უკვე ჩემიცა და ჰიოტას
ნავებიც ერთად იბრძოდნენ. გაქანდე-
ბოდნენ, დაეჯახებოდნენ ფრთას და
რანკ — გასცილოდა ყრუ რაკვანი. ბორ-
ბალი განუწყვეტლივ ბზრიალებდა,
მეც ვაგზავნიდი და ვაგზავნიდი ნავებსა
და ტორპედოებს. ჰიოტასებს ცოტა პა-
ტარებს, ჩემებს — ცოტა დიდებს. დი-
დებს უფრო მჭახე ხმა ჰქონდა. უცბად
ბორბალი გაჩერდა. მაშინვე წისქვილის
გრუხუნიც შეწყდა. სიხარულისგან ტა-
ში შემოვკარი — მტერი დამარცხებუ-
ლი იყო! ბორბლის ფრთიდან ასხლე-

ტილი ქავლი ზევით ავარდა, შხავილი
აიფაფრა და იატაკს მიენჩქრა.

უცბად თავზე მეწისქვილე წამომაღ-
ლა, ჯერ სილა გამაწნა, მერე დამტაცა
მხარში ხელი და ფიცარბოგირიდან
გამისროლა. მტკივანი ცერი ტინის შვე-
რილს წავატაკე და თითქმის ძვლამდე
გადამეყვლითა.

მეწისქვილემ წყალი გადაახვეა, წელ-
ში მოკლულმა ბილიცი ჩაირბინა და
წიქვილში შეძვრა. რა მოხდა-მეთქი,
სახტად დავრჩი. დედაჩემი ქვიტკირის
კუთხესთან იდგა და გაბრაზებული მი-
ყურებდა გულმა მიგრძნო, რაღაც უბე-
დურება დატრიალდა ჩვენს თავს. თი-
თი მეწვოდა, სიმწრისაგან გული მეკუ-
მშებოდა, წამძვრალი სახვევი მოვძებ-
ნე და ისევ ჭრილობაზე დავიჯორჯლე,
თან ჩუმ-ჩუმად დედას გავხედავდი,
მინდოდა შემეტყო, ამას მაკმარებდა თუ
ცემას ისიც მიპირებდა. გაცეცხლებული
ჩანდა, მიყურებდა და თითქოს არც მი-
ყურებდა. სახეზე ალმური ასლიოდა.
წისქვილსა და კბოდეს შორის ვიყავი
მომწყვდეული. „თუ გამომიდგა, და-
მიტერს“, — გავიფიქრე გუნებაში და
ნელ-ნელა კბოდეს ძირ-ძირ ეზოში გა-
ვედი. დედა არც განძრეულა. კარს მი-
ვუახლოვდი და წისქვილში შევიხედე.
მეწისქვილე ალატთან ტრიალებდა.
ვფიქრობდი და რა ჰქონდა ამ წი-
სქვილს — ვერ გამეგო. ცოტა ხნის შე-
მდეგ მეწისქვილე გამოვიდა, ხელში
სველი პარკი ეჭირა.

— ესლა მოვასწარი, — უთხრა დე-
დაჩემს და პარკი გაუწოდა.

დედაჩემმა მგონი ვერც გაიგო. რა
უთხრა მეწისქვილემ. გაბუცებული იდ-
გა.

— წაილე, ღორებს მაინც აკმევ, —
წაიდუღლუნა მეწისქვილემ, თან მე გა-
მომხედა და თავი გადააქნია, ვითომ ეს
რა ჩაიბინეო.

„ჰო, კოლტებად დაგვიდის“ — გა-
ვიფიქრე გუნებაში.

სოლომონ სახსარაშვილი
აპა, მოგვადი!

ძლივს ვიცანი ჩემნი პარკი, ცომ-
წყლით იყო მოთხვრილი. გამობერილი
ძირი ულაფლაფებდა, ეტყობოდა, ში-
გაც წყალწყალა ცომი იდგა. კუთხე-
ებიდან წყალი ჩამოწკრილებდა.

— მეც არ მაქვს დაფქული, თორემ
გამოგიცვლიდი, — აბურღღუნდა ისევ
მეწისქვილე.

დედაჩემი გონს მოეგო. უჩუმრად
გამოართვა პარკი და წავიდა. ვგრძნობ-
დი, კარგი დღე არ მომელოდა და უწა-
დინოდ ავეტორღილე უკან. უკვე მივ-
ხვდი, რაც მოხდა: ქარქარაკმა ბორბა-
ლი გაჰედა, წყალი ალატში შევარ-
და და ჩემი ფქვილი წაიღო.

„არ დამიჭიროს, თორემ ცუდად იქ-
ნება ჩემი საქმე“, — მოვდიოდი და
ვფიქრობდი... გამოდევნების არ მეში-
ნოდა, რაც შვიდი წლისა შევსრულდი,
სირბილში ვეღარ მეწეოდა. მთავარი
იყო, არაფრით მივეტყუებინე. ყოველ
შემთხვევაში, შორიახლო მივდევდი.
ერთთავად ის მეფიქრებოდა, ახლოს არ
მივიდე, თორემ იმ გაღორბილ პარკს
თავში მტყუებავს-მეთქი. ქვებიც ბევრი
ეყარა აღმართზე, მაგრამ ვიცოდი, სა-
ნამ მეწისქვილე გვხედავდა, არ მესრო-
და. ჩქარ-ჩქარა ვიხედებოდი უკან. მე-
წისქვილე ზღუტბლთან იყო დარჭობი-
ლი და თვალს არ გვაცდებოდა.

„ქიოტაზე უარესი წუნკალი ყოფილა.
— გავიფიქრე გუნებაში, — წუწუნიკა,
მაგის საცალო მაინც არ მენახა!“ თან
ჩემს თავზე ბრაზი მომდიოდა; შევსუ-
ლიყავი, ხვიშირაში ჩამეხედა, რაც შიგ
ჩარჩენილი სიმინდი იქნებოდა, იმის
სამაგიერო ფქვილი მაინც გამომერ-
თო-მეთქი. ფიქრებში წასული უცბად
გვერდში ამოვუდექი დედას და ელდა-
ნაცემი გვერდზე გადავხტე. ის დაფიქ-
რებული მიდიოდა. აღარც კი ვახსოვ-
დი. უკან მივყე. პარკიდან ისევ წვეთა-
ვდა წყალი და მტვრიან ბილიცზე შავ
წერტილებს ტოვებდა. წერტილებს
ფეხს ვადგამდი და ვშლიდი. ჭრილობა
სიარულს მიშლიდა, მაგრამ არც ერთს
არ ვტოვებდი. „აღმართის თავში, რო-

გორც კი მოვეფარებოთ, ფეხსაცმელს
გაიხდის“, — გამიელვა თავში და უკან
ჩამოვრჩი, რომ ზედ არ წავდგომოდი.
აღმართი ავთავავეთ, გზის გასაყარსაც
გავცდით, მაგრამ დედას ფეხსაცმელე-
ბის გახდა აღარ გახსენებია. აკაკის ხე-
ებს რომ მივუახლოვდით, მაშინ მომხე-
და, ბილიკიდან გადაუხვია, ლოდთან
მივიდა, პარკი დადო და თვითონაც ჩა-
მოვდა.

მე მოშორებით დავდექი.

— მოდი ახლოს! — მითხრა კუშტად.

— რა გინდა? — ავიბუხე.

— მოდი, რომ გეუბნები!

კოჭლობით მივუახლოვდი, მაგრამ იმ-
დენზე მაინც არა, რომ ხელი მოეწვ-
დინა. ქვეშ-ქვეშ გამომხედა, ალბათ
ივარაუდა. ვერ დამიჭერდა. ფეხსაცმე-
ლი გაიხადა, ცერი თითი მოისინჯა,
გაქაწრული უჩანდა. მიდი, მრავალძარ-
ღვას ფოთოლი მომიწყვიტო, — მით-
ხრა და ისე დაიღმეკა, ვითომ ძალიან
სტკიოდა. მოეწყვიტე ფოთოლი, თან
ცალი თვალი მისკენ მქონდა, გვერდი-
დან მოვუარე და ლოდზე მივუსტრე-
დედა წამომიხტა, ხელი უნდა ეტაცნა,
მაგრამ უკან ვისკუპე და გავეშვი.

— შენამც აივსე ჩემი ცოდვით ამ
დღეში ჩაგდებისათვის, — ხელი გაო-
ვირა იქით, საითაც ალბათ მამაჩემი ეგ-
ულებოდა და აქვითინდა: — რით ვა-
რჩინო მარტოხელამ ოთხ-ოთხი რომ
დამიყარე, რა მოვეუხერხო ამ დამთხ-
ვეულს!

„თუ მე მეჩხუბება, — მეჩხუბოს, მა-
მაჩემს რას გადასწვდა“, — გავიფიქრე
გუნებაში. დედამ სახეზე ორთავე ხე-
ლით თავშალი აიფარა და აქვითქვითდა.
პირველად ვხედავდი დედაჩემს მტი-
რალს. მთელი ტანი უთახთახებდა, რო-
დის-როდის მხარზე გადაიგდო თავშალი
და ამოატირა:

— შენ ხომ არ უნდა მომინადირო. პი-
ჭო! რამ გადაგარია, პატარა ხომ აღარა
ხარ, საცაა ცხრა წლისა გახდები. ყოვე-
ლდღე როგორ გცემო, გასარტყმელი
ადგილიც აღარა გაქვს. რა ყველა ცუდა

შენ სწავლობ. ყველაფერ უხეიროს შენ აკეთებ. მაშ იმდენს არ უნდა ფიქრობდე... — ენა დაება, ველარ გაიხსენა, რა უნდა ეთქვა.

— რა მივუტანო ბალებს, შე მიწა-დასაყრელი! — დანჯივლა და როკე-ბიან ჭოლოკს წამოავლო ხელი.

ყანისკენ გავიქეცი. კიდესთან შევჩერდი და მივიხედე.

— მოდი აქ! — მითხრა გაალმასებულმა.

— არა! — თავი გავიქნიე. ჭოლოკი მომიღირა და მოდი, გირჩევიაო. — დამემუქრა. ფეხი არ მოვიცვალე. გამომედევნა და მესროლა. გვერდზე გადავხტი, მაგრამ ჭოლოკის ბოლო მაინც მომხვდა კოჭში და ჩავიკეცი. მაშინვე წამოვხტი და ყანას შევევრე.

— მოდი, რომ გეუბნები! — ისევ მიყვიროდა.

თითზე სახვევი შემძვრა, ბალახები ამებლანდა და ჭრილობა ამეწვა. ბილიკზე გავვარდი.

— შინ არ მოეთრევი? მიწას დაგაყრი! — გამომძახა გააგებულმა.

უკან აღარ მიმიხედია, სირბილით გამოვიარე ყანა და ველტყიანი. თითზე ცეცხლი მეკიდებოდა, ჭრილობა მტკრით ამომევსო და ნაჟონი სისხლით მომეთხუნა. „რალაცა უნდა მოვუხერხო“, — გავიფიქრე და ტყის თავში, დიჭის ბარდების უკან მივიმაღე.

შინ არასოდეს აღარ მივალ, — გადაწყვიტე გუნებაში. — წავალ და პაჩემთან ვიცხოვრებ. მაგისი არც საჭმელი მინდა და არც ჩასაცმელი. ჩემსას ყველაფერს წავიღებ და წავალ. არდადეგებზე ვიმუშავებ. თუ იქაც არ გაშაჩერებენ, გავიპარები ფრონტზე და რომელიმე პოლკს ვეშვილები. ვეტყვი, თერთმეტი წლისა ვარ-მეთქი, რას გაიგებენ?

ჩემი პაპა-ბებია მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. იქ გადასვლა იოლი იყო, მაგრამ სახლიდან ჩემი რამეების გამოტანა ჭირდა. ცოტა რამე ხომ არ მქონდა: წიგნები, ტანსაცმელი, წალი, კო-

მბალა, მახეები, სტვირი... ერთი თალი ვიფიქრე, დაწვინაურებულიყავი და სანამ დედაჩემი შინ მივიდოდა, გაქცევა მომესწრო. მაგრამ ჩემს დებს რას გამოვაპარებდი! მარტო მისულს რომ მნახავდნენ, ჯერ ამაზე დაეჰვდებოდნენ, მერე სანამ ჩემ რამე-რუმეებს შეეაქუჩებდი, განზრახვას მიმიხვდებოდნენ და არ გამიშვებდნენ. ისევ ისა სჯობდა, შინ დამე შევპარულიყავი. დანის პირით ავაგდებდი კარის რაზმს, უჩუმრად წამოვკრეფდი ყველაფერს და საბძელში გავიტანდი. დამეს იქ გავათევდი და სანამ ირიჟრაქებდა, გზას დავადგებოდი.

თითი მოვისუფთავე, მაყვლის ფოთოლი დავიდე, ბალახებით გადავიჯორჯლე და დაგრეხილი წვრილი წნელით შევიკარი. ცოტა დამიამდა.

მაღე დედაჩემიც გამოჩნდა, მიწაზე დავერთხე და ბარდების ძირიდან ვიჭვრიტებოდი. პარკი განზე ეჭირა, თავშალი მხრებზე ჩამოსცურებოდა და თმაჩამოშლილი მოღონდილობდა. ფეხსაცმელები ისევ ზედ ეცვა და ფეხს გამართულად დგამდა, არ მიყვარდა, ფეხშველი რომ მიხინჩილებდა ხოლმე.

ტყის ბოლოში იქნებოდა გასული, ბარდებიდან რომ გამოვძვერი და მაღულად ავედევენე. ბინდებოდა. ვენახების თავზე მოკლებზე გადმოვჭერი, სანამ დედა შინ მოვიდოდა, საბძელში შევიპარე, თივა მივასწორ-მოვასწორე, ბუნავი გავიკეთე და ჩავწექი. ცოტა ხნის შემდეგ ჩემ გვერდით რალაცა გაჩუჩუნდა, დაფეთებული გამოვვარდი გარეთ და კედლის კუთხესთან ავიტუხე. გზიდან ფეხის ხმა მომესმა — დედაჩემი მოდიოდა. სახლს უკან გავედი. სარკმლიდან სინათლე გამოდიოდა. მივიპარე და ოთახში შევიჭვრიტე. მაგიდაზე ლამპა ბეუტავდა. აქეთ-იქიდან ჩემი დები შემოსხდომოდნენ. უმცროსი წიგნს კითხულობდა, უფროსი ქსოვდა. ძმა ლოგინში იწვა და რალაცეებით თა-

სოლომონ სამხარაული
აპა, მოვადი!

მაშობდა. ბუხარში შეშა ჩამწვარიყო და ზედადგარზე დაპირქვევებული კეცის ქვეშ ღველფი ღვიოდა. ცეცხლაპირას თუნგი იდგა, ბუხრის კალთაზე — ხონჩა.

ეზოს კარი გაჭრილდა, დეზმა ყურე-ბი ცქვითეს. უმცროსი გარეთ გავარდა, მაშინვე კუნტრუშით შემობრუნდა და მოდიანო, — დაიძახა. ძმა ლოგინში წამოჯდა. უფროსმა დამ საქსოვი გადადო, ბუხართან მივიდა და ცეცხლს შეუჩინჩხილა. ამოობაში დედაჩემიც შემოლასლასდა, შუა ოთახში დადგა, პარკი გაწვდილი ეჭირა და ვეღარ მოეხერხებინა, სადმე დაედო. ყველა გაკვირვებული მიაშტერდა. ხმა ვერც ერთს ვერ დაეძრა. ხან დედას უყურებდნენ, ხან პარკს. ისევ უმცროსმა მოიაზრა, პარკი ჩამოართვა და რაღაცა ჰკითხა. ვერ გავიგე, უპასუხა თუ არა დედამ. და პარკს დაჰყურებდა, ხელში ატრი-ალებდა, მერე ხონჩაზე დადო. დედა-

ჩემი ტახტზე ჩამოჯდა. გულზელი დაი-კრიფა და თავი ჩაქინდრა. უფროსმა დამ ზედადგარიდან კეცი გადმოიღო და ბუხარზე ააყუდა, ისევ თავის სკამზე დაჯდა, ხელი შუბლზე შემოიღო და იდაყვით მაგიდას დაეყრდნო. უმცროსი დედას მიუჯდა და თავი მხარზე მიჰყუ-და. ძმა საწოლიდან გადმოვიდა, ხონჩა-სთან მივიდა და პარკს თითი დაადო. თითი პერანგზე გაისვ-გამოისვა, ისევ უკან გაიქცა, ლოგინში ჩაძვრა და კე-დლისკენ გადაბრუნდა. თავზე წაფარე-ბული საბანი ისე ინძრეოდა, ეტყობოდა ტიროდა.

შეც ტირილი ამივარდა. სახლის წინ გავედი, ცრემლები მოვიწმინდე, ორჯერ ზედიზედ ჩავახველე. როგორც მამაჩე-მმა იცოდა ხოლმე, კარს ფეხი წავკარი, ოთახში შევედი, დედაჩემის წინ დე-დექი და ხმამაღლა ვთქვი:

— აჰა, მოვედი!



პაპა ჩორღული

საქართველო

ნ ა პ ი რ ი

სადაც, რომელსაც მდინარე
შუაზე ჰყოფს, გრძელი, ფართო,
ქადრებით დამშენებული სანა-
პაროებით გამოირჩევა. მდინარე ისე
მდინარედ, შეუმჩნევლად მიედინება, კა-
ცი იფიქრებს, შეიძლება არც კია
მდინარე და არც კი მიედინებაო, მაგ-
რამ ახლოს რომ მიხვალ და ჩაუკვირდ-
ები, მიდის, ცოცხლობს...

მარჯვენა და მარცხენა სანაპირო, ქა-
ლაქს თავიდან ბოლომდე რომ გასდევს,
სავსეა მოსეირნე წყვილებით, მანქან-
ებით და მოხალისე თუ „პროფესიუ-
ლი“ მეთევზეებით... მეთევზეები... ეს
დაუზარელი ხალხი, ალიონიდან მიმწუ-
ხრამდე, გადაჰყუდებიან მოაჯარს და
ჩასტეკრიან წყალს, ანკესსა და მდინა-
რეში მოსრიალე თევზებს.

სანაპიროს მეთევზენი ერთმანეთის
გვერდით დგანან. ყველას ერთნაირი
აღჭურვილობა აქვს: ანკესი (ერთი ან
ორი, ზოგს სამაც), ცელოფანის პარკი,
თევზისათვის მისატყუებელი, ხელჩან-
თა თავიანთი საგზლისათვის და, რაც
მთავარია, სიგარეტი...

ალბათ, ვერც ერთი სხვა სახის მონა-
ღირე ვერ დაიტრაბახებს ისეთ თავდა-

დებას ნადირობისადმი, როგორც მეთე-
ვზე. მეთევზეს არ აშინებს წვიმა და
ქარი, მცხუნვარე მზე თუ უცბად, მოუ-
ლოდნელად შეცვლილი ამინდი.

ჩვენს მეთევზეებს, სანაპიროზე თე-
ვზჭერის ბედ-იღბალს რომ განაგებენ
(საცხოვრებელი ადგილის მიხედვით),
ისე აქვთ საქმე აწყობილი, საოკეანო
თევზჭერის მესვეურთაც კი შეშურდებ-
ათ: წვიმაში ლაბადები, თაკარა სიცხე-
ში კი — ჩრდილებად ქცეული ქად-
რების მზრუნველობა...

სანაპიროც ისე აქვთ დანაწილებუ-
ლი, ერთიდან მეორე მიჯნისკენ რომ
ფეხი გადადგან, რაღაცნაირად ჭერც-
ხვებით კიდევ, არადა, ზოგან ისეთი
„მდიდარი“ ადგილია, გინდა არ გინდა,
გული იქით მიგიწევს, მაგრამ აქ ყველა-
ნი მყარად და ხელშეშვალად იცავენ
ზრდილობის წესებს...

ერთ დღეს, ჯერ კარგა გათენებულიც
არ იყო, რომ ბატონი ნესტორი — ასე
ეძახდნენ ადრე თანამშრომლები —
„კბილებამდე“ შეიარაღებული გაემარ-
თა აღნიშნულ სანაპიროსკენ. ქუჩია,
რომელიც მის სახლთან ჩაღოდა, ქვა-
ფენილით იყო გაწყობილი. ნესტორი

ტროტუარს დაუყვია. მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ, შემდეგ ჩაივარდა, სანაპირო გადაჭრა, პირი დასავლეთისკენ იბრუნა და მოკლე, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით ტროტუარს აედევნა.

თქვენ ფიქრობთ, რომ ნესტორი ძველი მეთევზე იყო? სულაც არა, თუ უკამია, თორემ დასაქვრად როგორ გაეყარებოდა თევზს! ისე, ბევრჯერ იტყოდა ხოლმე, გუშინ ისეთი თევზი ვჭამეთ ქეიფში, რომ მართლა ცოცხალი იყო...

დრონი მეფობენო, — რიგიანად უთქვამთ. ბევრი, ბევრი რამ მოხდება კაცის ცხოვრებაში... შეიძლება, ზოგჯერ თავზე წისქველის დოლაბი არ დატრიალებულა, მაგრამ სხვა მილიონ ჯანდაბას გადაეცვლოს, ზოგიც ზიზილებში გაზრდილა და უცხოვრია, ზოგს კი... სხვა თუ არაფერი, პენსია ზომ ნაღდი (თუ სიკვლავს არ აპირებს ვინმე სამუშაო ოთახში)...

„პენსიაზე ზომ გავედი, გავედი და კარგადაც მოვიქციე. უპ, შენ გენაცვალე, რა კარგი ბიჭი იყო ის, იმ დღეს რომ შემოვიდა და ვაჟკაცურად მთხოვა სამსახური! ასეა, ძმაო, მოდიან, უნდა მოვიდნენ, აბა, არ უნდა მოვიდნენ?“ — ფიქრობდა ნესტორი თავისთვის და კმაყოფილიც კი იყო ამით.

პენსიაზე რომ გავიდა ნესტორი, გაცილებდა მოუწყვეს...

პირველ დღეებში ნესტორი გარეთაც კი არ გამოდიოდა, თითქოს რცხვენოდა ჭერჭერობით პენსიაზე გასვლა, მერე და მერე შეეჩვიოდა ყველაფერს, ეზოშიც ჩაივარდა, დომინოს თამაშშიც გაიწაფა ხელი, ლუდიც კი მოავო ერთი-ორჯერ, მაგრამ მაინც რაღაცა აკლდა, რაღაცაზე წუხდა, ვერ გამოთიშულიყო იმ სამყაროდან, წლებს მანძილზე რომ იყო დაკავშირებული.

ნესტორმა ერთხელ ისიც კი აღიქრა, რაიკომში წავალ, რაიმე მსუბუქ სამუშაოს ვითხოვ და ისევ ვიმუშავებო, მაგრამ რაიკომამდე არც იყო მისული, რომ აზრი შეიცვალა, შეტრაალდა და ქუჩას გაუყვია. როგორ და რანაირად,

არც კი უფიქრია ამაზე, ისე მოხვდა მარცხენა სანაპიროზე. სანაპიროდან სანაპირომდე საკმაო მანძილი იყო, მაგრამ ფეხით ამჯობინა გავლა. მზე ისე იყო გახურებული, ლამის ჩამომდნარიყო ქალაქის თავზე. კაცმა რომ თქვას, ნესტორს ბევრჯერ გაუვლ-გამოუვლია მანქანით სანაპიროზე, ბევრჯერ დაუნახავს მეთევზეები, მაგრამ არასდროს არ დაინტერესებულა, ვინ ან რა ხალხი თევზაობდა წვიმასა თუ დარში.

ნესტორმა სიგარეტი გააბოლა, ნაბიჯს უკლო და ფრთხილად, თითქოს მსხვერპლს ეპარებო, მიუახლოვდა მეთევზეთა ერთ ჯგუფს. მეთევზენი ისე იყვნენ გართულნი, მამაზეციერი რომ გამოცხადებოდათ, იმასაც კი ვერ გააგებდნენ... კაცს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება.

— არის! — ყრუ ხმით თქვა ერთმა ხნიერმა კაცმა და ძუის ახვევას შეუღლა. რაც უფრო მოკლდებოდა ძუა, მით უფრო ემატებოდა სიხარული კაცს, შუბლი ეხსნებოდა, თვალის უბეები უფართოვდებოდა...

კაცმა საკმაოდ მოზრდილი თევზი მოაცილა ანკესს, მერე აკოცა, ეს ერთი და სხვა მრავალი, თქვა და ნაღავს წყლიან ცელოფანის პარკში ჩაუძახა. ნესტორმა კარგა ხანს უყურა მეთევზეს.

„კაი საქმეა, ჩემმა მზემ,“ — გაიფიქრა და იმ კაცს გაუღიმა.

— შენსას არ მოედო? — ჰკითხა იმ კაცმა.

ნესტორს თითქოს ეუხებრხულა, რომ თვითონაც არ ეკავა ბამბუკოსტარიანი ანკესი და სახეზე ღიმილი შეაშრა.

— მაყურებლის როლში ვარ, — თქვა ნესტორმა.

— სულაც არ შემიმჩნევია, რას იზამ, ასე იცის აზარტმა...

— ნუთუ არაა მოსაწყენი? — იკითხა ეჭვით ნესტორმა.

— როგორ გეკადრებათ. ამაზე კარგი საქმე რა არის პენსიონერი კაცისთვის? რას ნახავ უკეთესს? გამოხვალ დილით ადრე, მუხლს გააპართავ, სუ-

ფთა ჰაერს ჩაყლაპავ, გულსა და გონებას გადააყოლებ, ყველაფერი გავიწყდება, როცა მოქაჩავს ეს მაღლიანი! — თქვა კაცმა და ცელოფანის პარკს დახედა.

ნესტორი ბოლომდე გაუყვა სანაპიროს. მეთევზენი უკან დარჩნენ. ახლა უკვე საკმაოდ ინფორმირებული იყო თევზჭერის საქმეში. ბევრი არც კი უფიქრია, გააჩერა ტაქსი და პირდაპირ მონადირეთა კავშირის მაღაზიისკენ გაეშურა სათევზაო „იარაღის“ შესაძენად. მზე სამხრობამდე იყო მიტანებული, როცა ნესტორმა ეზოში ფეხი შედგა. — „რიბა!“ — მოესმა ხმაშალალი შეძახილი.

„აა, უკვე დამცინიან ეს პენსიონერები!“ — გაიფიქრა წყენით.

„— რიბა, ძმაო, რიბა!“ — წამიერი სიჩუმის შემდეგ ისევ დაიბუხუნა ხმამ და დომანოს ქვა მწვანედ შედგებოდა რკინის მაგიდაზე გაატაკუნა.

„არა, მე არ დამცინიან, თავის საქმით არიან გართულნი, ეპ, რა მოცლილი ხალხია...“

— ბატონო ნესტორ, აქეთ მოიწიეთ, ნახეთ რა დღეში გვყავს მოწინააღმდეგე. კი მარა, ეგ ჯოხები რატომ ამოვიჩრიათ ილიაში? — იკითხა ერთმა.

— ჰოო, არაფერი, გააჩრიათ საქმე ვიშოვნე, თან ჯანმრთელობასაც გავიყაყე, მეყო, ძმაო, ამდენი წელი კაბანეტში ჯდომა, ცოტა მეც გავშალო მუხლი ამ სიბერეში.

— თევზაობდით?! — თითქოს სასწაული მოხდაო, ისე გაიკვირვა ყველამ.

— როგორც ხედავთ...

— კაცი ერთხელ შეცდებამ ცხოვრებაში და აა, ავერაა ფაქტი. კაცო, მგ უსაქმურების ხელობაა, მოცლოლი ხალხის მოგონილია, დაჯექი ჩვენთან და ითამაშე — ხან მოიგებ, ხან — წააგებ. ამაზე კარგს რას გააკეთებ?! —

„ყველა უსაქმურს თავისი მოქმედება მიაჩნია საქმედ“, — გაიფიქრა ნესტორმა და უკმაყოფილო მზერა მიაბყრო მეზობლებს.

— ჰო, არა, კარგია, არც ეგაა ცუდი, მართლაც, რა უნდა აკეთოს პენსიონერმა კაცმა? დადექი და ითევზავე, ცოცხალის ჭამას რა სჯობია, — უკან დაიხია „რიბამ“.

ნესტორი მიტრიალდა და კიბისკენ წავიდა.



„ეს ადგილია, აქედან დაიწყო, აქ გაიკვანდა ჩემი თევზაობის სიყვარული“. — თქვა ნესტორმა და ჭადართან შეჩერდა. მერე თვალი გააყოლა სანაპიროს, კაცის ჭაჭანება არსად ჩანდა — არც გაღმა და არც გამოღმა.

ნესტორმა სიგარეტი გააბოლა, დინჯად გამართა „იარაღი“, ღმერთი ახსენა და ანკესი მოიქნია. რა თქმა უნდა. პირველი ნასროლი არ გამოუვიდა. ანკესი სულ ახლოს ჩაეშვა, ტუგტივა იქვე, ხელის მოსაკიდზე ქანაობდა, მაგრამ ნესტორი მაინც დარჩა კმაყოფილი. ნახევარ საათში ხუთჯერ უცვალა ანკესს ადგილი და ხუთჯერვე მოეცარა ხელი.

„ერთიც რომ დამაჭერინა, ჩემს მეზობლებს თვალს დაუწყენებ, მაგრამ სადაა იღბალო?! ან... იმის თქმისა არ იყოს, მამა მყავდა ხაბაზი და ნალბანდობას რა მრჯიდაო, რომელი მეთევზის შთამომავალი მე ვარ?...“ — ფიქრობდა ნესტორი.

კანტიკუნტად გამოჩნდნენ მეთევზეები.

„ალბათ, ის კაციც მოვა, ჩემი პირველი მასწავლებელა და შემარცხვენს, უცხად ამოყრის დაფორაჯებულ თევზებს, და მერე ვაი სირცხვილო...“ — არ ასვენებდა ეს ფიქრი ნესტორს.

მზე ცერზე აღარ იდგა...

სანაპიროზეც მომრავლდა ხალხი. მანქანებიც უფრო ხშირად მიქრი-მოქროდნენ. ის იყო, ნესტორს გულა უნდა აეყარა თევზაობაზე, რომ ტუგტივა შეირხა, მერე ისე მაგრად დაიჭიმა ძაფი,



ეგონა, ნაღდად ლოქო მოედოო ძაღის ახვევას შეუდგა, სიჩქარეში ხელი ებლანდებოდა, სიხარულმა ოფლით დაუნამა შუბლი, თვალები გაუფართოვა, გული აუძგერა, ყველაფერი დაავიწყდა და უცბად, ვაი სირცხვილო!.. ანკესს ლანჩამომძვრალი ქირხის ჩექმა გამოისდებოდა..

ნესტორმა ანკესის ძაფი ბოლომდე აახვია, ჩექმა მოხსნა და გულმოსულმა მოისროლა. მერე თვალი გააპარა გვერდით მდგომი მეთევზეებისაკენ, აბა, მიყურებენ თუ არაო, მაგრამ ვის ეცალა მისთვის? ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ნესტორი უცბად დამწვიდდა და ეს შემთხვევაც ჩვეულებრივად ჩათვალა. ისიც კი გაიფიქრა, ჩექმა კი არა, ანკესს შეიძლება უფარვის საბურავიც კი წამოედოსო...

ღრო მირბოდა. ნესტორი სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა. ნერვები მიეშალა, ერთი პაწაწინტელა თევზიც კი ვერ დაიჭირა.

ნესტორის გვერდით ერთი შავჭუხა ბიჭი შეჩერდა. შეათვალიერა მეთევზე. ნახა, რომ ცელოფანის პარკში არაფერი ედო, იქით უტრიალა, აქეთ უტრიალა და ბოლოს უთხრა:

— ბიძა, შეიძლება მე ვსინჯო?

ნესტორმა თვალი აავლ-ჩაავლო შავგვრემან ბაჭს, აწონა, დაწონა და ბამბუკის გოხი გაუწოდა.

შავმა ბიჭმა ძაფი აახვია, ანკესი მაღლა ამოიტანა, დახედა და თქვა:

— ხანდახან ამათაც უყვართ სასუსნავის გამოცვლა, ჰო, ასეა, დღეს თუ ძეხვის ნარჩენს მიირთმევენ, ხვალ კვერცხის გულზე ნაჩეკი ჭიები უფრო ეამებათ.

ბიჭი შებრუნდა და მეზობელ მეთევზეს ჭიას დაესვსა.

ნესტორს არ ეპიტნავა ვიღაც შავტუხას სიტყვები. ვერ გაარკვია, ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა...

ხუთი წუთიც არ იყო გასული შავი ბიჭის მოსვლიდან, რომ ნესტორს ცელოფანის პარკში ნახევარკილოიანი თევზი ჰყავდა „მოყუჩებული“.

შავმა ბიჭმა თბილად გაუღიზინა სტორს და ტროტუარს დინჯი ნაბიჯით გაუყვა.

ნესტორს ბევრი აღარ უფიქრია და უცდია, აახვია ანკესი, კიდეც ერთხელ მოუკიდა სიგარეტს და სახლისკენ გაუყვა. ერთი სული ჰქონდა, როდის შედგამდა ეზოში ფეხს. მართალია, თვითონ არ დაუჭერია, მაგრამ ანკესი ხომ მისი იყო? „რას მიხვდებიან, რას გაიგებენ, მიყურებდნენ თუ რა? დიახ, მე დავიჭირე, გვერდით არ ვედექი ჩემს ანკესს?!

— ბიძა, ხუთ წანეთად მომცემ? — მანქანა გააჩერა და ძარიდან გამოსძახა „ფიგულის“ მძღოლმა, რომელსაც გვერდით ნახევრად ტიტცელი და საღებავში მოთხვრილი გოგო უჯდა.

— არ ვყიდი, შვილო.

— თუმანი მიეცი... — უთხრა გოგომ ბიჭს.

— არა ვყიდი-მეთქი, გითხარა და მეტი რა ვქნა, ჩემთვის მინდა. მანქანა დაიძრა.

— ხედავ კრეტინს? თუმანი ეცოტავა! — მოესმა გოგოს ხმა.

გული ეტკინა ნესტორს, როცა ეს სიტყვები გაიგონა. თვალი გააყოლა მანქანას, რაღაც ჩიბუტუტუტა, პირი იბრუნა და აღმართს აუყვა.

როგორც წესი, ნესტორის მეზობლები საუზმემდე დომინოს ქვების ტაკატუტუტით იყვნენ გართულნი. არადა, მათი საუზმე სადილობამდე არ იწყებოდა, წესს ხომ არ დაარღვევდნენ და ერთმანეთს ხომ არ გააწბილებდნენ? — ისხდნენ და თამაშობდნენ.

ნესტორი შუა ეზოში არც კი იყო მისული, რომ „რიბაო“, დაიძახა ერთმა.

— არის, მეზობლებო, „რიბა“. — თქვა ნესტორმა.

ოთხმა კაცმა მზერა ნესტორზე გადაიტანა. მეთევზემ ცელოფანის პარკი ნაღდა ასწია. თევზი მთელ სიგრძეზე იწვა და პირს ისე ხშირად აღებდა და კუმავდა, ჰაერი არ ჰყოფნისო, იფიქრებდა საქმეში ჩაუხედავი კაცი.

— მოლა ახლოს! — თქვა ბოხმა ხმამ.

— მალე კი გაჩვეულხარ, კარგია, აბა, შენ იცი, თუ არ გამოგვაპარებ.

— ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, კი იცით, ჰოდა, ამოდენა თევზი სოფელს ეყოფა... — თქვა ნესტორმა და თევზი სასხვათაშორისოდ შეათვალიერა.



სამხრობამდე ოთახიდან ოთახში მიმდიოდა ნესტორი, წრიალებდა, ვერ ისვენებდა. წამისწამზე ის ვილაც შავი ბიჭი აგონდებოდა, რომელმაც გზად გაიარა, თევზი დაუჭირა, ვითომდა საღმრთო მადლი მოისხა და წაჟადა.

ნესტორი უკვე სანაპიროზე მიაბიჯებდა. უფრო სწორად, იმ ადგილისკენ მიდიოდა, სადაც პირველად გაახარა მისმა ანკესმა. იმდენი მეთევზე იყო მოაჭირზე გადაყრდნობილ-გადაკიდებული, გეგონებოდათ, ჯიუტმა მეზობლებმა მაინცდამაინც ერთ დღეს გარეცხეს და გასაშრობად გაფინეს ერთ ციციქნა ქანდარაზე ერთნაირი სარეცხიო. „მაინც რამდენი მეთევზეა, გადაირევა კაცი...“ — ფიქრობდა ნესტორი.

ნესტორმა ძველი, გამოცდილი მეთევზის იერით გამართა „იარალი“, მერე მოიქნია ბამბუკის ჯოხი და, ვაი სირცხვილო! ანკესი სადღაც მალა გამოედო ჰადრის ტოტს. ისე მაგრად იყო მოქნეული, რომ ძუა გაწყდა და ანკესი სად დაიკარგა, ეშმაკმა უწყის. მეთევზე შეცბა, იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა, ხომ არაფერს დამინახა ან ახლა ხომ არაფერს მიყურებსო და დარცხვენილმა იქაურობა მიატოვა.

„უთევზოდ სახლში მისვლა და მეზობლების თვალში დაცემა ერთია. ვაი მერე შენ, ნესტორ ბატონო! არა, ასე არ მივალ. სხვა თუ არაფერი, ვიყიდი აგერ, შე კაცო, ან მაჩუქებს ვილაც და გათავდა. იმათ ყბაში ჩავყარდები?“

სანაპირო უსასრულოდ დიდი იყო. მიდიოდა და მიდიოდა ნესტორი, თანაც სხვის ცელოფანის პარკებს უყურებდა,

ვინმეს თუ ოთხი-ხუთა ცალი აქვს, ვთხოვ, ეგებ მომიცოდოსო. ერთის წაღებაც არ იქნება, ორი ან სამი უნდა იყოსო.

მეთევზეებს გარდა, მოსეირნე ხალხიც ბევრი იყო სანაპიროზე. ნესტორის ყურადღება ერთმა წყვილმა მიიპყრო — ქალ-ვაჟს გახეხილი „ჩინები“ ეცვათ. გოგოს ისე ჰქონდა შემოსხეპილი შარვალი და მოკლესახელოებიანი, მეგრის კოვზამდე ამოჭრილი თხელი ნაქსოვი, რომ, ნესტორის ფიქრით, ბიჭს კი არა, ღმერთსაც კი გაუჭირდებოდა უმისოდ. უცბად ნესტორს ის ვილაც ქალი მოაგონდა, დღეში სამჯერ რომ ურეკავდა ექიმის გამოწერილი წამალივით და სახელს რომ არ ეუბნებოდა... მერე ისევ წყვილს შეხედა. ბიჭი მალე იყო, გრძელი თმა ჰქონდა და წელზე ბრტყელი, უსაშველოდ ბრტყელი ქამრით იყო გაცოჭილი.

„მაგისტანებისთვის გამიშვეს პენსიაზე? მაგი შემცვლის მე? მაგი აქაც ვერ შემცვლის, აა, აგერ, ამ ადგილზე, მეთევზეობასაც რომ ვჩემულობ. მეტი არაა ჩემი მტერი. თუმცა, რა იცი, ვინ არის, რა კაცია, რას მალავს ამ გრძელი თმის ქვეშ. ეგებ მეც ასე მევლო მაგათ ხნობას ამ დროს...“ — ამ ფიქრით მიადგა ნესტორი ერთ მეთევზეს, რომელსაც ორი ცელოფანის პარკი აევსო საკმაოდ მოზრდილი თევზებით.

— შენ ავაშენა ღმერთმა, გამარჯობა, ჩემო ბიძიკო, კაცს ვერ შევხვდი, რომ გაჭირვებაში მიშველოს... — და ნესტორმა თავის გასაჭირი მოუყვა მეთევზეს.

— არ გრცხვენია, შე კაცო, ფულს ავიღებ? შევარცხვინე ის მეთევზე, რომელმაც თქვას, თევზი პატარააო და ისევ უკან არ გაუშვას წყალში. კი ბატონო, სამი კი არა, ოთხი წაიღე.

ნესტორი აღმართს მაჰყევბოდა. სანახევროდ ბოლმა ახრჩობდა, როგორ, ერთი თევზი ვერ უნდა დავიჭირო ამზე-

ლა კაცმაო? სანახევროდ კი გულში ის უზაროდა, ვიღაც მაღალმა, წვრილმა ბიჭმა როგორ ერთი თქმით გამიგო და ორის მაგიერ ოთხი ცალი თევზი მაჩუქაო.

„არა ძმაო, კაცი და ქვეყანა ისე ამოუცნობია, ღმერთიც ვერაფერს გაუგებს, თორემ ახლავე დავიდებ ნიძლავს, აა, ახლავე, თუ ჩემი არ გჯერათ“. — ფიქრობდა ნესტორი.

„არა, კარგი ვქენი, ასე რომ მოვიქეცი, ერთი ცალა რომ ამეღო იმ ბიჭისგან, დამცინებდნენ მეზობლები, ყიდულობს, ისე მოაქვსო, ახლა რაღას იტყვიან, ოთხი ცალი მექნება... ისე, ახლა ვრწმუნდები, რომ მონადირეებმა მართლა იციან სამას სამოცდასუთა ტყუილი და ისიც ნაღდია, ბოლო ათი თვითონაც რომ სჯერათ! ეს მოვკალიო, ის მოვკალო, ერთ საათში ფუნთხევი დავიჭირეო, ერთი ოთხკილოიანი იყოო და ეშმაკი და მამაძაღლი, რას გაუგებ კაცი ამ მონადირეებს თუ მეთევზეებს“.

— ბარაქა, ბარაქა, ნესტორ! — შეაგებეს მეზობლებმა.

— გმადლობთ, გმადლობთ, — მძიმედ თქვა ფიქრიდან გამორკვეულმა მეთევზემ.

— გაღმა არ გახვედი, ნაწყვეტთან? — შეეკითხა ერთი.

— ნაწყვეტიც ესაა და მთელიც...

ნესტორმა ცელოფანის პარკი დაანახა და მერე კიბეს აუყვა.



მთელი ღამე იწრიალა ნესტორმა. გული ვერაფერს დაუდო. სულ აგინა მარტოობის, ობლობის, ქერივობის მომგონე. მერე სოფელი გაიხსენა. გული დასწყდა, რომ ამდენ ხანს არ ჩასულა სოფელში, არ მოუწახულებია ზოსიმე, შალიკო, თედო, სამსონი, ნიკიფორე, ლევანტი, ქრისტინე, კალისტინე და სხვანი და სხვანი.

„რა არის, მართლა, კაცის ცხოვრება, თუ არა აკეთე რა! მარა, ერთს აკეთებ, მეორე გრჩება გაუკეთებელი. რა არ ვაკეთე, რა არ ვქენი, მარა სოფელს ვერ მაგზავდეს. საწყალი სოფელი! იძახე, ჩვენი ბატონი ნესტორიო, ნესტორი არა ფეხები! რა ნესტორი ვარ, სოფლის კერა გავაციე, ჩავაქრე. ახლა მეთევზეობაც კი დავიწყე. რომელი მეთევზე მე ვარ ან მონადირე, კაბინეტს არ გავცილებივარ ნახევარი სიციოცხლე. მოვიდა იმ დღეს ერთი შავტუხა ბიჭი, დამიჭირა თევზი, დამცინა ალბათ, და წავიდა... ნესტორი არა, ფლავი!“ — ამღვრეული ფაქრი უტრიალებდა ნესტორს.



მეორე დღეს, დილახნელზე, როცა გათენებამდე მთელი გათენება იყო დარჩენილი, ნესტორმა ბარგი შეკრა და მიტოვებული, კერაგაციებული, პაპისეული სახლის მისაპატრონებლად წასვლა გადაწყვიტა.

კიდევე ერთი ალგარითი

სიმონას, ანუ როგორც სოფელში ეძახდნენ — სიმონიკას, ორი წლის უკან სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან რომ დაბრუნდა, კოლმეურნეობამ მაშინვე სატვირთო მანქანა ჩააბარა. მიუჯდა საჭეს ვეებერთელა ვაჟკაცი, მოიღვდა მკერდი, მოუშვა სიგრძე-სიგანეზე უღვაში, რიგინად გამართა მანქანა და დაიწყო აღმა-დაღმა სიარული —

ზოგს კოლმეურნეობის საქმეებს აკეთებდა, ზოგს — მეზობლებისას. უყვარდა სმა და ქეიფი, ნიკიფორეს გოგო და ძაღლების ჩხუბი და წეწვა-გლეჯა. ერთ მშვენიერ დღესაც ჩაასვა ნიკიფორეს გოგო მანქანაში, ამოუჭროლა სოფელს და სახლში მიიყვანა. ბევრი ესა და ისაო, არ დაუწყია, შენ — ცოლი, მე-ქმარიო, უთხრა და ამით გაათავა ცოლის

შერთვის ცერემონიალი. არც ნაკიფორე შედავებია რამეს, ობლად გაზრდილი ბიჭია, მიწის ყადრი იცის, ჯან-ლონით სავსეა, მანქანაზეც მუშაობს, სახლ-კარიც აქვს და ჩემს გოგოს მეტა რაღა ეშმაკი უნდაო, თქვა სასიამორომაც და იმ დღესვე არა, მაგრამ მეორე დღის სამხრობის ქაშს თავისი პურ-მარილით მიაკითხა სახლში, კერი დაულოცა, ბედი დაულოცა, სტუმარ-მოყვარე დაულოცა, ამვლელო, ჩამვლელო, წასულ მძახლებს შენდობა შეუთვალა, მერე სიძეს სთხოვა, სახლში მიმიყვანე შენი მანქანითო და ყველაფერი ამით მოასრულა...

დრო გავიდა, ბიჭი დაიბადა — კიდეც ერთი აღმართის ამვლელო... მანქანა თიფთიფით გაჩერდა. სიმონა მანქანის კაბინიდან ჩამოხტა და კარი ბრაზიანად მიაჯახუნა. მერე კიშკარიც მიაჯახუნა, ეზო გრძელი ნაბიჯით გაიარა, კიბეზე ორ-ორ საფეხურს აალაჯა, უცბად რაღაც მოიფიქრა, შუა კიბიდან დაბრუნდა, მარანში შევიდა. თოხს წამოავლო ხელი, ქვევრს თავი მოხადა; ხრიკი დააყურყულა, ამოიღო და ტუჩთან მიიტანა. ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო, ამის თქმისა არ იყოს, ხრიკის ტუჩთან მიტანამ მალა აახედა, მალა აჩუღვამ კი ხმა მოიტანა — აკვანი ირწეოდა, საგოგები იატაკზე ჭრილობდნენ და პარანში სადღეგრძელოსავით ისმოდა სიცოცხლის საგალობელი. უსმინა და უსმინა, ყურებს არ დაუჯერა, აკვანი მღეროდა... „თუ აგრეა, შენ გაგიმარჯოს, შვილო, ქვეყანაზე სიცოცხლეს გაუძარჯოს, მშვიდობას გაუძარჯოს! შენსკენ მოშვერილს ყველა თოფსა თუ ზარბაზანს მიწით პირი ამოტენოდეს“. — თქვა სიმონიკამ და ხრიკი ხახაში ჩაიპირქვევა. მერე დოქი შეავსო, ქვევრს თავი მოუგლისა აყალოთი, მარნიდან გავიდა და მძიმე ნაბიჯით კიბეს აუყვა, კარი შეაღო და ოთახი მოათვალიერა. ოთახის კუთხეში აკვანი ისევ მღეროდა სიცოცხლის საგალობელს...

სიმონიკამ დოქი მაგიდაზე დადგა,

დერგიდან ყველი ამოიღო, სამზადიდან პური, მწვანილი და ქათმის ხორცი გამოიტანა, მაგიდას მიუჯდა, ღვინო დაასხა და თქვა: შენ გაგიმარჯოს, შვილო!

ბიჭს ჩაეძინა ღიანა აღდა, მაგიდასთან მივიდა, ქმარი აათვალიერ-ჩაათვალიერა. რატომღაც არ მოეწონა მისი ასეთი ჭკევეა და შიშნარევად ჰკითხა:

— ხომ მშვიდობაა, სიმონა, რამე ცუდი ხომ არ მომხდარა?!

— მოხდა, აბა, არ მოხდა?! — ხმამაღლა თქვა სიმონიკამ.

— მოკვდა ვინმე?!

— ძაღლი!

— მერედა, შე კაცო, მაგაზე იბღვირები? ძაღლი კი არა, კაცი კვდება, შე კაცო, მარა თან კი არავინ ჩაყოლია ვინმეს!

— ზოგი ძაღლი კაცს სჯობია, რეა, ჩვენი ძაღლი დომენტის შვილებს არ სჯობდა? გაზარდა მაგ ყიამყრალმა შვილები და ქალაქში გაექცნენ, ჩვენი ძაღლი სოფელში შინა იყო, ყეფდა, ყეფდა და სოფელიც ეჭ-ჭლობდა. მე, ბატონო, პენსია მაქვსო, გაიძახის და ხელს არაფერზე იდრეკს და აგერ მისმა ძაღლმა ჩემი ძაღლი დაახჩირო, არა, კიდეც არ მჯერა, ალბათ, დაახჩირობინა, აქ ხომ იცი, როგორი წესია, თუ ძაღლები წაახსუბეს, გათავდა მერე, რომელიც დაახჩირობს, დაახჩირობს. აგრეა, არ შველიან. ახლა დგას დომენტი შარაზე, თავის ძაღლს ეფერება და მე დამცინის, მთელ სოფელს დასცინის. რა მჭირს მაგის დასაციინი, ორი არშინი არ გადამწვდება ბეჭებზე. ოხ, რა ძაღლი დამიხჩირო, არა, თავისას მიეხმარა, თორემ იმის თავი სად ჰქონდა მის ძუნკალს, რომ ჩემი დაეხჩირო?! დგას და გაიძახის, პირველი ჩემა ძაღლიაო სოფელში, ყველას ერევაო, აბა, ბიჭები ხართ და მოიყვანეთ თქვენი წუტლაკებიო!..

— კაცი ვერ უნდა მოგერიოს, თო-

ვაჟა ჩორღელი
მოთხრობები

რემ ძალღი ხან იმისი მოგერევა და ხან შენი. მაგაზე სწუხარ?...
— რას ამბობ, ქალო, ხომ არ გავა-
ქდი! არც კაცი უნდა მოგერიოს და
არც ძაღლი! შენ ხომ არ გგონია, მდი-
ნარე მარტო დაღმა მიდის, აა, შეხედე
მაგ აკვანს, აღმა მიმავალი მდინარის
სათავეა, რომ გაიზრდება, რას იტყვის,
როცა დომენტის შვილიშვილები დასც-
ინებენ, ჩვენმა ძაღლმა ერთხელ თქვე-
ნი ძაღლი დაახრჩოო... კაცი ვერაფრით
ვერ უნდა მოგერიოს — ვერც — ხა-
რით, ვერც — კატიით და ვერც — ძაღ-
ლით! — თქვა სიმონიკამ ხმამაღლა და
კიდევ გადაჰკრა წითელი ღვინო.

აკვანი გაიძმა და ცოლ-ქმარმაც ერ-
თად მიიხედა აკვნისკენ. ბიჭს ხელი
ამოედო, თავზე წაფარებული თეთრი
თვალსაფარი მოეძრო, შავი თვალები
დაეჭყიტა და იღიმებოდა.

— აა, მაგას სჭირდება ყველაფერი!..
— დაწარლა, შე კაცო, სადმე იშო-
ვი ლეკვს, გაზრდი და...
— ლეკვსო?! სანამ მე ლეკვს ვიშო-
ვი, სანამ ის გაიზრდება, დაძაღლდე-
ბა, მანამ ეგება მოკვდეს დომენტი და
მერე ვის ვაჩხუბო? — თვალები დაჰ-
ჩა სიმონიკამ.

— აბა, შე კაცო, არ ყოფილა საშვე-
ლა და...

— მე ვიცი საშველი რაც არის და
სადაც არის, აა, ნახე ეს ცნობა! — სი-
მონიკამ გულის ჯიბიდან ოთხად გაკე-
ცილი ქაღალდი ამოიღო და ცოლს გა-
უწყო.

ლიანამ გაშალა ქაღალდი და ხმამაღ-
ლა წაიკითხა:

„ცნობა ეძლევა სიმონა კირვალიძეს
მასზედ, რომ ძროხა, სახელად წიფარა,
წითელი ფერის, ფერდებზე ორი მოზ-
რდილი თეთრი ხალით, ოთხი წლის,
ერთნაყოფი, წონა დაახლოებით სა-
მასი კილოგრამი, ეკუთვნის მას და უფ-
ლება ეძლევა, სადაც უნდა იქ წაიყვა-
ნოს, გაყიდოს ან გაცვალოს. სასოფლო
საბჭოს აღმასკომის თავ-რე...“

— კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს? —
ჰკითხა ლიანამ.

— ჯერ მეორე ცნობა წაიკითხე და
მერე გეტყვი. — ახლა მეორე ცნობა
მიაწოდა სიმონიკამ ცოლს.

„ძროხა არის ჯანმრთელი, არავითარი
ჭირი არ შეჰყარია, საღაა თავიდან ბო-
ლომდე... სასოფლო საბჭოს ვეტფერმა-
ლი...“

— არ მესმის, ეს ცნობები რას ნიშ-
ნავს. — მხრები აიწია ლიანამ.

— რას ნიშნავს?! ავდგები ხვალ დი-
ლათ, დავსვამ ძროხას მანქანაზე, ავი-
ყვან მამისონის უღელტეხილზე, იქ მე-
ცხვარეები არიან, ცხვარს აზაფხულე-
ბენ, ძაღლებიც ბევრ აყავთ, გავკვლი
ძროხას ძაღლზე და ჩამოვიყვან აქეთ-
ესაა და ეს! — დაუსვა წერტილი სი-
მონამ თავის ჩანაფიქრს, მერე კიდევ
გადაჰკრა ღვინო და ცოლს წელზე მო-
ხვია ხელი.

— გასწიე ხელი, ბიჭი გვიყურებს,
რას იტყვის? — გაიწია გვერდზე ლი-
ანამ.

სიმონიკამ ბიჭს გადახედა, აღმა ასა-
სვლელი მდინარე სულაც არ უსმენდა
დედ-მამას, აკვანზე ჩამოკიდებულ
უღარუნებს აწვალებდა.

— ძაღლზე ძროხას როგორ ცვლი,
რას იტყვის სოფელი, ყბად ავიღებს
ქვეყანა.

— რას ამბობ, ქალო, თუ გამიცვალეს
და ფულის დამატება არ დამჭირდა,
მადლობა უნდა ვუთხრა ღმერთს! შენ
არ იცი, რად უღირს მეცხვარეს ძაღ-
ლი...

— მაინც არ მესმის, ბოლოს და ბო-
ლოს რა გინდა...

— ცხოვრება ჟინია, ვერ უნდა მოგე-
რიოს ვერაფერი, ვერც — კატიით, ვერც
— ძაღლით...

— კაი, შე კაცო, კაი, უცნაური ვინმე
ხარ, მაგ ძროხას თუ გავიმეტებდით,
გაგვეყიდა მაინც, რაამეს შევიძენდით
ოჯახში და ისიც კარგი იყო.

— არ დამიწყო ახლა ეგეთები!

— კი, მარა, საბჭოს თავმჯდომარე
რა გითხრა, ცნობაზე რომ მიაღდექ?

— სიცილით მოკვდა კინაღამ...

— ეე, ზომ გითხარი, ეგრე დაგვინებს

ყველა...

— მე ვიცი ჩემი საქმის...

●
დილაბნელზე ადგა სიმონიკა, მანქანას თვალი შეავლო, დაქა, ბექობზე მიაყენა, ძარა გახსნა და ბოსლისკენ გაიხედა, სადაც საქონელი ება რკინის რგოლებიანი საბმურებით. მერე ნაბიჯი გაშალა, ბოსელთან მივიდა. კარი შეაღო, პირდაპირ წითვარასთან მივიდა, მოეფერა, ძროხამაც შეზმუვლა, მაგრამ ამისთვის სიმონიკას ყურადღება არ მიუქცევია, მოხსნა საბმური, რქებზე თოკი ჩააბა და ბოსლიდან გაიყენა...

●
დღამართზე ოღრო-ჩოღრო გზა მანქანას ასკინკილით მიაცილებდა. უჯდა საქვს სიმონიკა და ათას რამეს ფაქრობდა.

„ესე იგი, ცხოვრება აღმართია, ცხოვრება ბრძოლაა, დავაა, ცხოვრება ყველაფერია, ცხოვრებაა რაცაა. არავინ უნდა დაგვაზნოს“. მერე უტბად გაახსენდა: „კაცი რითა სჯობს ჯაბანიო“. „სწორია, ჯაბანი კაცი ქსლის მბეჭველი კი არა, მეტია კიდევ. მართალია, მკლავით არ უჯობნია დომენტის, მაგრამ ძალღით ზომ მაჯობა, რავე, ძაღლი არ არის ოჯახის წევრი თუ? სიმონიკა, არავინ გაჯობოს, ტოლი არ უნდა გყავდეს, სანამ პირში სული გიდგას აბა, რის ახალგაზრდა ვარ, რას ბიჭი ვარ, თუ ვილაც მომეკრია, დამჯაბნა. თუ ხარ, ნაღდი უნდა იყო, კაცი უნდა გერქვას და არა ნაცარქექია, ქსლის მბეჭველი, მშიშარა, უჯილაგო, უნიათო, მხდალი“..

ავტონისპექციის საგზაო ზედამხედველის კვერთხმა და სასტვენმა შეაწყვეტინა ფიქრი სიმონიკას. სიმონიკამ მანქანა გზის ნაპირზე მიაყენა, მარდად ჩამოხტა კაბინიდან და ავტონისპექტორს წინ აღემართა.

— თქვენი საბუთები... — ჩვეული

ქესტითა და სიტყვით თქვა საგზაო ზედამხედველმა.

სიმონიკამ საბუთები ამოაძვრინა ჯიბიდან და, რადგან უსაშველოდ ტანმო-რჩილი იყო ავტონისპექტორი, წელში ღობდა მოკეცვა დასჭირდა, რომ საბუთები მიეწოდებინა.

ავტონისპექტორმა ჯერ სიმონიკა ათვალა — ვალიერ-ჩათვალა, საბუთები გასინჯა, მერე კი ძარაში დაბმულ ძროხას უყურა.

— სად მიგყავს, ბიჭო, ეს პირუტყვი?

— მამისონის უღელტეხილზე, ცხვარში, მეცხვარეებთან.

— ბიჭო, ძროხა ცხვარში მიგყავს? რომელი ყოჩი ეგ არის?

— ძაღლში უნდა გავუცვალო მეცხვარეებს.

— შენია? — დაეჭვდა ავტონისპექტორი.

— კი ბატონო, აგერ ცნობაც.

— ღმერთმა ხელი მოგმართოს, ჩემო ბიძია, — თქვა ავტონისპექტორმა და მხრები აიწია, მერე თავი მოიქექა შოფრის სრულჭკუობაზე დაეჭვებულმა.

●
თეთრი ნისლივით გადადებოდა მამისონის საზაფხულო იალაღებს ცხვრის ფარები. გაღმა-გამოდმეთი მზეში ჩაძირულაყო. სიმონიკას მანქანა ღმუილ-ღმუილით მისდევდა ხან აღმართს, ხან — განს, ხან — ციცაბოს...

მეცხვარეები უტბო მანქანას შემოუჯროვნდნენ.

— კაი გამარჯობა თქვენი! — კაბინიდან მიესალმა მეცხვარეებს სიმონიკა.

— იცოცხლე!

— გაგიმარჯოს!

— სტუმარს გაუმარჯოს! — იქით-აქედან მიესალმნენ მეცხვარეება შოფერს.

— საით გაგიწევია? — ჰკითხა ერთმა.

ვაჟა ჩორღული
მოთხრობები

— თქვენთან მოვედი!

— კარგ დროს მოსულხარ, ეს-ესაა სადილად უნდა დავსხდეთ, ცოტა ნა-ადრევია, მაგრამ მთაში მალე შეივდება კაცს. მაღალმა ჰაერმა ასე იცის. აბა, ჩამოდი, პური გავტეხოთ.

სიმონიკამ ჯერ ძაღლებს გადახედა ეკვის თვალთ, მერე შიში არ შემატყონო, სწრაფად ჩამოხტა კაბინიდან, მანქანას წინიდან შემოუარა, კარი გააღო, ხორავით სავსე ზურგჩანთა ჩამოიღო, ძირს დადო, მერე ფუთიან ტიკს დასწვდა, კაბინიდან გამოათრია, ილლიაში ამოიჩარა და კარვისკენ გაჰყვა მეცხვარეებს.

— დიდებული ღვინოა, რას ეძახიან, ბიძიკო, ამას? — ჰკითხა მეცხვარეებში ყველაზე უხუცესმა, როცა ღვინოს ჭაშნიკი გაუსინჯა.

— ძველშავია, ბაბუა, ძველშავა, პაპაჩემმა მამაჩემს დუტოვა, მამაჩემმა კი — მე.

— მამა არ გყავს? — ჰკითხა მეორემ.

— არც დედა...

— ობოლი ყოფილხარ, ხსოვნა იყოს შენი მშობლების. აბა, ბიჭებო, — შეუძახა მწყემსმა ბიჭებს. — შევსვათ ამ კაი ბიჭის მშობლების შესანდობარა. იმ გრძელ საიქიოში დიდება ნუ მოაქვდათ იმ კაი ხალხს..

— აბა, რა გამოვიდა, ძროხას ისევ უკან მატანთ, სირცხვილა არ არის? — თქვა სიმონიკამ, როცა მანქანაში ჯდებოდა.

— შენ ისეთი ჯიგარი გქონია მაგ მეგრულში, გინდაც ყველა ძაღლი წაიყვანო, არ დამენანება, შენ აგაშენა ღმერთმა, რომ კიდეც ვნახე ჯიგრიანი კაცი, ეგრე უნდა, არავინ არ უნდა გადაგვიაროს, ფეხი არავინ არ უნდა დაგადგას. — უთხრა უხუცესმა მწყემსმა სიმონიკას.

— ფულს მაინც დაგიტოვებთ...

— მაგი არ თქვა მეორედ. — ეწყინა მწყემსს, — აა, იმ ძაღლს ხედავთ? — მიახედა შოფერი, — მაგისამ დღეში ათ ლევს მაინც დაყრის, ზედაებს შევიწახავთ, სხვას კი... ეგრეა წესი... მერე კიდეც დაყრის, ჯიშინია, გაისად ერთ ცხვარზე შეიძლება ორი ძაღლაც კი გვყავდეს დარაჯად... ისე, იმ დომენტის უთხარი, ბიძინამ შემოგიტოვალა, შენი ძაღლი თუ ვეფხვი არ არის, ამ ძაღლს ოთხი მგელი ჰყავს დამხრჩვალთქო...

მანქანა დაღმა მისდევდა გზას, რიონის ხეობა, გაღმა-გამოდმეთი წიწვოვანთა მოდგმას დაეპყრო. იდგარაღაც უჩვეულო წიწვის სუნი და კევის გემო.

„არა, ამ ძროხას სახლში ვერ მივიყვან. ლიანამ მაინც კი მითხრა, გაგვეყიდაო. გავყიდი კიდეც. რაიონში ვინ მეს როგორ არ ენდომება. პატარა საჩუქარს ცოლს ვუყიდი, ბიჭს ვუყიდი, პატარა ფულიც დამრჩება, ოჯახს მოვახმარ, მანქანას მოვახმარ. სოფელში იმას მაინც იტყვიან, ინტერესის გულისათვის, ქინის გულისათვის ძროხა ძაღლზე გაცვალო. მერე ავალ სოფელში, შარაზე გავიყვან ამ ძაღლს და დომენტის ძაღლს ყოფას ვუტირებ. ეგრე ვიცი მე. აბა, როგორ ეგონა დომენტის, მისი ბიჭები რომ ქალაქში ყრიან და არაფრის მაქნისინი რომ არ არიან, ეგრე ვეგონე მე? ვაი შენს ძაღლს, დომენტი ბატონო! მიგიხრჩობს და მიყარე მერე კაკალი“.

მანქანა რაიონს უახლოვდებოდა. ისე გახარებული იყო, რომ მთელი იმოდენა მანძილი გზას კი არა, კაბინაში ჩაცუკტულ ძაღლს უყურებდა...

„აბა, შენ იცი, სოფელში, რომ მივალთ, არ შემარცხვინო, თორემ მომეკრა თავი და ის არის. რას იტყვის ხალხი, ძროხა ძაღლზე გაცვალა და მაინც არ დაადგა საშველიო. შენ, გეტყობა, ბევრი რამე იცი, მარა, ჩემი სოფელი არ იცი, დომენტის არ იცნობ, შამშეს, თედაოზს, ნესტორს და ბევრს

სხვანა, — ელაპარაკებოდა ძალღს სი-
მონიკა.

სამზრობა მთებს იქით იძირებოდა.
სიმონიკას მანქანა ახლა სახლისკენ მი-
მავალ აღმართს მისდევდა. ძროხა აღ-
არ იყო ძარაზე, სამაგიეროდ, საჩუქრე-
ბით იყო სავსე კაბინა.

სიმონიკამ ჭიშკართან მიაყენა მანქა-
ნა. ლიანა ეზოში იდგა ბავშვით ხელში
და საკენკს უყრიდა კრუნ-წიწილას.

„ამაზე მეტი უკულობა რაღას ჰქვია.
ძროხა გაცვალა ძაღლზე. მთელი დღე
გაცდა და გროშის საქმე ვერ გააკეთა“.
— გაიფიქრა ლიანამ ქმრას დანახვანზე.

— მოდი, ქალო, მოდი, დასვი ბავშვი
და მომეხმარე. — გასძახა სიმონიკამ
ცოლს.

ათასი რამე ეყიდა სიმონიკას ოჯახი-
სათვის. დახვია ხელა ყველაფერს, ეზ-
ოში შეიტანა და ძელურ სკამზე და-
აწყო, მერე ძაღლი ჩამოსვა და თუთის
ხეზე მიაბა.

— ხომ კარგი ბიჭი ვარ, ნახე, რამდენ-
ი რამე მოგიტანე, ძაღლიც მოვიყვან-
ე, ყველაფერა ისე გავაკეთე, როგორც
შენ გავგზნებდებ, ეგრე ვიცი მე, აბა,
როგორ ეგონა დომენტის, შევარჩენდი?

საღამო ხანს მიღეთ ხალხს შარაზე
თავი მოეყარა.

— გაშველება არ იყოს, დომენტი
ბიძია, თვარა მეწყინება, დახრჩობამდე
იჩხუბონ, — გააფრთხილა დომენტი
სიმონიკამ.

— რა ღმერთი გიწყრება, ბიჭო, და-
ხრჩობამდე რა, ცოდვა არ არის ას ერ-
თი ან მეორე? ესენიც ხომ სულიერნი
არიან, რავე, შე კაცო, ღმერთი არა
გყამს?! — დაიწია დომენტმა უკან, რო-
ცა ვეფხერთელა ძაღლი შეათვალიერა.

— რავე, ჩემი ძაღლი, შენს წუთკლას
რომ დახრჩობინე, სულიერი არ იყო?
მშვენიერად კარგად სუნთქავდა, არც
ერთი ფილტი არ დაღატობდა, ახლა

ენახოთ, აგერ — შენ, აგერ — მე, აგერ —
აგერ — ძაღლები.

— კი, მარა, ბიძიკო, — წამოიწყო
შამშემ, — რა აზრზე იდექი მაშინ, რო-
ცა ძროხას ამ ქოთაკზე ცვლიდი, ვერა-
ვის დაესესხე ჭკუას? გეტქვ, შე ა-
ცო, ჩემთვის და ეგრე სხვა კზა ნოგვე-
ძებნა, ვაი, შენ რა ვითხრა!..

— ჩემს ძროხას მინდა ძაღლზე გავ-
ცვლი და მინდა — კატაზე, ჩემია, ჩემი
მოვლილ-გაზრდილი და მე უკეთ არ
ვიცი, რას ვაკეთებ?

— კი, ბიძია, შენსას. რაევარც გინდა,
ისე მოიხმარ, მარა, ჭკუას მოხმარა
უნდა, ჭკუით უნდა გამოყენება, თვა-
რა, რა ჩემი საქმეა, შენი საქმე, ალ-
ბათ, შენ უკეთ იცი, ტანი არ გაკლია
და სიმაღლე, — ნაბიჯის უკან გადადგმა
მოუხდა შამშემს.

დომენტმა ძაღლს დაუძახა.

— ეგრე არა, ნაძლევი დადეთ, —
თქვა ისევ შამშემ, — აგერ, ძმაო, ნახე-
ვარი სოფელი მაინც ვართ, კაცზე ორი
ბოთლი ღვინო, საკლავი კიდევ ერთი
ხბო, აბა, ისე რა ჭკუა აქვს, სოფელს
ხომ უნდა დაამახსოვრდეს. ძაღლზე
გაცვლილმა ძროხამ ასე უბეგოდ უნ-
და ჩაიაროს? ეგ რა ბიჭობაა?

დომენტი შეუყოყმანდა, მაგრამ სოფ-
ლის ყბაში ჩავარდნას, ხბო კი არა,
ძროხა რომ დაეკლა, ის ერჩია. ნაძლე-
ვი ვარო, წამოიძახა და სიმონიკას ხე-
ლი ჩამოართვა.

ახლა უფრო მაღალი ხმით დაუძახა
დომენტმა ძაღლს. ძაღლიც იმ წამსვე
გადმოველო ღობეს და პატრონისაკენ
გაიქცა. გზადაგზა იქით მიტრიალდა,
აქეთ მოტრიალდა, ანწლს უყნოსა, მე-
რე გემოზე მიაშარდა და პატრონის
გვერდით აღიმართა.

სიმონიკამ მოფარებულში მიბმული
ძაღლი აღშევა. ძაღლი ძაღლა მუთასლო-
ვდა. შამშემ ჩვეული ოსტატობით შე-
მოირტყა ბარძაყზე მარჯვენა ხელი და
ძაღლებიც გადაიხენ...

ვაჟა ჩოგღელი
მოთხრობები

ვინ ხბოს ატყავებდა, ვინ მაყურებელს თვლიდა და დომენტის სახლადან ღვინოსა და პურ-მარილს ეზიდებოდა, ვერ გაიგებდით.

— კი, მარა, შე რჯულძაღლო, რამ გაგაცვლევინა ძროხა ძაღლში. რამ მოგაფიქრა, ერთი იმისი ეშმაკი მქნა და მერე მომკლა. — ცხელ ხორცსა და ცივ ღვინოს ერთად მიირთმევდა შამშე და თან სიცილით იგულდებოდა.

— ეგრე უნდა, ბიძია, ეგრე, — წაეშველა სიმონიკას ზოსიმე, — აბა, როგორ. კაცმა კაცს რითი აჯობაო და ძაღლითაო, ა, შეიქმნა ახალა ანდაზა, თქვენ აგაშენოთ ღმერთმა, რა კარგი ხალხი ხართ. — თქვა ზოსიმემ და ღვინო გადაუძახა.

სიმონიკას ახლად მოყვანილი ძაღლი ისე შეექცეოდა ნახევრად გაუფხრიწავ ხბოს ძვლებს, თითქოს არც კი უჩხუბია და ძაღლას ცოდვაში ფეხი არ ჩაუდგამს...

სუფრა აიშალა. ჯგუფ-ჯგუფად დანაწილდნენ. ზოგნი ქვედა უბნიდან იყვნენ, ზოგნი — ზედა უბნიდან, ზოგი

სიმონიკა ძაღლს ძიუხლოვდა. ჯიბიდან საბმური ამოიღო, საგულდაგულოდ შეაბა ყელზე და მერე დომენტის დაუძახა.

დომენტი მიუახლოვდა.

— დომენტი ბიძია, მოჰყიდე საბმურს ხელი და წაიყვანე შინ ეს ძაღლი, ალალი იყოს შენთვის, ისეც ზარალში ხარ, ძაღლი დაგეხრჩო, ხბო, გინდოდა არ გინდოდა, გამოიყვანეს შენი ბოსლიდან და დაგიკლეს, ღვინო დაგეხარჯა, პური, მარილი. წაიყვანე, შენთვის მიჩუქნია! — უთხრა სიმონიკამ დომენტის, საბმური გადასცა, მიტრიალდა და სახლისკენ გაუყუდა გზა.

— ძროხა მაინც გეჩუქებია, სიმონიკა, ძროხა. — მიაძახა შამშემ.


— ჩემი საქმის მე ვიცი, შამშე ბიძია! — გასძახა სიმონიკამ ისე, რომ თვალიც არ მიუბრუნებია უკან.

ქვეითში კარგა გვარიანი ღამე გასულიყო...

სიმონიკას ოჯახში აღმა მიმავალი მდინარის აკვანი ირწყოდა...

ქვემოთ, სოფლის ქვედა უბანზე, სიმღერა გუგუნებდა:

სიმონიკა კირვლიძე
კვაშიეთში დამთვრალაო...



მომე იბნ ჟურა

(1055—1139)

ჟამთა საბალოგელი

I. დ ი ლ ა

იმღერე, ჩანგო, გარდაეგო მწუხრის ნიშანი,
ქარი მიმქრალია, ღვარი — მიღვარული...
ცამან გარდმოსხა მედროშენი სინათლისანი,
ალამი მათი ჩვენსა ზედა:
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი!..

კვლავ გაბრწყინდება საქორწინო ქადა-ხმიადი,
ჰანგი სტვირისა აამღერებს ღელის შროშანებს,
ფრთებშეკეცილი ყორანივით წავა წყვდიადი
და განთიადი ქედანივით შეიფრთოსანებს.

გაღმა გარდავა მწუხრის მისანი, სადმე ცის პირას ობლად მიჯდება,
მზე მობრუნდება ნაყირმიწალი
და ფილებში ჩანარგიზდება.

მალე ნიწყდება ბინდის თარემი,
დღე გადმოდგება ოქროს ზვილდებით,
ს ე ბ ი ა!

და სიყვარულის ოკეანეში
ჩავეიზვირთებით,
ჩავეიზვირთებით,
ს ე ბ ი ა!..

...ჰა, სისარულიც გარდამოიღეს, ცამან მოგვაგო მადლი ულვეი,
შეყრის ჟამია... მწდო, მოიქეც,

კვლავ მოგვაწოდე სამწდურები!

ცათა მნათობო, მიწყვი ნათობდე, კვლავ ნანათბდეს ოქროს ჭეველები, —
ცას ავუყვები საგუმბათომდე,

მზის სამკვიდროებს შევემტკერები.

როდის-სად მოხვალ, — კვითხავ უჩუმრად — მუჟთა ხარებას ვისთვის მოიტან!

და გამენდობა ჩემი მიჯნური

ცის იდუმალი სამკვადროიდან.

მზე შემერთება, შემეშველება,

შუქს გარდმოაფენს დამზრალ ახოებს

და აამზეებს მისი მშენება ჩენს ამღერებულ საზამბახოებს...

II. უ ლ დ ე

მიუყვება მწვერვალს მწყემსი, —

ძირი ელტვის თხემს...

ოქროცურვილ პალატებში

სიყვარული თვლემს,

— სიყვარული თვლემს...

— სიყვარული თვლემს...

თვლემს სიყვარული... მთებზე სხივი თრთის, სხივში ბრწყინავენ ოქროს სკივრები,
მე კი შენ გიმღერ მეჩანგესავით,

ისევ გესაუ და

გესატკივრები.

მაგრამ ამაოდ: განიგანობს მოყურადღე,

ყურად არ იღებს მღალადებლის უხმო გალობას...

რატომ განმელტვი, ჩემო მიჯნურო,

მარქვი — რად არჩევ კიდევანობას?

მომხედე, გესაუ, ძველებურად მომენცინარე,

უკვე ჟამია —

ვანი სულისა შენი უმრეტა ცეცხლით. შებურო...

კვალად განმიხვენი კარიბჭენი თვალთა წინარე,

რომ წამიერად შემოგხედო, ზეარსებული!

მო, მოწყალო, ყოვლადქებულო, კვლავ გარდმოაგე შენი მწეობა,
კვლავ განმარიდე მწუხრის ტყვეობა,

მომეც ძალი და

კეთილმძლეობა!

კვლავ განმიბანე უცხო სინათლით ჩემი კოშკი თუ ჩემი ახორი,
გესმის? — რას გიმღერს გუნდი მნათობთა,

რას გიგალობენ ზოდიაქონი:

სებიაო,

სებიაო,

გალმა ბნელი გზებიაო!..

მოგირთვია სხვათა მდელთ,

მოგინარგისებიაო,

მოგინარგისებიაო,

ს ე ბ ი ა!

...ისევ ელტვის მწვერვალს მწყემსი, —

ძირი უხმობს თხემს...

სიყვარულის დარბაზებში

ნანდაური თვლემს,

ნანდაური თვლემს...

ნანდაური თვლემს...

...რატომ გამირბი, ჩემო მიჯნურო, მარქვი, — რად არჩევ კიდევანობას?..

ცის სამკვიდროებს განეთვისები,
ხან გადმოდგები, კათხას ამივსებ სიხარულის და ცრემლის ნაზავით
და ძილბურანში ზეგარდმოულ ძალთა წყალობას
მოალივლივებ ნათლიერის გალობასავით...

...საით განმელტვი, ბედის ვარსკვლავო, მარქვი, — სად არჩევ კიდევანობას?..

ბრწყინავს, კვლავ ბრწყინავს უდაბნოში კარვის ნაკეცი,
შენ კი რად ამბობ — გასრულდაო ჩვენი გართობა
და აღმოდებულ ზმანებათა სიხორშაკეში
ჩაინავლაო სიყვარულის იავარდობა:

„— გაფიცებ, სულო, შენდა დამშოი ჩემდა საფიცრად, —
არ ამიმღერო ჭანანის თეთრი ვარდები,
აღარ დამიწნათ გვირგვინები,
აღარ დამიწნათ,

არ განმიღვიძოთ სიყვარული ამდილანდელი!...“

...ასე რად მელტვი, ჩემო მიჯნურო, მარქვი, — რად არჩევ კიდევანობას!..

ისევ ცრემლით ვხმობ, ჩოქზე ვეცემი, ჯანზე ჯამსა ვცლი, ღვინოს — ღვინაზე,
გა, გარდმოიღე აზარფეუბი,

მზის სასმურები გადმომილოცე.

თორემ ეტლი რბის, იწვივს შუადღე, წამი წამს მისდევს, ჯამიც იცლებს,
სძალი ისევ თვლემს, ისევ ძილქუშობს,

კვლავ ეძნელება გამოფხიზლება...

მოთქმით ვეტყვი:

— სებაიო,

ზღვათა გაღმა ზღვებიაო,

მოგიქარგავს სევდის სახლი,

მოგიდარბაზებიაო,

მოგიდარბაზებიაო,

ს ე ბ ი ა!..

— სები, სებაი, — ვკითხავ თავიდან: თუ ივსებიან ჩვენი კათხები,
კვლავ შემოვძახებ ძლევის სიმღერას,

კვლავ სამიჯნუროდ შემოგადგები.

ღერო ლერწმისა უნდა გაეთალო, ჩემო დარო თუ ჩემო ავდარო,
რომ სიყვარულის საგალობლები

შენთვის შეგკრა და

შევათავთავო.

რომ გავაბრწყინო ჩემი ტაროსი შენი კვესით თუ შენი მკვესავით
და სიყვარულის საბაღნაროში

კვლავ შევიმღერო მებაღესავით.

მაღე გაუწყებს ჩემი გალობა, რომ შენმიერი ჰანგი შემესმა,
რომ სამუსიკოდ დამამწყალობა

ცის მუტრებათგან უპირველესმა.

მაშინ... სად წახვალ, ჩემო მიჯნურო, მარჯეი, — სად არიყ იდეგანობ სუ

ისევე აღმოვალს ნისლი დაბლობით,

ისევე იმდერენ ვაზის ლერწები,

ს ე ბ ი ა!...

კვლავ მწიფობისთვის ბაგეთაფლობით

მეაღერსები,

მეაღერსები,

ს ე ბ ი ა!...

თუმცა რას ხმოზენ ბნელი ტევრები, სული რად იგლოვს:

ჩრდილში ვწევარო,

ს ე ბ ი ა!...

კვლავ სვავრეილად დაიმტევნები,

ძუძუ-მტევანო,

ძუძუ-მტევანო,

ს ე ბ ი ა!...

კვლავ სიყვარულის მწყემსი იქნები, მზეს უმღერებენ შენი თიკნები,

ს ე ბ ი ა!...

კვლავ გაზაფხულის ენამზეობით

მომელიქნები, მომელიქნები,

ს ე ბ ი ა!...

მაგრამ... თუ კარი სიკეთისა გარდამიკეტე,

უკეთურის წილ

მოაკვდინე შენი მოკეთე,

თუ სიბნელის ქვეშ განმიფინე ყოვლი სიკეთე

და მორჩილის განს უსულგულოდ გარდამოხედე,

თუ განთიადის სიწირფოება გამიშავდერე,

ძალნი ღამისა შემომარტყი უცხო კრებულად, —

მაშინ, მუტრიბო,

ხელმეორედ სული შთამბერე

და საკრავივით ამამდერე კვლავინდებურად!

კვლავ აღმიდგინე რწმენის ბურჯები, ამიხმიანე თიხის ჭურჭელი,

თუმცა... რად შეგთხოვ: ჯერეთ ცოცხალ ვარ,

ჯერ — სინათლეში დავიძურწები.

ჯერეთ არ ყივის ჟამი უცები,

ჯერეთ არ ხმოზენ ბნელი ქუჩები,

ს ე ბ ი ა!

არც საღამოს სახემქისობით

მეპირქუშები,

მეპირქუშები,

ს ე ბ ი ა!...

ჯერეთ აღმოდის ნისლი დაბლობით, ჯერეთ მღერიან ვაზის ლერწები,

ს ე ბ ი ა!...

ჯერ მწიფობისთვის ბაგეთაფლობით

მეაღერსები,

მეაღერსები,

ს ე ბ ი ა!...

მაშ, აღმიტაცე, აღმა ვიაროთ, ელვა მოვტაცოთ მთებს და ფრიალოთ,

ს ე ბ ი ა!..
და სიყვარულის საგალობლები
ავამზიანოთ... ავამზიანოთ,
ს ე ბ ი ა!..

III. ს ა ლ ა მ ო

აწ ფიქრითაა ჩაგმანული ცათა კარები,
თვალნი მთოვარისა — ცრემლით მინამული...
აჰა, გარდმოსხდნენ საღამოსი ალამდარები,
ალამი მათი ჩვენსა ზედა:
ს ი ნ ა ნ უ ლ ი!..

..ცაო, დამსეტყვე, ცაო, დამავსე, დისკო მთვარისა ჯამში ქანაობს,
მწუხრის ჟამი ხმობა ჟამთა სამანზე
და მწუხარებაც თანისთანაობს.

ცამან გარდმოსხა შებინდების ალამდარები,
ალამი მათი ჩვენსა ზედა —
ს ი ნ ა ნ უ ლ ი!..

ცრემლის წვიმა წვიმს, ქარობს ქარცივი, ქმნა სიკეთისა ვილას უფლიედ.
მზეს დავუცალეთ ოქროს ბარძიმი,
ცას —
ვარსკვლავები მიმოვუბნიეთ...

...ს ი ნ ა ნ უ ლ ი, გულო ჩემო, განშორების ს ი ნ ა ნ უ ლ ი!..

კვლავ შემოგარეს ბინდით მოიცავ, მტვრით აღივსება ჩვენი კათხები,
შენც... ხარებაო ზეგარდმოისავ,

კვლავ განტევივად გარე-ვაღებნი.

კვლავ მოგაწვდიან მწუხრის ბარძიმებს, შიგ ჩაიცლება შენი სახეება,
ტყეს შეაჟრუღლებს, შეაქარცივებს,
ცა —

მგლოვიარეს დაემსგავსება.

მეც გამისმობენ ზესთა დასები, — აღარც სტაფრა მწადს, აღარც ზეზები,
კვლავ ჯვალოებით შევიფლასები

და უდაბნოში გავიხვეწივები.

გავიხვეწივები, გავებდატები, აბა, რა ხელეყრი — ფუჭად ვზრუნავდე!
გარდამოხდება უცხო ნათელი

და ჩამიძიებს გულისგულამდე.

სუსხი მეწვევა სხივთა კედომისთვის, ქსელს მომიქსელავს, სასთველს მომისთვის,
და განტევივების გზაჯვარედინზე

კვლავ შემამზადებს უკუდგომისთვის.

აწლის ჩემს ფიქრებს, ააქარავენებს, ზე აღმიტაცებს ზესთა სავანე,
ყრუდ მივადგები ცათა ვალავენებს

და ჩავიმუხლებ მისვლისთანავე...

იეჰუდა კალევი

(1075—1141)

მზეო, სადა ხარ, ალაბრწყინე შენი კრებული!
განდექ, დამეო, პირდაბინდულო, ცას გაეცალე, ნისლის ნატყეთო,
თორემ სული გლოვს, შეჭირვებული:

რატომ დამგმეთ და
დამამდაბლეთო!...

...ისევ ცრემლი მზრდის, ცრემლი ნაპურებს, ისევ ქარი სძრავს მღვრიე ქვაბურებს
და მხურვალეა უდაბნოეთის
დაბებს მიხშობს და მიუდაბურებს...

...როგორ ვგალობდი, როგორ ვხარობდი შენი მინდვრით და შენი წყართით
და სიყვარულის საბადნარომდი
რა სასოებით მოვიჩქაროდი!..

მოვიჩქაროდი!..
მოვიჩქაროდი!..

მთებს ემეოდა კვამლი დაბლობთა...
მე ვუგალობდი სუფე-ქალწულებს, სულში ღვითდა შენი ღადარი...
ო, რა დრო იყო: ბავე თაფლობდა,
პირიც მზედ კრთოდა —
ნაშარბათალი...

როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი
შენი მინდვრით და
შენი წყართით
და სიყვარულის საბადნარომდი
რა სასოებით მოვიჩქაროდი!..

...ტყისპირ სვიდოდი... ხმოზდა ფრინველი, ქარვად დუთდა თაფლი მდელთა,
მზე ვერ მზეთბდა შენი მზირველი, მთვარეს — უკუნი
გარდაჰყენოდა.

...როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი
შენი მინდვრით და
შენი წყართით
და სიყვარულის საბადნარომდი
რა სასოებით
მოვიჩქაროდი!..

შენ კელავ გეწადა უხილავის ცეცხლით დაგვესე...
მე —
გაზაფხულის ნელსურნელებას კარს სურვილისას კრძალვით ვუღებდი
და სიყვარულის იალაღებზე
მზის ყვავილებით გათავთუხებდი...

როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი

შენი მინდვრით და

შენი წყაროთი

და სასოების საბაღნაროში რა სიხარულით მოვიჩქაროდი...

რა სიყვარულით მოვიჩქაროდი...

მოვიჩქაროდი...

მოვიჩქაროდი...

• • • • •

• • • • •

გახსოვს? — მღეროდა შენი ვარდეთი,

მთების გადაღმა ფშვენდა მინდორი

და საღამეულ სილაქვარდეთში კრთოდა ლალი და იაკინთონი.

გაღმა მზე ენთო, — შუქთა მკმეველი,

შორს,

ნისლოვანში, თვლემდა ტყე-ველი

და მიღმიეთის სამიჯნოსაკენ

ყრუდ მიმაქცევდა მიმაქცეველი.

ისევ შორით ჩნდი, შორად მელოდი შენი მინდვრით და შენი მღელვით
და მიწიერი საუფლოიდან

ცის დარბაზებში მიიმღეროდი...

რეკავდა ჟამი:

„— უნდა დახანდე!..“

შენ გაკრთებოდი იალალამდე,

ბოლოს შესდექ და საკურთხეველზე

აღუნთებელი ცეცხლი აღანთე.

გარდმოდოდა ცათა მირონი, ქვეშ უდრტვინველად თვლემდა ლანდეთი
და წრიალებდა ნასახლარებზე მზის მგლოვიარე შარავანდედი.

მზე ქანაობდა ციდან ბოშადი,

შენ, —

აღრეული, მზესთან დაობდი

და რინდაობდი...

ისევ დაობდი

და სინათლისკენ მიშვილდაობდი.

არ გაფიქრებდა ცრემლი სოფლისა, ქუდად ცა გინდა, ხამლად — ქვემოთი
და გალიაკში შენი მშობლისა

ყრუ ნაბიჯებით წარმიძღვებოდი.

მაღლა იშვებდა ცათა ბატონი, ძირს სიყვარულის ენთო ლადარი,
ცას ერღვეოდნენ საგუმბათონი

და გუგუნებდა ნაგუმბათარი...

შევდექ დირეზე, ფუძე დავლოცე... შენ აღმიმართე ზღურბლზე ძუძუნი,
დავლა მოეც და სანადავლოზე

კვლავ დამისართე ცეცხლის ზუზუნი.

„— გზა მიტივო!..“ — ჩქამი გამეცი, მზის დასავალთან აღჩნდა მინდორი
და საღამოს სიკამყამეში გაკრთა ლალი და იაკინთონი...

გაღმით ხმა მესმა:

„— აღსდევ ცათამდე!..“

მეც სამიჯნუროდ თავი გადავდე
და ბაგეებით გაშარბათუბდი

განთიადიდან განთიადამდე.

ციდან წოთლაგდა რქე და შაქარი, ვაშად გალხენდა ქვეყნის თამადა:
ღვინო გეამა, ნაბადაგარი,
თაფლიც გეტკბო და
გეანდამატა...

...როგორ გალობდი,
როგორ ხარობდი,
ჩემი მინდვრით და
ჩემი წყაროთი
და სიყვარულის საბაღნარომდი რა სიხარულით მოიჩქაროდი...

ხან აღიოდ: დისკო ბრუნავდა, მძლელ აღიძვროდა გუნდი მნათობთა,
ცად მალღდეობდა ტაძრის გუმბათი,
ცაც მიფრინავდა,
მიგუმბათობდა...

ისევ ყრუდ ფშვენდა შენი ვარდეთი, მთების გადაღმა
თვლემდა მინდორი,

კვლავ —

სალამეულ სილაჟვარდეთში
კრთოდა ლალი და
იაკინთონა...

ასე დაობდი, ასე ზვაობდი
ციდან ბაომდი,
მზიდან ბაომდი,
და რინდაობდი...

ისევ დაობდი
და სინათლისკენ მიშვილდაობდი...

დრო კი არ სთმოვდა ლტოლვას მეყსეულს... ცას ერღვეოდა კალთა ჩერთთა
და სიცხადისკენ უკუმეჭეველს კვლავ ასპიროზი
გადმომცქეროდა.

იხევ ყრუდ ვგრძნობდი თრთოლვას დროისას... რას ჩურჩულებდა ტოტი ღედვისა?
ტყეს გამოცვილდი კინამოისას
და ლელიანში გამომეღვიძა.

გამომეღვიძა: ბალი დავლანდე, ბაღში ბრუნავდა სვეტი ნათელთა
და ნარგისიდან
იასამნამღე

დღე ფუტკარივით დაფარფატებდა.

თავზე მზე მადგა გამომღმეითის, მთების გადაღმა დაშთა მინდორი,

აღარც წყალი ჩნდა,
აღარც მინდორი,

აღარც ლალი და იაკინთონი...



ალექსანდრე კალანდაძე

ახირების გვარაგად

„ცნობად თუ ბევრად ცნობილ ისტორიულ პირზე უოველ მკითხველს თავისი წარმოდგენა აქვს. ხშირად მკითხველისა და ავტორის შეხედულება ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მკითხველს აღზიანებს“... — ასე იწყებს ა. ბაქრაძე „ცისკრის“ მეხუთე ნომერში დაბეჭდილ წერილს, რომელიც ჩემს რომანს „ნეიშნის ფიცს“ შეეხება. გულახდილობა კიდეც უფრო მჟღავნდება, როცა კრიტიკოსი „ცნობილ ისტორიულ პირებზე“ თავის სიმშათიან-ანტიპათიას გვიჩვენებს: „ერეკლე... ჩამორჩენია დროს... ალღოს ვეღარ უღებს... საქართველოს... საქმე წინ რომ წავიდეს... აუცილებელია ერეკლეს გზიდან ჩამოცილება... გაფეთქებამ დაუპარგა ერეკლეს უტყუარი ინტუიცია და სწორი განსჯის უნარი (ხაზი ჩემია. ა. კ.) ერეკლე გახდა დაბრკოლება, ბოროტი წინსვლის გზაზე“.

ასეთი შეხედულებიდან ა. ბაქრაძე მეფე ერეკლეზე, რომელიც ჩემი რომანის მთავარი გმირია. ამჯერად მხედველობაში აქვს ერეკლეს მოღვაწეობის ბოლო ეტაპი — უცნაური, მაგრამ, როგორც ღვაინახავთ, უკეთესი აზრისა არც ადრინდელ ერეკლეზეა.

ყურადღებებს ითხოვს იმ პრინციპულ მოვლენათა გადაფასების საღადღობო კილო, რომელთაც ცოცხალი მნიშვნელობა ჰქონიათ, აქვთ და ექნებათ ჩვენი ეროვნული ფსიქიკის, ისტორიულ-პოლიტიკური საზრისის, გრძნობისა და აზრის სიჭანხლისათვის.

რაკი პატივცემულ ა. ბაქრაძეს ჩემი რომანი საუთარი იდეების გამოსაცდელად დასაბრუნებია, სრულებით არ აინტერესებს საერთო ჩანაფიქრი, სიუჟეტი და კომპოზიცია, უანრის სპეციფიკა და სტილი. ეძებს მხოლოდ მას, რაც ამ გ. პრაზვას მიესადაგება, ასეთი ჩვენს რო-

მანში ოცნად გვერდი აღმოჩენილა და კრიტიკოსიც ამ ოც გვერდს დასტრიალებს: თავს, თანაც ისე, თითქმის ამ ოც გვერდს დანარჩენ ხუთას გვერდთან საერთო არაფერი ჰქონდეს. აქაც, ლიტერატურულ-ისტორიული პრობლემები კი არ აინტერესებს, არამედ იმის მტკიცება, რომ ერეკლე ყველაფერში ტყუილია, ხოლო მისი მტრები ყველაფერში მართალი იყვნენ. ამ მიზნითაა ამოგლეჯილი ანტონის დიალოგები აბდულბეგთან, ალექსანდრე ამილახვართან, პაატასთან, ალექსანდრე ბაქარის ძესთან.

ა. ბაქრაძის სიმშათიან აბდულბეგისკენაა. „კონფლიქტი, — გვაუწყებს ის, — გამოჩატვდა მაშინდელი საქართველოს მესვეურთა სახელმწიფოებრივ შეგნებას“.

აბდულბეგი „საქართველოს მესვეურია!“ „სრულიად გულწრფელად სჯერა, რომ ერეკლემ, როგორც ყაჩაღმა, წაართვა მამული“. წარმოდგენილია, ა. ბაქრაძე თუნდაც ჩემი წიგნიდან არ იცოდეს, რომ აბდულბეგთან ერეკლეს ბრძოლა ჩვეულებრივი შიგაომი კი არ იყო, არამედ დამპყრობლებთან შერკინება ეროვნული არსებობის გადარჩენად. აბდულბეგი წაქეზებით მოქმედებდა, ემყარებოდა თბილისის ყოილობაში გარნიზონის უფროს დურუხან ყაზახელს, ადერბეიჯანის მმართველს ამირასლან ხანს, ავღანებს, დაქირავებულ ლეკებს. სასწორზე იღო დიდი საქმე. გარდა აბდულბეგის დედისეული ნათესავებისა, ქართლი ერთსულოვნად ერეკლეს ამოუღდა მხარში. და აი, კრიტიკოსი ტუქსავს ანტონის იმისათვის, რომ ერეკლეს ერთგულია და თათრებს არ მიეცნო, („ანტონს საკერპით სწამს ერეკლეს სიმართლე“).

ანტონი მოქმედებს ღრმა შეგნებით, რომ ერთგულსავე დაკავშირებულია საქართველოს ბედით. ამ ბრძოლაში ერთდრემ გადარეკა დაქორაებული, აღმოცხვრა ჩვენს დედაქალაქში საუკუნეობით შემორჩენილი დამპყრობელთა ბუნავი, რაც ეროვნულ ზეიმად იქცა.

ბრძოლის წინ, მშვიდობის მოსურნე ერეკლემ აბდულბეგთან ანტონ კათალიკოსი მიგზავნა. ა. ბაქრაძე შენიშნავს: „ძმების დილოგს... ავლია გულითადობა“.

წერილის მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ ამბები აქედან იწყება. რომანის მკითხველმა კი იცის, ვინ არიან ეს „ძმები“. ისინი თითქმის არც იცნობენ ერთმანეთს. ერთი ძმა სულით სოციალური მამადიანია, მათი დამპყრობა, მეორე — საქართველოს კათალიკოსი. ვითარება დაძაბულია. ანტონი აბდულბეგს ელაპარაკება კანონიერი შეუღის სახელით. განარისხებული აბდულბეგი წამოიძახებს: „ვიარ მამადიანს და არ მწამს ცხოვრება და წარწყმედა!“... ეს წამოძახილი კრიტიკოსს რატომღაც იმაზე მსჯელობის სურვილს აღუძრავს, რომ მამადიანობა „წინეობრივი რელიგიაა“. აბდულბეგის წამოძახილი კი პასუხია ანტონის მუქარაზე: „წარწყმდები ამოდენა ცოდვით!“. აბდულბეგი მამადიანობა იმედით გამოდის, მოწინააღმდეგენი ქართველები არიან. წუთიც, და მამადიანები და ქრისტიანები ერთმანეთს დაერევიან. ანტონისადმი მკვაზე პასუხში აბდულა გაომწვევად ხაზს უსვამს თავის მამადიანობას. კრიტიკოსს ერთგულად არ წამოსცდებო, რომ აბდულბეგი „უკანონო“ შეიძლება, ანტონის ნახევარძმა, ქართველები „თათარს“ ეძიან, მემკვიდრედ არ სცნობენ, სახელგატეხილია, ერთგულ უკვე ჩამოაგდეს ტახტიდან, გააძევეს. გაბოროტებულია. იცის, რომ ქართველები (ქრისტიანები) ტახტზე არ დაუშვებენ“. ა. ბაქრაძეს კი ისე გამოჟავს, თითქმის აბდულბეგი მხოლოდ ერეკლეს უპირისპირდებოდა და არა მთელ ქართლ-კახეთს, მთელი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

დილოგში ჩართულ რამდამს: „მშვიდად უთხრა აბდულბეგს, რომელიც ვეღური აღტკინებით გაჟყურებდა ხანძარს... — ა. ბაქრაძე რიტორიკით ამთავრებს: „აბდულბეგი „ვეღური აღტკინებით“ გაჟყურებს ხანძარს... რაკი ერეკლეს ებრძვის, ცხადია, სულიერი და ვეღურია... მამადიანობა კი ვეღურობას არ ნიშნავს. იგი ისეთივე წინეობრივი რელიგიაა, როგორც ქრისტიანობა, არსად მას ქვეყნის წარწყმედა-დაქცევა არ უქადავია. მამადიანობის მშლურმბლ (ხაზი ჩემია, ა. კ.) წარმოადგენს მტისმეტად პრიმიტიული თვალსაზრისი“.

ბარაკლა! „ვეღური აღტკინება“ ბრძოლის შინის გამოშვატვლი სახე კი არ უფილა, რომელიც თანამედროვე მებრძოლის განწყობით

ლების გადმოსაცემად შეიძლება გამოყენებული, არამედ ვეღურობის პასპორტი. მამადიანობის ლანძვრა სად აღმოჩინა ჩვენს კრიტიკოსმა, ან ვინ და სად თქვა, მამადიანობა რომ ვარ, იმიტომ ყველადერი უნდა დავაციოო?! ზუსტად ასეთი ხერხით, ასეთი ენობრივი ალღოთი, და მხატვრული გემოვნებით კრიტიკოსი კრიკაში უდგას თითოეულ სიტყვას.

მოლაპარაკებლიდან დაბრუნებულ ანტონს ერეკლე მწარე ზემორობით ხვდება: „რაო აბდულაშ?“ გამოუცდელი მკითხველიც მიხვდება, რომ ამ კალამბურის მიზანია, გააგებნოს ანტონს, შედეგთა ახსნა-განმარტება, გატყობ, რა შედეგითაც დამთავრებულია მოლაპარაკება; თან აგვრძნობინოს, მაინც მხნედ ვარ, არ შეშინაო.

როგორ გაუგია ა. ბაქრაძეს? „ამ კალამბური იმ ავტორი თავის დამოკიდებულებასაც გამოხატავს, რაკი ერეკლეს ებრძვის, ცხადია, სულიერი და ვეღურია“.

ძმები მოწინააღმდეგე ბანაკებში დაბრუნდნენ. საკიროა დაუყოვნებლივ მოქმედება, თორემ აბდულბეგის მიერ მოწყველი დურუხანის ამირასლანხანის, ავღანების, ლეკების ურდო პირისაგან მიწისა აღგვის თბილისს. მეფე კათალიკოსის სიტყვას ელის. ის უყოყმანოდ ამბობს: „დასამშვიდებლად მეფობისა და აღერეულობის დასაცხრომლად მიიღე ზომა მტკიცე, ჰქმენი, რაკი არს საქმელი. აჩვენე ძალი და ძლიერება შენი. დუმილი შენი და სისუსტე აღლიერება მტერთა შენა, დეცე ზარი და მეხი შენისა“.

როგორ აფასებს ა. ბაქრაძე ამ სიტუაციას? მისი აზრით, ესაა „მათეტიური შეძახილი“, რომელშიც ჩანს „ქვეყნის ბედისაღმდ ზერეფე დამოკიდებულება“. რას გვათავსობს სამაგიეროდ? ბრძოლის წინ, წუთიერი დილოგისას, ავანტურისტი აბდულბეგისთვის ანტონს, ასე ვთქვათ, უნდა ჩატარებინა სახელდახლო განმანათლებლური საუბარი საქართველოს გაერთიანებაზე და ბრძოლა აღარ მოსდებოდა, ხოლო, თუ მოსდებოდა, ანტონს ჩქარ-ჩქარა უნდა გადაერბინ-გადმოერბინა ერთი ბანაკიდან მეორეში, რათა დურუხანისა და ამირასლანხანის ჭარისათვის განემარტა საქართველოს გაერთიანების მნიშვნელობა. „ყოველი საქართველოს ერთიანობა მაღალი პრინციპია, მაგრამ რატომღაც... ანტონი არსად არ ეწევა მის ბრობა-განდას. არც აბდულბეგთან დავაში... ანტონის საქციელი აღიზიანებს ძმას (ავენის ბავშვი არ გეგონებათ!?) და არ იწვევს აბდულბეგის დაფიქრების, განსჯის სურვილს“. და ა. შ.

რა ვუწოდოთ ამას, ზემორობა თუ აბუნად აგდება?! თუ სამართლიანად ვცნოთ ის, რაც რომანშია. ანტონმა სცადა მემოხზე ძმის დამოშინება და როცა ეს არ მოხერხდა, მტკი-

ცულ დაჯდა იქ, სადაც სამშობლოს ინტერესები მოითხოვდა.

საკმაოდ ვრცელ დიალოგში აბდულბეგი, ანტონის შეგონების პასუხად იტყვის: „ნაბ მაჰმადიანი და არა მწამს ცხოვნება და წარწყმედა!“, რაც გამოხატავს მის რელიგიურ რწმენას: შენსადიო ქრისტიანი კი არა ვარ, ცხოვნება და წარწყმედა რომ მწამდესო, რითაც ხაზს უსვამს თავის პოლიტიკურ ინტერესებს. რამდენიმე წინადადების შემდეგ კი ამბობს: „ღმერთმა მაშრობს ცოცხალი კაცის მამულის დაჰყრასა“, რაშიც უკვე გამოხატულია იმ კაცის ფსიქოლოგია, რომელსაც სისხლსა და ხორცში აქვს გამჭადარი ფეოდალური საზოგადოების კოდექსი, ლეგიტიმისტური აზროვნების ღვგმა, რომელიც ახლა მისი, როგორც ტახტის მამიებლის არგუმენტია. ამ ორ გარემოებას შორის წინააღმდეგობა კი არა, ეპოქის ფსიქოლოგიის შესაბამისი სიწუსტე და ბედულობა.

როგორ აფასებს ამ მომენტს ა. ბაქრაძე? „განა ერთი წამის განმავლობაში შეიძლება კაცმა (რომელმა კაცმა?) ჭერ თქვას, არაფერი მწამსო (სად თქვა, არაფერი მწამსო?)... და იქვე მძაყლოს, „ცოცხალი კაცის მამულის დაჰყრას როგორ ვიცადებო?“... ასეთი ზრუნებით ლაშობს ა. ბაქრაძე დრამატისმისა და სტილისტური სიწუსტის გაზარებას. გადაუწყვეტია, დაარწმუნოს მკითხველი, რომ „ნეიშნის ფიცა“ ერეკლესა და ანტონის პანეგირიკია. კრიტიკოსი აღიარებს, რომ ალექსანდრე ამილახვართან კამათში ანტონი მარცხდება, „უსუსტურ მღვთმარებაშია“. მაგრამ ყოველივე ამას ისე წერს, თითქმის ეს მისი დამსახურება იყოს და არა ჩემი. მე თითქმის ვალდებული ვიყო პანეგირიკი ვუძღვნა ერეკლეს და ანტონს. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ჩემს რომანში მე მხოლოდ ის ადგილები მეუთვნის, სადაც ერეკლესა და ანტონის დამსახურებაზეა ლაპარაკი, დანარჩენი ა. ბაქრაძის ხაყუთრებაა. მთელი გადატრიალებია ლიტერატურულ კრიტიკაში. მოაქვს მწერლის სასარგებლო მაგალითები და გამოაქვს თავისი სასარგებლო დასკვნა.

კრიტიკოსი აღტაცებას ვერ ფარავს, რა ვაუკაცურად გამოიყურება 15 წლის ალექსანდრე ამილახვარი მეფე ერეკლესთან პირისპირ კამათშიო, და მთელი პასუხი მოაქვს. ეს პასუხი ა. ბაქრაძის დაწერილია თუ ა. კალანდაძის? ესეც ერეკლეს პანეგირიკია? ხომ ჩანს, რომ კრიტიკოსი რომანის ამ ადგილებით გამსჭვალულა ამილახვრისადმი სიმპათიით და ისიც ხომ ჩანს, რომ მწერალს ებრალება ეს ყმაწვილი.

ა. ბაქრაძე აღიარებს, რა გულისტკივილითაა აღწერილი პაატასა და მისი თანამშრომლების ღასჯა. ადამიანური თანაგრძნობა ყველას თანაბრად უნაწილებია, მაგრამ მე ვერასოდეს

გავიზიარებ იმ აზრს, რომ შეიქმნულები მარათალი იყვნენ და ერეკლე ტყუოდა. ქართველმა ხალხმა დიდი ხანია სცნო, რომ ქართლ-კახეთის ერთიანობა იმ დროს ერის გადარჩენის აუცილებელი პირობა იყო. მწერალი უერთდება ამ აზრს, რადგან დაარწმუნებულია, რომ ეს ერთიანობის სული სჭირდებოდა და სჭირდება ჩვენს ხალხს.

„თუ ვინმემ ქართლი დატოვა უბატრონოდ, — წერს კრიტიკოსი, — ეს, უწინარეს ყოვლისა, ანტონის ღმერთი ბიძა ვახტანგ მეექვსე იყო. ასეთი ბრალდება კათალიკოსის მისთვის შედეგო წაუყენებინა“. ნათუ მართლა ავიწყლება ა. ბაქრაძეს, რომ ეს „ანტონის ღმერთი ბიძა“ პაატას მამა იყო?

ანტონი რუსეთში გასახლეს (ამ გადამწყვეტი ამბების ხსენებაც არაა აბაქრაძის წერილში). იქაც საფრთხე ელის, მაგრამ ნათესავებთან იმედო აქვს, ყველაზე უფრო — ვახტანგის შვილიშვილის ალექსანდრესო, იმპერატორ პეტრე III უახლოესი მეგობრისა, რომელიც ქართლის ტახტისთვის იბრძვის. ანტონი ერეკლეს ზელმძღვანელობით საქართველოს გაერთიანების იდეას არ ღელავს, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილთანაც ღლიალოდ ურთიერებაშია. ეს იდეალური საქციელია და რა ჩიოთებაშია, მაგრამ მძიმე მღვთმარებაში სავსებით ადამიანური გზა.

როგორია კრიტიკოსის დამოკიდებულება ამ მღვთმარებაში მყოფი ანტონისადმი? ზუსტად ისეთი, აბდულბეგთან ომის წინ რომ მოითხოვდა — ბანაკიდან ბანაკში ერბინა საგანმანათლებლო საუბრების ჩასატარებლად. „რატომ ერთხელ მაინც არ სცადა განეშარტა ალექსანდრესთვის (საქართველოს ერთიანობის მნიშვნელობა. ა. კ.). დაერწმუნებინა“.

როგორ მოეწონებოდათ, გაძევებულ, უფულებო კაცს იმპერატორის უახლოესი მეგობრისთვის, ვახტანგის შვილიშვილისთვის ქადაგება დაეწყო, ზელი აიღე ტახტის მამიებლობაზე, საქართველოს ბედნიერებისათვის ტახტი ერეკლეს დაუთმო. „ამ დიალოგებში ანტონი უფრო თავისთავზე მწერს ვიდრე პირადად მოჩანს, ვიდრე ჭეყნის ბედზე გადაგებულ პიროვნებადო“. მერე ესაა პანეგირიკი?

ალექსანდრე ბაქრაძის ძე ანტონს ეკითხება: „უფუკარავარ, ანტონ? ვახსოვარ საქართველოში?“... საუბრის მიმდინარეობიდანაც და საქმის ვითარებიდანაც აშკარად იგულისხმება: როგორც ტახტის მემკვიდრე, თუ ვახსოვარ და უფუკარავარ ჩემს ჭკვეფადომებში. ე. ი. მომხრეები მყავს თუ არაო! ა. ბაქრაძეს ესეც პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია და სერიოზულად გვეკითხება: „ალექსანდრე რუსეთში

ალექსანდრე კალანდაძე
ასირიების ზეპარბად

დაიბადა და გაიზარდა... საქართველოში ვის უნდა პყვარებოდა და ხსომებოდა?.. ნუთუ ა. ბაქრაძეს მართლა ჰგონია, რაკი ბატონიშვილი რუსეთში დაიბადა და გაიზარდა, საქართველოში არ იცნობდნენ და თავის მომხრეებს არ უყვარდათ? ანტონის პასუხიც ამას ნიშნავს: თქვენ, ვახტანგის შთამომავლები, ახსოვსართ, უყვარსართ, გელიანო!

შეუძლებელია, მკითხველის გაკვარება არ გამოიწვიოს ერეკლეს უანატყურმა შეუწყნარებლობამ. იქნებ, ბევრი რამ არ მოგწონდეს, მაგრამ ნორმალური განსჯის უნარი ხომ არ უნდა დაეკარგო! რა სამართალია, ყველაფერი ერთ ერეკლეს დაეპარალოთ. ყველასთან ის გამოიყვანოთ დამანაშავედ, ყველაფრისთვის მას მოვლობოთ პასუხი. ტრადიციამ, ისტორიკოგრაფიამ, ფოლკლორმა, მწერლობამ (ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი და სხვ.) ერეკლეს ისეთი სახე დაამკვიდრეს, რომ ჰყუასუსტ ტირანად მისი გამოყვანა შეურაცხყოფად ქართველი კაცის სინდისს. ხოლო ისტორიული ნაწარმოების სულისკვეთება გამომწვევად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ წარმოდგენას, რომელიც ხალხს საუკუნეთა მანძილზე შეუშუშავებია.

ერეკლეს თავისი დის ამილახვართან განქორწინება გადაუწყვიტია. ანტონმა იცის, რომ განქორწინების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ დაწმუნებულია, სამშობლოს ინტერესები ასე ითხოვს და მოაწმუნე კაცო სჩადის ცოდვას, აღასტურებს უკანონო განქორწინებას. ა. ბაქრაძე თავისებურად მსჯელობს: „მოსაღმდეგია, რომ ანტონი... სიმართლეს ვაარკვევს და განაჩენს ისე გამოიტანს“. ე. ი. აუჩანებლად ერეკლეს, მიემხრობა ამილახვრებს და შეიცვლება საქართველოს ისტორია!

მოვლენებისაღმოჩენა არაისტორიული მიდგომა იქამდე მიდის, რომ XVIII ს. საქართველოს დასახასიათებლად გაბრიელ გარსია მარკესს იმეფებენ: „მე ვემხსურები ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას“, მაშინ, როცა მოგვეპოვება ერეკლეს თანამედროვე მოღვაწის იასე ბარათაშვილის დღიურში ასეთივე შინაარსის მკუდრო ჩანაწერი სწორედ ერეკლემ მეფეზე: „ჩერ ქვეყნის ერთგულთა იყო და მერმე მეფისა“.

როგორც ხედავთ, მაშინდელი საზოგადოებრივი კულტურა არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა. ან, ერეკლეს ქება ანტონსა და სხვა თანამედროვეებს ცოდვად რად ჩავუთვალოთ, როცა მისი ქება-აღიშნული სავსე იყო ევროპისა და რუსეთის პრესა!

„ნეიშნის ფიცში“, — წერს ა. ბაქრაძე, — ანტონი ემსახურება არა სამშობლოს, არამედ ქართლ-კახეთის მეფეს“. თუ კრიტიკოსის პათოსს გავიზიარებთ, გამოდის, რომ ერეკლე სამშობლოს არ ემსახურებოდა. ა. ბაქრაძე ასეც

გვაგონობინებს: „ქართლი უამრავ ჭირვარას გამოკვადებია ერეკლემდეც და ერეკლემდეც ღვიდა. მას ერეკლემაც უზრუნ დიდი (აქაზი ჩემია. ა. კ.) პიროვნებაში უშვია და შობს“.

იმის გამო, რომ ანტონმა მიატოვა ქუთაისი და კახეთს მიაშურა, კრიტიკოსი ასე ამკობს მას: „რა არის ეს? მის საქციელს განაგებს უკონტროლო ემოცია და არა სახელმწიფო კაცის მტკიცე ნება“. მაგრამ ორიოდ სიტყვით ხომ უნდა ვთქვათ, რომ ეს „სახელმწიფო კაცი“ თვრამეტი წლის ყმაწვილია, რომელმაც გაუგონარი ტრავმები გამოიარა (მოსტაცეს საცოლდე, უარყო ტახტი, აღიკვეცა ბერად, განშორდა დედას, დაედუბა დები და სხვ.). არ უნდა დავუშვალოთ მკითხველს, რომ ჰკაბუტის სულში მიმდინარეობს მძაფრი ბრძოლა — ღაერჩეს თანამედრობაზე თუ ისევ მიაშუროს ბერის სენაცს...

საინტერესოა ბერებში, თორემ ყველა დამახინჯებული ფაქტის აღწერას ვინ აუჯა.

ა. ბაქრაძე არც იმაში ბრძანდება მართალი, თითქმის ვოლას და თაფლოს ამბავი „ჩაყოს სიზნებთან“ აგვეღოს. ცნობა, რომელიც ამ სიუჟეტურ ხაზს ჰკაუთუნებდა დაედო, ორასი წლით ადრეა დადასტურებული.

რადგან ა. ბაქრაძეს თავისი შეხედულებანი ახალი ზგონებია, იმედს გამოთქვამს, ჩემი წერილი „ცხარე კამათს გამოიწვევსო“. სინამდვილეში ამ დავას ორასი წლის ისტორია აქვს. ერთ ღროს „ერეკლეს გასამართლებიცი“ ეწყობოდა, მაგრამ მოძველებული კონცეფცია, რომელიც ა. ბაქრაძეს გაუზიარებია, ერეკლეს 80-90 წლების მოღვაწეობის ემოციური შეფასებრიდან გამომდინარეობს. ფაქტებს პირდაპირი დასახელებისაგან თავის შეკავება ამ ფაქტებს ვერც ფარავს და ვერც მათზე მსჯელობის საჭიროებას აუქმებს. 1788 წლის ტრაქტატი ერეკლეს გამოგონება კი არაა, არამედ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შედეგი. ერეკლეს ღვაწლი ისაა, რომ ამ ხელშეკრულებაში ქართლ-კახეთი გამოდის სრულუფლებიან მხარედ და ტრაქტატის სულისკვეთება არ ღახავს ჩვენს ეროვნულ ღირსებას. ერეკლე და მისი გარემოცვა აქტაურ დიპლომატიას ეწეოდნენ, რათა ქვეყანა ცივილიზაციის გზაზე გაეყვანათ. 80-90-იანი წლები ერეკლეს დიპლომატიური და სამხედრო-პოლიტიკური სიმწიფის გვირგვინია და არა „სწორი განსჯის დაკარგვა“, როგორც ა. ბაქრაძეს ჰგონია. ამიტომ იწვევს კრიტიკოსში უარყოფითი ემოციებს „რუსეთში ელჩად წარგზავნილი ანტონი“ (რომელმაც ტრაქტატის მომზადება ჰქონდა დავალებული), საერთოდ, ამ მოვლენის ყოველგვარი ასოციაცია. უსაფუძვლოდ მიმანჩია ა. ბაქრაძის მოსაზრება, რომ 1792 წ. საქართველოს სამეფო-სამთავროების წარმომადგენელთა თათბირზე ერეკლეს მიზეზით ჩაიშალა გამართი-

ნების საქმე. იმერეთი იმ დროს საერთაშორისო პრობლემა იყო. ორასი წლის შემდგომ ერთობ იოლია იმ დროის მწვავე პრობლემებზე მსჯელობა. რა სჯობდა და რა იყო საჭირო, მაშინაც იცოდნენ, მაგრამ ცოდნა შესცვლიდა ისტორიის ჩარხის ბრუნვას?! რომანშიც წინა პლანზეა არა ვისიმე პანეგირიკი, არამედ სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობა და მისი შვილების თავგანწირული ცდა, ეპოვათ გამოსავალი.

დაბოლოს, არ შემოძლია გულისტკივილი არ გამოვთქვა იმის გამო, რომ ა. ბაქრაძე უპატრეცემულოდ ისენიებს არა მარტო ერეკლეს, ანტონსა და მათ თანამოაზრეებს, არამედ, საერთოდ, იმ საუკუნეთა ყველა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს. თითქოს ჩვენს უბედურებას დასცინისო, წერს: „როცა ქართლის, კახეთის ან იმერეთის რომელიმე მმფშპბ (ხაზი ჩვენია. ა. კ.) თავის ადგილს არ თმობს, ძირითადად ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველი მათგანი ამ პროვინციებს უყურებს, როგორც პირად მამულს... სპარსეთის, თურქეთის, რუსეთის სამეფო კარზე დახტილობენ არა რო-

გორც სახელმწიფო მოღვაწენი, არამედ როგორც შეურაცხყოფილი პიროვნებანი სასამართლოში... თუ მამულს არ წაართმევენ, შვად არიან, ვინც გინდათ, იმას ემსახურონ, ის რა ული მიიღონ, ის სახელი დაირქვან“...

არა! უსამართლობაა, იმ შავ ღღერში ჩაცვნილ მოღვაწეებს ასე განურჩევლად „მეფუკები“ ვუწოდოთ! მერედა, ვინ არიან ეს „მეფუკები“? გიორგი XI, ვახტანგ VI, არჩილი, სოლომონი, თეიმურაზი თუ ვახტანგ VI ელჩი სულხან-საბა ორბელიანი? ნუთუ, სამშობლოს ინტერესები მართლა აღარ არსებობდა? საქართველოს ისტორიის ასე გაგება სწორი არ უნდა იყოს. თუ ყველა ავანტურისტი იყო, „მეფუკების“ „ტრიბუნი ფსიქოლოგია“ ჩამოყალიბებულია, მაშინ რაღა აზრი აქვს ისტორიას, კვლევა-ძიებას, რომანებს? საბედნიეროდ, იმ „მეფუკებისაგან“ ზოგი დიპლომატიური მისიით მიდიოდა, ზოგი ქვეყნის ბედის შესამსუბუქებლად სწირავდა თავს, ზოგიც დატყვევებული იყო.

ახირების ზვარაკად სანუკვარი სიწმინდეები ხომ არ მიგვაქვს სამსხვერპლოზე?



დავით გომოჭური

ბოლო განმარტება

რძე წლის წინათ „მნათობში“ (1970, № 2) დავბეჭდე „ბახტრიონის“ ერთი გვირის ვინაობა“, სადაც, სხვათა შორის იმასაც ვწერდით, რომ ძველ ხევსურულ ლექსში „მეტნი ბართ საღირსშვილნი“ საღირს გვირის მამის სახელია, ხოლო მეტნი (ვარ. მეტი) ზედსართავი სახელი და უმჯობესს, უკეთესს, სხვა მეომრებზე მეტად მეომარს ნიშნავსო. ა. შავხელიშვილი და ლ. ჭრელაშვილი გამოკვეთავენ (1971, № 6). წოური ზეპირსიტყვიერი მახალების უკუუღებულყოფა დაგვდეს ბრალად და შეეცადნენ დამტკიცებინათ, თითქოს მეტი საკუთარი ხანელი ყოფილიყო, წოვა სახალხო გვირისა და ის ხევსურული ლექსიც, რომელსაც ვიყენებდით, წოვების მიერ შექმნილი ყოფილიყო.

ჩვენ, როგორც ავტორმა და ამ დარგის სპეციალისტმა, საჭიროდ ჩავთვალეთ მკითხველთათვის მიგვეწოდებინა „მცირე განმარტება“ („მნათობი“, 1972, № 4), სადაც ვასაბუთებდით, რომ ამ კონტექსტში „მეტი“ არ არის ცაცის სახელი. აქვე იხილ უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი პასუხი, რედაქციამ ამ დარგის ცნობილ მეცნიერებს გააცნო და მათი დასტურის შემდეგ გამოაქვეყნა.

ამის შემდეგ ლ. ჭრელაშვილმა და ა. შავხელიშვილმა რედაქციას ვერაფრით დაუსაბუთეს „მეტის“ რეალურობა და ამიტომ დავა შეწყდა და მეტიზეც მეტი ლამაზაჟი აღარ ყოფილა.

ჩვენ ეს ამბავი დავიწყებას მივცით, რომ მრავალი წლის შემდეგ კვლავ გამოქვეყნდა იმავე ავტორების წერილი („მნათობი“, 1977, № 1), მაგრამ ძველი დავის მთავარი საფუძველი, — მეტი ახლა უკვე ნახსენებიც აღარ არის. საინტერესოდ ამ წერილით უფრო დიდი ბრალდება „ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი ერთობის დარღვევის ცდა“ წამოგვიყენეს და იმდენი რამ ტყუილი მოგვანერგეს, რომ ლამაზ ჩვენვე აღგავფოთეს ჩვენი თავის წინააღმდეგ.

ა. შავხელიშვილისა და ლ. ჭრელაშვილის ახალ წერილს მხარი დაუჭირა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა რ. ჭაფარიძემ და ჭერ მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან, ხოლო შემდეგ კი „ცისქარის“ ფურცლებიდან საჭაროდ გავკიცხა („ცისქარის“, 1978, № 4).

ვიყავით კი ღირსი? არა! და აი, რატომ:

დავა ა. შავხელიშვილმა და ლ. ჭრელაშვილმა წამოიწყეს და მკითხველს აუწყეს, რომ დ. გოგოჭური წოურ ზეპირსიტყვიერ მახალებს უკუუღებულყოფს და მკითხველი შეცდომაში შემავს, რომ ხევსურმა მეღერეებმა წოური ლექსები „გადააკეთეს“ და მიითვისეს, და რომ მეტი ზედსართავი სახელი კი არა, წოვა გვირის სახელია, რომლის შესახებ არსებულ ხალხურ მახალებს დ. გოგოჭური ნილილისტურად ეკადება.

ტყუოდნენ და ამიტომ ჩვენ გავაკეთეთ ის, რასაც უველა ჩვენს მდგომარეობაში მყოფი მართალი ცაცი იხამდა. საჭარო ცილისწამებისაგან დავიცავით ჩვენი თავიცა და ხევსური მეღერეებიც და პასუხად დავწერეთ ის, რაც ღიადი ხანია წერია ათობით ენათმეცნიერთა თუ ფოლკლორისტთა შრომებში.

თუ ცილისმწამებლურ პოლემიკას წამოიწყებენ, შეურაცხყოფენ ხევსურ მეღერეებს, ახლნად აიგდებიან და ექვევქვე დააყენებენ სახალხო გვირებს — ეს არაფერი — უნდა თავი შეიკავოთ, გემოდვარდენ, ხოლო თუ იძულებული გავხდით და მოდავეებს სიმართლედ ვუთხარით, ეს კი „ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი ერთობის დარღვევის ცდა“ ყოფილა...

ჩვენ განა სადმე ვთქვით, რომ დღევანდელ წოვა-თუშებს პოეზია არა აქვთო? ასეთი რამ ჩვენი პირიდან როგორ გამოვიდოდა, როცა არა ერთი წოვა-თუშური ლექსი ჩავიწერია და სათანადო კომენტარების დართვით გამოგვიქვეყნებია სხვადასხვა კრებულსა თუ შურონალ-გა-



ზეოგებში. მონაწილეობა მიგვიღია წოვა სახალხო მოქმედება საღამოებსა და იუბილეებში.

ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდა და ისიც კარგად იცოდა, რომ, რასაც ჩვენი ოპონენტები ბრალად გვდებენ, ჩვენს პასუხში იმას მსგავსი არაფერი უფიქროს. ჩვენს წერილშიცა და პასუხშიც დეპარტაციის პოეზიაზე, არამედ მეჩვიდმეტე საუკუნის, კერძოდ, 1659 წლის კახეთის აჯანყებაში ვინმე მტრის მონაწილეობის ამსახველ წევრთა თუ შერხატულ პოეზიაზე, რომლებიც თითქმის არსებობდნენ და ჩვენ არ გამოგვეყენებოდა. ასეთი ხალხური ნაწარმოებები არ არსებობს და ამიტომ ვწერდით: „თელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დღემდე ფიქსირებული არ არის არც წერილობითი წყარო და არც პოეტური ტექსტი, რომელიც ბაბრიონის ომის დროს მეტი საღარიშვილის არსებობას ადასტურებდეს“...

იქნებ წოვათა მიერ შექმნილმა, ჩვენთვის უცნობმა ხალხურმა შემოქმედებამ შემოგვინახა მეტი საღარიშვილის სახელი? თუ ეს ასეა, მაშინ რაღას უდრიან ა. შაველიშვილი და ლ. ჭრელაშვილი! ამ წერილის ნაცვლად დაბეჭდვით პოზიტიური ნარკვევი, სადაც დადგენილი იქნებოდა მეტი საღარიშვილის ვინაობა და მკითხველთან ერთად ჩვენც გავიხსარებდით... ნეტავიც ასე იყოს, რომ მეტი საღარიშვილის სახით ერთი სახალხო გმირი კიდევ შემატოს ქართველ გმირთა პლეადას, მაგრამ ამას ხომ მასალა უნდა? („მნათობი“, 1972, № 4, გვ. 189).

და აი, ამ ამბიდან მეექვსე წელს მათ გამოაქვეყნეს ზემოაღნიშნული წერილი ხალხური მასალებით და გაშმაგებით დაგვესწნენ თავს, — აბა, რა არის ეს, თუ არა წოური ხალხური პოეზიაო.

ახალგაშობებზე მასალებში ყველაფერზეა ლაპარაკი: ომზე, მწყემსობაზე, სოციალისტურ მშენებლობაზე, მაგრამ მეტივე არსებულობა მასალა კი მაინც არა და არა ჩანს.

სად არის ის ჩვენგან „იგნორირებული“ და „უგულუბელუფილი“, მე-17 საუკუნის ბაბტრიონის ომის ამსახველი ხალხური მასალები, რომლებიც თითქმის მეტის გმირობაზე მოგვითხრობენ და რომელთა არსებობასაც ა. შაველიშვილი და ლ. ჭრელაშვილი გვექადებოდნენ?

ახალ წერილში ჩვენი ოპონენტები თავს იხევენ, თითქმის ძველ პოლემიკას აგრძელებენ და ნამდვილად კი სრულიად სხვა საკითხებზე რინგის გარეთ მართავენ ბრძოლას, ჩვენს პასუხიდან არ მოაქვთ არც ერთი ამონაწერი, არც ერთი დასრულებული წინადადება და ამის ნაცვლად ცალკეული ფრაზებისა თუ სიტყვების

მათ მიერვე გაყალბებულ ინტერპრეტაციას სთავაზობენ მკითხველს. ჩვენ კი გვინდა გარკვევით ვთქვათ: სრულიად ვიზიარებთ ჭრელაშვილისა და ა. შაველიშვილის აზრს, იმის შესახებ, რომ „ქართველ ხალხს, მის ყველა ტომს, ცხადია, პოეზიაც ქართული უნდა მჭონდეს და მათი „საკუთარი ენაც“ ქართული უნდა იყოს, წოვა თუშები აქ გამოიყენონ არ არიან“.

ე. ი. ამ წერილის მთავარ აზრთან ჩვენ ხა. დავო არაფერი გვაქვს გარდა იმისა, რომ ვერ გავიგეთ, ჩვენ რა შუაში ვართ.

რაც შეეხება ძველ დავას მეტის რეალურობის საკითხზე, ამასთან დაკავშირებით კი მე და ა. შაველიშვილი ერთხელ კიდევ უნდა წარვსდგეთ მკითხველის წინაშე, რადგან გახუდ წელს გამოვიდა მისი წიგნი: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიისათვის“ (რედაქტორი გ. თოგოშვილი, „მეცნიერება“), სადაც კვლავ ლაპარაკია მეტის რეალურობასა და გმირობაზე. ის, რაც ადრე შურნალის რედაქციამ სპეციალისტებთან ერთად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია და ამიტომ მასზე პოლემიკის გაგრძელება მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ავტორს საკუთარ წიგნში შეუტანია, თანაც საოცრად უკადრის ხერხს მიმართავს: ისმის რა თავს ჩვენს პირველ პოზიტიურ წერილში გამოთქმულ დასკვნებს, კრინტსაც კი არ ძრავს იმაზე, რომ მან ეს თავისი მტდარი მოსაზრება ერთხელ უკვე გამოაქვეყნა შურნალში და პასუხიც მიიღო.

ა. შაველიშვილი თავის წიგნში ხშირად იმოწმებს ივანე ბუჭურაულს, — წოვა სწავლულს, პედაგოგსა და ფოლკლორისტს, სწორედ ამ ი. ბუჭურაულმა გამოაქვეყნა სხვა თუშურ ლექსებთან ერთად იმ ლექსის ერთი თუშური ვარიანტი, რომელზეც ჩვენმა ოპონენტებმა დაუსრულებდნენ დავა ააგეს. იქ ეს ადგილი ასე იკითხება:

გარეთ გამოდო, სულთანო,
თუშნი ვისხედან კარხედო.
თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
გამოგიყვანენ ძალხედო.

მეტი ვარ საღარიშვილი,
ნუ მიშერთ ტალავარზედა,
გადავალ, გადავფრინდები
ბაბტრიონს გალავანზედა.

სწორედ ამ ბოლო სტროფს გვიპირიპირებენ და გვიმტკიცებენ, რომ აქ სიტყვა მეტი გმირის საკუთარი სახელია, ასე ვსმოდათ ახ წოვა თუშებსო და იმოწმებენ ი. ბუჭურაულს ავტორიტეტს.

დავით გომიშვირი
ბოლო ბანმარტმბა

სამწუხაროდ, ეს დამოწმება ყალბია და მკითხველის მოტყუებას ისახავს მიზნად. ა. შავხელიშვილს მოაქვს რა ეს ნაწყვეტი თავის წიგნში (გვ. 157), წყაროდ აკ. შანიძის „ხალხურ პოეზია“-ს უთითებს. ბატონ აკაკისთან ეს ვარიანტი არ არის, იგი ი. ბუჭუქაშვილის კრებულიდანაა ამოღებული.

ჩვენთვის გასაგებია, თუ რატომ მიმართავენ ა. შავხელიშვილი ასეთ უკადრის მანამუღაცობებს: მას სურს, რომ მკითხველი წყარომდე არ მიუშვას, რადგან სწორედ ი. ბუჭუქაშვილს არ მიაჩნდა მეტი ადამიანის სახელად.

ყოველ დანტერგებულ მკითხველს შეუძლიან ნახოს ი. ბუჭუქაშვილის მიერ ამ ლექსებზე დართული ლექსიკონი, სადაც მეტის შესახებ გარკვევით წერია: „მეტი — უფროსი, უმჯობესი“ („ძველი საქართველო“, ვ. თაყაიშვილის რედაქციით, 1913, განუ. წ, გვ 134), ე. ი. ზუსტად მასვე ვამბობდით ჩვენც მან რაღა უნდათ? რას გვერჩიან? ი. ბუჭუქაშვილი ხომ თვითონ მათაც წოური წესჩვეულებებისა და ფოლკლორის „გამოჩენილ მცოდნედ“ მიაჩნიათ და, თუ ამ დავწამოსილი ადამიანის აზრი ჩვენც გავიზიარეთ, ეს დანაშაულია? თუ, პირიქით, პატივი და დაფასება?.. განა მე არ ვწერდი: „წოვა თუშებმა თავისი გამირობითა და მამულიშვილური შემართებით მრავალი სახალხლო ეპიზოდი შემატეს საქართველოს ისტორიას. ხალხურმა მეღვინეებმაც სათანადოდ დაფასეს მათი ღვაწლი, სხვათა შორის, აი, როგორი სტრაკონები უძღვნა ზევსურმა მეღვინემ გამირ კურაის შვილს:

ძვირად ზყავ კაცი ბაღალი
წოვათ კურაის შვილსაო,
ბევრჯერ ჩაყავა ლეკები
ღმა ჩაწითა ხმლისათ.

(„ნათობი“, 1972, № 4, გვ. 182).

და ამის შემდეგ თუ ჩვენ საკუთარ თავთან ერთად ი. ბუჭუქაშვილსაც დავიცავთ გაქალები-საგან და ა. შავხელიშვილსა და ლ. კრელაშვილს ვეტყვით, — მეტი კაცის სახელი არ არისო, თურმე ეს „სულიერი ერთობის“ დარღვევა უოფილა. ფაქტი კი ერთია: ა. შავხელიშვილი დამარცხდა რა მეტისთან დაკავშირებით წამოწყებულ პოლემიკაში, კამათი სრულიად სხვა საკითხებზე გადაიდანა და აღარ ერიდება არც ლიტერატურული ეთიკის დარღვევას და არც საძრახისი ილეთების გამოყენებას.

ერთიც გვეუბნებიან — ამ თემაზე ლაპარაკი უნებრუდიაო, — ხახვებით სწორია, მაგრამ ვინ მეტს ლაპარაკობს? ჩვენს მიერ წლებს წინათ დაწერილი, ერთადერთი სამართლიანი და სწორი პასუხის წინააღმდეგ გამოსვლის უკვე მეზუთე ფაქტია. ყველა მათგანი ჩვენთვის მუღებუღია, რადგან სიყალბესა და ცილისწამებაზეა აგებული, ამიტომაც ჩვენს ადრინდელ პასუხს ხახვებით ძალაში ვტოვებთ. დავუმტებთ მხოლოდ, რომ ამ უსარგებლო დავისაგან მოგვასვენონ ჩვენცა და მკითხველიც. პარადოდ ჩვენ ასეთი ვაიპოლემიკისათვის არც დრო გვაქვს და არც სურვილი. ნუ გვაძულებენ კიდევ ახალი დავთრები გადავშალოთ.



ნოდარ შენგელია

საუზრადღებო მონოგრაფია დავით აღმაშენებელზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ახლახან გამოსცა როინ მეტრეველის საინტერესო მონოგრაფია „დიდნი საქმენი“, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი პერიოდი, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანა (1089-1125). ნაშრომის სათაური აღებულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან და ქემშარიტად ასახავს იმ გრანდიოზულ ღონისძიებებს, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა გაატარა. ავტორი წიგნის სათაურის ქვემოთ ქვესათაურად მოკრძალებით გამოყოფს: „XI ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გამოკვლევაში თითქმის ყველა საკითხი მეცნიერულად არის გაანალიზებული და შესწავლილი. ნაშრომი ავტორის მიერ დიდი ხნის ნაფიქრალი და ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგია. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ რ. მეტრეველი შესანიშნავად ახერხებს მეცნიერული აპარატი დატვირთული გამოკვლევა ფართო საზოგადოების მკითხველს მიაწოდოს დახვეწილი ქართული ენით.

მონოგრაფიაში მოკლე წინათქმის შემდეგ გაანალიზებულია ქართულ, სომხურ, ბერძნულ და აღმოსავლურ ენებზე არსებული პირველწყაროები. ნაწევნებია მათი როლი და მნიშვნელობა აღებული პრობლემის შესწავლის საქმეში. ავტორი საკითხის შესწავლისას უპირატესობას მაინც, სხვებით მართებულად, ქართული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მონაცემებს ანიჭებს, ფართოდ მსჯელობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითის“ შესახებ. განიხილავს ამ შესანიშნავი ძეგლის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურას და გამოიქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული თხზულება „XII საუკუნის 30-იან წლებში უნდა იყოს შექმნილი“ (გვ. 14).

რ. მეტრეველი აღებული ეპოქის შესასწავლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუს-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების დადგენილების ტექსტის მონაცემებს. ნაშრომის სათანადო ადგილას ავტორი ძირითადად სწორედ ამ წყაროზე დაყრდნობით სამეფო ხელისუფლების მიერ საეკლესიო სფეროში ჩატარებულ გარდაქმნებს წარმოგვიდგენს.

არანაკლებ საინტერესო წყაროა დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომელშიც ასახულია დავითის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მომენტები. ავტორი მარჯვად და ამომწურავად აანალიზებს ამ წყაროს და ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სათანადო ადგილას იშველიებს მის მონაცემებს. ასევე უზრადღებო გამაზვიანებელია დავით აღმაშენებლის პოეტური ნაწარმოების „გალობანი სინანულისანი“. ქართული წყაროების გვერდით, როგორც ადვინიშეთ, რ. მეტრეველი ფართოდ იყენებს მატეოს ურპაციის, ვარდანისა და სხვათა თხზულებების მონაცემებს. ასევე მოზომილია აღმოსავლური წყაროების მონაცემებიც. ვახუშტი ბატონიშვილიდან მოკიდებული დღემდე თუ ვინმეს შეუსწავლია დავით აღმაშენებლის ეპოქა ნაშრომში მათ შესახებ დამატებელადაა მსჯელობა. შეფასებულია მათი ღვაწლი ცალკეული საკითხების შესწავლის საქმეში.

როინ მეტრეველი ცალკე გამოყოფს და საგანგებოდ იკვლევს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის წინა პერიოდს, მთელს XI საუკუნეს 80-იან წლებამდე. ხაზს უსვამს, რომ XI საუკუნიდან საქართველოში უკვე დაიწყო განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, ჩამოყალიბდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაფერისად გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური სხელმწიფო. ნათლად წარმოგვი-

დგენს ბაგრატ მესამის (975-1014) მიერ სწორად წარმართული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად თუ როგორ იზრდებოდა საქართველოს სამეფო ტერიტორია. ნაშრომში ნაჩვენებია ბიზანტიის იმპერიის ცნობილი აღმოსავლური პოლიტიკის რეალიზაციის ცდები საქართველოში გიორგი პირველისა (1014-1027) და ბაგრატ მეოთხის (1027-1072) მეფობის დროს. ნაჩვენებია თუ როგორ გამწვავდა ურთიერთობა ბიზანტიასთან. ეს უკანასკნელი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ საქართველოს ციხე შიგნიდან გაეტეხა.

XI ს. 30-იანი წლებიდან იწყება სელჩუკთა შემოსევები მახლობელ აღმოსავლეთში. ისინი განადგურებენ დამოუკრნენ ირანს, ბიზანტიას, კავკასიას. გამოკვლევაში შესწავლილია ქვეყნის საგარეო ვითარების გართულებასთან ერთად თუ როგორ ძლიერდებოდა კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლები. ქვეყნის შინაგანი და საგარეო ვითარების გათვალისწინებით ავტორი წარმოგვიდგენს თუ რა მძიმე პირობებში მოუხდა გიორგი მეორეს (1072-1089) მოღვაწეობა. მის დროს ადგილი ჰქონდა შინაკლასობრივი ბრძოლის მეტად მწვავე გამოვლინებას, რაც დიდგვარიანი ფეოდალების — ნიანია ქვაბულაძის, ივანე ღიპარიძის და ვარდან სანათა ერისთავის განდგომის გამოიწვია. ავტორი იკვლევს ფეოდალთა ამ ფართო მასშტაბის გამოსვლის არსს, ხასიათს, გიორგი მეფის ღონისძიებებს განდგომილი ფეოდალების ასაღამავად.

გიორგი მეორის გამეფებისათვის მეტად მძიმე საგარეო პირობები შეიქმნა. მანასკერტთან სელჩუკთა გამარჯვებას (1071 წ.) უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ზღბთათვის. ამიერიდან საქართველოს კულტურული ბიზანტიის ნაცვლად დომეზობლდნენ მეტოკ სელჩუკიან თურქთა ტომები, რომლებიც მალეღანვითარებული, ინტენსიური მეურნეობის მქონე ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას დაუპირისპირდნენ. თურქთა დამეზობლებისა და თურქული ეთნიკური ელემენტის მომქადაგების შედეგად გახშირდა საქართველოზე თავდასხმები, შეყვავდა ქართული ფეოდალური მეურნეობა, შეფერხდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, საქართველოში „დიდი თურქობისათვის“ შეიქმნა პირობები. საქართველოს მეზობლად მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნით და საერთოდ, თურქული ეთნიკური ელემენტის გაბატონებით საფუძველი ჩაეყარა პლაცდარმს საქართველოზე სისტემატური თავდასხმისათვის. ამიერიდან საქართველოს, კულტურული ბიზანტიის ნაცვლად, მთელი სამი საუკუნის განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა

უზღებოდა მეტოკ სელჩუკიან თურქთა ტომებთან.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ რა მძიმე შედეგებია რეობაში აღმოჩნდა საქართველო XI ს. 80-იან წლებში. იმ დროს სელჩუკთა თითქმის მთელი საქართველოს დალაშქრა მოახერხეს. დანიშნული თურქობის“ ხანა საქართველოში. თუ აქამდე სელჩუკები საქართველოს რომელიმე კუთხის აოხრებით კმაყოფილდებოდნენ, ამჟამად ისინი თითქმის მთელი ნახევარი წლის განმავლობაში აოხრებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. სელჩუკები ამიერიდან ყოველწლიურად მოდიოდნენ საქართველოში და იკავებდნენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ პუნქტებს. მასობრივად ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ტომების ჩამოსახლება. საძარცვავად მოსული სელჩუკები უკან აღარ მიდიოდნენ. თურქთა მომქადაგებისა და ჩამოსახლების შედეგად შეუძლებელი გახდა მეურნეობის წარმოება. ქვეყანა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მეფე გიორგი მეორე იძულებული იყო ქვეყნის საბოლოო განადგურების თავიდან ასაცილებლად წასულიყო ისპაჰანს მგლოქ შამთან და „შეწყალება“ ეთხოვა. მის ნაცვლად კი ხარაჯს გადახდა ექისრა. გიორგი მეფის მიერ ხარაჯს გადახდის პირობა ერთადერთი გამოსავალი იყო ქვეყნის ფიზიკური განადგურების თავიდან ასაცილებლად. იმავე დროს ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და სელჩუკებთან მხოლოდ გარკვეული დამოკიდებულების ფორმით — ხარაჯს გადახდით იყო დეკავსირებული.

„დიდი თურქობის“ დროს სელჩუკიან თურქების სოციალურ-პოლიტიკური სისტემა მხარდი ქართული ფეოდალური წყობილების საფუძველზე არ შემგზავნა, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა არ დარღვეულია, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ „დიდი თურქობა“ ხაყმოდ სამიშ პრეცედენტს ქმნიდა. ქვეყნად შექმნილი მძიმე ვითარება მოითხოვდა შინაგანი ძალების სრულ მოხილწვას, როგორც გარეშე მტრების, ისე შინაურს ურჩი ფეოდალების ასალგამავად. ახლად წარმოქმნილ ქართულ ფეოდალურ მონარქიას მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება სჭირდებოდა.

სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში მოველინა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ახალგაზრდა დავით აღმაშენებელი. მან გონივრულად განსაჯა საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება და დასაბა ქვეყნის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების პერსპექტივები. ავტორი საგანგებოდ სწავლობს დავით აღმაშენებლის პირველ ღონისძიებებს სამეფო ხელისუფლების განსამკაცრებლად. დავითმა ხასტი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვაროვან



მოწინააღმდეგეებს. ქვეყნიდან გააძევა ურჩი ფეოდალი ლიპარიტ ივანეს ძე, ხოლო მისი მამული — კლდეკარის საერისთავო გააუქმა და სამეფო საკუთრებად აქცია. დიდგვარიანებთან ბრძოლასთან ერთად დავით აღმაშენებელი უოველ ღონეს ხმარობდა ნელ-ნელა, მეთოდურად ემოქმედა ჩამოსახლებული თურქების განსადევნად. ქვეყნად მის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დავით აღმაშენებელმა საუკუნის მიწურულს ხარკი შეუწყვიტა სელჩუკებს. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოსა და სელჩუკების ურთიერთობის ისტორიაში, ხარკის შეწყვეტა ნიშნავდა სელჩუკებთან ომის დაწყებას.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მთელ რიგ საშინაო და საგარეო მომენტებზე XI ს. მიწურულისათვის. ახლებურადაა მოცემული ხარკის შეწყვეტის თარიღი. თუ აქამდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო 1097 წელი, რ. მეტრეველის დაკვირვებით, ეს თარიღი, სავსებით მართებულად, წორდება 1099 წლით. ხარკის შეწყვეტა ნიშნავდა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენას. პირველი წარმატების შემდეგ საჭირო იყო ქვეყნის ძალთა სრული მოზიდვისა და მკერეთ-კახეთის საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოყვანა. დავით აღმაშენებელმა ეს საქმე წარმატებით დაავტორგანიზა.

მონოგრაფიაში საგანგებოდაა შესწავლილი დიდგვარიანი ფეოდალების — ძაგანისა და მოღისტისის (ახლეთფისისების) საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის საკითხი. ყურადღება გამახვილებულია გიორგი მეორის გარდაცვალების თარიღზე და იმაზე, ერეოდა თუ არა იგი სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საკითხებში ტახტიდან გადაყენების შემდეგ, დასაბუთებულია, რომ გიორგი მეორე გარდაიცვალა 1112 წ. და იგი დავითის ტახტზე ასვლის შემდეგ არ იღებდა მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგებლობის საქმეებში.

გარემო თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში პირველი წარმატებების მიღწევის შემდეგ დავით აღმაშენებელმა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები გაატარა. ნაშრომში განხილულია თუ რა სახისათვის რეფორმები ჩატარდა ქვეყნად. ყურადღება გამახვილებულია საეკლესიო საქმეში ჩატარებულ გარდაქმნებზე. ეკლესია მსხვილი ფეოდალური ორგანიზაცია იყო, მის ხელთ დიდძალმა მამულებმა მოიყარა თავი, მოიპოვა შეუვალობა და ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა სახელმწიფოში. საქირო იყო გადაგვარების გზაზე შემდგარი სამღვდელოების აღდგენა, საეკლესიო საქმეებში წესრიგის დამყარება. დავით აღმაშენებელმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ რთულ საქმეს.

რ. მეტრეველის მიერ შესწავლილია ის რა-ლიკალური ღონისძიებები, რომელიც დავით აღმაშენებელმა გაატარა საეკლესიო საქმის განხორციელებისათვის. დაწვრილებითაა გადმოცემული 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი საეკლესიო საქმის ცალკეული საკითხების მოწესრიგების შესახებ. საგანგებოაა მინიშნებული, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ მთელ რიგ ცალკეულ საკითხებზე მიღებული კანონები თავისთავად ცალკეულ რეფორმას წარმოადგენდა საეკლესიო საქმიანობაში.

ავტორი საგანგებოდ ეხება ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანების საკითხს; მის უდიდეს მნიშვნელობას სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში. ამ ღონისძიებების გატარებით ამირიდან მეფეს ერთგული საფრთხე მოხვედრებოდა მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსიც უნდა ყოფილიყო. ერთსა და იმავე დროს ამ თანამდებობის მატარებელი მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც, საკითხის ასე გადაწყვეტა მეფეს აძლევდა საშუალებას ფართოდ ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. ამირიდან საქართველოს სამეფო ხელისუფლება „აქტიურად მონაწილეობდა სასულიერო საკითხების გადაწყვეტაში. ნიშნავდა და ათავისუფლებდა საეკლესიო თანამდებობებზე სხვადასხვა პირებს“ (გვ. 123).

დავით აღმაშენებლის ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რ. მეტრეველის მართებული ვარაუდით, უნდა გატარებულიყო რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ. ნაშრომში მოტანილია სია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელის მატარებელ პირთა. ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, მისი საბოლოოდ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული სახით, ქრონოლოგიურად დაემთხვა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების მომენტს“ (გვ. 122).

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი რეფორმების შესწავლის შემდეგ ნაშრომში ცალკე თავია მიძღვნილი სამეფო ხელისუფლების მიერ საქართველოს საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხებზე. აღმავლობის გზაზე შემდგარმა ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ ხელჩრუვებთან წარმოებულ მრავალწლოვან ბრძოლებში შეძლო შეენარჩუნებინა თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ქართული ფეოდალური მეთურნობა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. თუ სელჩუკთა შემოსევებს ვეღარ გაუძლეს ბიზანტიის

ნოდარ შენგელია
საპუბლიკო მონოგრაფია
დავით აღმაშენებელზე

იმპერიაში და სომხეთში, რომლებმაც ხანგრძლივ ბრძოლაში სახტყი მარცხი განიცადეს, საქართველო ერთადერთი სახელმწიფო იყო მთელს ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში, რომლებმაც შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და შინაგან ძალთა მოხაზი-ზაციის შედეგად კულტურული შეურყნობის მქონე ხალხთა პროგრესისათვის ბრძოლის საქმეს სათავეში ჩადგომოდა.

ნაშრომში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ XII ს-ის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებლის სამეფო ხელისუფლების დღის წესრიგში იდგა სელჩუკთა საბოლოო განდევნა ამიერკავკასიიდან. ვიღერ შირვანი, რანი, სომხთა სელჩუკთა ხელში რჩებოდა, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვა მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ამიერკავკასიის მომე ხალხები ყოველთვის მზად იყვნენ მხარში ამოსდგომოდნენ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. თურქთა ამიერკავკასიიდან განდევნას მისი პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა, გამართიანების როლში კი საქართველო გამოდიოდა. დავით აღმაშენებლის კარგად ესმოდა, რომ ამ ისტორიული მისიის შესახრლებლად აუცილებელი იყო საგანგებო ღონისძიებების, პირველ რიგში სამხედრო რეფორმის გატარება.

ავტორი ვრცლად მსჯელობს დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმების, მკაცრი სამხედრო დისციპლინის შემოღების შესახებ. დავით აღმაშენებელმა დიდი როლი თამაშა მის მიერ გატარებული დიდშენიშვნელოვანი ღონისძიებების ცხოვრებაში მთელი სისრულით განხორციელების საქმეში. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმებთან დაკავშირებით ნაშრომში გაშლილია მსჯელობა ყივჩაყთა საქართველოში გაღმოყვანის საკითხზე. ხაზგასმულია, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლების თვალსაზრისით, ყივჩაყთა გაღმოყვანის შემთხვევაში ბრძოლის დროს ქართველი გლეხი ნაქლებად მოწყდებოდა მეურნეობას, რამდენადაც საქართველოს ჩარი ფეოდალური ლაშქრის პრინციპებზე იყო აგებული. ნაშრომში მოტანილია საქართველოში ყივჩაყთა გაღმოსახლებისთან დაკავშირებით მთელი რიგი მოსაზრებანი, რომელიც გამოთქმული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ავტორს შეფასებული და შეკამებული აქვს ყველა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ გადმოცემული აქვს საკუთარი დასკვნები.

რ. მეტრეველის მართებული მოსაზრებით, „ყივჩაყთა გადმოსახლების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ორი ფაქტორი, საქართველოს მთავრობის ზრუნვა ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნებისა და შემდგომი აღმავლობისათვის და სამეფო კარის ბრძოლა ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის“ (გვ. 188-189). ნაშრომში ყო-

ველმხრივ შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში ყივჩაყთა გადმოყვანის ყველა ფაქტორი მთელი რიგი საკითხები, შეფასებულია ეს ფაქტი დადებითად და ხაზგასმულია ყივჩაყთა ლაშქრის როლზე სელჩუკებთან გამართულ გაღმეყვებზე ბრძოლაში საქართველოს საბოლოოდ შემოსამტაცებლად.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მთელმა რიგმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებმა ქვეყანა გაამაგრა, გააძლიერა. საქართველოს მეფე თვითმპყრობელი გახდა. ავტორი საგანგებოდ ეხება დიდგორის ბრძოლას, ქართველთა ლაშქრის შემადგენლობას, ბრძოლის შედეგებს და სხვ. დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებას 1122 წლისათვის მოჰყვა თბილისის შემოერთება. ქართველებმა შირვანიდან სელჩუკთა განდევნა მოახერხეს. ქართველთა ლაშქარმა მალე ანისი გამოაგლიჯა სელჩუკებს. როგორც დავითის ისტორიკოსი შენიშნავს, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ გონივრულად განაგო „ყოველი საქმე ქართლისა, სომხთისა და ანისისა“.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ქვეყნის გაერთიანების დასასრულისადმი. ხაზგასმულია ყველა იმ დიდმნიშვნელოვან ბრძოლაზე, რომელსაც დავით აღმაშენებელი ეწეოდა სელჩუკებთან ამიერკავკასიის ციხისმაგრების განთავისუფლებისათვის.

გარდა სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერისა და წარმატებისა, დავით აღმაშენებელი დაუცხრომლად ზრუნავდა ქალაქებისა და ვაჭრობახელოსნობის აღორძინებისათვის. ავტორის ყურადღების გარეშე არაა დარჩენილი ეს საკითხები. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოების, რომ დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული განათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად საქართველოს სამეფოში მოექცა: ანისი, განძა, ბარდავი, ბაილყანი, შამაზია, ყაბალა და სხვა ხელოსნო და სავაჭრო ცენტრები. ნაშრომში ფართოდაა მსჯელობა საქართველოს ქალაქების არსებული ხელოსნობისა და ვაჭრობის შესახებ. განხილულია ხელოსნური ნაწარმის სახეები, ხელოსანთა მდგომარეობა და სხვ. რონი მეტრეველის სიტყვით, დავით აღმაშენებელმა თბილისის აღების შემდეგ „შედეგითაინი პირობები შეუქმნა ვაჭრებს. სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობისათვის კი სპეციალურად ააგო ხიდები, გზები... და ააშენა ფუნდუკები, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ დამოსტოვა“ (გვ. 178).

ავტორი ეხება სამონეტო საქმის მოწესრიგებას, ფულის რეფორმას, ქვეყნად გატარებულ ფინანსურ ღონისძიებებს, რომლებიც თავისი მნიშვნელობით დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს ღათმო-

ბილი უმადლესი სასამართლოს წარმოების საქმეს. დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული სამოსამართლო დაწესებულება შექმნა. მთელმა რიგმა სახელმწიფოებრივმა ღონისძიებებმა განაპირობეს სოფლის მეურნეობის დაწინაურებაც. ავტორი არც ამ დარგის მდგომარეობის შესახებ იეწუებს მსჯელობას და წარმოგვიდგენს ცალკეული სახეების განვითარების ღონეს.

სამეფო ხელისუფლების მიერ გაწეულ კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებაც მსჯელობა ნაშრომის ბოლო გვერდებზე. დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული მთელი რიგი კულტურული ღონისძიებების გატარება. საქართველოს სამეფო კარის მიერ განხორციელებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნები შეიხო ცხოვრების ყოველ სფეროს. ავტორის მახვილ თვალს არ გამოერჩენია ამ ღონისძიებათა შესახებ მსჯელობა.

ნაშრომს დართული აქვს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ქრონოლოგია, აქვს რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე. აქვეა პირთა

და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი. წიგნი დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, ამასთანავე იგი ხელმისაწვდომი და გასაგებია ფართო მკითხველისთვისაც. წიგნი მხატვრულ-ტიქნიკური თვალსაზრისით გაფორმებულია მაღალი გემოვნებით, თითოეულ თავს ყველგან წინ უძღვის ეპიგრაფად შესაფერისი ადგილები დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან თუ სხვა წყაროებიდან, რაც უფრო მეტად იზიდავს მკითხველს და მეტ ინტერესს აღუძრავს ამა თუ იმ თავისადმი. წიგნი ილუსტრირებულია. აქვეა დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის მონასტრიდან, გელათის ზედი და სხვ.

რ. მეტრეველმა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის მთელი რიგი პრობლემების კვლევა-ძიების შედეგების მაღალი გემოვნებით ფართო მკითხველისათვის მიწოდებით ჰეშმარიტად კარგი საქმე გააკეთა, მით უფრო, რომ ქართველი მკითხველი არაა განებივრებული მშობლიური ისტორიის საკითხების ასეთი მიმზიდველი ფორმით მიწოდებას.



ზურჩილება

ნიკო ანდრონიკაშვილი

აღამიანის პროზაზე ილია ჭავჭავაძის პროზაზე

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმი თვითობრივად ახალი ეტაპია ლიტერატურის განვითარების გზაზე. ერთი უმთავრესი ნიშანი ამ სიახლისა არის აღამიანისაღმდეგ ახლებური დამოკიდებულება, მისი ხატვის ახლებური მეთოდო-

გერ კიდევ აღორძინებისა და XVII საუკუნის ეპოქების მიჯნაზე მხატვრული შემეცნების განვითარებაში დაიწყო გამოკვეთა გარდატეხამ, რომელიც გამოიხატა მხატვრული შემეცნებითი მეთოდის რადიკალურ შეცვლაში — რეალიზმის დამკვიდრებაში. მხატვრულმა შემეცნებამ დაინახა აღამიანში, როგორც თავის ობიექტში, არა ინდივიდი, არამედ პიროვნება — ინდივიდის სოციალური სახე, რომელსაც იგი იძენს ონტოგენეზში. ამგვარი ახალი მსოფლგაგებისათვის აღამიანის სული არის ბუნებით *tabula rasa* და მხოლოდ აღზრდა აქცევს ინდივიდს იმად, რაც ის რეალურად არის, ესე იგი კონკრეტულ პიროვნებად. მხატვრულ შემეცნებას ამდენად აღარ შეეძლო დამაყოფილებელიყო აღამიანის ერთხელ მოცემული ტიპით და უნდა მიეშრათა სოციალურ გარემოში აღამიანის ფორმირების თავად პროცესის შესწავლისათვის.

ახალი ტიპის რეალისტური ლიტერატურა ყალიბდებოდა XVII-XVIII საუკუნეებში ევროპულ ფორმად ბიოგრაფიულ-აღმწერლობითი რომანის სახით, რომელიც ენაცვლებოდა, ერთი მხრივ, სათავგადასავლო-პიკარესკულ, ხოლო მეორეს მხრივ, სასიყვარულო-ფსიქოლოგიურ რომანს. ახალი ტიპის რომანში, რომელიც აღამიანს განიხილავს, როგორც სოცია-

ლური გარემოს ფუნქციას, უნდა გამოიშვა ვეპულიყო ახალი სტრუქტურა, სადაც აისახებოდა ინდივიდის სოციალიზაციის თავად პროცესი. XIX საუკუნის მწერლებს ჩამოუყალიბდათ რეალისმისათვის კლასიკური იმგვარი წყობა თხრობისა, რომელშიც ტიპური ხასიათები, როგორც განმარტავდა ენგელსი, გამოიზრდებოდნენ ტიპური გარემოებიდან და ორივე შემთხვევაში ტიპიურობა გაგებული იყო როგორც სოციალური და ისტორიული წარმოადგენლობა.

ამაშია არის იმ ახალი შემოქმედებითი მეთოდის აღამიანისაღმდეგ დამოკიდებულებისა, რომლის უმაღლესი მიღწევებიც განხორციელებულა სტენდლისა და ბალზაკის, დიკენსისა და თეკერის, გოგოლისა და ტოლსტოის, დოსტოევსკისა და ჩეხოვის შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძე ჩვენში ამ ახალი შემოქმედებითი მეთოდის მაშამთავარია. მის შემოქმედებაში კარგად ჩანს ის ტენდენციები, რომლებშიც აღამიანისაღმდეგ ახლებური მხატვრული მიდგომა, მისი განვითარებაში ჩვენებარა წინ წამოწეული. ამ მხრივ, ვფიქრობ, ილიას „გლახის ნაამბობი“ ხანიშუთოდ უნდა ჩაითვალოს, როგორც პირველი წარმატებული ცდა ახალი მეთოდის მხატვრულ ნაწარმოებში განსახილველად. ნაწარმოების გმირები იმთავითვე მოცემული ხასიათები, უცვლელი სტერეოტიპები კი არ არიან, არამედ აღზრდის პროდუქტებს წარმოადგენენ, გაბროსა და ღათიკოს ხასიათების, მათი პიროვნული თვისებების ხატვისას უმთავრეს როლს თამაშობს უკვე არა წინასწარ მოცემული სქემა (კეთილი — ბოროტი, ბატო-



ნი — უმა) არამედ ის სოციალური გარემო-
პირობები, რომელშიც იზრდებოდა დათავის და
გაბროსი. „გლახის ნაამბობა“ გარკვეული თვალ-
საზრისით, აღწერის რომანია, სადაც პიროვ-
ნების ჩამოყალიბება ცხოვრებასთან შეჭახება-
ში, მისი ავ-კარგის შეცნობაში და ილუსტრირა-
ვან განთავისუფლებაში (ილუსტრირა მსხვერვე-
ლი), ხდება. პირველი ეტაპი გაბრიელის აღწ-
რადში, ეს არის ტრადიცი; გაბრიელი უმად
გაუჩინა ღმერთს და იგიც ისე იზრდება, რო-
გორც უმას შეეფერება. ის პრივილეგია, რო-
მელიც მას სხვა უმებთან შედარებით ერგო
(ბატონის „მეგობრობა“, თანშეზრდა) ტრადი-
ციის ფარგლებს არ სცილდება — ისინი
რად ხდებოდა მისი პიროვნების ჩამოყალიბება;
რომ იგი უუქველად უნდა გამსდარიყო თავი-
სი ბატონის ერთგული, მორჩილი და ყურმოქ-
რილი უმა. გაბრიელი თავისი აღზრდით, ვარე-
ში პირობებით, ტრადიციით, და რაც უკველზე
სამხილავია, საკუთარი მრწამსით განწყობილი,
იყო მონობისათვის, მაგრამ მის ჩამოყალიბე-
ბას სხვა გზის მისცა მღვდელთან შეხვედრამ —
ესაა მეორე ეტაპი გაბრიელის აღზრდაში;
მღვდელმა პირველად გააღვიძა მის გულში ადა-
მიანური თვითშეგნების ნაპერწკალი — „რაც
უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის
შვილები“... „იმის სიტყვებმა ძალზე ჩამაფიქ-
რეს — იგონებს გაბრიელი — და მას შემდეგ
თუნდა ჩემი სულითამბუთავი ყოფილიყო, თამამად
ოვალს გავუსწორებდი“. სწორედ ამ სიტყვე-
ბით შთაგონებული აღუდგა გაბრიელი დათი-
კოს წინ თავისი ადამიანური ღირსების დაზა-
ცავად, როგორც სწორი სწორს.

მღვდლის სახე ერთგვარად განყენებული,
აბსტრაქტული სიკეთის სახით წარმოგვიდგება,
მაგრამ ილიას მღვდელში ღვთიური სიკეთის
საწყისი განმანათლებლურ დიდაქტიკასთანაა
შერწყმული. უუქველია, მღვდლის განმანათლებ-
ლური ჯიშის უმთავრესად ილიას პიროვნების
გამოხატავს, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია
მთელისა ილიას ერთიან კონცეფციაში, სადაც
მღვდელი ავტორისეული იდეების რუპორი კი
არ არის, არამედ ეტაპია, რგოლია მთლიანი
ქაჭავაძის გმირის აღზრდის, მისი პიროვნების
ჩამოყალიბების გზაზე. მღვდელი აღვიძებს
გაბრიელში ადამიანობას, აქცევს მას კაცად—
პიროვნებად, მაგრამ იგივე მღვდელი უძლუ-
რია გაბრიელს ადამიანური ბედნიერება მოუ-
ტანოს. „რამ მივიყვანა ამ დღემდე? — ჰკით-
ხა შეწუხებულმა ბლაღოჩინმა.

— იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისა-
გან გულში გვინთავს, როგორც შენ ერთხელ
მიბრძანე. მე ესე მგონია და სხვისა კი არ
ვიცი, მაზიარე შენი ჭირიმი!

ბლაღოჩინი ხაცოლავად გახდა: გაფითრდა,
ნაცრისფერი ღაღიუ სახეზედ, ენა ჩაუფარდა,
სიტყვა მოეჭრა, თითქოს თითონ იყო ამის სა-

ცოდაობის მიზეზი. ხმა ვეღარ გასცა გლახას,
ხმა! არეულმა დაიწყო ზიარებისთვის მზა-
ლება“.

უღმრთელი ცხოვრების ლოგია ამარცხებს
მღვდლის „სიკეთის ფილოსოფიას“, იგი ვერ
უძლებს ცხოვრების გამოცდას და უპირვე-
ლესად იმიტომ, რომ ადამიანური ღირსების
გაღვიძებასთან ერთად უნერგავს გაბროს აბსტ-
რაქტულ წნეობას, მოყვასისადმი სიყვარულს,
სათნოებას და მრავალ სხვა „სიკეთეს“, რაც
ბუნებრივია „ვეფხისტყაოსნის“ ანაღლებულ,
ასოციალურ რაინდულ სამყაროში და აბსო-
ლუტურად შეუთავსებელია სოციალურ და
ათასგვარი სხვა უსამართლობით განსწავლულ
რეალურ ცხოვრებაში: „გლახის ნაამბობის“
ვარიანტში — „კაკო“ — ილია წერს: „ბევრჯერ
წაიკითხა კაკო და გადაიკითხა, „ვეფხისტყაო-
სანი“. თანდათან უფრო და უფრო ესმოდა,
რასაც კითხულობდა; და როცა უფრო ბევრი
ესმოდა ვიდრე არა, მაშინ დაიწყო თავისთვის
გახსილვა, თუ ასწორებდა რასმეს თავის თავში,
რუსთაველის გმირების ყალიბით ასწორებდა,
იმიტომაც კაკო გამოვიდა ბოლოს იმისთანა
რომანტიკული კაცი, როგორც იხილავთ თავის
დროზედ“. რომანტიკულობა აქ სწორედ იდეალ-
სა და ცხოვრებისეულ რეალობას შორის გან-
ხეთქილებას ნიშნავს; შემთხვევით არ წერს
ილია „კაკო კი სულ მუდამ დასტოვდა თა-
ვის იდეალის აღსრულებას, არ იცოდა კი ბე-
დი ბოლოს რარიგად შეუბრალდებლად მოატყუ-
ებს“.

ამრიგად, მღვდელთან ურთიერთობისა და მი-
სი მეშვეობით „ვეფხისტყაოსნის“ ზიარების
ხანა არის ერთი მხრივ, განმანათლებლური პე-
რიოდი, რომლის შედეგია გაბრიელის „თეო-
რიული განსწავლა“, ადამიანური თვითშეგნე-
ბის გაღვიძება, მისი სულიერი სამყაროს გამ-
დიდრება და მეორეს მხრივ, რომანტიკული
ილუზიის პერიოდი, რომელიც საბოლოო გამ-
ში ისევ პირველთაა განპირობებული. გაბრი-
ელი, ფაქტურად ხომ დასაღუპავად განწირუ-
ლი უღლეური ჰომონკულუსია მღვდლის მიერ
შექმნილი და არა ცხოვრებიდან ამოწრდილი
ადამიანი, მყარად, ორივე ფეხით მიწაზე მდო-
მი (სიეთი, როგორიც გიორგი იქნება). „მაღლი
უფალს... — დაიწყო გლახამ ახლა კი მწუხა-
რებით, მაგრამ მზიარულად — ჩემი სული თურ-
მე შენ გლოდებია ესლა ნუგეშით და იმედით
მოცუდებია... მაზიარე, შენი ჭირიმი, შენის
მადლიანის ხელითა. შენგან ანთებული სანთე-
ლი შენ ხელში უნდა განვქრე, ცოტადა მაქვს
სიცოცხლე, მაზიარე“.

ილია ჭავჭავაძე თანაუგრძნობს გაბრიელს,

ნიკო პანდონიკაშვილი
ადამიანის პრობლემა ილია ჭავჭავაძის
პროზაში



მაგრამ გაბრიელი არ არის ილიას გმირი მასი ამბოხიც და მისი მონანიებაც „რომანტიკულია“, მისი ბრძოლა სამართლიანობისათვის, რაიმე იდეალისთვის კი არ წარმოებს, არამედ შეუღებულ თავმოყვარეობის დამაყოფილებსათვის, შურისძიების გრძნობითაა განპირობებული და როდესაც შურისძიების გრძნობა დამაყოფილებულია, მის ცხოვრებას აზრი ეკარგება, უმეზღო და ფუჭი ხდება: „დათიკოს მოკვლის შემდეგ მე იმ არეშარემი ყოფნა ძალიან გამძინელდა. ძალიან გამიხშირეს ღევნა, მეც იქ აღარა შევტეებოდა რა და სწორადაც გათხრათ, უჩაღლობაც მომწყინდა. ჩემი ხელობა არ იყო როცა უილაჯობით კაცს ვძარცვავდი, ერთს ვაი-ვაშლია გამოვივლიდი ხლმე. ჩემ თავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი. ვერ დავშორილა ჩემი გული ავკაცობას, თუმცა ბევრი ავკაცობა ჰქონი, ვერ შევეჩვიე, ვერა, ბოლოს გადაწყვიტე, რომ გავვარდები შორს საითმე ჩემის ხელის ამაგით ლუქმა პურის, როგორც იქნება ვიშვინა და მინამ ჩემი აღსასრული მოვა, იმით დავირჩენ თავს-მეთქი. სხვა ამ ქვეყნისა მე აღარა მინდოდა რა, და აღარც მერგებოდა-რა: ამ ქვეყანაში მე წილი არაფერში მედო“. გაბრიელი ინდივიდუალისტია, მას ამოქმედობს პირადი, კერძო იმპულსები და არა საზოგადოებრივი, საქვეყნო იდეალები; გაბრიელი არ არის ძლიერი პიროვნება მოწოდებული „საგმირო საქმეებისთვის“. მისი ბედნიერებისათვის მუდროო ოჯახში მშვიდი ცხოვრება სახვების საქმარისი იქნებოდა; ამ თვალსაზრისით მის რომანტიკულობას გარკვეული სენტიმენტალური იერი დაჰკრავს, მის გარშემო გამეფებული უსამართლობა გაბრიელის მხოლოდ პასიურ აღშფოთებას, უკმაყოფილებას იწვევს. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც უსამართლობა პირადად მას შეეხება, იგი შედგება იმ გზაზე, რომლისთვისაც არ არის მოწოდებული. „არ ვიმეტებდი, თორემ აგრევე იყო ჩემის ხელისგან გასანთავებელი, ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიყვირს, რომ ამ მართლად მუდრად ქვეყანაზე კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეყრა და მიწასთან გაეწვრობინა. შენ რაღას აკეთებდი, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეთებდი? ეგა მკითხე და გამკიცხე კიდევ. გული მეც მემდვრეოდა, მაგრამ ჩემი გაუბედობა, თუ იმისი სიყვარული, ჩემს გულს იმორჩილებდა, იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადავხირონით ის მე არ ჩამომეტალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევიპუე“.

გაბრიელი იმ ჭურის გმირებს ენათესავება, რომლებიც მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდნენ ასპარეზზე და თან მოიტანეს მამარი ადამიანური თვითშეგნება, სუსტი და დამარცხებისათვის განწირული, მაგრამ სულის

ხილმიდან მომდინარე ინდივიდუალური პიროვნება. ეს ის ეპოქაა, როცა ცრუ-სიბრძნის მიმართულება იცემოდა ევროპაში და იბადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება, რომლის წარმომადგენელი შეიქმნა ბოლოს დიდი შილერი; როცა გამოჩნდა მეტე თავის ვერტერი, ბერნანდენ დე სენ-პიერი თავის „პოლ და ვირგინიით“, ჟან ჟაკ რუსო თავის „ელეოზით“, მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუ-სიბრძნის მიმართულებით დათრგუნვნილი, მწერალნი მივარდნენ შინაგანად ახალშობილს პოეზიის მიმართულებას: მაგრამ პირველად ვერ იცვნეს ვერც მეტეს ვერტერი, ვერც ელიოზა ჟან ჟაკ რუსოსი და პოლ და ვირგინა ბერნანდენ დე სენ-პიერისა: ამათში სენტიმენტალური სული მოესმათ, ეგ სული მიმდევართა მისთა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლად...“

ილიას სიმატები ამ ეპოქის მწერლობისადმი (რომელსაც ის რომანტიკულს უწოდებს და რომელიც ლიტერატურის ისტორიაში აღინიშნება როგორც სენტიმენტალური, შტურმერული, წინარე-რომანტიკული), გამოწვეულია იმით, რომ მან ნადავლი შეუმზადა მე-19 საუკუნეს, რომელმაც „მაგარს საფუძველზედ დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზე არ უნდა იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი... მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ზნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა საწყო მომდგრებად გადააქცია“. სწორედ ამ მოძღვრების გამოძახილია „გლახის ნაამბობი“ და კონკრეტულად გაბროს სახე.

რაც შეეხება დათიკოს, აქ საქმე გვაქვს, ჩემის აზრით, უფრო რთულ ფენომენთან. იგი არ არის გაბროს უბრალო ანტიპოდი, უბრალოდ ბატონი, მწავრელი, ტიპი — უარყოფითი პერსონაჟი (რაც ასე დამახასიათებელი იყო ზემოაღნიშნული პერიოდის ლიტერატურისათვის). მისი ხატვისას მწერალი გაურბის სქემებს, შტამებს, მისი პალიტრა მდიდარია და მრავალფეროვანი. ამ მხრივ, დათიკო ერთი ყველაზე უფრო რეალისტური ტიპია ილიას შემოქმედებაში. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმპრემ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელის ერისაც გინდა იმ ერის კაცს იცნობ, იბიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან, ადამიანი ყოველთვის ყველგან უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება. ფალსტაფი ისეთივე



შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამ-
ლტრი, ოტელო, ტარტილი, ავთანდილი და სხვა-
ნი ამისთანაი დღის შემოქმედებისა ძალით
შექმნილი. რამოდენადაც მწერლის შენაქმედე-
ბის ძალი სწვდება ამ ზოგად კაცობის ტიპსა,
იმოდენად ნაწარალი დღელია, იმოდენად მსოუ-
ლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერთი, რომელსაც
ეკუთვნის ამისთანა მწერალი თავისი სამკაუ-
ლით ავსაზინებს, თავისი საფერავით აფერხვით-
ნებს პოეტს, ყოველ ხატს, ყოველს ნამოქმე-
დარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მართო სამ-
კაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება
ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია
და არა კერძო, და რომელიც მართო თავის
საკუთარს კანონებს ექვემდებარება“.

მას შემდეგ, რაც სოციალურმა პროგრესმა
მიგვიყვანა პიროვნების გაოვლენამდე, — სა-
მართლიანად აღნიშნავს მ. კაკანი სტატიაში
„ლიტერატურა როგორც ადამიანთმცოდნეობა“,
— მანამდე, ვიდრე საზოგადოება არ იქნება
რეორგანიზებული იმგვარად, რომ პიროვნების
ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება იქოს
საზოგადოების მთავარი მიზანი, ადამიანის
ფორმირება ხდებოდა არათანაბრად — ცალმ-
ხრივად შრომა ამ პირობებში იქცეოდა ერთი
საზოგადოებრივი ჯგუფის ხვედრად, მეორისა —
სოციალურ მარგინალიზებული როლი, სამეცნიერ-
ო შემეცნებითი — მესამესი და იდეოლოგიური
მეოთხესი. შრომის საზოგადოებრივი დაწესი-
ლის სისტემა იწვევდა იმას, რომ ადამიანი იქ-
ცეოდა ნაწილობრივ ადამიანად, ცალმხრივად
განვითარებულ და მყარად მიჯაჭვულად რომე-
ლიმე პროფესიაზე (ანდა უსაქმურობაზე, რომ-
ელიც აგრეთვე იქცეოდა თავისებურ პროფე-
სიად, ისევე, როგორც აზარტული თამაში, სი-
ამოვნებათა ძიება და სხვა).

საზოგადოებაში, რომელიც კლასობრივ ან-
ტაგონიზმზეა დამყარებული, არასოდეს გაჩე-
ნილა და არც შეიძლება გაჩენილიყო მოთხოვ-
ნილება მთლიანი, მრავალმხრივი, ჰარმონიულად
განვითარებული ადამიანის, როგორც პიროვ-
ნებისა: ამგვარ მთლიანობაზე და ჰარმონიუ-
ლობაზე შეიძლებადა მხოლოდ ოცნება, რეა-
ლურად კი უსამართლოდ ორგანიზებული სა-
ზოგადოება სპირობებდა სწორედ ცალმხრი-
ვად, დისჰარმონიულად, არათანაბრად განვითა-
რებულ პიროვნებას. ხელოვნება გვეხმარება
ადვილახოთ პიროვნების ეს ტიპი ყველა მის
მოდიფიკაციებში და ამით გავაცნობიეროთ
მის დამბადებელ სოციალურ ურთიერთობათა
არანორმალურობა.

მ. კაკანის აზრით, პიროვნების სტრუქტუ-
რის არათანაბარ ფორმირებას მქონდა უმთვე-
რესად ორი წყარო:

1. ჰიპერტროფიული განვითარება ამ სტრუქ-
ტურის ერთ-ერთი კომპონენტისა, რასაც დანარ-
ჩენების დათრგუნვამდე მიეყვარათ;

2. ერთ-ერთი მისი კომპონენტის ატროფი-
რაც აგრეთვე იწვევს მთლიანობაში აღტან-
პიროვნების სტრუქტურისათვის დამატულ შე-
დეგებს.

სახეთა გალერეაში, რომლებიც რამდენიმე
საუკუნის წინათ შეიქმნა, არიან ისეთები, რომ-
ლებიც საოცარი „სიცოცხლისუნარიანობით“
გამოირჩევიან. ყოველი ახალი თაობა მკითხ-
ველებისა აღიქვამს მათ არა როგორც მხატვ-
რული შემოქმედრობის რელიქტებს, არამედ
თავის თანამედროვეებს, ნახულობს რა მათში
იმ პრობლემის ანარეკლს, რომელიც აღელვებს
მას, ანდა სისხლხორცეულად მნიშვნელოვანია
მისთვის. უფრო მეტიც, არა მართო მკითხვე-
ლი მასა, არამედ შემდგომი ეპოქის ხელოვან-
ნიც სისტემატიურად უბრუნდებიან ამ სახე-
ებს და ქმნიან მათ ახალ და ახალ ვარიაციებს.
ამასთან, რა თქმა უნდა, ყოველთვის ხდება
გარკვეული „ინტერპრეტაციული“ ძვრა. ამ სა-
ხის არსის ინტერპრეტაცია რადაცაა ძირეუ-
ლად იცვლება, მაგრამ სახის ტიპოლოგიური
ბირთვი (ე. ი. მასში პიროვნების გარკვეული
ტიპის ნოდელირება) რჩება ინვარიანტული. ამ-
გვარი სახეების რიგში უწინარეს ყოვლისა, ახა-
ხელეგენ დონ-კიხოტს, დონ-ჟუანს, ჰამლეტს და
ფაუსტს. მელეტინსკი მათ „საუკუნო სახეებს“
უწოდებს, რომლებიც მთელიყოფი პარადი-
მების დარად თავად იქცნენ თავისებურ ნიმუ-
შებად შემდგომი XVIII-XIX ს. ს. ლიტერა-
ტურისათვის. ეს მოდელები შეიძლება განხი-
ლულ იქნეს როგორც მოდელები პიროვნების
სტრუქტურის გარკვეული „მუტაციებისა“,
რომლებიც პროდუქტია დისჰარმონიული სოცია-
ლური წყობისა; ყოველ მათგანში გამოკვეთი-
ლია ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთი
ფორმის ჰიპერტროფიული განვითარება, რომე-
ლიც უეჭველად არღვევს პიროვნების არქიტექ-
ტონიკას და რამაც არ შეიძლება არ მავიუ-
ვანოს ტრაგიკულ ან ტრაგედიკურ შედეგთან.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ყოველივე
ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია,
რომ დათიკოს სახე წარმოადგენს სწორედ დონ-
ჟუანისებური მოდელის ვარიაციას.

კვლავ კაკანის ფორმულირება რომ გამო-
ვიყენოთ — დონ-ჟუანის სახის ფილოსოფიუ-
რი ხილრმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ
არის გულგრილი ლოველისი, ანგარიშიანი
„ტკბილი მეგობარი“, არამედ ადამიანი შეპყ-
რობილი დაუცხრომელი ჟინით ურთიერთობი-
სა, რომელიც გამოვლენილია ეროტიული
სწრაფვით.

როდესაც ვლაპარაკობთ დონ-კიხოტზე, დონ-
ჟუანზე, ჰამლეტზე ანდა ფაუსტზე — მათ კლა-

ნიკო ანდრონიკაშვილი
აბაშიანი პრიპლემი ილია ზავაძის
პროზაში

სიკურ ნიშნუშებზე, — ისინი წარმოდგენიან, როგორც ძლიერი ხასიათები მიუხედავად მათი ცალმხრიობისა; საქმე იმაშია, რომ ამ სახეებში წარმოდგენა ბურჟუაზიული საზოგადოების გარიჟრაჟის ეპოქა, რომელიც, როგორც ენგელსი ამბობდა, საჭიროებდა ტიტანებს და შუა კიდეც ტიტანები, ხოლო, როდესაც კაპიტალიზატური განვითარების მრუდი ქვემოთქენ დაეშვა, პიროვნებათა ნელ-ნელა დაკარგა ის ენერგია, რომლითაც ის იყო დამუხტული. ამჟერად მისი უთანაბრო განვითარების დამახასიათებელ წყაროს წარმოადგენს არა ჰიპერტროფია, არამედ ატროფია. შესაბამისად ზელოვნება აწეწებს ახალ მოდელებს — მოდელებს უსუსური ადამიანებისას, პათოლოგიურად დეფორმირებულს იმის გამო, რომ მათ აბსოლუტურად დამკარგეს პრაქტიკული მოღვაწეობის (მაგალითად ოლთოში, თათქარაძე), ანდა გარკვეულ სამყაროში, მოვლენებში გარკვევის (კავთას „პროცესის“ გმირი იოზეფ კ.) ანდა საერთო კომუნიკაციის უნარი (ბეკეტი და სხვ.), რაც შეეხება დათიკოს, იგი ჩვენის აზრით, შეპყრობილია ხორციელი ტკბობის „დონ-ჟუანური“ წყურვილით. დათიკოს „ავიჯნა“ უზარალო ფინანსობა არ არის განმეზღვრებული კაცისა, არც დაუსჯელობაში დარწმუნებული ბატონის მსუნაგობაა. აქ, ჩვენის აზრით, არის სწორედ ის დონეჟანური ვნება პიროვნებისა, რომლის დიდი ცხოვრებისეული ენერგია, სიცოცხლის ხალისი, ამ მხრითაა გამაზვიდებული, რადგან სხვაში ვერაფერში უპოვია გამოსავალი. სხვა ფასეულობები დაბნეულია მისთვის. აი, რას ამბობს გაბრიელი დათიკოს შესახებ: „ყველაფერში კი ყმაწვილი კაცი იყო: მშვენიერი სანახაობისა, გულუხვი, გულმარდი, გულმედი და ვაჟკაცი. თოფისა და იარაღის სწარებაში იმ ძარბაზედ იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბაღულ ცხენზე შეჯდებოდა ყელმოღერებული, ალვის ზესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფრით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა და იმ სენმა იმას, ისე არ აწვო, როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და ამისთანებში ნამუსგარეცხილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულისწადილისათვის არაფერს და არავის დედირებოდა. არაფერს არ ითავილებდა, არაფერს და არავის დაწოვავდა: ყველაფერს და ყველას ზიადე გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაივლიდა მე მგონია, ის უბედური თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისტანტში — ასეთი თავდაუჟერელი იყო, რაკი პირწყლიანს დაინახავდა, ბევრს გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის შვილს თავზე ლაფი დაასხა (კურსივი ჩვენია — ნ. ა.). სხვაფრთხი კი, დეტრთმა კი მოგცეთ, კარგი ის იყო“. რო-

გორც ვხედავთ, აქ, ლაპარაკია არა იმდენად მსუნაგ მებატონეზე, რამდენადაც ხორც, თავშეუყავებელი ვნებით შეპყრობილ ადამიანზე, რომელიც არამდეგით თავის ყმა გლეხებს, არამედ „მავისთანებში თავის ნათესავსაც არ დაინდობდა“ და „ბევრს კაი ოჯახის შვილს თავს ლაფი დაასხა“. ის, რომ დათიკო და გაბრო მწერალმა განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა — დაუხსლოვია ერმიანეთს ერთმანეთი შეაყვარა, ჩემის აზრით, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აქედან მხოლოდ ერთი მარტივი დასკვნა გამოვიტანოთ, — რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული ზღაპარია, რომ ბატონ-ყმობას შუა სიყვარულის ზიდი არ გაიდება“, რადგან ბატონი, თავადიშვილი, „კარგი რა არის ავი რა იყვეს“. „გლეხის ნამაზობაში“ კონფლიქტი გაცილებით უფრო ღრმა არის, რადგან აქ სოციალური კონფლიქტის გარდა, მის გვერდით წარმოდგენილია წმინდა ადამიანური, პიროვნული კონფლიქტი — ხასიათების კონფლიქტი. გაბროს მიერ ჩამოყალიბებულ დათიკოს დახასიათების ლოგიკას თუ მიეყვებით, იგი ისევე მოიქცეოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ზაზე — ყმა თუ თანასწორი. ამაშია დათიკოს ხასიათის თავისებურება — მისი დონეჟანურობა: დათიკო ერთი ყველაზე რეალისტური პერსონაჟი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. იგი გარკვეულ მომხიბლობასაც არ არის მოკლებული, არის მასში რაღაც რაინდულიც (ისევე როგორც ტრადიციულ დონეჟანში). დათიკო ისევე, როგორც გაბრო (და უფრო მეტად) უკვე ხასიათია და არა სქემა, ამიტომ არ შეიძლება მწერლის ეთიკური, სოციალური თუ სხვა შეხედულებების მარტივად, პერსონაჟთა საქციელის მიხედვით ჩამოყალიბება — დათიკო ბატონია, გაბრო ყმა, დათიკო უარყოფითი პერსონაჟია, გაბრო — დადებითი, მწერლის სიმართლებაც გარკვეულია — ილია ბატონყმობის წინააღმდეგია, იგი თანაუგრძნობს გაბროს და გმობს დათიკოს საქციელს.

ამგვარი დასკვნა, ალბათ, პრიმიტიული იქნებოდა თვით დიდაქტიკურ-განმანათლებლური ნაწარმოებებისთვისაც, მით უმეტეს, რომ საქმე გადაქცეულა უაღრესად ღრმა ზელოვნებას, რომელსაც ჩვენთვის სოციალური ტრაქტატის წაკითხვა კი არ უნდა, არამედ ცხოვრებაში ღრმად ჩანებდა, მისი ხილრმისეული წვლამა. რა არის მიზეზი იმ ტრაგედიის, რომელიც თავს დაატყდა ამ ნაწარმოების გმირებს. აი მთავარი საკითხი, რომელსაც ილია სვამს თავის რომანში, — „ვინ არის დამნაშავე? — პასუხი, ცხადია, ერთია — სოციალური წყობა, სისტემა, რომლის მსხვერპლინი არიან გაბროც და დათიკოც, რომელიც კახტური სენით არის შეპყრობილი (დონეჟანურობა) ხომ თავდაპირველობის პრივილეგიაა და მხოლოდ მე-20 სა-



უკუნეში ხდება მისი დემოკრატიზაცია). დათიკოც აღზრდის პროდუქტია, მისი ხასიათის ჩამოყალიბება მისი წოდების შესაფერისი აღზრდის შედეგად ხდება. ილია ძუნწად, მაგრამ გარკვევით მიანიშნებს მასი აღზრდის ფორმებზე: „კი მოგეცათ, კი ბავშვი ის იყო პატარაობისას... როგორც მოგესხენებათ, მამის ერთა ბავშვის ამბავი, მეტი გაწვადებული რამ იყო“. ხოლო „გლახის ნაამბობის“ ვარიანტში დათიკოს აღზრდა-ჩამოყალიბების ამბავი საქმოდ ვერცხლდება წარმოდგენილი, რომელსაც ავტორი ამჯერად კომენტარს უკეთებს:

„ასე იზრდებოდა კოლა, ასევე იზრდება ყოველი ქართველის შვილი, რომელიც შინავე დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლას მონაძლედ წარდგენისას და თავის უბედურობისას. საწყალ დედას კი ფიქრად არ მოუვა ესა... უნდა პი ვსთქვამ, რომ ცაქმითი და ცაქმადი კოლა იყო ძალიან ნიჭიერი და გონიერი ბუნებით; ვინ იცის ჩემო მკითხველ, რა კაცია გამოსულიყო იმის სხვა საზოგადოებაში და სხვა რამე შინაშე გაზრდაში; ვინ იცის რა სახელს დაიბეჭდება იმე თაბის სიკვდილის შემდეგ; ესა პი... მამარამ ეს მამარ იყო... ბავშვი კიდევ სხვა რამ არის საბრძოლველ ჩვენს უფარულ ცნობრებაში (ხაში ჩენია — ნ. ა.). შინაურ „აღზრდას“ დავაშა კიდევ „დამნაზის აღზრდა“, რომელშიც „სრულიად დააჭერეს ჭაბუკი გული კოლასი, რომ კაცი სხვა კაცის ხაუბედურად უნდა სცხოვრობდეს. რასაკვირველია, ამ საზოგადოებაში ყოფნაში შეაძლება სწავლა კოლასა და აუტრედა გული, აბა რაღას ისწავლას, რაც პირველ დღესვე ნახა იმის შემდეგ... მერე საწყალ გონიერ ყმაწვილს, რომელმაც რუსული იწიცი არ იცოდა, რუსულად უბნინდენ და რუსულად ასწავლიდნენ; დიდი ქვეყანა პედაგოგები კოლას უნიჭობას და ზარმაცობას აწერდნენ და სხედნენ, სხედნენ და სხედნენ საწყლესა ამის გამო“.

სწავლაზე და სასწავლებელზე გულაცრუებული კოლა ამხანაგთა ცუდ წრეში ხვდება და აქ მთავრდება მისი „ადამიანად ჩამოყალიბება“: „აქ გაიყვანა სრულიად კოლა; რაც საბავშვოა იქნებოდა ქალაქში, სულ აქ მოხდებოდა ხოლმე; კოლას ჭერ სრულიად სძაგდა ესე ყოველი, მერე ცოტა-ცოტად შეეჩვია და ბოლოს თვითონაც დაემსგავსა იმას, რომლის ჩოფაც უწინ დასაწავადაც ეძებოდა. ეგრე წახდა საუკუნოდ ჩვენი კოლა, ნიჭიერი, მხეველი, გონიერი და ეჭვირე ყმაწვილი“.

„გლახის ნაამბობის“ ძირითად ტექსტში ეს დაწვრილებითი აღწერა დათიკოს აღზრდისა აღარ არის; აქცენტი, აქ გაბრძნო აღზრდაზეა გადატანილი, მაგრამ ის რომ დათიკოც აღზრდის პროდუქტია, ილია აქაც გარკვევით მიგვანიშნებს. მაგრამ აქ საინტერესოა მეორე

ამბავი, როგორც აღვნიშნეთ დათიკოც აღზრდაში ტიპია; ხოლო დონ-ჟუანოზში ნავს ადამიანური ენერგიის ერთი კონკრეტული მიმართულებით პიპერტროფიულ განვითარებას, დონ-ჟუანი მხოლოდ ერთგული სიამოვნებისაკენ, თვითდაკმაყოფილებისაკენ მიიწოდვის, რადგან სხვა ღირებულებები მისთვის არ არსებობს. ასეთივეა დათიკოც. მისთვის არ არსებობს საკუთარი ადამიანური ენერგიის, ძალის, თუ გნებავთ, ნიჭისა და უნარის გამოვლენის სხვა ასპარეზი, ხოლო დათიკოც რომ ამ კეთილი თვისებებით აღჭურვილია, ამას ილია არაერთგვის სინანულით მიანიშნებს და აქ ისმის კიდევ ერთი კითხვა — რამ განაპირობა დათიკოს დონ-ჟუანოზში? საზოგადოებრივ-ეროვნული, წინაპრული ფუნქციის მოშლა და ერთგული ტკბობის მორევში გადაშევა? აქ ილიას ვფიქრობ, სოციალური მოტივის გვერდით ეროვნული მოტივიც შემოაქვს. აქ ჩანს „მგზავრის წერილების“ ავტორი.

დათიკოც დროის, ეპოქის პროდუქტია, რომელმაც მას „მშვიდობა“, ანუ „უქმობა“ „სხვინით ცხოვრება“ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებაზე ზრუნვა არგუნა, ამდენად დათიკოც ეროვნული ტრადიციის გამოხატულებაა, ასეთივეა ლუარსაბი, მხოლოდ მისი „დონ-ჟუანოზში“ უკვე ატროფირებულია და ბოზაზისა და ჩალაღაჩის სიყვარულით შემოიფარგლება. თავდაპირველ ვარიანტში ლუარსაბი დათიკოს მამად იყო წარმოდგენილი. მაგრამ ილიამ შეცვალა ეს თავდაპირველი ჩანათქმობა — ლუარსაბი შემდგომი ეტაპისა დათიკოს, დეგრადაციის უფრო მაღლად საფეხური. თუ კი პირველს ჭერ კიდევ აქვს რაღაც ადამიანური თვისებები (როგორც აღვნიშნეთ გარკვეულ სიმაპიზასაც იწვევს მკითხველში), ლუარსაბში საერთოდ ჩამოვდარა ყოველივე ადამიანური, მისი ყოველი ცხოველურ და მხეველური. უსაქმობის, სიამოვნებისაკენ სწრაფვის — როგორც ადამიანური თვისებების — პიპერტროფია აქ ადამიანური სასიცოცხლო ენერგიის სრულ ატროფიაში გადადის. ლუარსაბის სახით წარმოდგენილია ადამიანის ოვითგანსხვებება; ყოველგვარი ადამიანური გრძნობა ჩამოვდარა მასში ან და საცრად დეფორმირებული. ილია გასაცარი რეალისტური ძალით გვიხატავს ლუარსაბის სახე. ესა სატირა ღრმა და დაუნდობელი, ლუარსაბი ზოგადი ტიპია, „ნიმუში“ როგორც ილია წერს, მაგრამ საოცარი ცხოვრებისეული სიმართლით აღწერილი, ნამდვილი და უტყუარი. ლუარსაბი წყნარი, მშვიდი და უწყინარი პიროვნებაა, მაგრამ სწორედ ამ უწყინარობაში, ამ უშაქისობაში არის ის საშინელი ტრადედია, რომელიც ამჯერად უწყინარი წევრებისა

ნიკო ანდრონიკაშვილი
ადამიანის პრობლემა ილია ჭავჭავაძის
პროზაში

გან შემდეგარ საზოგადოებას მოეჩვენა. ამ თვალ-საზრისით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა, რომელიც 1861-63 წლებშია დაწერილი და, სადაც ილია სწორედ იმ პრობლემებს აუენებს, რომლებსაც შემდეგ „კაცია-აღამიანი“ და „გლახის ნაამბობში“ წყვეტს. მოთხრობა დიდი ხნის ფორმითაა აგებული.

„...ყოველ ცუდს გამოაშკარავება უნდა, საქვეყნოდ გამოჟენა.

— რისთვის?

— სხვათა საზიზღრად.

— ნუთუ ეს არის თავი და ბოლო კაცის მოქმედებისა?

— მე მგონია.

— სრულებით შემცდარი ხართ, საზიზღარი არის იმისათვის, ვისაც უთქვენოდაც განწმენდილი აზრია აქვს, ამგვარ ხალხს თქვენი გამოუენა არ უნდა. ცუდი თვითონ საზიზღარი არ არის: ჩემის ფიქრით, ცუდი და კარგი ქვეყანაზე თავისთავად არ არსებობს. მგონი, თუ მესხიერებამ არ მიღალატა, შექსიარი ერთ ადგილას ამასვე ამბობს და უმატებს, რომ კაცის აზრი არის — ერთი საგანი ცუდი და მეორე კარგი.

— მაშ თუ ეგ მართალია, თქვენ მტყუანი ხართ, იმიტომ, რომ განიცხვია, ესე იგი გამოუენა ცუდისა, კი არ უნდა, კაცის აზრის განწმენდა უნდა. ესე იგი ყოველი ჩვენგანი იქამდინ უნდა განვითარდეს, რომ მის გონიერებას საკუთარი საზოგადოებას მიჰყვოდეს. აი მოვლანი. იღვანეთი ღუმელტიკვეთულნი განმციხველნი.

— განიცხვია ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლითაც აღამიანს შეუძლია მაგ განვითარებადინ მისვლა.

— კაცის გამძარცველს, ანუ კაცის მკვლელს დაუხატებ მისი ავტოკობის სურათი, განწმენდება გონება!.. იმისთანა სურათს სომ ვერ დაუხატავთ, რომელსაც იგი თავისთვისა შექმნის ხოლმე და ყოველთვის თვალწინა აქვს, რატომ არ ეზიზღება თავისი ხელობა?

— იმათთვის განიცხვის ძალა არა აქვს, ისინი სწელენ არიან ჩვენს შორის. იმათ წაშლია უნდა. ხოლო იმათი სიცულის გამოუენა სხვას შეაყენებს.

— თუმცა მე ეგ არა მწამს, მაგრამ მაგაზე დაგვიანებით. ახლა გადავიდეთ იმ წრეზე, რომლის განიცხვაც თქვენ ჩვეულებად ვავიხდით. თქვენის აზრით, თქვენი განიცხვია იმ წრეს ვერ გასწორებს, როგორც ცუდს კაცს მისი ცუდის საქმის გამოუენა. ახლა ერთი ეს მიიხაროთ, მაშ რაღასთვისა ჰქიცხვავ? რომ სქვანი შევაყენოთ, მეტყუით მე. რაზედ უნდა შევაყენოთ?

— რომ ის ცუდი არ მიითვისონ, რაც თან სდევს იმ წრესა.

— არ შეიძლება დამისახელოთ ის ცუდი?

— უქმობა, ფართოფერობა, ქადაგებულობა

და ყველაფერზედ მაწებელი — სხვისი ცნობა.

— ქადაგებულობა და ფართოფერობა ყველა კაცის ჭირია საერთოდ და განსაკუთრებით თქვენისთანა კაცებისაც. უკაცრავად კი არ ვიყო.

— ნურას უკაცრავად. თქვენს ლაპარაკის მანგს მე ყური შევაჩვიე. თუმცა ყურს ჭრის, მაგრამ გონებას ადვიძებს.

— რაც შეეხება უქმობას და სხვისი ცნობებისა, ამაზე აი რას გეტყვით, უქმნი თავიდან ბოლომდინ ყველანი ვართ. სხვისი ცნობების ყველას გვიყვარს. არც ერთზე და არც მეორეზედ თქვენ უარი არა თქვათ. ჩემის ფიქრით, შრომა კაცის ბუნებას ეჭავრება და სიამოვნებას, სიტყვობებს კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა, ერთი მხრივ იბრძვის შრომის სიძულვილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი.

— არა, შრომა — ცხოვრებაა, ცხოვრება — სიამოვნებაა.

— ეგ მარტო ლამაზი ფრაზაა. ჩემის ფიქრით, მე კიდევ ჩემს აზრს მივუბრუნდები. რომელიც არ გამოითვება, უნდა იმაზე დამეთანხმონ, რომ შრომა კაცის ბუნებას სძულს, ეს სიძულვილი ასეთი ძლიერია, რომ მე მგონი, კაცი ამოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ედებოდა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საქმეობის შესახებლად. მაგრამ აი საქმე რაში მდგომარეობს. სიამოვნება, რომლისთვისაც კაცი იბრძვის, რომლისთვისაც თვისთა შეუძლებელ შრომას კისრულობს, ის სიამოვნება უნდა კაცობრიული იყოს, აზრით და ზნეობით სავსე. მართალია ის წრე, რომლის განიცხვაც თქვენ ჩვეულებად გამხდარა, იმ სიამოვნებით კმაყოფილია, რაც მას გარს ახვევია, დანაშაულობა იმათი მხოლოდ იმანია, რომ კაცობრიულს, ესე იგი უმაღლეს სიამოვნებას, როგორც ზრუნვას მოყვასისათვის. მოქმედებას სხვის კეთილდღეობისათვის. შევლას ქვეყნიერობის ფეხის წინ წადგამია არა სცნობენ. არა სცნობენ იმიტომ, რომ მეცნიერების სინათლე არ მოხვედრია მათ და თავისი სიამოვნება — ჰამა-სხამა, ტანსაცმელსა და მეგლისობის იქით ვეღარ გადაუცილებიათ. განვანათლეთ, აღვამადლეთ, განვვიწმინდეთ და ჩავიხსნეთ დიდნი სიამოვნებანი და მაშინ დამერწმუნეთ, გულბელდაკერუთი არავინ გაათუქებს ცხოვრებასა. რამდენადაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, იმდენად მასში ძლიერია ბეგობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება, შრომა კაცსა სძულს, მაგრამ აუცილებელია, რამდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერი ღვთის-კერძ კაცისა, იმოდენად შრომა, როგორც გზა-მომავალ სანატრელ საგანადინა, ხა-



ლისიანია მხოლოდ მაშინაც შეიძლება
 ლმე შრომას და უკეთესად და
 როცა იგი მიუყვება დიდ საგანსა
 ქე საგანია. რომლის მიღწევაც ადამიანსათ
 არის უმაღლესი სიამოვნება. ხალხს მივცეთ
 სურვილი არამცთუ დიდი კაცობრივის საგნის
 მოპოვებისა, და შრომას იგი სურვილი არამც-
 თუ წართმევს ყოველ მას, რაც კაცს შრო-
 მში სძულს, არამედ თვით შრომას, თავის-
 თავად სიძულვილსა დიდი საგანი სიამოვნებად
 ხდის. მარტო ამით აიხსნება ის საკვირველი
 ღვაწლი და შრომაში და ჭაფაში ჯანის დაღუ-
 ვა, რომელნიც უკეთეს კაცთა ცხოვრებაში
 წაგვიტოხავს. წინ გამოსატული საგანი სცდომის
 სიამოვნებად შრომასა. თავისთავად უსიამო-
 ნოსა. ეს არის ჩემი აზრი. ამას მერმე, მგონი,
 უბრალოდ და „მკითხველ რატომ ნიმი წრის
 ხალხსი არა შრომობს. იმიტომ არა შრო-
 მობს რომ საბანი არა ბაშს. ცურხები ჩვე-
 ნია — ნ. ა.) იმ მცირედს საგანს, რომელთაც
 იგინი იოლად მიიღან მცირედით შრომითაც ად-
 ერილად პოულობენ რიდასთვის იშრომონ? შრო-
 მა ღონისძიება, მისაღწევად რისაღნი. ეგრე
 რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნებო-
 და და თქვენის აზრით იგივე ნაცარქექიობა
 ვითარცა შრომა ცხოვრება იქნებოდა და ის
 ცხოვრება — სიამოვნება... იმისთანა ხალხი,
 რომლის გამოსატულობაც უამთ ვითარებით
 უმაღლესი საგნებიდან მარტო ჭამა-სმაზედ
 დამდგარა, ანუ, რომელსაც მცირე საგნებიდაც
 გონება მძლავრ ვერ აუცილებდა ის ხალხი უფ-
 რიო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა.
 ან რად გინდათ, რომ მაგ წვრილმან საგანთა
 მისაღწევად იშრომონ, ეგ ნაცარქექიობა იქნება.
 სხვისით, ცხოვრობენო, მართალია. ეგ არის
 ცხადი საბუთი იმათის უღონოობისა, შეუძლებე-
 ლობისა. ჩემი კანონია: უღონო შებრალები და
 ნუ გაიცხავს.

— მაშ თქვენი აზრით შებრალებასედა უნ-
 და დადგეთ და ქვეყანა თავისთავად გასწორ-
 დება.

— ეხლანდელი მცონარე და უქმობით სავსე
 ყაწვილკაცი დიას ვაიხარებენ, რომ ეგრე
 იყოს. მაგრამ არა ბატონო, თქვენს სიხარულს
 ფრთები მოეკვეცება, როცა ვიტყვი, რომ
 ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავ-
 ლა უნდა, ქვეყანას გაზრდა უნდა. თუ რამ შე-
 გძლიანთ იმოქმედეთ? ჩემის აზრით ეს არის
 მთელი ესთეტიკური ტრაქტატი, სადაც ილია
 ჭავჭავაძე განმანათლებლურ მსოფლმხედველო-
 ბას უპირისპირდება, — მსოფლმხედველობას,
 რომელიც კადაგებდა მანკიერების, პორტუგის
 გაკითხვას და ამგვით მის გამოსწორებას, ცალ-
 კეულ პიროვნებებზე ზელოვნების (უმთავრესად
 თეატრის) გზით კეთილსიმყოფელ შემოქმედე-
 ბას. ილია, გარკვეულის თვალსაზრისით, ხსნის
 დანაშაულის თავის გმირებს, რადგან ისინი მან-
 კიერი საზოგადოების მსხვერპლად მიაჩნია.
 ამიტომ ილიას კრიტიკა მიმართულია არა

ცალკეული მანკიერი ადამიანების (დათიკობის,
 ლუარსაბების) წინააღმდეგ, არც იმდენად მანკი-
 ელსა, თავდაწანაურობის წინააღმდეგ, არამედ
 მანკიერი საზოგადოებრივი წყობის, მასა
 ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. ამ პატარა
 ტრაქტატში ილია იმედს საზოგადოების პროგ-
 რესზე ამაყებს, რაც „ქვეყნის გონების გახს-
 ნაში“, „ქვეყნის სწავლაში“, „ქვეყნის გაზრ-
 დაში“, „დიდი საგნის გაჩენაში“ გამოიხატება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილია როგორც
 ზემოთმოყვანილი საუბრიდანაც ჩანს, თავის
 „კაცია-ადამიანი“ გარკვეული თვალსაზრისით
 უპირისპირდება რანდენიმე თავის წინამორბედი
 ან, ლუარს სწორედ, ლუარსი თანამედროვე
 ნწერლის მსოფლმხედველობას. „კაცია-ადამი-
 ნი“ გარკვეული აზრით პაროდიია, გაშარებულია
 გ. რჩულიშვილისა და ლ. არღვანიას „სენ-
 ტიმენტალური“ მსოფლგაგებისა. მათი გმირე-
 ბის ლტოლვა წყნარი, მშვიდი ცხოვრებისაკენ,
 სოფლის მუდგრძობაში, ჩიტების ვულტურულში
 და ნაკადულების ჩუხჩუხში, მათი მისწრაფება
 საკუთარი შეურწმომის კარგად მოწყობისა და
 პირადი ზედნიერებისაკენ თავის პაროდიულ გა-
 მოხატულებას პოულობს ლუარსაბ თათქარიძე-
 ხა და კენინა დარქვანის „ბედნიერი“ ცხოვ-
 რებაში.

ხუთ სხვა გმირები არიან ოთარაანთ. ჭერი-
 ვი და გიორგი, ეს ის ხალხია, რომელთა შრო-
 მა ილიასი არ იყოს „აზრითა და ზნეობით
 სავსე“ და მასხადამე, სიამოვნებითაც, მაგრამ
 ამავე დროს ილია იმასაც გვიჩვენებს, რომ არც
 ამგვარი გმირების ცხოვრება ზედნიერი, ოთა-
 რაანთ ჭერივიც და გიორგიც თავისი ბუნებით,
 თავისი ხასიათით შეაშბოხებები, პროტესტან-
 ტები, ძლიერი ადამიანები არიან, ისინი არავის
 დაანაგვრინებენ, არავის მოუხრიან თავს, ზი-
 ლული მტერი მათ ვერ მდარიავენ. მაგრამ
 მათი ტრავმია იმაშია, რომ ხილული მტერი,
 მნავრელი არ ჩანს. არის რაღაც ობიექტური
 ძალა, რომელიც ერთნაირად თრგუნავს. იქუ-
 რობს, იმორჩილებს როგორც გიორგისა და
 ოთარაანთ ჭერივს, ისე კესოსა და არჩილს.
 ოთარაანთ ჭერივში პიროვნების ამბოხის შე-
 საძლებლობა მოხსნილია, მოხსნილია არჩევანის
 შესაძლებლობა: მორჩილება თუ ამბოხი. ილია
 ხტავს ისეთ სიტუაციას, სადაც კერძო პიროვ-
 ნებას ადარა აქვს შესაძლებლობა პროტესტისა
 (როგორც ეს გაბრიელ შედელ), გარემოება ფა-
 კტალური ძალით აწვებს პიროვნებას, უსპობს
 მას ყოველგვარი აუტორიტეტის შესაძლებლო-
 ბას. ინდივიდუალური პროტესტი შეუძლებელი
 ხდება. იქნება სიტუაცია, რომელიც მთელი
 საზოგადოების კარდინალურ, ტოტალურ ცვლი-
 ლებებს მოითხოვს, ეს ახალი ეტაპია, წინაგა-
 დადგმული ნაბიჯი ილიას მსოფლმხედველო-
 ბაში, აქ ყველაზე თვალნათლივ ჩანს ძველი
 ცხოვრების კრახის აუცილებლობა. ილია ჭე-
 ვაძაძე რეალიზმის უმაღლეს საფეხურს აღწევს.

ზურაბ ჭკარაძესთვის

„გაუცხოება“ ლიბერალურსა და ხალხურსა — მისი არსისა და განაწილის საკითხისათვის

ბერძნულ ბრძოლას აქვს პიესა „კაცი კაცია“, რომელსაც პირველ „ეპიკურ“ პიესას უწოდებს. ამ პიესის შესავალსა (1927) და „შენიშვნებში“ (1931) ავტორი ლაპარაკობს მხატვრული ჩვენების მანერაზე, რომელიც „ჩვეულის უჩვეულოდ, ნაცნობს უცნობად“ წარმოასახვს. პერსონაჟის ან მოქმედების „უცნაურად, უცხოდ მოჩვენების“ საპირობაზე ბრძოტი მიუთითებს 20-იანი წლების სხვა თეორიულ წერილებსა და თეატრალურ კომენტარებშიც. სანიშნოდ ის ასახელებს თავისივე პიესებს „კაცი კაცია“, „სამგროშაინი ოპერა“, „მრგვალოთვანები და წვრილოთვანები“, რომლებშიც „მოვლენები და ამბები, უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია მათივე საკვირველებასა და უცნაურობაში“ იმ მიზნით, რომ ისინი „ნაცნობიდან შეცნობილნი გახდნენ“. ამგვარი წარმოდგენით, თანახმად ბრძოტისა, გაძლიერდება მყურებლის კრიტიკული განწყობა („კრიტიკე პალტუნე“) ნანახისადმი და თავიდან ავიცილებთ არისტოტელური მიმეტური თეატრისათვის დამახასიათებელ ილუზიასა და „აინფილუნგს“ („გაიგივებას“, Вживание). ეს კი, მისი აზრით, აუცილებელია ახალი „ეპიკური“ თეატრისათვის, რომელმაც დიდი სოციალური მოვლენები უნდა ასახოს. რაც უფრო მეტად ანეიტურებს ბრძოტი „ეპიკური“ თეატრის თეორიასა და პრაქტიკას, მით უფრო მწყობრად აჟღერებს იგი არისტოტელური მიმეტისის, კერძოდ, „გაიგივების“ („აინფილუნგის“) საწინააღმდეგო სისტემას, რომელსაც 20-იანი წლების შუა პერიოდიდან „გაუცხოებას“ ან „გაუცხოების ეფექტს“ (V-Effekt) უწოდებს. „გაიგივება“ („აინფილუნგი“), ბრძოტის სიტყვებით, „გაბატონებული ესთეტიკის ქვაკუთხედი“ა, თეატრალური მიმეტისისა და ტრანსის საფუძველია, კონვენციონალური თეატრის ის ძალაა, რომელიც აჩლუნგებს მყურებლის აზროვნებას, აბნელებს გონებას,

აქვეითებს მის შემოქმედებით აქტივობას. ამიტომ „ადვილი მისახვედრია, წერს ბრძოტი, რომ გაიგივებაზე უარის თქმა იქნებოდა დიდი გარდატეხათეატრისათვის. შესაძლებელია უდიდესიც კი ყველა შესაძლებელექსპერიმენტთაშორის...“ ჩემი პრინციპი ისაა, რომ გაიგივების ადგილზე გაუცხოება შემოვიტანო...“ „გაუცხოების ეფექტი“ მხატვრული საშუალებებით აძლიერებს ანალიტიკურ, „კრიტიკულ დამოკიდებულებას ნანახისადმი“ — წერს ის.

„გაუცხოებას“, „გაუცხოების ეფექტს თუ „გაუცხოების ტექნიკას“, ბრძოტის მიხედვით, გამოვლენის სამი სფერო აქვს „დრამის სტრუქტურა“, სცენის კონსტრუქცია“ და „მსახიობის ოსტატობა“. მაინც რა არის გაუცხოება? ბრძოტის პასუხი ასეთია: „მოვლენის ან ხასიათის გაუცხოება უპირველეს ყოვლისა, უბრალოდ ნიშნავს იმას, რომ ამ მოვლენასა თუ ხასიათს ჩამოაცილო ის, რაც თავისთავად გახაგებია, ნაცნობია, ხარწყუნოა და შეხედო მას გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით...“ „გაუცხოების ეფექტის“ არსი შემდეგია: საგანი, რომელიც უნდა შევიმცნოთ და ჩვენი ყურადღების ცენტრშია, ჩვეულებრივი, ცნობილი, უშუალოდ ჩვენ თვალწინ მდებარე საგნიდან გარდაიქმნება განსაკუთრებულ, შესაძინებ, მოულოდნელ საგნად. თავისთავად ცხადი გარკვეული სახით გაუგებარი ხდება, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ იგი უფრო გასაგები გახდეს. იმისათვის რომ ნაცნობი საგანი შეცნობილი გახდეს, საჭიროა იგი გამოვიყვანოთ შეუმჩნეველის სფეროდან; უნდა დავარღვიოთ ჩვეულება, რომ ხსენებულ საგანს თითქმის არ ესაპირობა ახსნა-გახსნარება...“

ბრძოტი დარწმუნებულია, რომ „გაუცხოების



ეფექტი მაყურებლის დადებით, თანაგრძნობით განწყობას უძველესად გარდაქმნის კრიტიკულ განწყობად“. ბრეტის მოაქვს მაგალითები ძველი აზიური (ჩინური) თეატრის ისტორიიდან, იმომენტები ანტიკურ თეატრსა და პისკატორის თეატრს, შექსპირსა და გოეთეს, ვანტანგოვსა და მიერპოლდს, რათა დაამტკიცოს, რომ მაყურებლის კვლევით, კრიტიკული განწყობის შექმნისათვის „გაუთხრობი“ სიტუაციები უკვე არ არსებობს. ამდენად, თვით კრიტიკული განწყობაც „მხატვრული განწყობაა“, სახეობით კანონზომიერი თეატრისათვის, რომელიც ერთმანეთისაგან არ თმავს შემეცნებით ღირებულებასა და ესთეტიკურ ტკბობას, სულიერ აღზრდასა და სიამოვნებას. „კრიტიკული განწყობა, წერს ბრეტტი, არ ეწინააღმდეგება ხელოვნებას, როგორც ნაირად ფიქრობენ; იგი სიამოვნოა და ემოციურიც, იგი თვითონ არის განცდი, უმარველეს ყოვლისა — შემოქმედებით, აქტიური განწყობა. ეპიკური თეატრის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი სწორედ ის არის, რომ კრიტიკული განწყობა მხატვრული განწყობა შეიძლება იყოს...“ ამდენად კრიტიკული განწყობა არ არის მხოლოდ „ცივი და უსიცოცხლო გონების“ შედეგი, როგორც ამას „ეპიკური“ თეატრის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, ე. ი. ისინი რომლებიც, ბრეტტის სიტყვებით, უკველნაირად ცდილობენ განდევნონ გონება მხატვრული შემოქმედებიდან. კრიტიკული განწყობა, ბრეტტის გამოთქმა რომ ვისმართო, გრძნობა-გონების ისეთი „დიდი შემოქმედებითი წინააღმდეგობაა“, რომლის დროსაც „გრძნობები გვიბიძგებენ“ ჩვენ უმადლესი და ძაბვისაყენ, გონება კი წმენდს ჩვენ გრძნობებს“. ურწმუნო თამას, როგორც ბრეტტი თავის მოწინააღმდეგეს უწოდებს სოლმე, კრიტიკული განწყობის დამცველი უხსნის: „მაყურებლის კრიტიკული განწყობა (სახელობრივ, შინაარსისა და არა სპექტაკლის მიმართ) არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაღაც წმინდა რაციონალური, ანგარიშობიანი, ნეიტრალური, მეცნიერული განწყობა. იგი უნდა იყოს მხატვრული, აქტიური, სასიამოვნო განწყობა. იგი ხელოვნებაში განასახიერებს კაცობრიობის მიერ გამოშუშვებულ პრაქტიკულ კრიტიკას ბუნებისა და საკუთარი ბუნებისა...“ ამგვარად გაგებული ბუნების კრიტიკა, განმარტავს იქვე ბრეტტი, ბუნების დაუფლებსიყენ სწრაფვას ნიშნავს, ხოლო საზოგადოების კრიტიკა—რევოლუციას. „ამგვარი პრაქტიკული, სასიამოვნო და აქტიური კრიტიკა არის დღევანდელი აღმართის ფიქიკური განცდა და ამდენად ხელოვნების ახარეზიც...“ ამასვე იმეორებს ბრეტტი „ეპიკურ თეატრზე გავრცელებული და ბანალური შეცდომების მოკლე სიაში“, რომელიც სული აუ-

ნეტისაგან შედგება. მესამე პუნქტში ბრეტტი უარყოფს ბრალდებას, რომ თითქმის ეპიკური თეატრი ებრძვის ემოციებს, ერთმანეთისაგან თმავს გრძნობასა და გონებას. „მოკლე სიაში“ ვითხულობთ: „ეპიკური თეატრი კი არ ებრძვის ემოციებს, არამედ სწავლობს მათ და არ ემყოფილდება მხოლოდ მათი წარმოშობით. გონების გათმვა გრძნობისაგან ბანალური თეატრის ბრალია, რადგან იგი პრაქტიკულად უარყოფს გონებას. ამ თეატრის დამცველები, როგორც კი თეატრალურ პრაქტიკაში მკაცრადღენი გონება გამოჩნდება, მაშინვე უვირიან, გრძნობების მოსიბოა უნდათო“.

„გაუთხრობის ეფექტის“ საილუსტრაციოდ ბრეტტს ბევრი მაგალითი მოაქვს, მათ შორის რამდენიმე ყოველდღიური ცხოვრებიდან ერთ-ერთი ასეთია: გზაგარედიში უბედური შემთხვევა მოხდა. მანქანამ კაცი გაიტანა. მოძრაობა შეჩერდა. ხალხი შეიკრიბა. ერთ-ერთი მოქალაქე, ვინც უბედური შემთხვევის მოწმე იყო, შეკრებილთ უყვება, რაც მოხდა. თხრობის მანერა და ჩვენების ფორმა ბრეტტს მიაჩნია „ეპიკური თეატრის ყველაზე უფრო პირიმიტიულ სახეობად“. „ქუჩის სცენას“, როგორც ბრეტტი უწოდებს აღწერილ შემთხვევას, აშკარად გამოკეთილი, ყველასთვის შესაშენევი „ეპიკური“ ნიშნები აქვს: მთხრობელი მოგვითხრობს და გვიჩვენებს ისე, რომ მსმენელი გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნის მომხდარ ფაქტზე. მთხრობელს არც შეუძლია და არც აინტერესებს ზუსტად იმის გამოჩენა და აღდგენა, რაც მოხდა. ის გარკვეულ მოძრაობას და მინიშნებას აკეთებს, მაგრამ იცის, რომ მისი შესატყუარა ცაქმარისი არ არის და მას სიტყვიერი ახსნა-განმარტებით ავსებს. „ჩვენ მთხრობელს, წერს ბრეტტი, სრულიადაც არ ესაქიროება მისამის ყველაფერს პერსონაჟთა ქცევაში, ის ბაძავს მხოლოდ ზოგიერთ რაიებს, სწორედ იმდენს, რამდენიც საჭიროა ნათელის სურათის შექმნისთვის“. მთხრობელისათვის, ცხადია, უცხოა გარდასახვის უნარი. ეს უნარი რომ ჰქონდეს და მის საფუძველზე გაიმეოროს მომხდარი ამბავი, მაშინ ის ილუზიას შეუქმნის იქ მყოფს, რომლებიც იტყვიან: ყველაფერი ნამდვილად ასე მოხდა; როგორ ზუსტად გადმოგვცემს ყოველივეს. ეს კი დაარღვევდა „ქუჩის სცენას“ ბუნებრიობას, შეცვლიდა მთხრობელის დამოკიდებულებას მომხდარი ამბისადმი, შესაბამისად, იქ მყოფთა დამოკიდებულებასაც მთხრობელისადმი.

„ქუჩის სცენა“ თავისთავად და მთხრობელის პოზიცია, ბრეტტის აზრით, ყველასთვის გასაგ-

ზარბა მარსალაშვილი
„გაუთხრობა“ ლიტერატურასა და ხელოვნებაში — მისი არსისა და ბუნების საპირისპიროს



ზია, მაგრამ, მისივე სიტყვებით, საჭარისია „ეპიკური თეატრის ეს პრიმიტიული ნიშნუში“ სცენაზე გადაიტანო, მთხრობლის ქცევის თავისებურებანი დიდი ეპიკური თეატრის მასშტაბით წარმოადგინო, რომ „წარმოდგენელი სირთულე წარმოიშობა“. მიუხედავად ამისა, ბრეტტი ცდილობს ეპიკური თეატრის ფარგლებში კონკრეტულად გვიჩვენოს „ქუჩის სცენის“ პრინციპების მოქმედება და ამტკიცებს, რომ რთული სოციალური პრობლემების „ეპიკური“ დამუშავების დროსაც თეატრალური საშუალებებით შეიძლება ანალოგიური ეფექტის მიღება. ამიტომ არის, რომ „ქუჩის სცენას“ იგი უწოდებს „ეპიკური თეატრის სცენის ძირითად მოდელს“.

„ძირითადი მოდელის“ მხედვეთ ბრეტტი რამდენიმე დასკვნას აკეთებს. მისთვის გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ „ქუჩის სცენა“ არ წარმოქმნის ილუზიას, რაც ჩვეულებრივი თეატრის მთავარია ნიშანია. მთხრობელი მხოლოდ იმეორებს იმას, რაც მოხდა. ყველასთვის ნათელია, რომ ერთი ფაქტი, რაც მოხდა, მეორეა — მისი გაშეორება. „თუ სცენა თეატრში დაიცავს ქუჩის სცენის პრინციპს, მაშინ თეატრი აღარ დამთავს იმას, რომ იგი თეატრია ისევე, როგორც ქუჩის სცენა არ მალავს იმას, რომ ეს მხოლოდ ჩვენებაა და არა თვით ფაქტი...“ — წერს ბრეტტი.

კიდევ ერთი არსებითი მომენტი, რომელიც ორგანულად გამოჰდინარობს „ქუჩის სცენის“ შექმნის დროს, არის დროის დროს, როგორც ფაქტი, მთხრობელს სჭირდება ზოლზე ცალკეული მომენტებისა და დეტალების ახსნა-განმარტება, ზოგჯერ ჩვენებაც კი. საჭარისია, რომელიმე მსმენელმა თხრობა შეაწყვეტინოს და დამატებით შეკითხვა დასვა, რომ მთხრობელი მაშინვე გაიმეორებს ან სხვაგვარად ახლებდეს უკვე ნაჩვენებ მომენტსა და დეტალს. ასეთი გაშეორება თუ სხვაგვარად აღდგენა, ბრეტტის მტკიცებით, იქ შეუფთა შორის გამოიწვევს არა ისეთივე ინტერესს, როგორიც პირველი ჩვენების დროს წარმოიშობა, არამედ სხვაგვარს; ეს იქნება ახალი ინტერესი, ინტერესი უფრო აქტიური და კრიტიკული, რომლის მოზანია მთხრობელის ქცევის შემოწმება. გამოდის, რომ მთხრობელმა უკვე ცნობილი დეტალისა თუ მომენტის თავისებური გაშეორებით ახალ ეფექტს. განსხვავებულ შედეგს მიაღწია, რამ განაპირობა ასეთი ცვლილება? გაშეორების დროს მთხრობელმა ადრევე უბრალოდ, ჩვეულებრივად ნაჩვენები დეტალი ყველასათვის შესაძენი, საგანგებო და განსაკუთრებული გახდა. ბრეტტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთხრობელმა გაიმეორებს დროს „გაუცხოვა“ ის, რაც ყველასათვის ცნობილი იყო. ამრიგად, ცნობილისა და ჩვეულებრივის სხვაგვარად, „უცხოოდ“ წარმოდგენა ინტერესი ახ-

ლებურად გამოავლინა, კრიტიკული ინტერესი წარმოიშვა, რაც „ეპიკური“ ჩვენების ძირითადი მოზანდასახულებია. გამოდის რომ წესი „ეპიკური“ თეატრის თეატრის გაუცხოების ეფექტი სასარგებლო უოფილა ქუჩაში მთხრობელისათვისაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაუცხოების ეფექტი გვხვდება ბუნებრივი თეატრის ისეთ უოველდლო, პატარა სცენებშიც, როგორიც არის ქუჩის სცენა. ასეთ სცენებს ხომ არაფერი აქვთ საერთო ხელოვნებასთან...“ ქუჩაში უბრალო ამბის მთხრობელი, ბრეტტის გადმოცემით ჩვენების პროცესში ხშირად მიმართავს კომენტარს; ის ზოგჯერ წყვეტს იმპატივას და განმარტავს ცალკეულ დეტალებს. მთხრობელის ახსნა-განმარტებას არსებითად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც გუნდს, წარწერებსა და მაყურებელთან უშუალო გასაუბრებას ეპიკურ თეატრში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში „გაუცხოების“ ეფექტს „კიდევ უფრო მარტივი შემთხვევებიც შეიძლება. ბრეტტი მას ახასიათებს როგორც „ყოველდღიური ცხოვრების პროცედურას“ და წერს: „გაუცხოების ეფექტი ყოფითი მოვლენაა, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. მისი დახმარებით აღმანიები უფრო შეიცნობენ საგნებსა და მოვლენებს, ანდა მათ ისინი დაჰყავთ სხვების ცნობიერებაში. ამა თუ იმ ფორმით აღნიშნულ ეფექტს იყენებენ სწავლების დროს და საქმიან კონფერენციებზე“. „გაუცხოების“ მარტივი შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მაგალითად, ვინმე შეიხიხვს: „შენ ოდესმე ყურადღებით დაგინებდა შენს საათზე?“ საათზე ხშირად დამხიდავს, ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, მაგრამ შეკითხვის გამო მასზე დახედვა, — სულ სხვა იქნება. ეს იქნება შეჩვეულ საგანზე „უცხო თვლით“ დახედვა, რასაც თან ახლავს ახლებური ინტერესი, რაც აქამდე არ მქონია, შეკითხვის შედეგად, ბრეტტისებურად თუ ვიტყვით, ჩემი საათი გამოვიდა შეჩვეულისა და ბუნებრივის სფეროდან და როგორღაც უჩვეულო და განსაკუთრებული გახდა. ამრიგად, შეკითხვის შედეგად „გაუცხოების“ ეფექტი“ მივიღეთ.

მეორე მაგალითი. წარმოების ნარჩენებს ერთი ფაბრიკიდან მდინარეში ყრიდნენ. ასე გრძელდება წლიდან წლამდე. ამას ყველა შეეჩვიო, დასახლებული ფაქტი ჩვეულებრივი გახდა. მაგრამ ერთ დღეს თათბირზე ვილაც კატეგორიულად ამაზობს: თქვენ არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, რა ემართება მდინარეში გადაყრილ ნარჩენებს. ეს ნარჩენები... სიტყვის გაგრძელება აღარც არის საჭირო. ამ მომენტში თათბირის მონაწილეებისათვის შეჩვეული პროცედურა უჩვეულო გახდა. აღწერილი ფაქტი „გაუცხოვდა“, საგანგებო ყურადღების ობიექტი გახდა.

ახლა რამდენიმე მაგალითი ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროდან, სადაც „გაუცხოება“, ცხადია, ბევრად უფრო რთული პროცესია.



„გაუცხოების“ საფუძველს ბრეტტი ხედავს არა მარტო „ეპიკური“ თეატრისთვის სპეციალურად დაწერილ პიესებში, არამედ ძველი და ახალი ავტორების იმ ნაწარმოებებშიც, რომლებშიც ამ თუ იმ სახით გამოყენებულია „ეპიკური“ ფორმები თუ ელემენტები. „ეპიკური ნიშნებს“ ბრეტტი ადვილად ამჩნევს შექსპირის პიესებში. ეს ფაქტი, ბრეტტის აზრით, განპირობებულია ორი გარემოებით. შექსპირი თავისი პიესებისათვის გადაამუშავებდა ხოლმე უძველესიდან ნაწარმოებებს (ნოველას ან ღრამას) და ითვალისწინებდა პიესაზე მთელი თეატრის მუშაობას. ბრეტტის სიტყვებით, „ეპიკური“ ყველაზე ძლიერად შელავნდება შექსპირის ისტორიულ დრამებში, ხოლო მოწაფე რასაც სწორად იყენებს ინგლისელი დრამატურგი, ამლიერებს ეპიკურ საწყისს მის პიესებში საერთოდ. სწორედ „ეპიკური“ ნიშნების გამოყოფა, რომ ბრეტტი ჯერ კიდევ 1926 წელს ურჩევდა თეატრებს დაედგათ შექსპირი მანამდე, ვიდრე დრამატურგია თანამედროვე თემებს დაძლევა, ხოლო 1927 წელს საგანგებოდა მსჯელობდა „ეპიკური ელემენტებზე“ შექსპირის პიესებში (შესავალი მასკეტისათვის).

„სპილენძის ნესპიდვის“ „მეორე ღამის“ დიალოგებში ბრეტტის ფილოსოფოსი, თეატრის დრამატურგი და მსახიობი პისკატორის თეატრთან ერთად შექსპირის თეატრზეც საუბრობენ. დიალოგის პერსონაჟები, როგორც ცნობილია, ბრეტტის აზრით ვადმოგვცემენ დიალოგებში ბრეტტი რეჟისორად ისტორიკოსად უყურობს „მეფე ლირს“, „ჰამლეტს“, „რიჩარდ მესამეს“ და სხვა პიესების თითო-ორი სცენას და პერსონაჟს. ბრეტტისათვის შექსპირი, როგორც თვითონ ამბობს, დიდი რეჟისორია, რომელმაც ოსტატურად ასახა ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევა და ბურჟუაზიული განვითარების დაწყებითი საფეხურები. ამ საფუძველზე ბრეტტი ცდილობს შექსპირის პერსონაჟების დახასიათებას. საერთოდ ძველი ნაწარმოებების ანალიზის დროს დიალოგების ავტორისათვის მთავარია ისტორიზმის პრინციპის დაცვა. „მთავარი სწორედ ისაა, წერს ის, ძველი პიესა ისტორიულად წარმოიდგინო. ეს ნიშნავს: მკვეთრად დაუპირისპირო იგი ჩვენს დროს. მხოლოდ ჩვენი დროის ფონზე გამოჩნდება იგი, როგორც ძველი. ექვევობ, ამ ფონის გარეშე მისი არსი საერთოდ გამოჩნდება“.

დრამატული სტრუქტურის თვალსაზრისით ხანტერესოა ბრეტტის შენიშვნები „ვენეციელ ვაჟრას“ და „რიჩარდ მესამეზე“. „ვენეციელ ვაჟარში“, მისი სიტყვებით, ვირტუოზულადაა გადაწვეტილი ორი სიუჟეტური ხაზის გადაჯიბვა, რაც იმ დროისთვის ტექნიკური სიახლე იყო. „რიჩარდ მესამედან“ საგანგებოდაა

გამოყოფილი მეზუთე მოქმედების მესამე სცენა. დაბანაკებული მეომრები, რიჩარდის მიმართულია აჩრდილო, რომელსაც ორივე მხედარს მთავარი ძილში ხედავს და უსმენს. აჩრდილი მიმართავს მათ. სცენის მოკლე გადმოცემას ბრეტტი ასეთი შენიშვნით ამთავრებს: „გაუცხოების ეფექტებით აღსავსე თეატრია“.

„გაუცხოების ეფექტის“ კონკრეტულ შემთხვევებს ბრეტტი აღნიშნავს გოეთეს „ფაუსტსა“ (პროლოგა ზეცაში, ვალპურგის ღამე) და „ეგმონტში“ (ნიდერლანდების ისტორიული ფონი), ფოიბტვანგერის ისტორიულ დრამებსა და მეტერლინკის პიესებში, ჭოიხისა და კაცკას შემოქმედებაში, ბროიგელ-ფუროსისა და სუზანის ტალოებზე, სიურრეალისტებისა და დედაისტების ნამუშევრებში.

გოეთეს „ეგმონტში“ ადვილი გამოსაცნობია ძველი ნიდერლანდები თავისი ბაზრებითა და მოედნებით, ნიდერლანდელი — თანამთი ზენე. ჩვეულებებითა და ჩაცმულობით. ცნობილია ის ისტორიული მასალაც, რომელიც გოეთემ თავისი დრამისათვის გამოიყენა. ბრეტტი იმოწმებს გოეთეს ბოიგრაფებს და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ფაულა ნიდერლანდების ისტორიიდან „ეგმონტის“ ავტორმა გამოიყენა საკუთარი გერმანულ ნიდავზე აღმოცენებული პრობლემებისა და სუბიექტური მისწრაფებების „ობიექტივიზებისათვის“. „ამრიგად, ნიდერლანდებმა პარაბოლის ფუნქცია შეიძინა“, დახსენს ბრეტტი და განმარტავს: „გოეთეს მიერ ნიდერლანდები დაახლოებით ისეა დახატული, როგორც ბოჰმია (ზღაფე) შექსპირის პარაბოლაში და ფონი გვიანდელ არაარისტოკრატულ პარაბოლებში, ისეთში, მაგალითად, როგორიცაა „კაცი კაცია“, სადაც ინდოეთი უზრაოდელ უცხო მხარეა“.

ფოიბტვანგერი, ბრეტტის აზრით, „გაუცხოების ეფექტს“ სწორად იყენებს ისტორიულ დრამებში. თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს, დღევანდელ ისტორიას ის „აუცხოებს“ ხოლმე ძველი ისტორიითა და ძველბურთი ფონით, ხოლო თვით „გაუცხოების“ პროცესში აცოცხლებს ბევრ მიფიქრულ ფაქტსა და მოვლენას. ბრეტტის მიხედვით, ფოიბტვანგერი ასე ხატავს, მაგალითად, პრეტორას და ლეგატს, რომელთაც ზოგჯერ წარმოადგენს, როგორც „პროკურორსა“ და „გენერალს“. „ანტიკურ-რომაულ საზოგადოებრივ გარემოს მოწვევითი პრეტორი, წერს ბრეტტი, ჩვენთვის მახლობელი ხდება, ხოლო იმავე გარემოში გადაუფანდელი პროკურორი — უცხოვ-

შურაბ მარხალაშვილი

„ბათუმშია“ ლიტერატურასა და ხელოვნებაში — მისი პრესა და ბენეფიკის საპიტიზმისთვის



დებ...“ „შედეგი საბოლოოდ მიღწეულია მხოლოდ მას შემდეგ, აგრძელებს ბრეჭტ, რაც ისევ „გაუცხოების“ გამოყენებით მეფეთრად გამოიყოსა ერთმანეთისაგან პრეტორისა და პროკურორის განმასხვავებელი ნიშნები.

ბრეტის კრიტიკულ შენიშვნებში საკმაოდ ბევრია „გაუცხოების“ მავალითები მხატვრობიდან. განსაკუთრებით ხშირად იმოწმებს ის მე-16 საუკუნის ცნობად მოღვაწეობს მხატვრის პიტერ ბროაგელ-უფროსს, რომლის სურათებისა და საპატიო ადგილი უკავია მწერლის წიგნსაცაფებსა და კოლექციებში. ბრეტის საგანგებოდ სწავლობს ბროიგელ-უფროსის ფერწერულ ტილოებს („იკარუსის ჩამოვარდნა“, „ლანდშეფტი მდინარესთან მთისგან გლხობით“, „არქიანგელოზი მიქაელი“, „კოშკის მშენებლობა ბაბელში“, „შმაგი გრეტე“ და სხვ.) და გვთავაზობს შენიშვნებს, რომლებსაც ბ. ბრეტის აერთიანებს სათაურით — „გაუცხოების ეფექტი ბროიგელ-უფროსის თხრობით სურათებში“. ბროიგელის მხატვრულ კონტრასტებს, ბრეტის სიტყვებით, შინაგანი წინააღმდეგობები ახასიათებს. მავალითად „იკარუსის ღაცემაში“ იდილიისა და კატასტროფის ურთიერთობა იმგვარადაა გაღაწყვებული, რომ ერთი მეორის წარმოჩენას უწყობს სიბნ. როგორც ბრეტის წერს, „კატასტროფა ვერ ცდის იდილიას; უფრო მეტიც, უცვლელი იდილია, რომელიც პირვანდელ იერს ინარჩუნებს, მხოლოდ ოდნავ იჩრდილებს“. ასევეა „შმაგ გრეტეშიც“. ომიითა და წგრვეით გამოწვეული შიში მხატვრის შერს ხაზგასმულია თვით ომის დაწვების, ომის ფურის სახეში. ფურია წარმოადგენილია, როგორც უმწერ და შეზღუდული, მაგრამ სავანებო დაავლებით წარმოგზავნილი, ანალოგიური მხატვრული კონტრასტებია, ბრეტის აზრით, მასინაც, როცა, ვთქვათ, ფლანდრიულ ბერსაგ როგორღაც აღბეჭის მწერლის დამოპირისპირდება, ანდა თანამედროვე ევროპულ ტანსაცმელს გარკვეული მიზნით ძველი აზიურით შეცვლიან. ამგვარად დამპირისპირებაში სავნები და მოვლენები არ კარგავენ საკუთრიგს, დამასახიათებელს, თანაც ადგილდება მათი არსებითი ნიშნების გამოყოფა და წვდომა. ბრეტის აქამებს გამოთქმულ შენიშვნებს: „ასეთი სურათებიდან ერთი კი არა, ბევრი გაწყობილება გამომდინარეობს. მართალია, ბროიგელი აწონასწორებს ხოლმე წინააღმდეგობებს, მაგრამ არაბოლეს არ ააგივებს მათ. გარდა ამისა, ის არ თოშვს ერთმანეთისაგან ტრაგიკულსა და კომიკურს, მისი ტრაგიკული თვით შეიცავს კომიკურს, ხოლო კომიკური — ტრაგიკულს. ალბათ, არც ერთ მხატვარს ისე ღამაზად არ დაუზატეს ქვეყნიერება, როგორც ბროიგელს, რომელმაც ადამიანთა მისწრაფება ახე შეტრუნებულად წარმოგვიდგინა...“ ამდენად ბრეტისათვის კვლავ არსებითი მნიშვნელობა აქვს

კონტრასტული დამპირისპირების მანერას, განსაკუთრებულისა და ზოგადის წინააღმდეგობისა და კომიკურის ერთ სიდიდეში თანაარსებობას, ვინაიდან ყოველივე ეს ნაყოფიერი ნადაგი და გრცელი ასპარეზია „გაუცხოების ეფექტისათვის“.

ბრეტის „გაუცხოების“ გამოვლენის სხვა შემთხვევებსაც აღნიშნავს: „ფერწერა (მავალითად, სენსი), ბრეტის სიტყვებით, აუტრეებს, როცა ხაზს უსვამს ქურტლის ცარიელ ფორმას; „საყოველთაოდ გავრცელებულია გაუცხოების ეფექტი კომედიებში, განსაკუთრებით მდაბიო კომედიებში“ და ა. შ. „გაუცხოების ეფექტს“, ბრეტის აზრით, იყენებს ჯოისი „ჟულიენში“. სახელდობრ, მისი სიტყვებით, რომანში გაუცხოებულია როგორც წარმოსახვის მანერა, ასევე მოვლენები. მანერის „გაუცხოებას“ რომანის ავტორი „პირითადათ აღწევს ხშირი და სწრაფი გადახლებით“, როგორც მოსალოდნელი იყო. „გაუცხოების“ საშუალებად ბრეტის მაქანია დოკუმენტური მასალის შეტანა პიესაში. დოკუმენტური მასალა სცენაზე შეიძლება გვჩვენეთ ფილმის სახითაც. „მოვლენები სცენაზე გაუცხოვდება, როცა მათ უფრო ზოგადად ნაჩვენებია მოვლენები დაუპირისპირდება ექრანიდან“, — წერს ბრეტის.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ბრეტის „გაუცხოების“ ფაქტს აღსატყობს სიურრეალისმისა და დალიზმში. მატერიალისისა და სტრინდბერგის პიესებშიც. „იოჰანას“ და „დედის“ ავტორს აინტერესებს „ეფექტის“ არა გარეგნული მხარე, ეფექტი არა ეფექტისათვის, არამედ თემის რეალისტური ვაშლისა და გაღაწყვებისათვის. ამიტომ ბუნებრივია, რომ მსვეთრად მიგნას ფორმალისტურ „ეფექტს“ რეალისტური „გაუცხოებისაგან“. მოკლე ჩანაწერებშიც კი იგი ასწრებს იმის თქმას, რომ „მეტერლინისა და სტრინდბერგის მისტიკურ პიესებში გამოჩნდება ხოლმე გაუცხოების ეფექტი, რომლის მიზანია გვიჩვენოს სავნები, რომელთაც ვერ ვიმორჩილებთ და ვერც ვხსნიით...“ კიდევ უფრო უარყოფითად აფასებს ბრეტის „გაუცხოებას“ დელიზმისა და სიურრეალისმში. „სიურრეალისმში ფერწერაში, წერს ბრეტის, სავნების მისტიფიციკრებას ცდილობს. იგი ვლდებს მათ კონტექსტიდან...“ „და დლიზმი და სიურრეალისმში უკიდურესი სახეობის გაუცხოების ეფექტის იყენებენ. მათი სავნები გაუცხოების სფეროდან უკან აღარ ბრუნდებიან“ (ხაზი ჩემია — ზ. ჭ.).

სიურრეალისმზე მსჭვდომის გარძელებას წარმოადგენს „მესამე დამის“ ერთ-ერთი საუბარი „სიაღმისის შესყიდვიდან“, რომლის თემატ სწორედ „გაუცხოების ეფექტია“. ბრეტის



აქაც ადასტურებს, რომ სიურრეალიზმი ფერწერაში „გაუცხოების ეფექტს“ იყენებს, მაგრამ განსხვავებით „კლასიკური გაუცხოების ეფექტისაგან, რომელიც აძლიერებს საგნის წვდომის უნარს“, ამ სკოლის წარმომადგენლები უოველნაირად ახსენებენ ადამიანის გონებას. „ეს რთული და რაფინირებული მხატვრები ხელოვნებაში ახალი ფორმის, ასე ვთქვათ, დამწყებ ადებტებს და გვევლინებიან. ისინი ცდილობენ შეაჩერონ, მოშალონ, ააფორაქონ მხატვლის ასოციაციები, მიიყვანონ ის შოკის მდგომარეობამდე...“ საილუსტრაციოდ ბრეჰტი განიზილავს ერთ სურათს, რომელზეც გამოხატულ ქალის ხელს თითების ნაცვლად თვალები აქვს. სურათი შეიძლება გავიგოთ, ამბობს ბრეჰტი, როგორც სიმბოლო — ქალი ხედავს ხელებით, ანდა ჩავთვალოთ იმის ცდა, რომ მოულოდნელობისაგან შეცხუნდეს მხატველი. ორივე შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ შოკს, რის გამოც „ხელი და თვალი გაუცხოვდება“. ამგვარი „გაუცხოების“ შედეგად მხატველი უფრო წარმოიდგენს ხელს, ნამდვილ ხელს, რომელიც თავის ჩვეულებრივ ფუნქციას ასრულებს. იოდრე „იმ ესთეტიკურ-დეკორაციულ გამოსახულებას, რომელიც ათი ათას სურათზე გვინახავს“. სურათის ავტორი, თანახმად ბრეჰტისა, იყენებს „გაუცხოების პრიმიტიულ ეფექტს“, რომლის მიზანია სინამდვილის მისტიკურ ბურჟუაზი გახვევა და მხატვლის დეზინფორმაცია. „ასეთი ხელოვნება საზოგადოებრივი თვალსაზრისით, წერს ბრეჰტი, იმდენადაა შებოქლილი, რომ მის მიერ რაიმე ფუნქციის შესრულებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მისი ზემოქმედება ამოიწურება იმ გარტობით, რომელიც აღწერილი შოკის შედეგია“.

ბრეჰტი დარწმუნებულია, რომ „ეპიკური“ თეატრალური ხელოვნება ესთეტიკურ ტიპობას სწორედ „გაუცხოების“ საფუძველზე აღწევს. ესთეტიკური ტიპობა, ყველაზე დიდი საამოვნება, ბრეჰტის თქმით, თავისი არსით ხაზოვადობრივი ხასიათისაა. ესაა სინამდვილის გარდაქმნის შედეგად მიღებული საამოვნება, ესაა საამოვნება, რომელიც თან ახლავს გონების ტრაუმებს, აზროვნების გაქანებას, ადამიანის ძლივამოხილ სვლას, ესაა ადამიანის გამარჯვების შედეგად აღძრული გრძნობა. „მთავარი უპირატესობა ეპიკური თეატრისაა მისი გაუცხოების ეფექტით — წერს ბრეჰტი, — რომლის ერთადერთი მიზანია სამყაროს ისე ჩვენება, რომ მისი გარდაქმნა შეუძლებელია, — არის სწორედ მისი ბუნებრივობა, მისი მიწიერი ხასიათი, მისი იუმორი, უარყოფა ყოველივე მისტიკურისა, რაც უძველესი დროიდან ეგზოში დამახასიათებელია ჩვეულებრივი თეატრისათვის“.

„ეპიკური“ თეატრის მოწინააღმდეგენი „გაუ-

ცხოების ეფექტს“ გამოგონილ, ხელოვნურ ტექნიკურ საშუალებად თვლიან. მათი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ „გაუცხოება“, რომელიც ბრეჰტმა „გაიგვებას“ დაუპირისპირა და მათურბლის კრიტიკული განწყობისათვის (ქცევისათვის) არის გამისწული, თითქმის უგულვებელყოფს ადამიანის გრძნობებსა და ემოციებს. მათ ვასაგონად ბრეჰტი იმეორებს ხოლმე: „არ შეიძლება გაუცხოების ეფექტი რაღაც ციფრულ, თოჯინებისთვის მიწაშწოწილ ეფექტად მიიჩნიო!“... მსახიობის კითხვაზე — ნიშნავს თუ არა მოქმედებიდან „გაიგვების“ გამოთიშვა ყოველივე გრძნობადის გამოთიშვასაც, — „სინამდვილის შესყიდვას“ გამოყვანილი უილო-სოდოსი (ე. ი. ბრეჰტი) ასე პასუხობს: „არა და არა. ჩვენ ხელს არ ვუშლით მაყურებლის და მით უფრო მსახიობის გრძნობით მონაწილეობას სპექტაკლში. ჩვენ არაფერი ვცოტყვამს საწინააღმდეგოდ გამოვხატოთ გრძნობები და გამოვუყენოთ ემოციები. ჩვენ გვინდა მხოლოდ ის, რომ ემოციები მის მრავალ წყაროთაგან არ გამოვიყენოთ ერთერთი — გაიგვება, ანდა გადავავტყუოთ იგი დამხმარე წყაროდ“. (ხაზი ჩემია — ზ. ჭ.) შეუძლებელია არ იქნაო ბრეჰტი, რომელიც ურწმუნო თომას მიმართავს: „მხოლოდ თანამედროვე დრამის მოწინააღმდეგენი და „დრამის მარადიული კანონების“ დამცველნი ამტკიცებენ, რომ თანამედროვე თეატრის მიერ გაიგვების აქტის უარყოფა ემოციებზე უარის თქმას ნიშნავს. სინამდვილეში თანამედროვე თეატრმა ბოლო მართლმსაღმოდ გაცვლილ, მოქმედებულ სუბიექტებისტურ გრძნობათა სამყაროს და გზა გაუხსნა ახალი ეპოქის განახლებულ, მრავალმხრივ, სოციალურად აქტიურ ემოციებს“.

„გაუცხოების“ თეორიულ საკითხებზე მუშაობის დროს საგანგებო ყურადღებას იქცევენ ბრეჰტის ჩანაწერები, სულ ცხრა თვისი, გერმანულენოვანი სათაურით — „დიალექტიკა და გაუცხოება“. თენისების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ბრეჰტი აპირებდა მიღებული შედეგების განზოგადებას და „გაუცხოების“ პრინციპების უილოსოფიურ დასაბუთებას. თენისები ასეთია:

1. გაუცხოება, როგორც გაგება (გაგება — არგაგება — გაგება), უარყოფის უარყოფა.
2. გაუცხოებათა დაგროვება, სანამ გაგება არ მოხდება (რადენობრივის თვისობრივში გადასვლა).
3. განსაკუთრებული ზოგადში (მოვლენა თა-

ზურბა მარხალაშვილი
„ბაუტხეიმა“ ლიტერატურასა და
ხელოვნებაში — მისი არსისა და ბუნების
საკითხისათვის

ვის კერძოობითობაში, ერთჯერადობაში, მავრამ ტაბორიფი).

4. განვითარების მომენტი (გრძნობების გადასვლა საწინააღმდეგო ხასიათის გრძნობებში, კრიტიკა და გაიგივება ერთ სიდიდეში).

5. წინააღმდეგობრივობა (აღმართი კონკრეტული პირობებში, მოცემული ქმედების კონკრეტული შედეგი).

6. ერთის გაგება მეორეს საშუალებით (გარკვეული დამოუკიდებელი აზრის მქონე სცენა სხვა სცენებთან მომართებაში სხვა აზრითაც იქცევა უფრადლებას).

7. განვითარება ნახტომებით (ნახტომი ბუნებაში, ეპიკური განვითარება ნახტომებით).

8. წინააღმდეგობათა ერთიანობა (მთლიანობაში ექვშთ წინააღმდეგობას...).

9. ცოდნის პრაქტიკული ვარჯისიანობა (თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა).

თეზისები დაწერილი უნდა იყოს მშ-იანი წლების მეორე ნახევარში, ე. ი. მაშინ, როცა დაწერილია პირველი მნიშვნელოვანი შრომები და სტატიები „გაუცხოების“ თეორიისა და პრაქტიკაზე. „ლიალექტია და გაუცხოება“ მოწმობს, რომ ბრეჟტის „გაუცხოების“ პრინციპები მარქსისტულ-ლიალექტურ მეთოდს ემყარება. ანკარა ბრეჟტის ცდა, ლიალექტიკის ნიშნები და კატეგორიები გადმოიტანოს მსატრეული შემოქმედების, კერძოდ, თეატრისა და დრამატურგიის სფეროში. თეზისები პირდაპირი მნიშვნელობა იმაზე, რომ ბრეჟტის „ეპიკური“ დრამის სტრუქტურა და თეატრალური მოდელი დაფუძნებულია ლიალექტურ აზროვნების კატეგორიებსა და კანონზომიერებებზე. ამ გაგებით, სწორედ გამოკვეთილი რაციონალიზმია ბრეჟტის შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი თავისებულება, რომელიც მძლავრად ვლინდება „ეპიკური“ თეატრის თეორიისა და პრაქტიკაში. იგივე რაციონალიზტური საწყისი განსაზღვრავს „გაუცხოების ექვშის“ ხასიათს, „ექვშისა“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს „მეცნიერების საუფროსო თეატრის“ მძლერი ინტელექტუალური და ესთეტიკური დონე. გამოდის, რომ გარკვეული მნიშვნელობით, „გაუცხოება“ ბრეჟტისათვის არის სინამდვილის მსატრეული შემოქმედებისა და გარდასახვის დიალექტიკა თეატრისა და დრამატურგიის სფეროში.

„გაუცხოების“ ასეთ გაგებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ადასტურებს ბრეჟტის უფილი თანამშრომელი, ცნობილი რეჟისორი და მეცნიერი მანდრედეკი ვართიწაშვილი. კრებული — „თეატრი ვარლდში“ პრეცედენსი. ვეკერთი „გაუცხოებას“ უწოდებს „ფილოსოფიურ ცნებას“, იცავს მას კრიტიკოსთა თავდასხმებისაგან და

კონკრეტული მაგალითების საფუძველზე წერს: „გაუცხოება არის ძალად სფეროში მდგომარეობის მოხსნა წარმოდგენად სინამდვილესა და მათურბელს შორის. გაუცხოების საფუძველზე შესაძლებელია უფროდ მოვლენას ჩამოვადილოთ „უცხოობა“ და ამავე დროს წარმოვადილოთ მისი არის, ვუჩვენოთ თვით მოვლენა როგორც აღმართი ქმედების შედეგი, როგორც ისეთი, რომლის შეცვლაც აღმართს შეუძლია. გაუცხოების საშუალებით დაძლეული იქნა ბურჟუაზიული თეატრის მიერ აღმართული ბარიერი სცენასა და მათურბელს შორის“.

„გაუცხოება“ დრამატურგიაში და სცენაზე მოწოდებულია ხელი შეუწყოს სავნებისა და მოვლენების ლიალექტურ შემცნებას, გაზარდოს მკითხველისა და მათურბელის აქტივობა, ბრეჟტის გამოთქმა რომ ვისმაროთ, განვითაროთ „დაკვირვების ხელოვნება“, „დაკვირვების ხელოვნების“ ორგანული ნაწილია მკითხველისა და მათურბელის კრიტიკული ქცევა (კრიტიკული განწყობა), რაც აუცილებელია სავნებისა და მოვლენების სწორი ასხნისა და შეფასებისათვის. ვეკერთის კომენტარით, ბრეჟტისეული გაგება ამ ცნებისა ასეთია: „მოვლენის დაკვირვება ნიშნავს მოვლენის არა მარტო დანახვას, ისე როგორც არის, არამედ დანახვას ისე, როგორც იგი შეიძლება იყოს. ეს კი საჭიროა იმისათვის, რომ შეიცნო მოვლენა ისე როგორც ნამდვილად არის“. „დაკვირვების ხელოვნება“, ვეკერთის სიტყვებით, უზრუნველყოფს მოვლენის შემცნებას მთლიანობაში, კონკრეტულობასა და სხვა მოვლენებთან კავშირში, ცვალებადობასა და განვითარებაში. „ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენამ კი არ დამიმორჩილა მე, არამედ მე დავეუფლე მოვლენას; იგი ჩემს ხელშია“, — ვითხოვლობთ იმავე წიგნში. დაკვირვების ასეთი უნარი საჭიროა იმისათვის, რომ მკითხველი და მათურბელი „გამოვიყვანოთ შეჩვეულისა და ჩვეულებრივის სფეროდან“. უფედლიური საქმიანობის პროცესში აღმართი იმდენად ეჩვევა გარკვეულ გარემოს, სავნებსა და მოვლენებს, რომ მისთვის ისინი „ჩვეული აღქმის“ ობიექტებია და მეტი არაფერი. „ჩვეული აღქმის“ შედეგად სავანი თუ მოვლენა ნაცნობი კი არის, მავრამ არ არის ლიალექტურად შემცნებული. „სწორედ ჩვეულება, წერს ვეკერთი, რომლითაც სავანი გავიცანით, დღის დაკვირვებას და სავანზე წარმოდგენას ბუნდოვანსა და ზოგადს ხდის. სავანი ჩვენი ინტერესების მიღმა დარჩა, იგი აღარ არის ჩვენი შეგნებული აქტიურობის სფეროში“. ვეკერთი აქ იმეორებს ჰეგელის ცნობილ თეზისს, რომელსაც ბრეჟტის ხშირად იყენებს: „ნაცნობი იმპიკოში არაა ჭირ კიდევ შეცნობილი, ვინაიდან იგი ნაცნობია“.

ბერბერტ იერიწი აღნიშნავს, რომ „გაუცხოების ფორმულა“ ბრეჟტის ეკუთვნის. ეს მარ-

თალია იმდენად, რამდენადაც „გაუცხოება“ (verfremdung), როგორც ტერმინი, ამ ფორმით პირველად ბრეტტმა იხმარა. ლინგვისტიკადაც იგი ნეოლოგიკაში უნდა იყოს, იგი ბრეტტმა თავისი დრამატურგიული და თეატრალური მხატვრული სისტემის აღსანიშნავად გამოიყენა. მაგრამ, როგორც ბრეტტი მიუთითებს, ამ სისტემის ფორმები და ელემენტები, ახალი არაა. როგორც ვნახეთ, „გაუცხოების“ ფორმებას და ელემენტებს ის პოულობს ყოველდღიურ ცხოვრებასა და ძველ აწიურ თეატრში, გოეთესა და შექსპირთან, დიოპტრიკთან და ჭოსთან... აღნიშნულ ფორმებსა და ელემენტებს ბრეტტი შემოქმედებითად ითვისებს ახალი მსოფლიმხედველობის საფუძველზე, ახალი ბუნებას მხატვრულ სისტემად მარქსისტული დიალექტიკის პრინციპების მიხედვით, უმორჩილებს მათ მეცნიერების საკუთნის თეატრის მიწვევას და ამოცანებს. „გაუცხოების“ შინაარსი იცვლება და მდიდრდება ბრეტტის შემოქმედებითი მეთოდის დადგინებისა და სრულყოფის პროცესში. რაც შეეხება თვით ტერმინის ისტორიას, ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ თვალსაზრისს (ი. ფრადკინის და სხვ.), რომ იგი ფილოსოფიური წარმოშობისა და უკავშირდება „გასხვების“ (Entfremdung) ცნებას, ცნებას, რომელიც ჰეგელიდან მომდინარეობს და რომელსაც მარქსმა და ენგელსმა უკვე აღმარდელ შრომებში თვისებრივად ახალი დასაბუთება მისცეს.

ბრეტტი, რომელიც გულმოდგინედ სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმს, აკონსტატებდა მარქსის „კაპიტალს“ და ლენინის „მარტენილოგისა“ და ემპირიოკრიტიკის“ (ცხადია, კარგად იცნობდა მარქსის „1844 წლის ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებს“ და სხვა შრომებს, რომლებშიც მეცნიერულადდა ახსნილი „გასხვების“ არსი და რაობა. ასე რომ, ფრადკინთან ერთად ჩვენც ლოგოკურად მგავანია ბრეტტის დაინტერესება „გასხვების“ ფილოსოფიური პრობლემათა და ამ ცნების ენობრივი ანალოგიით სხვა ფორმისა და შინაარსის ტერმინის შემუშავება (Entfremdung — Verfremdung). სწორედ ასევე მოაქცა ბრეტტი, როცა მარქსის ცნობილი ცნება — Produktivität ხელოვნების სფეროში გადმოიტანა. ამ ცნების ბრეტტისეულ გაგებას ვეკვერთ ასე გადმოვცემს: „ეს არის ადამიანის უნარი, შრომით შეცვალოს სამყარო...“, ხელოვნების სფეროში კი „თეატრის უნარი ვეჩვენოს სამყარო ისე, რომ მისი შეცვლა შეიძლება, გაგვაცნოს ადამიანის ცნობიერება, როგორც გარდამქმნელი ძალა, თანაც ვეჩვენოს და გაგვაცნოს სასიამოვნო ფორმით.“ იქვე ვეკვერთ სწორად

შენიშნავს, რომ ამ ცნების წარმოშობა არ უნდა ვეძებოთ ესთეტიკის სფეროში. დაუბრუნდეთ „გაუცხოებას“. როგორც ზრუნავს, დიკინი ამტკიცებს, მის თავდაპირველ გაგებას (Entfremdung) ჰეგელის ფილოსოფიაში მეფეფართ. მარქსის გაგებას უფრო ვკინადელი ფაქტორია. მას მოჰყავს ერთი აღიღი ჰეგელის „სულის ფენომენოლოგიიდან“ („ნაცნობი საერთოდ, იმიტომ რომ ის ნაცნობია, შეუცნობელი რჩება. საკუთარი თავისა და სხვების მოტყუება იქნება, თუ შემცნების პროცესში რამიმ წარმოიდგენ ნაცნობად და ამით დაჰაუფილდებინა...“) და მიუთითებს ზოგადოთ შენიშვნაზე, რომლებშიც ბრეტტი ანალოგიურ აზრს გამოთქვამს. ფრადკინი იმყოფებს გიუნთერ ანდერსის ცნობას, რომ ბრეტტი „გაუცხოების“ თეორიას ძირითად წყაროდ ჰეგელის ფილოსოფიას მიიჩნევდა. მოგვიანებით, წერს ფრადკინი, აღნიშნული თეორიის დამუშავებისა და გავრმავეების პროცესში, როცა ბრეტტმა „გაუცხოების“ საკუთარი სიტყვიერი ფორმა დაჰაინა, ის უფრო ახლოს მივიდა ჰეგელთან და განსაკუთრებით, მარქსთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ დავთანხმდებით იმ ავტორებს, რომლებიც ცდილობენ „გაუცხოების“ ეფექტი მოწვევას ბრეტტის შემოქმედების იდეურ-შინაარსობრივ საფუძველს და ამტკიცონ „გაუცხოების ტექნიკის მარქსისტული საფუძველის ჰეგელიანიზმი“. ვერც იმ მკვლევარებს დავუჭერთ მხარს, რომლებიც ბრეტტის დრამატურგიას ფორმალისტურ სტრუქტურალისტური მეთოდით სწავლობენ: მით უფრო უსაფუძვლოა მტკიცება ჭონ უილდებისა, რომელიც წერს: „აჰარა, გაუცხოება“ „ცნება მომდინარეობს რუსი ფორმალისტ კრიტიკოსების ცნებებთან **применения** ანუ „გაუცხოების მხატვრული საშუალება“... საქმარისია იმის აღნიშვნა, რომ როგორც თეორია, ასევე ტერმინი ბრეტტის შემოქმედებაში გამოჩნდა 1935 წელს მოსკოვში მწერლის პირველი ჩასვლის შემდეგ. უილდის ეს მტკიცება სწრაფად გავრცელდა დასავლურ ბრეტტოლოგიაში. მისი უარყოფისათვის გავიმეორებთ მხოლოდ იმას, რომ ბრეტტი უკვე 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში მრავალჯერს ლაპარაკობს „გაუცხოებაზე“, რომელიც მას როგორც დრამატურგიაში, ასევე თეატრალურ პრაქტიკაში განხორციელებული ჰქონდა. ცხადია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ცნების ენობრივი გაფორმების დროს. შედგენილია მტკიცება იმისა, რომ ბრეტტს, „ეპიკურა“ დრამისა და თეატრისათვის მერბ-

ზუარბა მარხალაშვილი
„გაუცხოება“ ლიტერატურასა და
ხელოვნებაში — მისი არსისა და ბუნების
საკითხისათვის

ძოლს, „პოლიტიკური თეატრის“ დამცველს, „საწავლო პიესებისა“ და „ღედის“ ავტორს არაფერი აქვს საერთო ანტირეაქციულ ხელოვნებასთან, კერძოდ, ფორმალისმთან. ცალკეული მხატვრულ-სტილისტური ფორმები თუ საშუალებებიც რომ ავიღოთ, რასაც ბრეტა იუენებს „გაუცხოების ეფექტის“ მისაღწევად, მაინც არ დაგვირდება ფორმალისტების ლაბირინთებში შესვლა, ვინაიდან ძველი და ახალი ხელოვნებიდან ბრეტისათვის ცნობილი იყო „გაუცხოების“ თავისებური ნიშნულები, რომელთაც მისთვის ტრადიციის მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს ნიშნულები ჩვენ საკმაოდ ვრცლად დავახსნათ. დამატებით დავასაბუთებთ კიდევ ნოვალისა და შელის, რომელთა აზრებიც „უცხოდ ჩვენებაზე“ პოეზიაში ხშირად არის ციტირებული ბრეტის შემოქმედების შეფასებაში. უნდა ვთქვათ, რომ ბრეტმა იცოდა ნოვალისის სიტყვები: შეძლო სასიამოვნო სახით გაუცხოება, საგნის უცხოდ, მაგრამ მაინც ნაცნობად და მიმზიდველად წარმოადგენა, — სწორედ ეს არის რომანტიკული პოეზიის ხელოვნება“. ვაშობთ, უნდა ვთქვათ, რადგან თვით ბრეტის რამე მითითება ამის თაობაზე არა გვაქვს. რაც შეეხება შელის, მასზე ბრეტმა ვრცლად მსჯელობს წერილში „რეალიზტური მეთოდის სიფართოვე და მრავალმხრივობა“ (1938). ბრეტმა დეტალურად არჩევს შელის ბალადას „ანარქიის სამეფლისო სვლა“,

მაღალ შეფასებას აძლევს პოეტის ოსტატურ, რომელსაც „დიდ რევოლუციონერ ინგლისელ პოეტს“ უწოდებს. შელის პოეზიას წერილის ავტორი იუენებს კრიტიკულ გამოსვლაში რეალიზმის დოგმატური გაგების წინააღმდეგ. ამიტომ ლოგიკურია დავუშვათ, რომ ბრეტმა კარგად იცნობდა შელის დებულებას: „პოეზია საზურველს ხსნის სამყაროს დაფარულ მშვენიერებას და ნაცნობ საგნებს ისე გვიჩვენებს, თითქმის არ არიან ნაცნობი“.

„ეპიკური“ ხელოვნების განვითარებასთან ერთად ბრეტმა სრულყოფილად „გაუცხოებას“ მხატვრულ-შემოქმედებით სისტემაზაც. 1951 წელს იგი წერდა: „...ამ ხერხის აზრი მხოლოდ ის კია, რომ შენიღბო მოქმედება და ამით გააპარო რაღაც იდეა... ხელოვნებისათვის ამ ხერხს დიდი შესაძლებლობები აქვს. იგი საშუალებას აძლევს მაუურებელს თვით აღმოაჩინოს სცენაზე ნაჩვენების მნიშვნელობა და განიცადოს იგი უფრო ძლიერად და ღრმად. ხელოვნებით ტყობა ზომ სწორედ იმის შედეგად მატულობს, რომ გაძლიერდა მაუურებლის გონებრივი მოქმედება. მისწრაფება აღმოჩენებისა და ხინამდვილის გააზრებისაკენ...“ ბრეტს უნდა დავეთანხმოთ. ეს ქეშმარიტება დაადსტურა არა მარტო თვით ბრეტის თეატრალურმა პრაქტიკამ, არამედ XX საუკუნის ხელოვნებაში ინტელექტუალური ნაკადის გაძლიერებამაც.



ქართულ-ირანული ურთიერთობიდან

შპს ბაბს I ირანის ერთ-ერთი უდიდესი ხელმწიფე, ნიქიერი სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი, ამავე დროს სასტიკი, დაუნდობელი, ცბიერი პიროვნება დიდი პოპულარობით სარგებლობდა არამარტო ირანში, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

შპს აბას I-ის სახელი კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც, თუმცა კი მისი წარმოშობა ლეგენდებით არის მოცული: ზოგიერთი ზეპირგადმოცემის მიხედვით მას დედა ჰყოლია ქართველი, ხოლო XVIII ს-ის ზოგიერთი ქართული საისტორიო თხზულების მოწამებებით მისი დიდება (მამის დედა) ქართველი ქალი ყოფილა.

შპს აბას I-ის დიდების ქართველობა სარწმუნოდ მიაჩნია ზოგიერთ ქართველ მკვლევარსაც. მაგ., დოც. გივი ჭამბურია წერს: „გადმოგვცემენ, რომ შპს აბასს კარგად სცოდნია ქართული ენა (მისი ბებია შალიკაშვილის ქალი ყოფილა).

პროფ. მიხეილ სვანიძეს თავის საყურადღებო ნაშრომში კომენტარის გარეშე მოაქვს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომლის მიხედვითაც შპს ხუდაბენდეს დედა (შპს აბას I-ის დიდება) ოთარ შალიკაშვილის ქალი ყოფილა². ასეთივე აზრისაა პროფ. ლევან სანიკიძე. იგი თავის სამეცნიერო-მხატვრულ ნაშრომში ჩამოთვლის შპს თამაზ I-ის (ე. ი. შპს აბას I-ის პაპის) ვაჟიშვილებს „სულ ცხრა მირზა-ბატონი“ შვილი უცდიდა შპსის ხელმწიფურ ინსიგნებს.

აქედან ორი უფროსი ვაჟი — მოამბედ მირზა და ისმაილ მირზა — თურქმანი ისა-ბეგის ასულისაგან ჰყოლია შპს თამაზს. მომდევნო სამი ვაჟი — სულეიმან მირზა, აჰმად მირზა და ჭუჩუკი მირზა — ჩერქეზი შამხალის დისაგან.

ხოლო კიდევ ოთხი ძე — მაილარ მირზა, მუსტაფა მირზა, იმამყული მირზა და მამშულ მირზა, ხუდაბენდე — ოთარ შალიკაშვილის ასულისაგან³.

პატრიცეზული ავტორი კადმე უფრო შორს მიდის! იგი მოკლედ მოგვითხრობს შპს ისმაილ

II-ის ზეობისა და გარდაცვალების შესახებ და აცხადებს: „ამჟერად ქართველებმა იმჟღერეს და ერანის ტახტზე მოკლული მაილარ მირზას ძმა აიყვანეს — მამშულ ხუდაბენდე. იგი შპს თამაზისა და შალიკაშვილის ასულის ყველაზე უმცროსი მემკვიდრე იყო“⁴.

შემდეგ ლ. სანიკიძე ავრთხილებს მკითხველს: „დიაშხსოვრე, მკითხველო, — ხუდაბენდეს ვაჟი გახლდათ აბას მირზა, შემდგომში შპს აბასი. იგი ახლა, მამამისის გახელმწიფების ქაშს ექვსი წლისაა გამხდარიყო“⁵.

ავტორი კიდევ ერთგან იხსენიებს შალიკაშვილის ქალს როგორც მოამბედ ხუდაბენდეს დედას: „ტახტზე ხუდაბენდე შპსი იქდა, ქვასვით უძრავი და თვლებ-განლიგებული. გვერდით დედა უქდა, შალიკაშვილის ასული“, ხოლო შემდეგ პირდაპირ აცხადებს: „ერანის მბრძანებელი შეიქნა ხუდაბენდეს უმცროსი ვაჟი მირზა-ბატონიშვილი, აბას I, ანუ მსოფლიოში განსმენილი დიდი ხელმწიფე შპს აბასი (1567-1629 წწ.)“ შვილშვილი ოთარ შალიკაშვილის ასულისა⁶.

ქართული წყაროს ცნობას შპს ხუდაბენდეს დედად შალიკაშვილის ქალის მიჩნევის შესახებ უპირტიოდ იმეორებს დოც. ე. მამისთალიშვილიც. იგი, ჯ. თ. მინაღოის თხზულების მონაცემთა განხილვის შემდეგ, წერს: „მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო შპს ხუდაბენდეს დედის, შალიკაშვილის ქალის და სიმონ მეფის შეხვედრა, რაზედაც მოგვიხსრობს ბერი ეგნატაშვილი“⁷.

შემოსხენებულ მკვლევართა მოსაზრება, როგორც ჩანს, ეყარება ქართული საისტორიო თხზულებების ცნობებს, რომელთა მიხედვითაც შპს მოამბედ ხუდაბენდეს დედა შალიკაშვილის ქალია.

ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ნაშრომში (ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“) ვკითხულობთ: „ხოლო ღალაფაშამ ამოსწყევტა ყოველი სამცხე და დიამყრა ციხე სიმაგრენი.

ხოლო მემისა შპს-ხუდაბენდეს საქმე ესე და



შაჰ ზუღაბენდეს დედამ მოიყვანა, ოთარ შალიკაშვილის ქალიშვილი, მეფე სუმონ, ვითარცა წესი არს, ქართველთა დედანი ღვინაქს მოახუფებენ, და იგიცა ქართველი იყო“⁸.

იგივე ცნობა, მხოლოდ ოდნავ შეცვლილი სახით, განმეორებულია „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. მესამე ტექსტში: „და მიესმა საქმე ესე შაჰ ზუღაბენდეს. მაშინ დედამან შაჰ ზუღაბენდესამ ასულმან ოთარ შალიკაშვილისამ, მოიყვანა მეფე სუმონ და ვითარცა წესი არს ქართველთა დედათა. ეგრეთვე ყო ამაჲს“⁹.

დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფისი ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ცნობილია, აკრიტიკებდა ბერი ეგნატაშვილის „კომისიის“ კოლექციურ ნაშრომს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბერს რამეს მხოლოდ ოდნავ ცუდი და უკრიტიკოდ იმეორებდა. ასეა ამ შემთხვევაშიც. ვახუშტი წერს: „მაშინ შაჰ ზუღაბენდე ერა რისა მყოფელი, ამისათჳს დედამან მისმან (რომელი იყო ასული ოთარ შალიკაშვილისა) დაახვიე კრძალსა ღვინაქი და წარმოუგზავნა სუმონ მეფეს (ვითარცა წესი არს ქართველთა)“¹⁰.

როგორც ვხედავთ, ქართული საისტორიო ობიექტების მიხედვით ოთარ შალიკაშვილის ქალი შაჰ თამაზის ცოლი და შაჰ მოჰამედ ზუღაბენდეს დედა ყოფილა.

მაგრამ ქართულ საისტორიო ობიექტებს გარდა11, არის ამ ამბების თანადროული სპარსული წყაროები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შერეფ-ხან ბითლისის „შერეფ-ნამე“. იგი პირველნახარისხიანი წყაროა XVI საუკუნის II ნახევრის ირანის სამხარის, განსაკუთრებით კი შაჰ-თამაზ I-ის გარდაცვალების შემდგომ ირანში მომხდარი შინაღინასტიური ბრძოლის, ასევე ირანის მიმდგომი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) ისტორიისათვის¹².

შერეფ-ხან ბითლისის აქვს შესანიშნავი ცნობა შაჰ თამაზ I-ის შეიღების შესახებ. იგი წერს: „სულთან მოჰამედ მირზა და „ისმაილ მირზა შაჰ თამაზს ორივე ისაბეგ თურქმენის ქალისაგან“¹³ შერიხა, ზოლო სულთან სულეიმან მირზა, სულთან აჰმად მირზა და სულთან ჭუნეიდ მირზა — შამხალის ღისა და ჩერქეზი მხევალი ქალე-ბისაგან. სულთან მეილარ მირზა, სულთან მუსტაფა მირზა და სულთან მაჰმუდ მირზა (შაჰ თამაზს) ქართველი მხევალი ქალეებისაგან ჰყავდა“¹³.

როგორც ვხედავთ, სპარსულ წყაროში ხაზგასმულია, რომ შაჰ თამაზს ქართველი ქალეებისაგან (და არა ერთი ქალისაგან!) ჰყავდა სულთან მეილარ მირზა, სულთან მუსტაფა მირზა, იმამყული მირზა და სულთან მაჰმუდ მირზა. ამავე წყაროდან ჩანს, რომ ქართველი ქალეებიდან ნაყოლი ვაჟები ერთი დედის

შვილები იყვნენ სულთან მეილარ მირზას იმამყული მირზა. „შერეფ-ნამეში“ ვკითხულობთ: ყიზილბაშ ამირებს შორის შოჟოი და დავილარაბა, რომელიც მთელი ორმოცი წლის განმავლობაში დამცხრალი იყო, კვლავ განაბლდა, ამ შოჟოის თავადი იყო ჰოსენ-მეგ იუსუზაი, რომელიმაც სხვებთან ერთად, სახელდობრ, ალი-ხან ქართველთან და ზაალ ქართველთან ერთად, რომლებიც სულთან მეილარ მირზასა და იმამყული მირზას ბიძები* იყვნენ, ბაჰრამ მირზას ვაჟის სულთან იბრაჰიმ მირზას მონაწილეობით და წაქეზებით მეილარ მირზას გაამეფება მონღოლმა“¹⁴.

საინტერესოა, ვინ იყო მეილარ მირზას და იმამყული მირზას დედა ქართველი ქალი, რომლის ქმები იყვნენ ალიხან ქართველი და ზაალ ქართველი? საამისო ცნობას XVI ს-ის ქართულ წყაროში ვგეგულობთ. „მესხურ მატიაწეში“ ვკითხულობთ: „ქორინიქოსა სად, მთისსა იე, ღღესა სამშაბათსა ყაენი შაჰ-თამაზ მოყუდა და უსტაჟლუიანთა და იოთამიშვილ-მან ალიხან სულთან მაილარ მირზას ბატონობა მონღოლმეს“¹⁵. ე. ი. ალიხან სულთანის ყოფილა იოთამიშვილი (მაშასადამე, მისი ძმა ზაალ ქართველიც იოთამიშვილია).

ალიხან იოთამიშვილის ცნობილი კიდევ უფრო დაუსტებავც ხერხდება: ბერი ეგნატაშვილის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ნაშრომში არის ცნობა, რომლის მიხედვითაც შაჰ თამაზ I ქალი თხოვა ქაიხოსრო ათაბაგს; რადგან მას ქალი არ ჰყავდა თავისი ნათესავის ოთარ შალიკაშვილის ქალი ვაჟუგზენა ეყენის. შაჰ თამაზის ერთ-ერთი ცოლი რომ ქართველი შალიკაშვილის ქალი იყო (კერძოდ ვარაზა შალიკაშვილის და), აღნიშნული აქვს ვახუშტისაც¹⁷.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალიხან ქართველი (მეილარ მირზას ბიძა) იოთამიშვილი-შალიკაშვილი ყოფილა (მისი ძმა ზაალ ქართველი, მაშასადამე ისიც იოთამიშვილი-შალიკაშვილი). ე. ი. შაჰ თამაზ I ერთ-ერთი ცოლი, დედა მეილარ მირზასი და იმამყული მირზასი ყოფილა შალიკაშვილის ქალი, რაც შეეხება სულთან მუსტაფა მირზას და სულთან მაჰმუდ მირზას, ისინი შაჰ თამაზ I სხვა ქართველი მხევლებისაგან ჰყოლია (ამ მხევალთა გვარები უცნობია!).

მოჰამედ-ზუღაბენდე (უფროსი შვილი) და მისი მომყოლი ძმა ისმაილ მირზა შაჰ თამაზს თურქმენი ქალისაგან (ისაბეგ თურქმენის ქალი) ჰყავდა.

მოჰამედ ზუღაბენდე („ღვთის მონა“) უნაითო და ავადმყოფი კაცი იყო. ამიტომაც იგი ტახტს ჩამოაცილებს. შაჰ თამაზ I-ის სიკვდილისთანავე (1576 წლის 14 მაისი) უსტაჟლუ

* დედის ძმები იხ. Шараф-хан Бидлиси, Шараф-наме, II, стр. 229.



ტომის ამირებმა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ირანში შაჰის კარზე მოღვაწე ქართველები, მონღოლმეს დედით ქართველი უფლისწულის შეიღარ მირზას გახელმწიფება. მაგრამ ავშარის, ყაჯარის, რუმულუხ, ვარსაკის და სხვა ტომთა ამირებმა არ სცნეს შეიღარ მირზას ვამეფება; იგი მოკლეს. ამის შემდეგ ავშარის ტომის ამირებმა ტახტზე აიყვანეს თავიანთ ტომში გაზრდილი ისმაილ მირზა, რომელიც 20 წლის განმავლობაში მამის, შაჰ თამაზის მიერ კაპაქებს ციხეში იყო გამოწყვედილი. იგი უნიჭო და მკაცრი მმართველი გამოდგა. სანაიკელ მეფობის შემდეგ იგი შეთქმულებაში მოკლეს. 1577 წელს „უმაღლესმა დივანმა“ გადაწყვიტა ტახტზე აეყვანა შაჰ თამაზ I-ის უფროსი ვაჟი მოჰამედ ხუდაბენდე, რომელიც, როგორც ზემოთაღებული აღვნიშნეთ, ავადმყოფი და

უნებისყოფი კაცი იყო. იგი მოღიანად ქაჩუხუღი სი ცოლის, ყოზილბაში ქალის მამად შეიღარ გაგვინის ქვეშ იყო მოქცეული (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მაჰდი ულია იყო დედა შაჰ მოჰამედ ხუდაბენდეს ორი ვაჟისა შაჰსაისა და აბასისა — შემდეგ შაჰ აბასი I).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიპოვდა დავასკნათ:

1. შაჰ თამაზ I-ის უფროსი ვაჟის მოჰამედ ხუდაბენდეს დედა იყო ყოზილბაშური ტომიდან, ისა-ბეგ თორქემანის ქალი. იგი ქართველი, შალკავაძის ქალი არ ყოფილა.

2. მოჰამედ ხუდაბენდეს და ყოზილბაშ ქალის მაჰდი ულიას უმცროსი შვილი იყო აბას მირზა — შემდეგ შაჰ აბას I. ე. ი. შაჰ აბას I-ის არც დედა და არც დიდედა ქართველები არ ყოფილან.

შენიშვნები

1. გივი ჯამბურია, გოორგი სააკაძე, თბილისი, 1964, გვ. 17.

2. მიხეილ სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII, მეცნიერება, 1971, გვ. 155.

3. ლევან სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, განათალი, 5, ქუთაისი, 1977, გვ. 49.

4. იქვე, გვ. 50.

5. იქვე, გვ. 50.

6. იქვე, გვ. 62, 91 შაჰ აბას I (1571-1629)

7. ელდარ მამისთვალიშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, 1977, გვ. 117.

8. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 372.

9. ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 523.

10. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. კ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 411.

11. მოვიგონოთ, რომ ეს თხზულებები XVIII საუკუნეშია დაწერილი და მასხადად, შაჰ ხუდაბენდეს დროს (XVI ს-ის 80-იანი წლები) საკმაოდ დაცოცხლებული. ამასთანავე, როგორც მეოთხედილი თვით დარწმუნდა, ქართული თხზულებების ცნობის პირველწყარო ერთია — ბერი ეგნატაშვილის „კომისიის“ ნაშრომი.

12. შარაფ-ხან ბიდლისი, შარაფ-ნამე, თ. I. Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, Москва, 1967, стр. 37; т. II, 1976, стр. 22.

გამომცემლობის წინასიტყვაობა).

13. თარგმანი კ. ტაბატაძისა. იხ. აგრეთვე, შერეფ-ხან ბითლისი, „შერეფ ნამე“, II, გვ. 232 (რუსული თარგმანი). ამ ცნობას თავის დროზე ყურადღება მიიქცია და საფუძვლიანად გაანალიზა კარლო ტაბატაძე. იხ. კარლო ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-აზიოლოგიური კრებული, II, თბილისი, 1962, გვ. 175. აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა (აღბათ კ. ტაბატაძის ნაშრომის მეოხებით) გამოყენებული აქვს ლ. სანიკიძეს, მხოლოდ თავისებური გადაკეთებით. ლ. სანიკიძის ნაშრომში შაჰ თამაზ I-ის უმცროსი ვაჟი მაჰმუდ მირზა ხუდაბენდე იწოდება (იხ. ზევით), სპარსულ წყაროში კი ასე არაა და არც შეიძლება რომ იყოს.

14. კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 176.

15. სახრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961, გვ. 50.

16. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 384.

17. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 719, 720. იხ. აგრეთვე, კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 175.

მიხეილ სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII, მეცნიერება, 1971, გვ. 168.

18. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Стрелова, А. М. Белицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Ленинград, 1958, стр. 264; История Ирана, Издательство Московского университета, 1977, стр. 178.



მენიხ მითინი

კოკარედის ეპოქა

პირდაპირ მინიშნები: XX საუკუნე მეტისმეტად გრძელი საუკუნე გამოდგა. მგონი, ყველაზე უგრძესიც, აქ შეიძლებაო აგრეთვე სიტყვის ჩამოგდება მიწიერი დროის სიგრძეზეც, რამეთუ საუკუნის აგრე გაწევა დღელამის შეყუმდვის პირდაპირ პროპორციულია. თანდათან უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ადამიანს 24 საათი აღარ უფლის, რომ მოსწროს ყველაფერი, რისი გაკეთებაც სურს და სწყურია. სამაგიეროდ, არნახული სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს ეპოქალური მოვლენები, ხოლო XX საუკუნე ჭერ ზომ არ დასრულებულა, წინ კიდევ 22 წელიწადია!

ბუნებრივია, რომ პროგრესის მრავალ წარმატებას ჩვენ ვუკავშირებთ სამეცნიერო ტექნიკურ რევოლუციას — დიად რევოლუციას მეცნიერებაში, ტექნიკაში, წარმოებაში. ამ სფეროებში მოხდა რამა ბრწყინვალე ცვლილებებმა მაინა ათეულწლებით განაწყვეს იმ ერთადერთი უცვლელი და ახირებულად კუსტარული წარმოებისადმი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მხატვრულ ფასეულობათა წარმოება. ეს შენისა ჭერ კიდევ პუშკინმა, ვინც სიცოცხლეში არ მოსწრებია სტრას; პროგრესი მაშინ XX საუკუნის უკანასკნელი მესამედის საზომებით — მკრთალად თუ მოინიშნებოდა; თუმცა XIX საუკუნის პირველი მესამედის კაცობრიობა გრძნობდა: „თუ საუკუნეს შეუძლია თავისთვის წინაშიაიჭებდეს, მეცნიერებას, ფილოსოფიას და მოქალაქეობრიობას შეუძლიათ იცვლებოდნენ და ესწრაფოდნენ სრულქმნილებას, ხოლო პოეზია არ იცვლება, იგი არ ბერდება; მიზანი მისი იხვე იხა, საშუალებები იგივე. ამასობაში კი როგორც ცნებები დაბერდნენ, შრომები და აღმოჩენები ძი-

რადველი ასტრონომიის, ფიზიკის, მედიცინის და ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლები, უოველ ცისმარე დღეს მათ სველიან სხეები; ქვეშარბიტი პოეტების ნაწარმოებები კი სამარადჟამოდ წორჩი და ახალი რჩება. მხატვრული ქმნილება შეიძლება სუსტი იყოს, ზან უიღბლო და ზან მცდარიც. დამნაშავე ამაში, ალბათ, პოეტის ნიჭია და არა საუკუნე, რომელმაც წინ გაუსწრო მას“.

პუკარედის ისტორია, ჩემი აზრით, საინტერესოც არის და ჭკუისსასწავლებელიც. პუკარედმა, ალბათ, მნიშვნელოვანი როლი პირველად ითამაშა ჭერ კიდევ რუსული პოეზიის ოქროს ხანაში, ანუ მაშინ, როცა ქუკოვსკი „ოდისეას“ თარგმნიდა. მას უსარგებელია რუსული პუკარედული და გერმანული ლექსად თარგმანებით. XIX საუკუნის რუსეთში, მასხადამე, ყოფილა აუცილებელი პირობა შრომის ამგვარად განაწილებისათვის; ერთი, რამეთუ ხელი მიუწვდებოდა ორიგინალზე, და რადგან არ იყო პოეტი, აკეთებდა პუკარედულ თარგმანს ორიგინალისას, ხოლო მეორე, ენის არ მცოდნე, ხოლო პოეტის ნიჭით ცხებულდი, პუკარედს ლექსად, პოეზიად „თარგმნიდა“.

გასაგებია, რომ უფრო ძველ დროში ნებისმიერი თარგმანი უბრალოდ თარგმანი იყო, რამეთუ იგი ერთადერთი იყო; მაშინ არც პროზის და არც პოეზიისათვის პუკარედები არ კეთდებოდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველ დროში მთარგმნელი ის იყო, ვინც ენას ფლობდა.

ამრიგად, პუკარედი, ვითარცა განსაკუთრებული შორისული, ფართე საზოგადოებისათვის უცნობად შეთნილი ფორმა და სტადია თარგმანისა, XIX საუკუნის პირმშოა (ყოველ შემთხ-



ვეფსი, რუსეთში). მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში აწკარდელი დიდად არ გავრცელებულა, რადგან მაშინ ძირითადად დასავლეთევროპული ენებიდან თარგმნიდნენ, ხოლო ამ ენების ცოდნით მთარგმნელი თავდასწავრობა ბავშვობიდანვე იყო უზრუნველყოფილი.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ XIX საუკუნეში თარგმანის ხელოვნებაში დიდი წარმატებები არ გვქონია, არც პოეზიაში და არც პროზაში. ცალკეული წარმატება, თუკი იყო ასეთი, ისტემბოლა მთარგმნელობითი მაკულატურის ოკეანეში: ყველა გამოჩენილ ევროპელ მწერალთანავე რუსეთში მხოლოდ ბერანსეის გაუღიმა ბედმა დასამდვილებით. ხოლო აგრეთვე არ შეეწია იღბალი იმას, ვინც უყვარდათ და ცველანა შეეტყ, ხელახლა თარგმნიდნენ — მაინც მაინც; ვიღამ აღარ თარგმნა იგი, რომ არაფერი ითქვას იმაზე, მისი პირველი მთარგმნელი ტიუტჩევი რომ იყო.

ბოლა, ნათუ დღესაც, როცა XIX საუკუნის დასრულებიდან თითქმის 80 წელი გავიდა, ვერ გავხედვით უდავო, კეთილსინდისიერი დასკვნა გამოვიტანოთ XIX საუკუნის ყბაღმუბული მთარგმნელობითი მარცხებიდან? დასკვნა ცხადია: ორიგინალზე ხელმისაწვდომობა თურმე სულაც არ ყოფილა პირველი პირობა მთარგმნელის გამარჯვებისა. პირველი პირობა — მთარგმნელის ტალანტია. ენის უცოდნელობა, აწკარდით, შეიძლება იშვას სამარადჟამო თარგმანი; ამ კუშიარტების პირველი დასტური ყუოცვის „ოდისეა“ გაზლავთ.

ფრამდ მნიშვნელოვანია, რომ პოეზიიდან პროზაში აწკარდის გაუწავც პრაქტიკის მოთხოვნილება იყო. თეორია კი დღეშია. კრიტიკა მორცხვად გვერდს უფლიდა პროცესის არსებას. იწერებოდა ოდენ რეზულტატზე — ზელს აწერდნენ მზა თარგმანის ავტორები. აწკარდები და მათი ავტორები აკეთებდნენ რა თავიანთ საქმეს, უყვლოდ ქრებოდნენ. იყო და არა იყო რა!

რაც შეეხება აწკარდეს, ამ ბოლო დროს ძალზე შემოდას მოდამი საუბარი „იძულებით ბორკტებაზე“, მის აუცილებლობაზე, რომ აწკარდით თარგმანი ორიგინალიდან თარგმანით განიდევოს; მთარგმნელობითი კადრების საჭიროებაზე, იმათ მომზადებაზე, ვისაც ენაც ეცოდინება და ლიტერატურული ნიჭიც ექნება.

ო, ეს ძვირადღირებული უტოპიები! იმდენად ის ფინანსური ხარჯები კი არ მაღელვებს, რასაც ვერ წაუფლათ! იმ დიდი მიღწევების გამო ეშოშობ, დიდ ტალანტებს რომ უნდა ვუმაღლოდეთ, აწკარდებით რომ მუშაობდნენ და მუშაობენ. ნაცვლად მისა, რომ კვლავაც წარმატების ნაცალი გზით ვიდიოდეთ, ქედმაღ-

ლურად ზურგს ვაქცევთ მას და ახალ განაწინებულ გზებში.

მერე „ახალია“ განა? — მკითხავს შემცბარი მადანი მკითხველი. დიას, ახალია-მეთქი, მიუხედავად, რამეთუ დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება ჩვენს შინაგან თარგმანებს, ანუ სსრკ კავშირის ხალხთა ენებიდან რუსულ ენაზე თარგმანებს გარეგანი თარგმანების, ანუ უცხოენოვანი — დასავლური ენება ეს, აღმოსავლურა თუ სამხრეთული — თარგმანების საზომებით ვუდგებოდეთ. არ შეიძლება შინაგანი თარგმანების საქმე გარეგან თარგმანებში ნაცად „რელსებზე“ გადავიყვანოთ. მაშასადამე, არ შეიძლება უარყვით გზა, რომელმაც უკვე გვაგმა ისტორიული მასტების წარმატებანი.

დღემდღეობით (ასეთია ჩვენი თეორიული დონე) იოვლება, რომ აწკარდის საჭიროება ჩნდება იქ, სადაც ხელმისაწვდომი არაა ორიგინალი. ეს აზრი ძირშივე მცდარია. მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ წერილობითი აწკარდელი კეთდება ერთის მიერ მეორისათვის, ვინც არ ფლობს ენას; რაც შეეხება ზეპირ აწკარდეს, უმისოდ ვერც ერთი ნიჭით დამოუდებული მთარგმნელი ფონს ვერ გავა, თუნდაც იმ ენებიდან თარგმნიდეს, რომელსაც ფლობს.

სახელობარ და სწორედ ასეა საქმე. ჭერ კიდევ ძველ აღმოსავლელ ბრძენაკებს მიანდათ, რომ ამქვეყნად ოთხი რამაა ისეთი, რაც კვალს არ ტოვებს: თევზი წყალში, ჩიტო ცაში, გველი ქვაზე და მამაკაცი დედაკაში. თანამედროვე კრიზინალისტებს შეუძლიათ ძველ ბრძენებს თვალში ნაცარი შეაყარონ და ოთხივე კვალი აღმოაჩინონ. ზუსტად ასევე შესწევს უნარი მხატვრული პოეტური შემოქმედების თანამედროვე თეორიას აღმოაჩინოს ზეპირი, არა ფიქსირებული, მხოლოდ პოეტის ფანტაზიაში არსებული „კვადი“ მისივე ნაწარმოების აწკარდებისა.

ბოლა, აწკარდეს როდი მოუძღვის ბრალი იმაში, მოწინავე კვლევითი აზრის ეს მონაპოვარი დღემდის რომ არ ქცეულია საზოგადოებრივ საუთრებად და არ გაუქარწყლებია ცრურწმენა აწკარდის „მავნეობასა და უსარგებლობაზე“. არა. ნამდვილი, კარგი აწკარდელი სასარგებლო და აუცილებელია პოეტისათვის საკუთარს ქმნის ეს შემოქმედო, თუ სხვისას თარგმნის.

ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნის დიდმა გამოცდილებამ პრაქტიკულად უკვე თვალსაჩინო გახადა შემოქმედებათი პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლი — აწკარდის შექმნა. აი,

ჰანრიხ მიტინი
პრპარამის მამობა



რატომ მიმჩნია, რომ ჩვენ, ლიტერატორები, უფლებამოსილი ვართ, განვცხადოთ: „ჩვენ დიდი პეკარდის ეპოქაში ვცხოვრობთ!“ ისეა ღაგვრჩენია, ეს განცხადება თეორიულად შეუძლებელია.

ეგრძელ, იმის თქმა ნიშნავს, რომ ამ საქმეში ზოგან მომტანი გახდება კულტურის აღება ისეთი მთარგმნელების მომზადებაზე, ვისაც ენაც ეცოდინება და ნიჭიც ექნება. რას გვიპოვებთ იმ მთარგმნელის თაობაზე, რომელიც ენას ღერუფლებს, ხოლო ტალანტი არ აღმოაჩნდება? ხელს მიჰყოფს ასეთი ვაი მთარგმნელი „ოსტატობის“ ტალანტად გახადებას და გამოცხადებს ე. წ. „წიგნიერ“ თარგმანებს.

„წიგნიერს“ ვილა ჩივას, კადეც პედაგოგს, სიტყვასიტყვით, ბუკვალისტურს: რატომ? სწორედ იმიტომ, რომ ხელშეწყობილი ორიგინალი ძნელი, მაღალი ბარიერია ტრადიციულ მხატვრული თარგმანის გზაზე. ჩვეულებრივად, „ენობრივ ბარიერში“ გულისხმობენ ენების არცოდნას. მე კი ვფიქრობ, რომ „ენობრივი ბარიერი“ მთარგმნელის წინაშე სწორედ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიშრება ხოლმე, როცა იგი ფლობს უცხო ენას! გინდ კოსმოპოლიტურადაც გასულხარ და გინდ ღაგვრჩენი და დიდიმწიფის მარტოფლობის ძალა — წინააღმდეგობა იმ ენისა, საიდანაც თარგმნი, აქ განსაკუთრებული საწვავია საჭირო — ტალანტი მხოლოდ ტალანტის მქონე პოეტს ხელეწიფება შეხედოს ნაწარმოების ორიგინალს, როგორც მასალას ე. ი. შესწევს უნარი მისგან, თუნდაც მხოლოდ აზრობრივად, გააკეთოს პეკარდელი.

ეს თეზისი შესაძლოა ისტორიულადაც და ლინგვისტურადაც იქნეს დასაბუთებული. რიგითი მთარგმნელის უნებლიე და რაც მთავარია, გარდუილ „შეცდომადა“ იქცევა მისი მისწრაფება თარგმნის ენიდან ენაზე, მაშინ როდესაც უცხო ენა უნდა ითარგმნოს პოეტისად. როგორც კი ამგვარად დავსვამთ საკითხს, მაშინვე დღესათვის ნათელია: უნიჭოს აქ ხელი არა აქვს.

ჩემი აზრით, სწორედ ამით აიხსნება რუსული მთარგმნელობითი ხელშეწყობის აუჯავგბა XIX საუკუნის პირველ მესამედში და შემდგომ, 40-იან წლებში, მისი დაცემა. ერთიცა და მეორეც პირობადებული იყო თავად პოეზიის გაფორმებითა და დაინიებით. საქმე იმაშია, რომ თავიდანვე თარგმნიდნენ პოეტები, ისეთები, როგორებიც იყვნენ შუკოვსკი და პუშკინი. შემდგომ ისინი „შეცვალეს“ რუსეთში პირველად გამოჩენილმა პროფესიონალმა მთარგმნელებმა. რაღა თქმა უნდა, ეს მთარგმნელები ბევრ რამეში თანამედროვე თვალსაზრისით არასწორი „პრინციპები“ ხელმძღვანელობდნენ. ამიტომაც თარგმნიდნენ ცუდად. (თუმცაღა ყველა მათგანმა იცოდა: ენა, ისტორია, კულტურა და სხვა).

ნმა იცოდა: ენა, ისტორია, კულტურა და სხვა). ამ აზრს ვეთანხმები, რადგან ჩვენს წილობრივ, რისგან არის, რომ პუშკინისა და შუკოვსკისათვის ხელი არ შეუშლია რაიმე პრინციპებს? რისგან არის, რომ მათს მთარგმნელობითს ხელშეწყობას დღესაც დავესხებით ხოლმე თარგმნის „სწორ პრინციპებს“? რისგან გვჭირს, მითხარით, ის, რომ დღესაც უზღუდულად უფრო პრინციპებს ჩენი თანამედროვე პოეტების არაწყლებ ბრწყინვალე მთარგმნელობითი პრაქტიკისა? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ენის უცოდნელობა, პეკარდელი თარგმანია?

ერთხელ კადეც ხაზგასმით აღვნიშნავ: ენას როცა ფლობს პოეტი, მაშინაც ჭერ უაქვალად (უტყდება ის თავს ამაში თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა), აქეთებს პოეტურს პეკარედს. ამ თვალსაზრისით კანონი შემდეგნაირად დაფორმულდება: ყოველი თარგმანი პეკარდელი თარგმანია.

პრაქტიკა რაღას მოწმობს? საკუთრივ ყოველგვარი „ცოცხალი ცოდნა“, როგორც გოეთე ამბობდა, მხოლოდ პრაქტიკით შეიძლება. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ „ცოცხალი“ ცოდნა საზოგადოებრივ ცოდნას ამოწურავს. პირიქით, პრაქტიკის სმა — მუდამ მხოლოდ ნაწილია ტრადიციებისა. განზოგადება კი თეორიული, აბსტრაქტული გონებას პრივილეგიაა. ხოლო „ცოცხალი ცოდნადან“ თეორიულზე გადასვლა არ არის იოლი საქმე. აქ ბევრა წყაღებულა რიგითი. მნიშვნელოვანია, მაგალითად ის, რომ განზოგადებანი პრაქტიკულად ნაირ-ნაირ, წინააღმდეგობრივად კი, გაკეთილებს ეყრდნობოდეს. პოეტი მაია ბორისოვა (იხ. „დ. 5.“ 1978, № 3) თარგმანის პრობლემების გამო „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გახილ დისკუსიას რომ იხსენებს, წერს, უმეაყოფადებას ვგვრნობდი იმის გამო, უკიდურესობებზე რომ დავიხდენენო. ჩემი გამოცდილება სხვაგვარიო, ძირითადად პეკარდელი ვსარგებლობ. ვიყენებ ორიგინალსაც, ენაც რომ არ ვიცი, იმ შემთხვევაშიცო.

სავსებით სწორი ვერ არის პოეტი; თეორიული დევა ეალდებული როდია და არც შეუძლია გაითვალისწინოს თარგმანის ყველა ვარიანტი, ყველა ხერხი. ისინი იმდენია, რამდენი მთარგმნელიცაა, პრობლემა კი სხვაში ძვეს: როგორ უნდა ვეკიდებოდეთ პეკარდელი თარგმნას? არავინ და არც მე მათ შორის, არავის მოეუწოდებთ და ჭერ დებს პეკარედს. ყოველგვარი ცოდნა მის იქით, მათ შორის ორიგინალის ცოდნაც (თუნდაც ძალზე სუსტი, უბრალოდ მისი გრაფიკული სტრუქტურის დონეზე განხილვა), დიდი სიკეთია.

თავისთავად ცხადია, რომ იმათთვის, ვისაც ორიგინალზე ხელი არ მიუწევდა, სამუშაოს



საფუძვლად აწყარდი იქცევა. ეს ასეა. ხოლო რა არის სურვილის, შთაონების წყარო? მაია ბორისოვას აქაც ყველაფერი ისევ იქამდე დამყავს: „ხელში ჩამივარდა აწყარდები და გავშტერდი“. ვაი, რომ ეს მხოლოდ თეზისის ჩრდილია. სინამდვილეში აქ მხოლოდ ერთ პირად, კერძო პრაქტიკასთან გვაქვს საქმე. სახელდობრ ასე მოჰკიდა ხელი თავად მაია ბორისოვამ გერმანელი პოეტის ვასილ ლუდკოვის ლექსების თარგმანს. ეს შემთხვევა კრიტიკის რანგში რატომ უნდა ავიყვანოთ? განა პირიქით არ ხდება ხოლმე ნიადაგ? — არა აწყარდიდან პოეტისაკენ და მისი ქვეყნისაკენ, არამედ ქვეყნიდან, პოეტიდან — აწყარდისაკენ. რაო, მცდარია ეს გზა, „არლიტერატურულ“ სული-სკვეთებად ცხადდება?

ტყუილია. პოეტის ქვეყანა, უწინარეს ყოვლისა, ეს მისი შიშობლოური ლიტერატურაა. ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა ლიტერატორებისათვის. ხოლო პოეტის ქვეყანასთან და თვითონ პოეტთან ნაცნობობა უფრო ხშირად იწყება არა საქმიანო, უტოლბატარულ-გამოწოვადი ზუთხვით აწყარდებისა, არამედ თავისუფალი, უანგარო კითხვით თარგმანებისა, შენის კი არა, უკვე შესრულებულის, უკვე გამოქვეყნებული, სხვებისა, რაღა თქმა უნდა; მაშასადამე, სხვისი პოეზიისადმი ინტერესის სათავე მაინც და მაინც სიტყვა, თარგმანი ყოფილა? მოც და არაც. ყველაფერი ხდება ხოლმე. არ არსებობს ერთადერთი სწორი პრაქტიკული გზა, არამედ არსებობს შემთხვევითი, გნებავთ, სამსახურბარივი, სავალდებულო, მივლინებით ჩასვლა უცნობ მხარეში, რისი შედეგიც ზოგჯერ აღმოჩნდება არა მხოლოდ ამ მხარის და მისი ხალხის გაცნობა, არამედ მათადმი ინტერესი და სიყვარულიც მათი ლიტერატურისადმი. ასე დამუშავდა მე თვითონ აფხაზეთში მის ლიტერატურას და მის ცოცხალ კლასიკოსს ი. გ. პაპასკირს როცა შევხვდი. მასზე მე, რუსმა კრიტიკოსმა, დავწერე პირველი (ყველა აფხაზ კრიტიკოსს დავასწარი) წიგნი, მონოგრაფია. სხვაგვარადაც ხდება. მაგალითად შარშან თბილისის გამოცემლობა „მეგრანა“ გამოსცა მურმან ჭაგუბრიას ლექსების საინტერესო წიგნი „ოდისური სანახები“, რომელიც საუცხოოდ თარგმნა პოეტმა ლეონიდ ტომინმა. ეს უკვე შესაძლო ქართული პოეტია, რომელიც ლ. ტომინმა შემოგვთავაზა (მანამდე იმავე გამოცემლობამ გამოაქვეყნა ვიქტორ გაბესკირიას და ალექსანდრე კაპახიძის მის მიერვე თარგმნილი წიგნები); გასაგებია, რომ მოსკოველი პოეტი ლეონიდ ტომინა წიგნების ამ ჭაჭვით მქედარდა მიაჭედილი საქართველოზე, მის თანამედროვე პოეზიაზე. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე 70-იან წლებში მოსკოვში მან მხოლოდ ერთი, მოცულობით პაწია წიგნი გამოსცა, („სახლი“, 1978),

მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის უმეტესობა მცემლობებზე ეს მოსკოველი პოეტი გაცილებით უფრო სუსტად არის მიჭაჭვული. ყურადსაღებო ფაქტია და გულახდილად ვაღიაროთ, არცთუ ერთეული ჩვენს დროში, „ოდისური სანახები“ გამოსვლასთან დაკავშირებით ლ. ტომინს შევთავაზე, ვისაუბროთ-მეთქი პოეტური თარგმანისა და აწყარდის პრობლემაზე. ის დამთანხმა და ახლა, ვწყვეტ რა თეორიულ მსჯელობას, გთავაზობთ: ყური მივუგდოთ პრაქტიკის ხმას.

გ. მ. რამ მოგვით ბიძგი თქვენ, ვინც არ იცით ქართული ენა, ხელი მიგეყოთ ქართული პოეზიის თარგმანისათვის?

ლ. ტ. სხვა ენოვანი პოეზიისადმი ინტერესი განა აუცილებლად გულისხმობს სხვათა ენის ცოდნას? ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი პოეზიისადმი ინტერესია. პოეტიც ხომ მკითხველია. ხოლო თუ, ჩვეულებრივ, მკითხველი უკვე გაკეთებულია ყაბულია, პოეტს უნდადგას სურვილი შიშობლოურ ენაზე ეზიაროს მშვენიერი პოეზიის გაცოცხლებას. ხოლო იმაში, რომ მშვენიერია ქართული პოეზია, დიდი ხანია დამარწმუნეს ბ. პასტერნაკის, ნ. ზაბოლოცკის, მ. ცვეტაევის, ნ. ტიხოვოვის, პ. ანტოკოლსკის, კლასიკურმა თარგმანებმა. მოგვიანებით ა. მერსროვის, ბ. ახმადულინას, ბ. ოკუჯავას ნამუშევრებმა მხოლოდ განმტკიცეს ეს რწმენა. მთავარი ისაა, რომ თარგმანებს, როგორც თარგმანებს კი არ აღვიქვამდი, არამედ როგორც საქართველოს მიწაზე შობილ მშვენიერ ლექსებს.

გ. მ. მაშასადამე, თავდაპირველად გამოძრავებული ინტერესი ქართული პოეზიისადმი, ამ პოეზიის სამშობლოსადმი და არა ამა თუ იმ დღეს მოქმედი ქართველი პოეტისადმი?

ლ. ტ. სწორედ აგრე იყო. 70-იანი წლების დასაწყისში, როცა პირველად მივემგზავრებოდი საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, მივისწრაფოდ დიდი პოეზიის სამშობლოში. წარმოადგენაც კი არ მქონდა იმაზე, თუ პოეტებიდან ვის შემხვედრებდა ბედი. ბედმა გაიღიმა. ჩემი პირველი ნამუშევარი ვიქტორ გაბესკირიას „რჩეული“ გახდა.

გ. მ. და თქვენს სიცოცხლეში პირველად დაწვევით გეთარგმნათ, თუმცა ენა არ იცოდით?

ლ. ტ. არა. მანამდეც მქონია შემთხვევები მეთარგმნა უცხო ენებიდან. მაგრამ პირველად იყო, რომ აწყარდებით გავეცანი ნამდვილ პოეტს, და ვაგრძენი შინაგანი მოთხოვნილება რუსი მკითხველის საყუთრებადაც მექცია ლექ-

ბენარის მიტინი
პვკარდის ეპოპა



სებუ სამწუხაროდ მაშინ უკვე გარდაცვლილი ვიქტორ გაბესკირიასი. რაც შეეხება გაღაწკვეტილებას, მსწენობას მმართველ ჩემი წინამორბედების უწარმაშარი გამოცდილება. ენის ცოდნაო, ამბობთ. შესაძლოა კადნიერებად ჩამოშართეთ, მაგრამ მე მგონია, ანკეტაში შესატანი „თავისუფლად ფულთან“, თავისმოტყუებაა, მაშინ, როცა სიტყვა ესება პოეზიას. ჩემთვის ცნობილ ყველა შემთხვევაში წარმატება თუ მარცხი ამით არ ყოფილა განპირობებული.

გ. მ. ზოგჯერ იმსწმებენ ხოლმე ბ. პასტერნაკს, ვითომც მას ეთქვას: „ო, რას ვთარგმნიდი, ქართული ენა რომ მცოდნოდა!“

ლ. ტ. არ ვიცი, როგორ აქედრდებოდა მაშინ ნ. ბარათაშვილი, მაგრამ გავბედავ იმის მტკიცებას, რომ ბ. პასტერნაკის ქართულიდან თარგმანები ოდნავადაც კი არ ღვას მისხავე იმ ენებიდან თარგმანებზე დაბლა, რომლებიც მან იცოდა (ინგლისურიდან, გერმანულიდან. მაგალითად). განა არ ხდება ხოლმე, რომ პოეტმა იცის ესა და ეს ენა, თარგმნით კი თარგმნის სხვა ენიდან, რომელიც არ იცის? მე, მაგალითად, უკანასკნელი რვა წლის მანძილზე ვთარგმნიდი ინგლისურიდან და ესპანურიდან, ვთარგმნიდ სპაი ქართული პოეტის წიგნი მთლანად და ბევრი სხვა რამ ქართულიდან, მაგრამ არ დამიბეჭდავს არც ერთი თარგმანი უკრაინულიდან; თუმცა კიევი — ჩემი მშობლიური ქალაქია, ხოლო უკრაინული ენა ბავშვობიდან მახლობელი და ძვირფასია ჩემთვის. სიტყვაზე, პოლონურიდან. რომელიც ვიცი, თარგმნა მხოლოდ ახლახანს გაღაწკვერტე, როცა მოვიარე სლოვაკიის, ტუვიმის, რუენიჩის ქვეყანა.

გ. მ. ერთხელ „ლიტერატურულ გაზეთში“, უფრო ადრე კი ერევნის გაზეთ „კომუნისტი“ მე ვწერდი, ნებისმიერი ლექსი არსებითად იმ-თავითვე ორ ენაზე იწერება-მეთქი, მშობლიურ ენაზე და პოეზიის ენაზე, ამასთან პოეტის მიერ ამ ენების გამოყენება პიროვნული, უნიკალური ხასიათისაა. ხოლო თარგმანი ხორციელდება სათარგმნელის პიროვნული ენიდან მთარგმნელის პიროვნულ ენაზე, თუკი ერთიც და მეორეც პოეტები არიან. თარგმანის სიმწელები, ურთიერთობის ენას რომ განეკუთვნება, არაფერია პოეტურთან შედარებით — აქ ხომ სხვადასხვა ეროვნული კულტურის, სხვა და სხვა პოეტურ ინდივიდუალობათა სინთეზი მიმდინარეობს...

ლ. ტ. უბედურება ისაა, რომ ძალზე ხშირად ჩნდება ერთობ წაგნიერი თარგმანები, ოღონდ ინდენად გახსუფალებულნი, რომ მათ წაშკიობავდეს პოეტი პოეტისაგან, სხვადასხვა ეროვნული პოეზია ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია.

სავსებით ევთანემები მიაა ბორისოვას, თუმცა ლიტერატორის სინდისისადმი მისი მოწოდება უკვე საგანგაშო სიგნალია. არავინ შეეხება

შეიწყლის სინდისს, თუ რომ მან ისტორიულად მზადა რაიმე დეტალი. ტექნიკური კონტროლის განყოფილება წუნად ჩაუთვლის და ეგ არის. ჩვენს საქმეში თითოეული თავად არის საკუთარი ტ. კ. გ. ამიტომ მიაა ბორისოვას მოწოდება გაიხმის როგორც ცხრაკლიტუ-ლიდან თავდასწნლი მოწოდება ქვეშაირტი პროფესიონალიზმისადმი. ბევრი ჩვენთანაა ხომ იგი თარგმნის, გასულ საუკუნეებში გლეხები რომ გადიოდნენ ხოლმე საშოვარზე. ჩვენი თვის ეს ნამდვილი უსინდისობაა.

რაც შეეხება აწკარედს, წმინდაწელის სქოლას. ტიკად მესახება იმაზე საუბარი, აწკარედს „დროებითი ბოროტებააო“. დროებითია განა? ეს „დროებითობა“ XX საუკუნეში რომ არ დამთავრდება, ამის თავდება ნამდვილად შემადგლია. კარგი აწკარედი კი მე პირადად მხოლოდ ერთხელ ჩამივარდა ხელში. და ეს შემთხვევით არ მომხდარა. იგი ცნობილმა კრიტიკოსმა და პოეტმა-მთარგმნელმა გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა. აი რატომ არის, რომ გულის მწვლია მიეცხალმო ერთს, ჭერჭერობით უნიკალურ წამოწყებას. თბილისში თარგმანის საქმეთა კოლექციის დაარსებას. კოლექციის ერთი ძირითადი მიზანია ქართული პოეზიისა და პროზის მაღალკვალიფიკაციური აწკარედული თარგმანების ფონდის შექმნა.

გ. მ. თქვენი შეხედულებით, რა და რა არის ამჟამინდელი აწკარედების ყველაზე დამახასიათებელი ნაკლი?

ლ. ტ. ცუდი აწკარედის ყველა ნაკლის უბრალოდ ჩამოთვლა შეუძლებელია, ხოლო მათ იქით მივყავართ, რომ ცუდი აწკარედის, არ იმედვეა რა წარმოადგენას ოპოგინალის მხატვრულ თავისებურებაზე, ამხინცებს ნაწარმოების აზრსაც. ამასთან ბრძოლა კი მხოლოდ ერთი გზით შეიძლება: უნდა ჩახვიდეს პოეტის სამშობლოში და თავად გაიცნო იგი.

გ. მ. მაგრამ თუ პოეტი ვერ მოესწრო თქვენს იქ ჩასვლას, როგორც ეს ვიქტორ გაბესკირიას შემთხვევაში მოხდა?

ლ. ტ. ამ შემთხვევაში მე მისი ოჯახი, მეგობრები დამეხმარნენ. პოეტის ქალიშვილი ცაცია და ვაჟი შალვა ყოველდღე ქართულად მიკითხავდნენ მამის ლექსებს, ერთად ვაკეთებდით აწკარედებს, ვმსჯელობდით თითოეულ სიტყვაზე, ყოველ აბზაცზე, ხოლო პოეტის ქვრივი, ოღლა ეგნატის ასული, უეცრად გაიხსენება ხოლმე ერთი შეხედვით სრულებითაც არალიტერატურულ დეტალს ანდა ცხოვრებისეულ წერილობას. რომლებმაც შემდგომ ლექსებში მოვეცე გამოძახილი.

გ. მ. აი თქვენ თქვით, ერთად ვაკეთებდით აწკარედებსო. მახსოვს, ალექსანდრე ციხულავა-სკი აწკარედზე დაახლოებით ამას ამბობდა: „ეს პროზაა ოღონდ სხვანაირი. ამითი გაიცნო-



ბენ ზოლმე პოეტს“. მე მაქვს კითხვა: ყოველთვის ასეა?

ლ. ტ. ყოველთვის, თუ პოეტი — მართლა პოეტია. ამ შემთხვევაში ყველაზე უარეს აწკარდღშიც აისახება ის, რასაც შეიძლება ეწოდოს პოეტის საგანი. ვშიშობ, ყოველად დაქვემდებარებული მოღვემეოვან ბევრი კავშირის წევრალაც ვერ გავიღვალა კავშირში აწკარდღებით რომ ღებულობდნენ (მათ რიცხვში რუსულიდან რუსულია!) ნამდვილ აწკარდღს (განსხვავებით პოეტისაგან) არ შეუძლია ცუდი პოეტი კარგად აქციოს. სამაგიეროდ, პოეტის ღირსებებს არ მიჩქმალავს.

გ. მ. მაინც როგორი უნდა იყოს იდეალური აწკარდღი?

ლ. ტ. იდეალური აწკარდღი დღესდღეობით — მხოლოდ ოცნების საგანია. შემძლია ჩამოვთვალო ზოგი თვისებები, რომლებითაც გამოირჩევა რეალური კარგი აწკარდღი: ტექსტთან უარესად ახლო მდგომი თარგმანი, დაწვრილებითა სინონიმია, იდიომატური კომენტარები, მითითებები პარაფრაზებსა და ილუზიებზე (ლიტერატურულსა და ისტორიულზე), ტრანსკრიპცია — სრული (და არა მხოლოდ პირველი სტროფისა), მითითებები ორიგინალის ფონეტიკურ თავისებურებებსა და ბგერწერაზე. უფლებდა ასეთ აწკარდღზე უნდა ექნოდეს ყოველ მთარგმნელს. სხვა საქმეა, რომ უფლებები არ არსებობს მოვალეობის გარეშე...

გ. მ. ხომ არ გერჩენებათ, რომ რაც უფრო მეტს შეიტყობთ ორიგინალზე, მით უფრო მეტა მოვალეობანი გაგიჩნდებათ? თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობანი ვიწროვდება — სასიხარულოა ეს თუ არა?

ლ. ტ. აწკარდღს რომ მოვკიდებ ხელს, უნდა ვიცოდე, როგორია ორიგინალის ენის გრამატიკული წყობა, მისი ფონეტიკური თავისებურებანი, ლექსიწყობის სისტემა, წარმოადგენა უნდა მქონდეს ერის ისტორიასა და ლიტერატურაზე. მის წეს-ჩვეულებებზე, ფოლკლორზე... ყველა ეს ცნობა, როგორც ზოგადად შეძენილი, ისე აწკარდღით ნაკარნახევი არათუ მაგიწროებს, არამედ მანიჭებს უმადლეს შემოქმედებით თავისუფლებას, რამეთუ არის რაიმე თარგმანში არის აგრეთვე განუსაზღვრელი ძიება: როგორ, მაგალითად გამოდგება კლასიკური რუსული ხატწერა, სადაც სიუჟეტიც და კომპოზიციაც მოცემულია კანონით ანუ ხატის ლიტერატურული ძირი ყველასათვის ერთია, სამაგიეროდ ოსტონის ინდივიდუალულობა მუდამდგება სუფთა მხატვრობაში.

გ. მ. მაშასადამე, აწკარდღებით გაეცანით ვ. გაბესკირიას შემოქმედებას. დაგებმარნენ ცოცხალი მოწმეები, სხვა შემთხვევებში როგორღა იყო?

ლ. ტ. სხვა შემთხვევები მეტისმეტად ბევრია

სამისოდ, ყველაზე რომ ცალკე ითვას. მუშრმან ჭაბუბურია კი ვ. გაბესკირიას რჩეულში შოაბამ გამაცნო. საქმე იმაშია, რომ მუშრმანი თავს გარდაცვლილი პოეტის მოწაფედ თვლის, მისი სახლის მეგობარია, მისდამი მიმდენილი ლექსებისა და ესტეების ავტორი.

გ. მ. მუშრმან ჭაბუბურიასთან პირად ნაცნობობამდე თუ იცნობდით მის შემოქმედებას?

ლ. ტ. არც ვიცოდე, თუ ის ლექსებს წერდა, თუმცა იმდროისათვის ქართულად ზუთი წიგნი ჰქონდა გამოცემული (ახლა შეიღი აქვს). რუსულად მაშინ სტრაქონიცი არ ჰქონდა დაბეჭდილი, თუმცა კარგა ხანია ცდილობდნენ მის თარგმნას. ჩემთვის ყველაფერი მისი პიროვნებისდამი ინტერესით დაიწყო. დამაბნელი შინაგანი სამყარო, დამოუკიდებელი და მუდამ საინტერესო მსჯელობა პოეზიაზე — ქართულზე, რუსულზე, მსოფლიოზე. გულახდილად რომ ვთქვა, გამოცა მასში ერთი შეხედვით პარადოქსულმა შეხამებამ ინტელიგენტობისა გლეზურ ჩვევებთან, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ქალაქში. შემდეგ თარგმანები გავცვალეთ. მე ვთარგმნე მისი სამი ლექსი, მან კი ჩემი (უნდა ითქვას, საუცხოოდ, რაც გასაკვირი როდია, მან ხომ, როგორც მთარგმნელმა, ბუნების ლექსებსაც გაართვა თავი და „გარდუნულინაყ“); და მხოლოდ შემდეგდა დაიწყო ყველაზე ძნელი — პოეტის სამყაროში შესვლა, ამს წელიწად-ნახევარი დასჭირდა (ზოლო მაღლევვაში წიგნის თარგმნას საბოლოო ჯამში თვეზე მეტი არ წაუთმევია).

გ. მ. გამოდის, რომ მ. ჭაბუბურიას შემთხვევაში აწკარდღებს არავიარი როლი არ უთამაშნიათ?

ლ. ტ. ითამაშეს! მერე როგორი! კინაღამ უარი არ ვთქვი ჭაბუბურიას წიგნზე. საქმე უბრალოდ „ცუდ“ აწკარდღებშია კი არ იყო, არამედ იმაში, რომ მათ მიკიბულ-მოკიბულადაც ვერ გამაგებინეს მისი პოეტური სამყარო, წერის მისეული მანერის თავისებურებანი. ეს შემდგომ შევტყვე, როცა საქართველო დავიარე, ვნახე მისი სოფლები. მას შემდეგ, რაც დაუზოგავად ვუწვიდა მუშრმანს ექსპლოატაციას, ვაიძულე-ბდი რამდენჯერმე წაეყიხთა ერთი და იგივე ლექსი, აეხსნა უწერადღისი ნიჟანსები... მოდა, გამიშეღვენდა ცხრა ბედიით დაბეჭდილი და არა გარეგანი დინამიკა, მიხეული უამთასვლა, მისა ლექსისათვის ორგანული იდუშალება. საერთოდ, ხამაღლა როცა კითხულობს, პოეტი (თუ ის ესტრადისდამი მისწარფებას არ გაუფუქებია), არ იჩნებს ინტონაციას, კითხულობს ისე, როგორც მიჩვეულია წერას — ამის მოს-

ბენდის მიტნენი
პნკარმდის მკმპა

მენა ძალზე მნიშვნელოვანია! მაშინ თარგმანებ-
შიც აუღერდება მისი ხმა.

გ. მ. ენა თუ არ იცო, მუშაობის დროს ორი-
გინალის გამოყენება მაინც თუ შეიძლება?

ლ. ტ. არამარტო შეიძლება, არამედ საჭირო-
ცაა. შეუძლებელია ითარგმნოს ჭკუბურია თუ
არ იცნობ მისი სტრუქტურის გრაფიკას, ხოლო
ის ერთობ თავისებურია. უორიგინალოდ, თა-
ვად პოვტი თუ არ დაგეხმარა, ვერ ჩაწვდები
ყველა ფორმალურ ავლადიდებას, რაც უნდა
ითარგმნოს. ეს სიმდიდრე კი საშურველია, რა-
მეთუ მთარგმნელის გამამდიდრებელიც არის.
რაღა თქმა უნდა, ზოგ-ზოგი ფორმა ვიცოდო,
ხმარებოთ კი არ მიხმარია, ზოგს კი პირველად
შევხვდი მასთან. შეაფასეთ დიპაზონი: ივენა-
ნათი დაწყებული, შედოცის ფოლკლორული
ფორმებიდან მოკიდებული, თავისებურ მებრა-
მდე ამაღლება და რითმვა ტრადიციული
ლექსისა; ორგანული ვერლიბრი და თავისუფალი
ლექსი, ტრადიციული თეორი ლექსი და ისე-
თიც, ერთთავად რომ ელი დამავიკრვინებელ
რითმას, ის კი არა და არ მოდის. ჭკუბურია
თვითონაც მთარგმნელია და აი, სავსებით ქარ-
თულ ლექსებში ბუნებრივად ახმანდა ხო სუან
ხაოწო (ვიტენამი, XVIII საუკუნე), ფედერკო
გარსია ლორკას „სიკადიულის პოემა“. ჩვენი
ნაწილობის დასაწყისში ვ. გაბესკირიასდში
მიძღწილი მისი სონეტი ვთარგმნე და დავიცავი
იტალიური სონეტის კანონი. როგორც შემდგომ
გამოირკვა, თურმე ის ერთ-ერთი ლექსი ყოფი-
ლა ცოკლიდან, ნიმუშად მურმანს თურმე შექ-
პარის სონეტი აუღია (ახლა შემოიღია ავსნა
რატომაც!) ის ცოკლი მთლიანად ზუსტად ვთა-
რგმნე, პირველი კი თეორი ყვევითაა შიგ გამო-
რეული. გულმა არ მიქნა, ხელმეორედ ვთარგმ-
ნა... გამოვპირობე: ჭკუბურიას წიგნში გარე-
განი მრავალფეროვნება შენაგანი მრავალხმიან-
ი ერთიანობის, ინტონაციური ოპერტონების
გაშუადვნება. ვიფიქრე, ქართულმა პოეტმა
მოსაწყენად არ ჩათვალს-მეთქი თანამედ-
როვე პოეტური პროდუქციის ფურცელა, ამ
ლექსების უცილობელი ოთხსტრიქონიანი ჩარ-
ნი და უსიამოვნოდ მოქარბებული ოთხტემა-
ანი იამბი!..

გ. მ. თარგმანის ხელოვნებაზე რომ მსჯელო-
ბდა, გოეთე ხაზგასმით მიანიშნებდა აუცილებ-
ლობას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატი-
ვისცემისა სხვაენოვანის თავისებურებებისა და
შეგუებისა უცხოურის თავისებურებებისადმი“.
რაც სწორია, სწორია მაგრამ პატივისცემისაც
და შეგუებისაც მაშინ აქვს ადგილი, როცა იდ-
ვიძებს ინტერესი „თავისებურებისადმი“
და „შეგუებისადმი“, ხოლო ჩვენს პრესაში, რა
უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ ეს, უფრო ხშირად
მაინც მსჯელობენ იმაზე, რომ თარგმნის სურ-
ვილი მაშინ იჩენს თავს, როცა პოეტი მისთვის

ახლოზე, მონათესავე სხვაენოვანებთან
ეტს შეხვდება. აი რად მესიამოვნა და გასაო-
რდა, როცა შემოსხსნებულ მ. ბორისოვას წე-
რილში წავიკითხე ამ საშინაო ზრის გადაჭრით
უარყოფა. სხვა პოეტის თარგმნას ის იმიტომ
კი არ აკიდებს ხელს, რომ მისი მონათესავე
ზრითა და სტილით („ჩემს სტილში“ განა სა-
ინტერესოა სათარგმნელად? ჩემს სტილში მე
თვითონ ვწერ!“) არამედ იმიტომ, რომ მოსწონს
იგი და თითქმის გამოცდის საკუთარ თავს:
„აბა შენ, შენს ენაზე თუ შეძლებდი ამას?“

ლ. ტ. მაია ბორისოვას ნათქვამში მე მხო-
ლოდ ერთ პატარა შესწორებას შევიტანდი: ერ-
თნობრი პოეტები არ არიან თვით ერთი ენის
ფარგლებში, თუ მართლა პოეტებზეა საუ-
ბარი. სათარგმნელად საინტერესოა ისიც,
რაც ბუნებრივად ჭდება რუსულ (და ნებისმი-
ერ ევროპულ) ლექსშიც, — ასეთია ვ. გაბესკი-
რია. არანაკლებ საინტერესოა მის თარგმნაც,
რაც თითქმის უთარგმნელია — ჩ. ჭკუბურია,
მაგალითად. მთარგმნელისათვის ეს, რასაკვირ-
ველია, სხვადასხვა ამოცანაა. პირველ შემთხვე-
ვაში საჭიროა, რაღაც არ უნდა დაგვიდეს, შე-
ინარჩუნო პოეტის თავისებურებანი,
მეორეში კი — პირიქით: პოეტის დამაშორებე-
ლი თვისებების მოუქმალავად უჩვენო რაც
არის მასში მახლობელი. ასეთი სხვადასხვაგა-
როვანი ამოცანების გადაწყვეტა თვალსაჩინოს
ხლის ბევრ რასმე და გამოარჩევს მთარგმნელ-
შემოქმედ პოეტს ხელოსნისაგან.

გ. მ. დასასრულ, თავს ნებას ვაძლევ საკმაოდ
საჩინო კითხვა დავისათა: უკეთ „ოდიშური
სანახების“ ცოკლიდან (ცხადია, რუსულად), აგ-
რეთვე აქ თქვენი გულწრფელი აღიარებიდან
ჩანს, რომ შეგუვარბობათ მურმან ჭკუბურიას
პოეტური სამყარო. არ შეეცდები, თუ ვიტყვი:
მუშაობის დროს, თარგმნის პროცესში თქვენ
შეათვაკოვებდათ ორიგინალისადმი (შეკა-
რელისადმი ხომ არა!) ერთ გულ ება. მე მიმა-
ჩნია, რომ ეს ერთადერთი ნაყოფიერი ეთიკუ-
რი მიდგომაა პოეტი მთარგმნელის მხრივ. „ოდი-
შური სანახებში“ თავმოყრილი ლექსები განა
თქვენი პირმშოები არ არიან, განა უარს იტ-
ყოფდით შეგუვარბობა ისინი თქვენს საკუ-
თარ „რჩეულში“, ე. ი. თავად გეტვირთათ პა-
სუხისმგებლობაცა და სიხარულიც მათ გამო?
დასასრულ, განა ეგ წიგნი თქვენი სახლი არ
არის (მაგონდება 1972 წელს მოსკოვში გამო-
ცემული თქვენი საკუთარი წიგნი „სახლი“);
ეგევე კითხვები მეზადებოდა თქვენს მერ თა-
რგმნელ ვ. გაბესკირის რჩეულს რომ ვეი-
თხულობდი...

ლ. ტ. რომ გიპასუხო: გაბესკირიაც და
ჭკუბურიაც შევითავსე-მეთქი, დიანოზი
უბრალო იქნებოდა: განდიდების მანია. მე
სხვაგვარად ვიტყოდი. რაკილა „სახლი“ მისხე-

არ არის... ზოლო იმისათვის სხვის მიერ
წინასწარ მონიშნული დანჯირიღებო-
თი გეგმით შთაგონებული შემოქმედებითი
წვინათვის რომ აღვიწყო და ის, სხვისი ქმნი-
ლება, მშობლიურ პოეზიად აქციო, უნარი
საქირო. შევნიშნო: ეს მოცემული გეგმა,
(პროგრამა, კიბერნეტიკას თუ დავესხებებით),
— მაინც სხვისია, მიუხედავად იმისა, რომ
ჩვენს სულს დაუფლებული აღტაცება
ის აკუთრებს. ძველი წარმოსადგენია, რომ
თვითმყოფად ნიქს შეხწევდეს უნარი სხვებით
დამორჩილებს სხვის ნებას, განსაკუთრებით
დიდი ნაწარმოების სივრცეში. აქ საქიროა
მთარგმნელობითი ნიქის თემა და
მორჩილება.

ორიგინალიდან და პყარედებიდან შესრუ-
ლებული თარგმანების შედარება უსარგებლო
როდია აგრეთვე ახალ ეროვნულ-კულტურულ
კონტაქტის მათ მიერ შესრულებული როლის
თვალსაზრისით.

უკანასკნელ ხანს მთელი რიგი თვალსაჩინო
პროფესორი ნაწარმოებები გამოჩნდა. გა-
მოქვეყნდა ბრწყინვალე ავტორის ეული
თარგმანები ზოგჯერ სხვა ეროვნების ავტორები
რუსულად წერენ საკუთარ თხზულებებს (ე.
ბუკოვი, ჩ. აბტალოვი, ე. ცულატოვი, ფ. ისა-
ნდერი, ა. ებანოიძე, ე. დრუცი); იშლება დის-
კუსია ამ ნაწარმოებთა თანამედროვე რუსულ
პროზაზე გავლენის თაობაზე. ვფიქრობ, ნაკლებ-
ბი რაობით, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვისაუბ-
როთ აგრეთვე სხვა რესპუბლიკების პოეზიის
რუსულ პოეზიაზე ზეგავლენის გამოც, თუმცა
პოეზიის სფეროში ავტორისეული თარგმანები
საერთოდ არ გვხვდება, არარუსი პოეტებიდან,
ვგონებ, მხოლოდ ოლეას სულემიანოვი წერს
რუსულად. ამ გავლენას, უწინარეს ყოვლისა,
ცხადია, მთარგმნელი პოეტების შემოქმე-
დება განიცდის, ე. ი. მათი, ვინც უშუალოდ და
ხანგრძლივ ურთიერთობაშია ამა თუ იმ სხვაე-
ნოვან მოძმე პოეზიასთან.

ყოველივე ეს არსებობს და იმსახურებს უშ-
რადებას. ზოლო ძალზე სამწუხაროა, რომ
სხვა რესპუბლიკებში მცხოვრები პოეტები და
კრიტიკოსები არაფერს წერენ რუსუ-
ლი პოეზიის ნათარგმნ პოეზიაზე გავლენის შე-
სახებზე. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ იქაც
ხდება სინტერესო ამბები!

ერთი მსგავსი გავლენის ამბავი ამას წინათ
მაინც შევიცქერე. წავიკითხე ლევ გინზბურგის
გერმანულიდან თარგმანების (თარგმანი, რაღა
თქმა უნდა ორიგინალიდან და არა პყარედი-
დან არის შესრულებული, თარგმანის თეორი-
ის შაბლონურ ენას თუ დავესხებებით), რო-
ლის შესახებ გერმანული კულტურისათვის.
„მასტერსტო პერეკოლას“ უკანასკნელ, მეთე-
რთმეტე კრებულში დაბეჭდილია იგ. კოსტე-

კის წერილის „ამტუალურია
დღესდღეობით ბაროკო?“ თარგმანი, სადაც შე-
მდეგს გვაუწყებენ: „მისი ნაშუქვარის თავისე-
ბურებანი, სხვათა შორის, გვაძლევს შესაძლე-
ბლობას კვლავ ჩავხედოთ ორიგინალს და იქ
აღმოვაჩინოთ ადგილები, რომლებიც თვალის
ერთი გადავლებით მთარგმნელის მიგნებად მი-
ვიჩნეოთ“. ჩედავთ?! ლ. გინზბურგის თარგმა-
ნები თურმე შესწევინა ბაროკოს პოეზიის ამ-
ჟამისდელ „განმარტებებს“. მხედველობაშია
გერმანული განმარტებები.

საინტერესოა (და ფრიალ მნიშვნელოვანი!)
ისიც, რომ ლ. გინზბურგის მხრივ შემწეობას ი.
კოსტეკი სახელდობრ თარგმანის იმ ადგილებ-
ში ეჭვობს, სადაც მთარგმნელი თითქოს თავს
უფლებას აძლევს, აშკარად გადაუხვიოს ორიგი-
ნალს. კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ი.
კოსტეკი თვალსაჩინოს ხდის, რომ ლ. გინზბურ-
გის „თავისუფლება“ სულაც არ გადლის
თვითნებობაში, იგი ბაროკოს პოეზიის ღრმა გა-
გაგების შედეგია. ლ. გინზბურგის მუშაობის
მსგავსი მეთოდის ჩვენთვის, ცხადია, აღმოჩენა
არ არის.

ღიბს, საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის
მუშაპირნიკი ნათელი და ნაყოფიერია (იგი
არა მარტო აწვრთნის წარმატებით პრაქტი-
კას, არამედ სტიმულს აძლევს კარგ თარგმა-
ნებს) საეჭვო აქ არაფერია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეზიის სამს-
ჯავროზე ორივე ხერხის პროდუქტი ერთნაი-
რი უფლებებით, ორიგინალისადაც ერთნაირი
ვალდებულებითა და დამოკიდებულებით უნდა
წარსდგეს და მაშინ ცხადი გახდება, რომ სიზუ-
სტის სამსჯავროს წინაშე თანასწორუფლებია-
ნია ეს ორივე ხერხი. ე. სიზუსტის სასოში
ორივე ხერხით ნათარგმნისა, ერთია. ზოლო ეს
იმას ნიშნავს, რომ იგი თარგმნის ხერხებზე კი
არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ
ვინ და როდის თარგმნის. ყველაზე ზუსტი თა-
რგმანი ყველაზე მხატვრულთა შორის იბადება
დამოუკიდებლად ხერხისაგან და დამოკიდებუ-
ლად მთარგმნელის ტალანტისაგან, ოდნურ
მხოლოდ მაშინ, როცა დარეკავს ამ ორიგინა-
ლის საათი. დრო, რომელიც მხატვრულობის
აღქმავდალ აქცევს სიზუსტეს, არის სწორედ
საუკუნო თარგმანის დაბადების უამი. და ეს
თარგმანი ორიგინალივით გაშლდა. ის დრო
ორიგინალის ზემოქმედვრ დაბადების, თარგმან-
ში მისი დაბადების დროა. მოცემული ორიგი-
ნალის თარგმანის სიზუსტისა და მხატვრულო-
ბის ზღვარი აქ გადის. აქ პოეზია სიზუსტის ხა-
რგზე კი არ იბადება, არამედ სიზუსტის მეშ-
ვეობით. ზოლო ეს არ გახლავთ მთარგმნელო-
ბითი ხერხის, ანუ პირინიკის დამსახურება,
არამედ, მხოლოდ დროის სხვა დროს, უფრო
აღრე, არ შეიძლება და ეს სინთეზი, რომელშიც



სიზუსტე და პოეზია თანაბარწილადაა შერწყმული და სხვა დროს თითქმის შეუძლებელი იქნება ხელახლა „უფრო იღვწიანად“ ითარგმნოს ეს ორიგინალი, რამეთუ ამ შემთხვევაში უკვე თვითონ თარგმანი აღის ორიგინალის რანგში და ცხოვრობს დროში, როგორც ეროვნული ლიტერატურის ორგანული ნაწილი, რომლის სიზუსტე და მხატვრულობა გადასინჯვას არ ექვემდებარება.

კ. ი. ჩუკოვსკი ამბობდა: „...თქვენ ვერასწოთ გამოცდილობთ, რა ჩათვლება ზუსტ თარგმანად 1980 ანდა 2000 წელს. ყოველი ეპოქა ქმნის თავის წარმოდგენას იმაზე, თუ რა არის ზუსტი თარგმანი“.

რალა თქმა უნდა, შეუძლებელია კონკრეტულის წინასწარ ამოცნობა. კ. ი. ჩუკოვსკი კი ჩემი აზრით, ცალმხრივად აფასებდა პერსპექტივას ერთი მხრივ, დიხავეც კვლევა სიზუსტის კრიტერიუმში, რამეთუ იგი დამოკიდებულია პოეზიაზე, ხოლო მეორე მხრივ ერთი და იგივე ნაწარმოების ხელახლა თარგმნის დროს — ქვეშაირი კი პოეზიის ნიშნით! — მიმდინარეობს არა დაუსრულებელი და ქაოტური არამედ მიზანმიმართული პროცესი თარგმანის დაახლოვებისა ორიგინალთან, ვიდრე ისინი არ „შეპირაპირდებიან“. კაცი იფიქრებს, თითქოს პოეზია განგებ იცვლება ასე და იმ მიმართულებით, რომ იზრდებოდეს ხელახალი თარგმანების სიზუსტე.

ვინ არის მართალი უკიდურესობათა ამ შეჭახებაში! არც ერთი, ჩემი აზრით. ამ შემთხვევაში ცალმხრივი მიდგომა ბატონობს ჩრდილოეთშიც (ლენინგრადი) და სამხრეთშიც (თბილისი). იძულებული ვარ, რამეთუ მსოფლიო ვცხოვრობო, „ეჭვობს“ შეუღებდეს! პოზიცია დავიკავო — მღვთაშობა მავალეებს; როგორც ეს ზემოთაა გადმოცემული, ერთადერთი სწორ გზად მე მიმაჩნია სიზუსტისა და მხატვრულობის კრიტერიუმში შეუღლება. დავსვენ მხოლოდ, რომ პრაქტიკას კარგად ახსოვს (მიკვირს რაღა იჩენენ თეორეტიკოსები გულშეაწივობას?) საბოლოო თარგმანები. დავსახელებ პუშკინის მიერ თარგმნილ მიკევიჩის „ბუდისკ“, მიხაილოვის თარგმნილ ჰაინეს „ორ გუნადურს“, ბენედიქტოვის თარგმნილ ზარბიეს „ძაღულების ნადიროს“. ცდა ხელახლა ითარგმნოს ეს ნაწარმოებები (ხოლო ამისაგან თავის შეკავება თურმე ძნელი ყოფილა!) მუდამ კარბათ მთავრდებოდა. გავიხსენით თუნდაც პოეტებისა და პროფესიონალი-მთარგმნელების უიღბლო ცდები, ამოდო რომ ღამობდნენ გოგონასა და პაინეს ლერმონტოვისეული, ხოლო ნ. ბარათაშვილის ბ. პასტერნაკისეული თარგმანების „გაუმჯობესებას“, როგორც ჩანს, თარგმანი „საბოლოო“ აღმოჩნდება მაშინ, როცა სიზუსტეში მინიმალური დანაკარგებით გამოხსადელობითი მაქსიმუმს აღწევს. შემდგომ ცდებს წარმატება

არ ხვდება რამეთუ უნებლიეთ არღვევენ მთარგმნელობითი ხელოვნების ამ მარმონას. ჭკამის შეწყვეტა გასაგებია ქართველი ლიტერატორების აზრი, რომ ბ. პასტერნაკის მიერ თარგმნილ ნ. ბარათაშვილის „მერანში“ ბევრი რამ არარეალისტული დარჩა, ხოლო როგორ გავუგოთ ჩვენს პოეტებს, რომლებმაც მოიღეს ქართული პოეტების თავაზიანი წინადადება და ჩიებნენ „შეგებრში“ „მერანის“ სათარგმნელად? სულაც არა ვარ ე. ელიგულაშვილივით აღტაცებული ამ კონკურსით. თავის წიგნში კრიტიკოსმა იგი „ლიტერატურულ პრაქტიკაში განსაუკურბულ გამოჩენილად, უნიკალურ ექსპერიმენტად“ გამოაცხადა.

დამახასიათებელი, გარეგნულად შემთხვევითი, ხოლო საქმით კანონზომიერი, აქტუალური და ამიტომ ნაყოფიერი შეხვედრის შესახებ გვიამბობს ე. ელიგულაშვილი — ნ. ტიხონოვისა და გ. ლუიონიძის შეხვედრის შესახებ: „...შემოქმედებითი სიახლე იერ იწყება პირადი შეხვედრიდან და არც შემდგომი პირადი და ლიტერატურული კონტაქტებიდან არა ეს კანონზომიერი განვითარებაა ორი ინდივიდუალობისა, რომელთა დაახლოვება, იქნებ, მათ მიერ ერთმანეთის გაცნობამდე დიდი ხნით ადრეც იყო „დაპროგრამებული“. ჭერ ისევ ახალგაზრდა ტიხონოვი ამჟღავნებს თავისი ბალადების ინტონაციურ სტილს, მუშაობს სიტყვიერი და ინტონაციური მანვილების შეუღლებაზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში შეხვედრენ პოეტები, რომლებიც ადრე ერთმანეთს არ იცნობდნენ, ხოლო ერთი მიმართულებით აწარმოებდნენ ძიებას, ისინი შეხვედრენ როგორც ღვიძლები, რომლებმაც უეცრად შეიტყვეს, რომ თურმე ნათესავენი ყოფილან, შეხვედრენ ისე, თითქმის მიუღიო ცხოვრება თავადაც არ უწყობდნენ, ისე ეშვადებოდნენ ამ შეხვედრისათვის. მათთვის ეს შეხვედრა აქტუალური იყო: ჩვენთვის კი მან პირი იბრუნა ნ. ტიხონოვის უნიჭიერეს თარგმანებად, რომლებმაც გაამდიდრეს რუსული პოეზია. ეს შეხვედრა კი აწკარედის დონეზე შედგა!

ანალოგიურმა მიზეზმა აწკარედიტ შეხვედრული რუსული თარგმანებით ქართული პოეზია საბჭოთა პოეზიის ავანსცენაზე „ამოსტურცა“. აქტუალობა როგორც თანხმეობის გამაძლიერებელია, ამისი დამტკიცება შესაძლებელია და ეს ვირტუოზულად გააკეთა პოეტმა-მთარგმნელმა და კრიტიკოსმა ალექსანდრ ცაბუღიშვილმა თბილისში ჭერ კიდევ სიცოცხლეში გამოცემულ წიგნში („სახლი ალექსანდრ“).

აზრი მისუღი ჩვენამდე აწკარედის მიღმა მხრიდან, კერძოდ იმათი აზრი, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური ენაა, ა. ციხულევსკისა და ე. ელიგულაშვილისა აზრი ერთსა და

ბენარის მინტენი
პუპარეილის ეპოქა

იგივეს აღასტურებს: აწკარდით თარგმანი შეიძლება იყოს და არის კიდევაც ზუსტი ამ სიტყვის უმეტესი გაგებით. კ. ჩუკოვსკის დებულება „მთელის იგივეობისა მისი ცალკეული დეტალების მიუხედავებლობის დროს“ ასევე მიუთითებს მიღწევის ზღვარზე ორიგინალის აწკარდით თარგმნის საქმეში. და თუ აქამდე მოგვდამს ქედმაღლობა აწკარდებისადმი, ეს „კეთილგონიერი“ ინტერცისაგან გვეპირს, რომელიც ახირებულად ადგას თავისას, ორიგინალიდან თარგმანი „გაცილებით ზუსტი“ გამოდისო. არა, არ გამოდის იმ უბრალო, ხოლო არცთუ თვალსაჩინო მიზეზით, რომ ენის მცოდნე ნიჭიერი მთარგმნელი ორიგინალისაგან თავიდან მაინც აწკარდეს გააქეთებს და მერმელა „თარგმნის“, თუმცაღა მსგავს შემთხვევებში „აწკარდის“ სტადია წერილობით არაა ფიქსირებული, ზოგჯერ კი საერთოდ არც ცნობიერდება. სავსებით სწორია მხატვრული თარგმნის ცნობილი ოსტატი ვ. კ. ლევოი, როცა აღნიშნავს, რომ თარგმნის პროცესში ბევრი რამ „მოითხოვს მეყსელ შენაგან შეფასებას მანამდე, ვიდრე ცნობიერებაში მისი დაფორმულირება მოხერხდებოდეს. უმეტეს შემთხვევაში დაფორმულირებამდე არც კი მიდის საქმე. ჩვენი ინტუიცია დაფორმულირებისა და თეორიული დებულებების გარეშეც გადის ფონს (მხატვრული თარგმანის აქტუალური პრობლემები“, მ. „სოვეტსკი პისატელი“ 1987, ნაწ. 11, გვ. 8).

აზრობრივი აწკარდის კვალი შეუიარაღებელი თვალთი ისევე ნათლად რომ არ ჩანს, როგორც წერილობითი აწკარდისა ჩანს, ეს იმას არ ნიშნავს რომ იგი საერთოდ არ ყოფილა, თარგმანის გამო (ნებისმიერისა, ფნის ცოდნით თუ უამისოდ შესრულებულისა) კითხვაზე „იყო თუ არა აწკარდელი?“ სწორი პასუხია: „იყო!“

პირადად ჩემთვის ეს საერთოდ არ არის საკითხავი. სხვა საქმეა აწკარდის ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა აბსოლუტურად აუცილებელია, ოღონდ მნიშვნელოვანია დაგწმუნდეთ სხვაშიც: საქმე მართო იმაში კი არაა, რომ ზოგი აწკარდელი უკეთესია, ზოგი — უარესი, არამედ იმაში, რომ შეიძლება და უნდა გაუმჯობესდეს ნებისმიერი აწკარდელი.

და კიდევ იმაშიც, რომ არსებობს ორ გვარი აწკარდელი და მათგან ერთი სახელდობრ „უკეთესია“, მეორე კი — „უარესია“. სწორია ლ. ტიომინი რომელიც ამტკიცებს, რომ ყველაზე უარესი აწკარდითაც კი შეიძლება პოეტის გამოცნობა. ცუდი აწკარდელი პოეტის ნახელავი კი არ არის, არამედ ნიჭს მოკლებული კეთილსინდისიერი კაცისა. აწკარდელა მაშინ გამოდის კარგი, როცა ამ საქმეს ხელს ჰკიდებს არა ორივე ენის მცოდნე ჰკუადამჭდარი კაცი, არამედ — ლიტერატორი, პოეტი, ტლანტი. იმატომ რომ მისი ნახელავი ლექსის პროზაული აწკარდელი კი არ გამოდის, არამედ უკვე პოეტური თარგმანი პროზად: ასეთი აწკარდით ადვილად ამოიცნობა პოეტი ლექსის და აწკარდის ავტორშიაც.

ხოლო აქედან გამომდინარეობს უღმომგელა დასკვნა: სათარგმნელ პოეტს ის ურჩევნია, თვითონვე გააკეთოს აწკარდელი. „მასხაღამე ჯობს იცოდეს, ვიდრე არ იცოდეს ენა? — ნიშნს მომჩვენებს ჩემი ცბიერი ოპონენტი. ცხადი ჭეშმარიტების და კეთილგონიერების მოთაყვანე.

დაიბ, ჯობს. თანახმა ვარ. ხოლო ეგმვე „კეთილგონიერება“ მკარნახობს, რომ ჩვენი მრავალეროვნული ქვეყნის პირობებში და მანამდე, ვიდრე იგი ასეთად რჩება, ნიჭით ცხებულ ენას არ მცოდნე პოეტსა და ენის მცოდნე რიგით მთარგმნელს შორის არჩევანი პირველს უნდა მივუკუთვნოთ მუდამ! რადგანაც ენის არ ცოდნა შეიძლება (წარმატებით!) ანაზღაურდეს აწკარდით, ხოლო უნიჭობის ანაზღაურება შეუძლებელია.

საერთოდ კი, ნაცვლად იმისა, რომ გვძაგდეს აწკარდელი და აწკარდით თარგმანებს ამრეგით ვნათლავდეთ „დამაკალიანებლად“, ჩემი შენიშვნების დასასრულლ გთავაზობთ, მოდით და სამართლიანობის სახელით ძეგლი ავუვგოთ უკვალოდ გაუჩინარებულ აწკარდეს, რამეთუ იგი მართლაც რომ განათლების საჯავი ცხენია. მუდამ იყო, არის და აგრეც დარჩება უცნობ სიდიდელ, მაშინ, როცა პატივი და ღიღება ნიავაგ მკითხველი საზოგადოების კერპის — მხატვრული თარგმანის წილხვედრია.



ქართველი მწიგნობრები

კრიტიკოსის მას შემთხვევაში

კობა იმედაშვილი — „30 წლის შემდეგ“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ბ. ლავინთიანი, 1977 წელი.

კობა იმედაშვილი კრიტიკოსთა იმ თაობის რიგებს მიეკუთვნება, რომლებიც სამოციან წლებში ჩამოყალიბდნენ და ვის სიტყვასაც ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ლიტერატურის ახალი ნიმუშების შეფასებისას. იგი თითქმის ორი ათეული წელია (მისი პირველი კრიტიკული წერილი 1955 წელს დაიბეჭდა), რაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კრიტიკის უბანზე. ქართველ მკითხველს კი ისე ზნორად ესმის კ. იმედაშვილის სახელი, შეიძლება გაიოცოს კიდევ თუ ვიტყვით, რომ მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების წინამდებარე კრებული რიგით მესამეს წარმოადგენს. ავტორის ამ მოკრძალებას — თავის შეკავებას წიგნების გამოცემისაგან — ვერ გავამართლებთ იმ მოტივით, რომ წიგნში დაბეჭდილ სტატიას მეტი პასუხისმგებლობა სჭირდებოდა, ვინაიდან, როგორც თავად წერს წინასიტყვაობაში, მას წიგნში შესული არც ერთი სტატია არ გადაუმუშავებია. ეს წერილები კი თითქმის ოცი წლის მანძილზე სრულიად სხვადასხვა დროს არის დაწერილი.

ჩემი აზრით, თავისებურია წიგნის კონსტრუქცია. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში, როგორც ანოტაცია გვამცნობს, „ისტორიულ-თეორიული თვალსაზრისით გაანალიზებულია 20-30-იანი წლების ქართული პროზა, ხოლო მეორეში კრიტიკულადაა შეფასებული 60-70-იანი წლების ქართული პროზის ნიმუშები“. ავტორის პოზიცია მისასაღებელაა, ვინაიდან იგი „ცდილობს მონახოს ისეთი საერთო, რაც ქართული პროზის ამ ორ პერიოდს ერთმანეთთან აახლოებს“.

ავტორის ამგვარი ტენდენცია, ჭერ ერთი, აშკარად მეტყველებს მის შრომისუნარიანობაზე

და ქართული საბჭოთა ლიტერატურის ღრმა ცოდნაზე, მეორეც, თვალსაჩინოდ გამოკვეთს იმ აღმავალ ხაზს, რაც ასე უწყვეტად მიედინება ქართული საბჭოთა პროზის განვითარების გზაზე.

წიგნის პირველ ნაწილს („აღმავალი ისტორიის გასაყარზე“, „ახალი აღმავალი“, „ყოფილი აღმავალი“, „ხასიათის სტრუქტურა“, „მითოლოგიური სიმბოლოები“) თეორიულ-მეცნიერული ხასიათი აქვს, სადაც ავტორი თანამედროვე კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების („მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“, „სანავარდო“, „ჭაყოს ხიზნები“, „კოლხეთის ცისკარი“) საფუძველზე საინტერესო, ჩემი აზრით, ფრიად ანგარიშგასაწევ დაკვირვებებსა და მიგნებებს გვთავაზობს („ახალი აღმავლის“ ცნება, „ყოფილი აღმავლის“ ცნება, მისეული ტერმინები: „მარგინალური აღმავალი“, „ეგზომაია“ და სხვ.). გარდა ამისა, აღნიშნული ნაწარმოებები, რომლებიც 20-30-იანი წლების პერიოდს განეკუთვნება, განიხილება მხოლოდ ლიტერატურის ნიმუშების ორბიტაში, რაც განსაკუთრებულ ელვარებას ანიჭებს საერთოდ ქართულ საბჭოთა პროზას.

ავტორი მახვლავანდრულად შენიშნავს 20-30-იანი წლების ქართულ პროზაში მითოლოგიური პლანის ნიცშეანული (საერთოდ, ევროპული ლიტერატურის) გავლენებისა და ძიებების კვალის არსებობას, ხოლო 60-70-იანი წლების პროზა კი თითქმის მთლიანად ქართულ მითოლოგიას ემყარება. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული პროზის შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნის ავტორის ძიება მიმართულია იქითკენ, რომ 20-30-იანი წლებისა და 60-70-იანი წლების ქართულ პროზას შორის მონახოს ის საერთო, ის დამახასიათებელი სწორი ლიტერატურული პრინციპები, რაც ასე ახლოებს ამ ორ პერიოდს, რამეთუ მეორე პერიოდში უშუალოდ ემყარება პირველის ლიტერატურულ ტრადიციებს. ტრადიციითა გა-



ნვითარება ახალი სიმაღლეების დაპყრობას წინაშე მხატვრულ ლიტერატურაში. ლიტერატურული ტრადიციების გათვალისწინებამ მოუპოვა აღიარებული სახელი რ. ჭავჭავაძესა და ო. იოსელიანს, გ. რჩეულიშვილსა და ნ. ჩხეიძეს, ნ. დუმბაძესა და გ. ფანჭიკიძეს, რომელთა შემოქმედებასა და პორტრეტულ შტრიხებს ჩვეული მხატვრული გემოვნებით მიუძღვნა თავისი წერილები კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა.

შეიძლებადა წიგნში ავტორს ადგილი დაეთმო სხვა სამოციანელი პროზაიკოსისათვისაც (თ. ქილაძე, ა. ხუთაყური და სხვ.), რომელსაც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში, მაგრამ ვენდოთ ავტორს გულახდილობაში, რომ წიგნის მოცულობა საშუალებას არ აძლევდა უფრო

ვრცლად ელაპარაკა აღნიშნულ პროზაიკოსებს. გარდა ამისა, ხაზგასმითა და გულისხმობით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხასიათის წიგნები სასურველია პოლიგრაფიულად უკეთესად გამოიყურებოდეს და ტირაჟიც (2000) მეტი იყოს.

რამდენადაც ვიცით, აღნიშნული წიგნი 1976 წელს უნდა დასტამბულიყო (გამომცემლობამ სტამბას — დიდიმის წიგნის ფაბრიკას — დროზე ჩააბარა), მაგრამ სტამბის მუშაობა არაოვე. რატიული მუშაობის წყალობით წიგნი ფაქტურად 1977 წელსაც ვერ დაიბეჭდა (იგი მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოჩნდა წიგნის ბაზარზე). სწორედ ეს არას წიგნის უზარმაზრობის მისწავლა. კრიტიკული პრადუქციისადმი ასეთი უპასუხისმგებლობა, დაბირ უნდა ითქვას, დანაშაულად მიგვაჩნია.

რეზუმე ჩნბრტმშვილი.

მოგონებანი მაშაზე

„გამაჩიმი მაშა-ფსაველა“ — გამოცემლობა „ნაკადული“, რედაქტორი ლ. ირეგაშვილი, 1977 წელი.

მიმშარბმი ერთ-ერთი საინტერესო და პოპულარული თანია. მითუმეტეს, თუ იგი ეხება საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფოებელ მგოსანს, თუ აღიარებულ ხელოვანს. მკითხველს იტაცებს და ხიბლავს მისი შინაარსიანი ცხოვრება, დაუღალავი და მოუსვენარი შრომა, ნაყოფიერი და შრომატევადი შემოქმედება. მისი ყოველივე ცხოვრებისეული დეტალი, ყოფაქცევა, ხასიათი, წინ-ჩვეულები, ჩაცმა-დაზურვა, დამოკიდებულება მეგობარ-ნათესავებთან და ოჯახურ წრესთან გვიჩვენებს და ეტყვიან, თან ამ დიდი ადამიანის სულიერ სამყაროში დრამა გვახედებს თვალწინ გვეშლება მისი ცხოვრების სურათები, ეპოქის ნეგატიური თუ პოზიტური მხარეები. აი, რატომ ეწაფება ამ ენარს ფართო საზოგადოება.

ასეთ წიგნთა რიცხვს განეუთვნება ვახტანგ რაჟიაშვილის ჭკორფასი კრებული „მამაჩიმა ვაჟა-ფშაველა“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოცემა, ჭერ მარტო დიდი კლასიკოსის სახელს ხსენებით ინტერესდება მკითხველი და მერე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალურად გაცნობით მიღწევარებას განიცდის და სულიერ სასრდოს უზად დეზულობს.

წიგნი შედგება შვიდი თავისაგან. ზოგი ცოლ-შვილის მოგონებებია, ზოგი ნათესავ-მე-

გობრების, მეწრლებისა და საზოგადო მოღვაწეების. ყველა დადებითად, სიყვარულით და გულთბილად იკონებს დიდი ქართველი პოეტისა, მეწრლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებას, შემოქმედებას, საქმიანობას, მშრომელი ხალხისადმი თვალდადებასა და სიყვარულს, მჩაგვრელებისა და ბოროტების წინააღმდეგ სასტიკ და შეუპოვარ ბრძოლას.

იმდენი მოგონება და ამბავი ვაჟის შესახებ, ამ წიგნში, რომ ზედასეთი უნაბირო გეგონებათ. მაგრამ ათი ამდენიც რომ ყოფილიყო, მკითხველი მაინც არ დაიღუბებოდა და არ მოსწყინდებოდა მისი გადაკისხვა, ავტორიდან დაწყებული და დამთავრებული უბრალო გლეხის მოგონებით, ყველას ნამბობი მეტად საინტერესო, მიმზიდველი და საგულისხმოა, რადგან ყველაფერი სიყვარულით არის მოთხრობილი, გულის სითბოთია აღსავსე. მგრძნობიარედ და ალღმართლად არის ნათქვამი. ეს ხალხი ყველა ახლობელი იყო ვაჟის, ან მეგობარი და კარგი ამხანაგი, ამიტომ იკონებენ ასე გულთბილად, სიყვარულით, სიხარულით და გულისტკივლით, სიამაყით თუ დანაწებით. მოგონებების წაკითხვის შემდეგ მკითხველს კვლავ თვალწინ დაუდგება დიდი პოეტი და ადამიანი.

ვაჟა ძალიან ბევრს შრომობდა, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად. დღისით ხნავდა, თესავდა. შეშას ამზადებდა, ბაღ-ბოსტანს უვლიდა, ღამით კი წერდა, ქმნიდა პოეტურ თვალმარგალიტებს. მოუსვენარი იყო მგოსნის ცხოვრება, რას არ წვდებოდა მისი ფხიზელი თვალი, მგწნებარე გული, ნათელი გონება, და



მოუღალავი მარჯენა. ჩქარობდა, რათა ბევრი რამ მოესწრო და გაეცეთებინა მშობელი ხალხის სახარებლოდ, სამშობლოს სადიდებლად.

ლუკა რასკაშვილი, მოუხდავად ამდენი შრომა-გარჯისა, მაინც ხელმოკლედ და გაჭირვებით ცხოვრობდა, რადგან წვრილ-შვილი იყო, დიდი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ იგი ყველა ღარიბსა და ღატაკს ეხმარებოდა ზოგს ფუკილს აძლევდა, ზოგს — ხასმელსა და საქმელს. სტუმარს უპატივცემულოდ არ გაუშვებდა სიხარულით ღებულვობდა და გულუხვად უმასპინძლებოდა, არც ჭირს აკლდებოდა და არც ღლინს ყველგან და ყოველთვის მოულოდნელად გაჩნდებოდა მშრომელი ხალხის მოხარწულ და ქომაგი.

დიდ მგოსანს უყვარდა გლეხებთან პურ-მარილი, საუბარი და კაფიაობა. ზოპიერებას იყენდა სმა-ჭამისა და დროსტარებაში. ისე აოღათრებოდა, რომ ან სიტყვა არყოფა ან ფეხი. ღამე სხვაგან იშვიათდა თუ დარჩებოდა. ნაქეიფარი ვაჟა დაუყოვნებლივ სახლისაკენ გაი-

წედა, რაც კი მოეწონებოდა, ლექსი იქნებოდა და თუ საინტერესო ამბავი — ლეგენდა, მანამდე უბის წიგნაკში ჩაიწერდა.

თუ ვინმე იმდროინდელი მონღოლებსაგან ჩაგვრას და შევიწროებას განიცდიდა, უშაღვე დასმარებისათვის ვაჟას მამართავდა. მგოსანიც მასდ იყო მაშინვე გამოსაჩრდებოდა ხშირად უფერინა თავისი მართაბით. ხელთა თუ პაჩვენით მამასახლისი ან „აბესჩიკები“. ამიტომ მრავალი მტერი მჟავდა, ბევრჯერ დაუპყრობათ ვაჟა, მაგრამ მასრის უფროსი, გაიგებდა, თუ არა მის ვინაობას, უშაღვე ათავისუფლებდა. მთელ წიგნში გამოსქვივის მგოსნის დიდსულოვნება, გულუკეთილობა, დაუღალავი შრომა და შემოქმედება.

წიგნის დასასრულს, დამსახურებული ექაზინიო ციციშვილი გულთბილად, სიყვარულათ და გულსიტყვილით იკონებს დიდი მგოსნის ავადმყოფობასა და გარდაცვალებას იგი იმ დროს, ექთანს გახლდათ და თავს დასტრავლებდა მომკვდავ პოეტს.

სოლომონ ხათაშვილი

პოეტის ზიზნის მორალური საზრისი

ირაკლი გომოლაშვი — „არწივის ცრემლი“. გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი ზ. ჰაზარაძე, 1977 წელი.

ლიტერატურულ კრიტიკაში აღნაშნულაა, რომ 70-იანი წლების ახალგაზრდული ფრთხი პოეტებისათვის „ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება და დიდი ღირსება არის ხიმაართლის წყურვილი სიმატლის ძიების პათოსი“ (გ. ახათიანი „პოეზია და სხვა“, „ცისკარი“, 8, 1978, გვ. 121). ეს თვისება და ღირსება შენაშენა ირაკლი ვოგოლაშვილის პირველი პოეტური კრებულიდან „არწივის ცრემლი“. ლექსების ერთ ნაწილს წითელ ზოლად გასდევს „გამოუღმებელი დავა და ბრძოლა ვიდრეცასთან, მირველ რიგში თავის თავთან“, სიკეთის საწყისის ბრძოლა ბოროტების საწყისთან:

ვკალაფობთ შე და ფიჭრნი,
დღემდე რომ ვკაცობ მათით.

აჭრთან, სატკივართან მარტოდ შთენილი პოეტის სული გაორებულია. მის ინდივიდუალურ „მეს“ აწუსებს ბოროტების ყოველგვარი გამოვლენა და აქედან იწყება მთელი ციკლი კითხვარებისა, იწყება ფიქრი, განსჯა, სულის ფრთხი ნაწილის ბრძოლა და კამათი მფორესთან. ყმოსწრება მზე, რომ ყველა ადამიანი კოო-

ლი და მართალი იყოს? ... „ან ის ჭია, ყვავილის ღეროში რომ გაჩინდებულა, გაიგებს ოდესმე რომ ცოდვინა? ... ხაოცარი კითხვა ცხადია, მხოლოდ ფაქიშ პოეტურ გულისყუარს შეუძლია ასეთი დანახვა და გააზრება. ფიქრთა ჭიდილში წინა პლანზე წამოიწვევა სიკეთის ქმნა, უცოდველობა, როგორც მიწაში. ადამიანმა სიკეთე თესოს, მოკლედ წუთისოფელი დაიმშენოს მადლის ქმნით, — აი ჩვენს ყოფის მთავარა შენაარსი, თორემ, — დასძენს პოეტი, — რამეშენებლობა აქვს ამ ფრთფეროვნებას: „მზე კვლავაც ამოვა, წვიმა კვლავაც ჩამოვა, დედამიწაც იქნება და კაციც — ღარადელსავით აკვდილ-ნიცოცხლის თოვზე გაკიდებული გაქმულ საუფუნებში“

პოეტის მორალური კრედიტ ხელშესაგებადაა გადმოცემული ერთ-ერთ უსათაურო ლექსში (გვ. 13): „ორღობებში მინდა ჩავახველო შუალამისას, მაგრამ მას ვისუბო, — იქნებ ფიქრებს ვინმე უთქვს და... ვინ იცის, ვის რა უამი აუგან? ისე გამოიღოს ფეხის ცერებზე უნდა იარო, სანამ დადისარ... როგორ გობია უღრან ტყეს შეფარო და გულის ჭია მოიკლა, თუ იყო ასე და შენი სიმღერა-ხველებით ვინმე აჯავრო? თუ ისევე შაშვლიდით უნდა გაილიო, როგორც მზეში ნისლი, რომ თქვა: უცოდველი ვარ!“

ღიან, ადამიანმა „ფეხის ცერებზე უნდა იაროს“, რომ ჭიანჭველასაც არ დაღვას ფუხის ან ამ „უცოდველობის მოტივით“ განცხა-



დებული მორალური საზრისი ამოღიანებს კრებულს და ესაა მისი მთავარი ღირსება.

ჩვენს „მაღელმსროლ“ ეპოქაში დიდი სიფაქიზე და სიფრთხილეა საჭირო, რათა ინდივიდში არ „გაიფანტოს სული ღერწახი“, წოასწორობა არ დაირღვეს, იყოს მხოლოდ „მზის წილნაური“ და უცოდველი „მიაშიტი ყოჩივარდებივი“, მხოლოდ არც ამთხავთ გულუბრველი. მიაშიტი ყოჩივარდები, — სიკეთის სიმბოლოები, — გზას უთმობენ ბოროტების სიმბოლოს — „თვალღამს“, რომელიც ურჩხულის ასოციაციას ქმნის მკითხველში (ლექსი „ჩვენება“); ყოჩივარდებს „თავის დაკვრაც დიდ წაღობად მიაჩნდათ მწერელჩვილთ!“ ეძიებო — „მწერელჩვილთ!“ ყველაფრის მოქმელობა; ბოროტებას, მრუდს და უსასურ საქმეს წინ უნდა აღუდგეთ! — ვკითხულობთ სტრიქონებს შუა. ასეთივე იდეაა გატარებული ლექსში „მადლობელი ვარ“, „მადლობელი ვარ შენი მტერობის, მადლობა ჩემი ოთახის ქვერი“, — ასე მძაფრად და აკონტრადარტუხით რეაგირებს პოეტი ყოველგვარ უარყოფითზე უნებლიედ გვასხედება გენიალური ხალხური სტრიქონები: „მტერი არ შამხვდა მტრისფერი, ვარ უბედური ღღისაო“.

პოეტი მიეღობის ძნელსა და საპატიოს — სამშობლოს მეციხოვნეობას და დანასჯერტელობას; ამ შინაარსს კი სავანებოდ დაპირისპირებულია შემდეგი: „ხომ არ სჭოდა, კაქლის გრილოში წამოფწოლილიყავი, — ნარიკელა მაინც მომხვედბოდა, რომ ძილად მივარდნილს თვალები ანებოლა“ (გვ. 28). ესაა მსუბუქი საბრკანში მცონარებისა და უქნარების მიმართ, ამის მიღმა კი შორეული ბარათაშვილისეული შეგონება მოგვეყურადება: „მაგრამ რადგანაც კაც-ენი ვქვიან, შეიღნი სოფლისა“...

პოეტი-მოქალაქე, შინაგან წყნობრივ ძამოშლილებას გრძნობს და სხვების გასაგონად

ამაღლებული ტონით მიმართავს მამულს, მკერდზე დაგაწონს შეუბღები, რომ შენს გაგება სატყვირის“ (გვ. 30).

პატრიოტული სულსკვეთებითაა გაფენილი ლექსი „ხოშარა“, საქართველოს მთა ცარიელდება. პოეტის აზრით, ეს არ არის წარღმანი. ქართული კულტურის, ქართული ენის აღმდგრეველი საღინარი ამ ნასხლარებიდან, ამ „ხოვლებიდან“ იღებს სათავეს, არ უნდა გაწედე კავშირი დედაფუძე-კულტურულ წარსულთან, რადგან იქაა დამარხული ნატურისთვალერის მთლიანობისა. ამიტომაცაა, რომ „თურმე სცოდნია ჰიუსხაც ბოღმა, თურმე სცოდნია არწიხაც ცრემლი!“ „არწივის ცრემლი“ პოეტს დიდ პატრიოტულ განსაზრების მოუტყევია და კრებულის სათაურადაც იგი აურჩევია.

განსაკუთრებით რთმიან ლექსებში პოეტს ზურგს უმაგრებს ხალხური ლექსიკა და ილიამატური გამოთქმები („შეგვიბრებივართ მიწასა“, „ირეცა ნიხლის ნოტონი“ და ა. შ.).

თეთრ ლექსებში ინტონაცია წყნარია. მეტყველებდა თითქმის სალაპარაკო კილომდე ჩამოდის, მაგრამ გულწრფელი შინაგანი დრამატუზმი ლექსებს მონოტონურობას აცლიებს. აკცენტი გაღატანილია შინაგანი ძაბვით დამუტულ სათქმელ-სატყვიარზე.

რასაკვირველია, კრებულში მოიძებნება სუბტი ლექსები, ფრაზები, რითმები. სახეობრივი ნაკადი შედარებით ნაკლებია.

პოეტური კრებულებით ვეცნობით ხოლმე ავტორს არა მხოლოდ როგორც კალმის ოსტატს, არამედ უშუალოდ შას, როგორც პიროვნებას.

„არწივის ცრემლის“ ავტორი ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც მაიძებელი შემოქმედა და საინტერესო პიროვნება. იგივე მიზეზი გასაზღვრავს მისადმი იღუშად პატივისცემას მკითხველებისაგან.

უშანგი ჯანაბრასვილი.

მოთხრობები ჩვენს ნახსოვ ალბომიანებაზე

თემურ აბულაშვილი — „ჩიბნბი უფასოდ“, გამოცემილობა „მერა-ნი“, რედაქტორი მ. ჯაფარიძე, 1978 წელი.

ამ წიგნში არჩეულბერივი და განსაკუთრებული თითქოს არაფერი არ სდება. არ არის აქ დიდი, ყოვლისწამლეკი ვნებათაღელვანი, მშოფთვარე პერიპეტეიები. ავტორი შეგნებულად ირჩევს მშვიდ სიტუაციებსა და გარემოს, მისი გმირები ჩვეულებრივია, რიგითი აღმიაწენია. ის თავის პერსონაჟებს არ აუ-

ნებს მომგებიან პოზიციაში, არ ურჩევს პოზას, არამედ გვიჩვენებს მათ ისეთებს, როგორნიც ნამდვილად არიან. ზატვის ასეთი მანერა ფარული კამერის გადაღებას წაავებს, სადაც პოზარება გამოიციხუფლია.

თემურ აბულაშვილს უნარი აქვს ერთი შეხედვით უბრალო ამბავში მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი რამ შეამჩნიოს, განაზოვლოს და მხატვრული ღირებულება მიანიჭოს მას.

ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს წიგნი მისი „ნაცნობი ყმაწვილებისა თუ მოზუცების სხულის გამომედღავების ცდაა“. ამ ადა-



მიანებს ბევრი რამ აქვთ ჩვენთან საერთო. ზევრი რამით გვგვანან ჩვენ. ანტონომა წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი ასე მახლობელნი უმხოლოდობის რომ წლებია.

ახალგაზრდა პროზაიკოსის თემა თანამედროვე სოფელი და მისი ადამიანებია. ზოგი მწერლის შემოქმედებისაგან განსხვავებით, სადაც სოფელი ტექნიკური ეპოქისაგან გადაღლილი ადამიანის მუუდრო თავშესაფრად და სვანედ წარმოგვიდგება, თ. ახულაშვილის სოფელი ამ ეპოქის განუყოფელი ნაწილია, რომელზეც თავისი დიდი დაუსვამს მანქანების საუქუნეს. ავტორი ანერგებს სოფლისა და მისი ადამიანების სატექნიკური განაღლილებით გვიჩვენებს საერთოდ ჩვენი თანამედროვეობის სახე, მიწასთან, ბუნებასთან თანაშერდილი კაცის მიმართება დღევანდელობასთან, მისი ხასიათის და მისწრაფების ევოლუცია. ეს თემა სხვადასხვა ვარიაციებით წიგნში შემავალ ხუთივე მოთხრობაში ვითარდება.

ჩვენი საუქუნე არა მარტო გარემოს გარეგნულ ფორმას ცვლის, არამედ ცვლის ადამიანებსაც. ამ მოთხრობებში არის ერთგვარი შაში, რომ ტექნიკაცია, მანქანები ადამიანებს გადაიწევენ მშვენიერების თაყვანს, გააუხეშებენ, გულგრილ არსებებად აქცევენ მათ, გადააჩვენენ სიკეთის ქმნისა და მოყვასისათვის მსხვერპლად მისვლის უნარს. მუწეი პასილა ამოდ ღამობს ჩიტების გაყიდვას, მაგრამ მანქანების ორმოტრიალით, თავბრუდამხვევი რატებით გავრცელებულ ქალაქში ჩიტები არავას სჭირდება, მთელი ტყის იაღონებიც უფასოდ რომ აჩუქო, ზედაც არ შემოგხედავს რადგან, ქალაქში რკინის ქლარუნმა დააყრუა და არ ძალუქს მოუსმინოს ჩიტის გალობას, ის გადაეჩნია ბუნების ხმას („ჩიტები უფასოდ“).

ტექნიკის ფეტიშისმით ადამიანში ჩლუნდება ადამიანური თვისებები, მანქანა ამცირებს, აკნინებს თვით ადამიანს, დევნის და უმწიფოს ხდის მას, („ქრისანთემის ჩითილი“).

„აღაზნისპირა სოფელში მხოლოდ ბებრებიღა დარჩენილან. ახალგაზრდები ქალაქში გაქრებილან. სათითოდ მიდიან ბებრები ამ ქვეუნიდან. სიცოცხლის გაგრძელების იმედად ელ-

გუჭა და თებრონე რჩებათ, მაგრამ არც მათ უჩნდებათ შვილი და სიცოცხლის გავრანებას შინი თან მიჰყვებათ სამარეში („მდინარეს მუაქეს ამბავი“).

ურბანიზაცია ნელ-ნელა აშრობს და ფიტავს სოფელს, თავისკენ იზიდავს მის შვილებს, უმომავლოდ და უპატრონოდ ტოვებს მას. სხნა მხოლოდ და მხოლოდ სიუვარულში და ადამიანთა შორის პუშანურ დამოკიდებულებაშია, ესაის ყადიმი, რომელზეც შეიძლება დაშენდეს სიცოცხლის მარადისი ტაძარი („ყადიმი მადე გამოჩნდება“).

ნაწარმოების მნიშვნელობა განისაზღვრება მსატრული სიმართლით და არა მისი მოცულობითა და მასში ჩადებული შიშველი აზრით. პრობლემა, რომელსაც ზემოთ შევეხეთ, თემურ ახულაშვილის მოთხრობებში სქემატურად კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხატვრულ სახეებსა და სიტუაციებში დამატრებადაა ვახსნილი. წერის მანერით, თავისი მწერალური პოზიციით იგი ქართული პროზის იმ ფრთას მიჰყვება, რომელსაც პირობითად შეიძლება „ლირიკული პროზა“ ვუწოდოთ. პოეტური მეტყველება სხირად ენაცვლება ჩვეულებრივ თხრობას, ზომიერ ფერადოვნებას და სათბოს მატებს მას.

ავტორი დინამიკაში, მოქმედებაში თანდათანობით შლის, აფართოებს გმირთა ხასიათებს და ქმნის ისეთ დასრულებულ პორტრეტებს, რომლებიც ნათლად ამხსოვრდება მკითხველს (ლეკსო, თებრონე, ქექელა, ელგუჭა, პასილა).


ეს მოთხრობები უურადლებას იქცევენ აკრთვე ფსიქოლოგიური სიღრმით, გმირის შანაგან სამყაროში წვდომის ნიჭით, ცხოვრების ცოდნით.

მოსაწონია თ. ახულაშვილის სერიოზული დამოკიდებულება ენისადმი. იგი მშვენივრად ფლობს ქართულს, მისი ლექსიკა მდიდარია ცინცხალი სიტყვებით, რომლებიც მწერალს უმეტესწილად კახური კილოდან შემოაქვს.

ეს პირველი წიგნი უდაოდ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ თემურ ახულაშვილისგან ხვალ უფრო კარგ ნაწარმოებებს უნდა ველოდეთ.

პასხანგ ხარჩილავა





ქულაბი ღიმილით?

11 თებერვალს. საუბებურთო სეზონის დაწყებამდე ორი თვით ადრე, გაზეთებმა გვაუწყეს, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის დაწესებულია ფრეების ლიმიტი. „ბრძოლის გამწვავებას და მატჩების შინაარსის გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი ფრეების ლიმიტმა. რომელიც ამ სეზონშია შემოღებული უმაღლეს ლიგაში. გათვალისწინებულია, რომ პირველი რვა ფრისთვის გუნდს დაერძნება თითო ქულა, ხოლო ყოველი მომდევნო ფრე დამარცხებასთან იქნება გათანაბრებული.“ („სპორტსკი სპორტ“-ი, 11. II. 1978.)

ფრებთან ბრძოლა სუთი წლის წინათ დაიწყო. 1978 წელს სეზონის დაწყების წინათ გამოცხადდა, რომ ყოველი ფრე (0:0, 1:1, 2:2...) დამთავრებული მატჩის შემდეგ გამარჯვებული გუნდის გამოსავლინებლად დაინიშნებოდა პენალტები, და ამ უმაღლეს სასჯელს იბდიდნენ სრულიად უდასაუბლო გუნდები. რომლებმაც 90 წუთს დვარის ოფლი და იბრძოლეს გამარჯვებისთვის. მაგრამ გოლი ან სულ ვერ გაიტანეს, ან იმდენჯერ გაიტანეს, რამდენჯერაც გაუშვეს. გუნდები ჭერ ზუთ-ზუთ პენალტს არტყამდნენ მორიგეობით, ხოლო შემდეგ, თუ ანგარიში თანაბარი იქნებოდა, თითო პენალტი უნდა ერთპატი მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე არ დაწინაურდებოდა (მახსოვს, ერთ-ერთი თამაშის შემდეგ მეკარეები თორმეტ-თორმეტჯერ ჩადგნენ კარში). ასე კარგადა კანონიერად მოპოვებულ ქულას ერთი გუნდი, რომელსაც წყალში ეყრებოდა სათანახვრის შრომა, და ასე პოულობდა იმ ქულას მეორე გუნდი, რომელსაც ერთის ნაცვლად ორი ქულა ემატებოდა და შრომა ორმაგად უნაღაურდებოდა.

დაიწყო 1974 წლის სეზონი. პენალტები კვლავ ინიშნებოდა, მაგრამ არა ყოველი ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, არამედ მხოლოდ უგოლო მატჩების შემდეგ და თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით კი არა, მხოლოდ სუთ-სუთჯერ. გოლებიანი ფრე კანონიერ შედეგად ითვლებოდა და ავტომატურად მტკიც-

დებოდა, უგოლო კი — არა და ამით გუნდებისთვის არათანაბარი მდგომარეობა იქმნებოდა.

რაკი ახალი დებულებით სუთზე მეტი პენალტის დანიშვნა აღარ შეიძლებოდა, ძალიანაც რომ მოედომებინათ გუნდებს ერთმანეთისთვის გასწრება, შეიძლებოდა, საბოლოო ანგარიში მაინც თანაბარი (3:3, 4:4 ან 5:5) ყოფილიყო, ხოლო, თუ არც ერთი გუნდი არ მოინდომებდა (და არც ინდომებდა) გასწრებას, გუნდები, ცხადია, სულ ადვილად „მოაღწევდნენ“ (და კიდევაც „აღწევდნენ“) ფრეს და „დამტკიცებდნენ“ თამაშის დროს მოპოვებულ თითო ქულას (თუ რომელიმე გუნდი მეორე ქულას გამოედევნებოდა, შეიძლებოდა, ის ერთი ქულაც დაეკარგა).

1974 წელს პენალტების დანიშვნას მატჩების (ისიც მხოლოდ უგოლოდ დამთავრებული) შემდეგ აღარავითარი აზრი არ ჰქონდა. თუ ერთი წლის წინათ გუნდები იმას ცდილობდნენ, რომ იმაზე მეტი გაეტანათ, რამდენსაც გაუშვებდნენ (სხვა გზა არ ჰქონდათ, რადგან გადამწყვეტ გოლამდე უნდა ერთპატი პენალტები), ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ არ „შემცდარიყვნენ“ და სუთი პენალტიდან მეტი არ გაეტანათ, ვიდრე გაუშვებდნენ (ან ნაკლები არ გაეშვათ, ვიდრე გაიტანდნენ). აღარც ფეხბურთელები დედავდნენ, აღარც მწვრთნელები და აღარც გუნდების მომადგები. მეტოქეები ერთმანეთს უცხოვდნენ, ეხუმრებოდნენ, მხარზე სედს უთათუნებდნენ და, როცა „საჭირო“ იყო, „სულ ადვილად“ ადგებდნენ ბურთს კარს, რის შემდეგაც ტრიბუნებზე მაზარა გაისმოდა. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ „პრავდა“-ში ცნობილი ფედერაციისტი ი. შატუნოვსკის იუმორით სავსე რეპლიკა არ დაიბეჭდა და ის უაზრო და მართლაც სასაცილო წესი არ გაუქმდა. ამის შემდეგ ოთხი წელი გავიდა და ახლა ფრებზე ახალი შეტევა დაიწყო (ჩვენ ვნახეთ, რით დამთავრდა ფრებთან პენალტებით ბრძოლა, და იმასაც ვნახეთ, რა მოჰყვება ფრეების ლიმიტის დაქსიებას).



ყოველი გუნდი (ძლიერი თუ სუსტი) ცდილობს, კარგი დაიკვას და გოლიც ან გოლებიც გაიტანოს ან შეტი გაიტანოს და ნაკლები გაუშვას. ან კიდევ იმდენი მაინც გაიტანოს, რამდენსაც გაუშვებს, ხოლო, გოლს თუ ვერ გაიტანს, არც შეტოქეს გაატანინოს. ყოველი მატჩი (ლიდერებისაც, აუტსაიდერებისაც და ლიდერისა და აუტსაიდერისაც) ან ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით (და მეორის დამარცხებით) მთავრდება, ან ფრედ და ორივე შედეგად ერთნაირად კანონიერია. ყოველი გუნდი ამა თუ იმ მატჩში ან იმარჯვებს, ან მარცხდება, ან კიდევ ვერც იმარჯვებს და არც მარცხდება. ფრე ორივე გუნდისთვის, ასე ვთქვათ, ნანევარი გამარჯვებაც არის (დამარცხებას, მ ქულას, რა თქმა უნდა, ფრე, 1 ქულა სჯობია) და ნანევარი დამარცხებაც (ფრეს კი, 1 ქულას, გამარჯვება, 2 ქულა „სჯობდა“). ყოველ მატჩში 2 ქულა „თამაშდება“ და მისი ფრედ დამთავრება გუნდისთვის 1 ქულის მოპოვებასაც ნიშნავს და 1 ქულის დაკარგვასაც. 2 ფრე 1 გამარჯვებისა და 1 დამარცხების ტოლია. ფრედ დამთავრებულ მატჩებში მოპოვებული ქულები ისევე სრულფასოვანი და კანონიერია, როგორც გამარჯვებებით მოპოვებული. ყველაფერი ეს კარგად იციან არა მარტო ფეხბურთელებმა, არამედ ფეხბურთის მოყვარულებმაც და ჯერ არავის ვაუგონია, რომ ერთი და იგივე შედეგი — ფრე (0:0 ან 1:1, 2:2...) სამნაირად ფასდებოდეს: ხან ორივე გუნდისთვის ფრეს და თითო ქულას ნიშნავდეს, ხან ორივე გუნდს დამარცხებად ეთვლებოდეს და ქულა არც ერთს არ ემატებოდა, ხან კიდევ ერთი გუნდისთვის ფრეს და 1 ქულას ნიშნავდეს, მეორე გუნდისთვის კი — დამარცხებას და 0 ქულას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 2 (1+1) ქულა ხან 2 ქულაა, ხან 0 ქულა, ხან 1 ქულა (1+1=2, 1+1=0, 1+1=1). ჯერ არ მომხდარა, რომ რომელიმე მატჩში ორივე გუნდი დამარცხებულიყო (გუნდები, რომლებიც უკანასკნელ წუთამდე თვავამოდებოდნენ იბრძოდნენ გამარჯვებისთვის, დამარცხებულბად გამოეცხადებინათ მხოლოდ ინიტამ, რომ ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა და არც ერთი არ დამარცხებულა) ან ერთი და იგივე თამაში ერთ გუნდს წაეგოს (ფრე მისთვის დამარცხებად ჩაეთვალინა და კუთვნილი ქულა ვერ მიეღოს), ხოლო მეორეს არც წაეგოს, არც მოეგოს, მაგრამ ამ ფრედ დამთავრებულ თამაშში ქულა მოეპოვებინოს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მატჩების ანგარიში ყველგან სწორად 1:0-ა, 0:0-იდან 1:0-ამდე და 1:0-იდან 1:1-ამდე თითო გოლია და ვინ თქვა, რომ 1:0 (ან 2:1, 3:2...) მხოლოდ დამაბული ბრძოლის შედეგია, ხოლო ფრედ (0:0, 1:1, 2:2, 3:3...) ყოველთვის უღიმეაშო თამაში მთავრდება?!

16 წლის წინათ თბილისის „დინამო“ ჯერ კიდევ სტადიონზე არმის ცენტრალურ მსოფლიო ტულ კლუბს (აცქ-ს) ეთამაშებოდა. 89 წლის განმავლობაში თითქმის ვაუწყებელიც და გადფორმებით უტედეშენ მასპინძლები. შეუპოვრად იცადნენ კარს სტუშვები. ბრწყინვალედ თამაშობდა მათი მეკარე მაყურებლები და მოსყვებლების კართან დადარაჯებული ფოტოკორესპონდენტები წუთიწუთზე ელოდნენ გოლს. მშ-ე წუთზე ჩვენ მართლაც ვნახეთ გოლი, მაგრამ არა ის, რომელსაც ველოდით, და არა იქ, სადაც უნდა გასულიყო (ფოტოკორესპონდენტებმა ის გოლი, რა თქმა უნდა, ვერ გადაიღეს...). ის მატჩი რომ უფროდ და მთავრებულიყო ან თბილისელებსაც გაეტანათ გოლი, ხომ მაინც ვერაფერ იტყოდა, თამაში არ იყო მწვეფე და საინტერესო!

15 წლის შემდეგ იგივე გუნდები (მაგრამ, ცხადია, სულ სხვა ფეხბურთელები) თბილისის „დინამოს“ სახლ სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს და მათი უაღრესად დამაბული ბრძოლა ფრედ (2:2) დამთავრდა („დინამო“ მეორე გოლი მშ-ე წუთზე გაქვითა). დიდი უსამართლობა და უსჯობა იქნებოდა, რომ იმ თამაშის შედეგი გაეუქმებინათ და ორივე გუნდისთვის დამარცხება მიესაჯათ მხოლოდ იმისთვის, რომ თამაში ფრედ დამთავრდა.

შარშან ოდესაში პირველი წრის გაღებულ მატჩი „ჩერნომორეცსა“ და კიევის „დინამოს“ შორის ფრედ (1:1) დამთავრდა (კიეველებმა ძლივს გაქვითეს გოლი). ერთი კვირის შემდეგ ამ გუნდებმა კიევი ითამაშეს. დინამოელებმა სულ ადვილად გაიტანეს 8 ბურთი, ხოლო ოდესელებმა ერთიც კი ვერ გაქვითეს. არა მგონია, რომ მაყურებლებმა კიევი უფრო მწვეფე და საინტერესო თამაში ნახეს, ვიდრე ოდესაში.

1971 წლიდან უმაღლეს ლიგაში 16 გუნდია და, ჩემპიონატით ორ წრედ ტარდება (გაშონკლისი იყო 1976 წელი, როცა ორი თითო რიგში ჩემპიონატი ჩატარდა). 240 მატჩში 480 ქულა „თამაშდება“ და გუნდები მოპოვებული ქულების მიხედვით ინაწილებენ ადგილებს (ქულების რაოდენობასთან ერთად ზოგჯერ გატანული და გაშვებული ბურთების სხვაობასაც აქვს მნიშვნელობა). აქამდე არც ერთი გუნდისთვის არც ერთი ქულა არ ჩამოურთმევიათ, მაგრამ ამერიიდან ვერც ერთი გუნდი, რომელიც 8 თამაშს დამთავრებს ფრედ, ვერც ერთ ქულას ვერ მიიღებს მომდევნო მატჩების ფრედ დამთავრებისას.

თეორიულად შესაძლებელია, რომ ჩემპიონატის პეშელ მატჩი ფრედ დამთავრდეს ან ბრც მრმმ არ დამთავრდეს ფრედ, მაგრამ პრაქტიკულად ნორმალურ ვითარებაში ეს შეუძლებელია. შარშან 107 თამაში დამთავრდა

ფრედ (ამბოგენ, ეს ხარეორდო ციფრიაო). ფრედების რაოდენობა ხან შეტია, ხან ნაკლები იხვე, როგორც ყოველი გუნდი ხან შეტ თამაშს ამთავრებს ფრედ, ხან ნაკლებს. მაგალითად, თბილისის „დინამოს“ 1971 წელს 8 ფრედ, 14 მოგება და 8 წაგება ჰქონდა (III ადგილი), 1972-ს — 11, 12, 7 (III), 1973-ს — 14, 8, 8 (IX), 1975-ს — 9, 14, 10 (VIII), 1977-ს — 13, 13, 4 (II).

ფრედების ლიმიტი რომ შარშან დაეწესებინათ, თოთხმეტი გუნდი კანონიერად შეძენილ 87 ქულის დაკარგავდა (ორ გუნდს „ჩამოსართმევ“ ქულები არ ჰქონია, რადგან ერთს 7 ფრედ ჰქონდა, მეორეს — 8): ერთი — 1-ს, ორი — 4-1-ს, სამი — 5-5-ს, ორი — 6-6-ს, ერთი — 7-ს, ერთი — 8-ს და ოთხი — 9-9-ს. ცნება გუნდი სხვა ადგილებზე აღმოჩნდებოდა (ზოგი წინ წაიწვდა, ზოგი უკან დაიხვედა). მაგალითად, „ჩერნომორცი“ მეშვიდიდან მეოთხედ ადგილზე გადავიდოდა, „კაიარატი“ — მეხუთედან მეცამეტეზე, „დნებრი“ — მეოთხედან მეორედ ადგილზე, აქც — მეოთხედან მეოთხედზე (და უმაღლეს ლიგას დატოვებდა), „კარბატი“ — მეოთხედან მეოთხედზე (და უმაღლეს ლიგაში დარჩებოდა). ეს მოხდებოდა შარშან. იმის გასათვალისწინებლად კი, თუ რა შეიძლება მოხდეს წელს, წარმოვიდგინოთ, რა...
... 1. ორი ძლიერი გუნდის ორივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა (მანამდე ორივეს 8-8 ფრედ ჰქონდა). ორივემ ორ-ორჯერ „დამარცხა“ ერთმანეთი და იმ 4 ქულიდან, რომლებიც ამ ორმატში „გათამაშდა“, მათ არც ერთი არ შეხვედრიათ.

... 2. ორმა შედარებით სუსტმა გუნდმა, რომლებსაც 6-6 ფრედ ჰქონდათ, ერთმანეთთან შეხვედრები ფრედ დამთავრა და ორივემ 2-2 ქულა მოიპოვა.

... 3. ორმა გუნდმა, რომელთაც ერთს 7 ფრედ ჰქონდა და მეორეს 8, ორივე შეხვედრა ფრედ დამთავრა. 4 ქულიდან ერთს 1 ქულა შეხვდა, მეორეს — არც ერთი.

... 4. ორი აუტსაიდერი, რომელთაგან ერთ-ერთს უმაღლესი ლიგა უნდა დაეტოვებინა, უკანასკნელ ტურში შეხვდა ერთმანეთს. ქულები თანაბარი ჰქონდათ. ფრედ — ერთს 8, მეორეს 6, გატანა და გაუმჯობესი ბურთების სხვაობა — მეორეს უარესი. დაძაბული თამაში ფრედ დამთავრდა. ერთი გუნდი „დამარცხდა“, ქულა ვერ მიიღო და უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა, ხოლო მეორემ, რომელთაც უკანასკნელ ადგილზე გამოვიდოდა და I ლიგაში გადავიდოდა (ფრედების ლიმიტი რომ არ დაეწესებინათ), მოკვებულ ქულით მეტოქეს გაასწრო და უმაღლეს ლიგაში დარჩა.

... 5. უკანასკნელი ტურის წინ სატურნირო ცხრილის სათავეში ზედი ზედი იყო. ზედივეს თანაბარი ქულები ჰქონდა. ოთხს ფრედ-

ბის ლიმიტი ამოწურული ჰქონდა, მეხუთეს კი — არა. პირველმა გუნდმა მეორესთან შეხვედრა დამთავრდა — ოთხივე გუნდი „დამარცხდა“. მეხუთე გუნდი შეხვდა აუტსაიდერს, რომელსაც ქულა ჰაერითი სპირდებოდა და კიდევ ერთი თამაშის ფრედ დამთავრების „უფლებაც“ ჰქონდა. შეხვედრა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ფრედ დამთავრდა და ორივე გუნდს აუსრულდა ნატკა: ერთი ჩემპიონი გახდა, მეორე უმაღლეს ლიგაში დარჩა.

... 6. ჩემპიონატი პირველმა რვა გუნდმა ასეთი შედეგებით დამთავრა (ქულები ნაანგარსებია და ადგილები განაწილებულია „შეხვედრად“ და „ასლებურად“ — ფრედების ლიმიტის გათვალისწინებითაც. გატანა და გაუმჯობესი ბურთები ნაჩვენებია არაა, მაგრამ იგულისხმება, რომ ყოველ მომდევნო გუნდს მათი უარესი სხვაობა აქვს):

	მ.	ფ.	წ.	ქ.	ადგ.	
1.	15	15	0	45	(38)	I (II)
2.	15	14	1	44	(38)	II (III)
3.	15	13	2	43	(38)	III (IV)
4.	15	12	3	42	(38)	IV (V)
5.	15	11	4	41	(38)	V (VI)
6.	15	10	5	40	(38)	VI (VII)
7.	15	9	6	39	(38)	VII (VIII)
8.	16	7	7	39	(39)	VIII (I)

შეიღწერ დამარცხებული გუნდი, რომელიც ნორმალურ ვითარებაში მერვე ადგილს ვერ გასცდებოდა, ფრედების ლიმიტის წყალობით ჩემპიონი გახდა — ერთბაშად შეიღ მასზე უკეთეს გუნდს გადაახტა და იმ გუნდსაც კი გაასწრო, რომელიც ჩემპიონატში ერთხელაც კი არ დამარცხებულა („გამარჯვებულ“ გუნდს რომ 7 კი არა, 8 თამაში დამთავრებინა ფრედ და 39-ის ნაცვლად 38 ქულა ჰქონოდა, ჩემპიონის გამოხადვინებლად ამ რვა გუნდის ტურნირი უნდა ჩატარებულიყო).

„ბრძოლის გამწვავებას უნდა შეუწყოს ხელი ფრედების ლიმიტმა“. ფრედების ლიმიტი ბრძოლას კი არ გაამწვავებს, განალებს: რაკი ხშირად „ფრედ დამარცხებასთან იქნება გათანაბრებული“, ფრედებზე გოლის გაშვებისა და დამარცხების შიში გაცილებით მეტი ექნებათ და გოლის გატანისა და გამარჯვების იმედია — გაცილებით ნაკლები, ვიდრე აქამდე ჰქონდათ, და გუნდები თავდაცვაზე უფრო მეტს იფიქრებენ, ვიდრე შეტევაზე.

თუ ფრედების ლიმიტი დროზე არ გაუქმდა, გუნდები და მათი მწვრთნელები სულ ადვილად გამოძნეწავენ საშიშ, დამარცხების ტოლ ფრედებთან ბრძოლის საშუალებას და ამას კი მეტისმეტად მძიმე შედეგები მოჰყვება ფრედები მარ. თლაც შეიცირდება ან სულ აღარ იქნება. მაგრამ მაშინ ფრედებთან ფრედებთან აღარ იქნება იმედი ვიქონიოთ. რომ აქამდე არ მივა საკმე.

კულტურული ცხოვრების მ. რ. მ. ნ. ი. კ. ა.

ამერიკა

ალექსანდრე მაკაედონელი
კვალზე

ალექსანდრე მაკაედონელი
ლის ლაშქრობათა ნაკადუე-
ზე გადაწყვეტა წახვლა 28
წლის სტუდენტმა — არქეო-
ლოგმა ჯონ ბანდამ.

ჯონი იმედოვნებს, 24 ათასი
კილომეტრი, რომელიც დიდმა
მხედართმთავარმა გაიარა, ოთხ
წელიწადში განვლის. მოგზა-
ურობა ჯონმა დაიწყო ბერძ-
ნულ ქალაქ პელაში, მაკედონი-
ისის უძველეს დედაქალაქში.
აქ, პელაში, ჩვენს წელთაღრი-
ცხებად 555 წელს დაიბადა
ალექსანდრე მაკედონელი.

გაყიდული სახელი და დიდება

„ჯაზის მიწის“ ელვის პრე-
ხლის სიყვდილმა ღრმად და-
ამწუხრა ათასობით მისი თა-
ყვანისმცემელი, ამასთანავე ინ-
ტერესი გაუღვიძა იმათ, ვინც
თაყვანს სცემს პრინციპს, ფუ-
ლი არ უარსო. ამერიკის ბა-
ზარი გაივსო იაფფასიანი სამ-
შენისებით, რომლებზედაც
გამოსახულია ელვის პრესლი,
სტატუეტებით, 555 დოლარი-
ან „ოქროს“ მედალიონებით,
დოლარიანი „ბანკნოტებით“
მომღერლის გამოსახულებით.
გაქანებული ვაჭრობის საგანი
გახდა აგრეთვე პრესლის ნა-
ქონი ერთი აკრი მიწა მისიხი-
ბის შტატში. ერთ კადარბუდ-
დუმი მიწაში 10 დოლარს ით-
ხოვენ. რეკლამის სპეციალის-
ტები მყიდველებს სთავაზობენ
მზა ტანსაცმელსა და კოსმეტი-
კას, რომელსაც პრესლის სახე-
ლი აწერია. მრავლდება მომ-
ღერლის ხელოვნების იმიტა-
ტორთა რიცხვიც, ვინც პრეს-

ლისდაგვარად იცვამს და ოც-
ნებობს გარდაცვლილი „ჯაზის
მეფის“ კარიერაზე.

დანი

პრონარბი
კოპულაროზისათვის

დანიში ბიბლიოთეკეზა
წელიწადში ერთხელ უხდია
წიგნის ავტორებს დამატებით
პრონარბს.

პრონარბის რაოდენობა იმა-
ზე ჰქდია, თუ რამდენჯერ
მოითხოვეს მკითხველებმა ამა
თუ იმ მკითხველის წიგნი. მა-
გრამ თადლითობამ აქაც იჩინა
თავი: ზოგიერთი ავტორი ბიბ-
ლიოთეკაში ათასჯერ უკვეთავს
თავის წიგნს.

ინგლისი

ეპიმი ბალი —
შერლოკ ჰოლმსი

კონან დოილს ხშირად ეკი-
თებოდნენ, როგორ შექმნი-
თო შერლოკ ჰოლმსის იერსა-
ზე — იერსაზე კაცისა, ვინც
უბრალო ლოგიკის ძალით,
წინდახედულობითა და დაკვი-
რებულობით ხსნიდა ყველაზე
უფრო ჩახლართულსა და იდუ-
ღალ დანაშაულობებს: ნამდუ-
ღად არსებობდა შერლოკ ჰო-
ლმსი, თუ იგი მწერლის ფან-
ტაზიის ნაყოფი გახლდათ?
კარგა ხანს ეს კითხვა უახსუ-
ხედ რჩებოდა. მაგრამ ერთ-
ხელ მწერალმა ურ რანალ
„სტრენდ მაგაზინის“ კორეს-
პონდენტს გაანდო: შერლოკ
ჰოლმსი სხვა არავინაა თუ არა
ელიზბურგის მცხოვრები ჯო-
ზეფ ბელი, ვისი ხელმძღვანე-
ლობითაც შეუდგა კონან დოი-
ლი საქიმო მოღვაწეობას.
შერნალ „ტიტ-ბიტსში“ თა-

ვის დროზე დაიბედა კონან
დოილის საინტერესო მოგონე-
ბები ექიმ ბელზე. მოგონებათა
ავტორი აღნიშნავს: „იგი სა-
ოცრად დაკვირვებული იყო,
და როცა მე, ახალგაზრდა-
რი ექიმი, სამსახურში აფრი-
კას გავემგზავრე, სადაც ხელ-
მძღვანელად ექიმი ბელი მო-
მევიდნა, მისმა გამორჩეულმა
ინდივიდულობამ და აღამაინ-
თა გამოცნობის უნარმა ჩემზე
იმოდენა გავლენა იქონია, რომ
ამან ბოძი მომცა, გამომეცვა-
ლა მოწოდება და ავადმყოფე-
ბის მკურნალობის ნაცვლად
მოთხრობების წერა დამეწუ-
ქა. ექიმი ბელი ახლაც თვალწინ
მიდგას: გამსჭვალავი, ნაცრის-
ფერი, გამჭირაბი თვალები, კე-
ხიანი ცხვირი და გასაოცარი
ხახის ნაკვთები. აი, იგი სავარ-
ძელში ზის, ხელები მუხლებ-
ზე დაუწყვია და ჩქურ შეს-
ცქერის მის წინ მდგარ მავან
კაცს. მას შეეძლო გამოეცნო
იმ კაცის ხასიათი, ენახა მისი
ხელები, პიჯაკის სახელოები
და თქვა, რა ხელობას ადგა
იგი“.

„ტიტ-ბიტის“ რედაქციაში
გამოგზავნილ ერთ წერილში
ექიმი ბელი, სხვათა შორის,
ამბობს: „ახალგაზრდობამ აუ-
ცილებლად უნდა ისწავლოს
დაკვირვება. ძალიან საინტე-
რესოა თვალზე გამოიცნო
მავანის ხელობა. ეს ბევრად
უფრო ადვილია, ვიდრე ერთი
შეხვედით შეიძლება გგონოს.
ასე, მაგალითად, ხახის მიხედ-
ვით ყოველთვის შეიძლება
ეროვნების გამოცნობა, აქცენ-
ტისა და გამოთქმის მიხედ-
ვით — სამშობლოსი. მუშა
კაცის ხელზე თითქმის ყველა
ხელობა ტოვებს თავისებურ
ნიშნებს. შახტებში მომუშავე-



თა ხელგებზე დამჩნეული ნაჭედევები სხვანაირია, ვიდრე ქვის სამტეხლოებში მომუშავეებისა. ღურგალს სხვანაირი ბებერა აქდება ხელზე, ქვის მტეხელს — სხვანაირი. თერძი სხვა და მეწაღე სხვა. სახმელეთო ქვეითი ჭარისკაცი და მატროსი სიარულით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სვირინგები მიგვანიშნებს იმ ადგილებს, სადაც მატროსი უოფილა. ამ წვრილმანებს ღრმად რომ შეისწავლით, უკვე შეგიძლიათ ბევრი რამ თქვათ იმ კაცზე, ვინც ეს-ეს არის შემოვიდა ოთახში“.

იუენებდა თუ არა ექიმი ბელი თავისი დაკვირვების უნარს დანაშაულობათა გასახსნელად, როგორც ამას შერლოკ ჰოლმსი აკეთებდა?

ექიმი ბელი თურმე ღრმა ინტერესს იჩენდა იმ დანაშაულობათა მიმართ, რომლებიც იდუმალებით იყო მოცული პოლიციისა და ხალხისათვის. თავის დროზე გახმაურებულ რიპერის საქმეში მან ერთ თავის მეგობართან ერთად არსებითი დახმარება გაუწია პოლიციას. იგი იმით ხელმძღვანელობდა, რომ ორი კაცის აზრი ერთსა და იმავე საკითხზე ნაკ-

ლებად შეუძცდარი იქნება, ვიდრე ერთი კაცის აზრი; მოელაპარაკა ერთ თავის მეგობარს, ანალიზის მეთოდით გაერჩია რიპერის დახმარებული საქმე და მერე ორთავეს აზრი გამოეთქვათ ორ დახურულ კონვერტში, რომლებიც ერთმანეთში გაცვალეს. ორივე კონვერტში ბრალი ედებოდა ერთსა და იმავე პირს. მისი სახელი და გვარი კონფიდენციალურად აცნობეს პოლიციას და დამნაშავე სააშკარაზე იქნა გამოყვანილი.

ექიმმა ბელმა თურმე იცოდა, თუ რა როლს ასრულებდა იგი სახელგანთქმულ მძებრზე მოთხრობების შექმნაში და სიამოვნებდა, როცა სულ უცნობი ადამიანებისგან გაიგონებდა: „აი, ექიმი ბელი — შერლოკ ჰოლმსი“.

შპვიცარი

მინტუპისპირა ველის
საიდუმლოება

სპუთი წლის განმავლობაში ახალგაზრდა გეოლოგი დავით ფონჟალა სწავლობს მდინარე მენტუპისპირა ველის იდუმა-

ლებით მოცულ მოედანს ფონჟალას შენიშნული მკონდა, რომ ამ ადგილას მწუხრიდან გამოდიოდა სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი. და როცა მან სტატისტიკური მონაცემები შეისწავლა, დაადგინა, რომ სატრანსპორტო კატასტროფების რიცხვი ამ რაიონში მნიშვნელოვნად სპარბობდა კატასტროფების რაოდენობას შვეიცარიის სხვა ადგილებში. აქ უფრო ხშირად ჩნდება პირუტყვის დაჟვადებათა ეპიდემიები, უფრო მაღალი იზრდებიან მცენარეები.

ამას რომ აღნიშნავს, შვეიცარიის გაზეთი „უურნალ დე შენევი“ გვაუწყებს: „პირველად აღმოჩენილ იქნა „ბერმუდის სამკუთხედი“, რომლის ფენომენალური მოვლენები ბევრი მეცნიერის მხოლოდ დიმილს იწვევდა. ასეთივე რაიონის იპარონის ზღვაში აღმოჩენის შემდეგ სკეპტიკოსთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. მერე აღმოჩნდა საიდუმლოებით მოცული რაიონი საფრანგეთში, ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტში; და აი, ახლა ამას დავმატა აღმოჩენა შვეიცარიაში“.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-26-85, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-28-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ნისკარის“ დამატება — 72-17-01, საკოოქტორი — 72-43-75.

გაღრეცა ასაწყობად 15. 6. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. 8. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 14. საბარ-საჯ. თაბახი 15.35. შეკვ. № 1755. უე 08712. ტირაჟი 31.100.

ფანდი 60 კპპ.

42724
საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მედიის
სამსახური

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236